



ISSN 0132-3568
საქართველოს
საქართველოს

გეოგრაფია



8

1986



ენათმეცნიერება



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფაილი № 62-0

№ 8

აგვისტო, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

კვიპა ჯაფარიძე — ოთხი დღე ნაირის ძველანაში. ნარკვევი	3
გივი ძნელაძე — ლექსები	42
მარი აბრამიშვილი — ლექსები	48
თენგიზ ბუაჩიძე — მძირო პროზა ანუ მსაიდუმლო ჩანაწერები	53
იზა ჰოვსაძე — ლექსები	72
ვახა ჟუღუნიძე — ლექსები	75
ვახტანგ ზარბილაძე — ლექსები	77
სოლომონ სამხარაული — მძირო. მოთხრობა	80
ტომას სტარნ-ვლინოტი — ისტ კომპანი. პოემიდან „ოთხი კვარტეტი“ ინგლისურიდან თარგმნა ასმათ ზეზაძემ	102

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ალექსანდრე რაფაელო-დენსიაძე — საერთო „მე“-ს ძიებაში. რუსულიდან თარგმნა მიხეილ ზეროვილიძე	109
კახა ჯამბურია — კრიტიკი და პიროვნება	122
რამის რამიშვილი — არქიტექტორი კვლევა-ძიება არაბის ხეობაში	129

მეხნიერება

ალექსი ლოსივი — სიტყვა ქართულ ნოვოლატორეზში. თარგმნა თამაზ ჩვენკელმა	151
ოთარ ტყეშელაშვილი — თბილისის წარმოქმნა-განვითარება. დასასრული	155
როლანდ ბარბიე — გლოვის მგოსანთა კრეატივი და სალესო წყობა	168

წიგნების მიმოხილვა

ბაკი თოფურია — მკირხანი შენაძინი	174
----------------------------------	-----

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავუბელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
შიაშვილი, ბ. დონანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლიბანიძე,
ე. მალრაძე, ლ. მრალაშვილი, ზ. ნატროშვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ჩა-
რკვიანი, ნ. წულუბიძე, ი. თილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მღვივანი)
რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ოთხი დღე ნაირის ქვეყანაში

ადრიან გაზაფხულზე, მარტის ცხრა-მეტს, სრულიად მოულოდნელად ერევანში მომიხდა გამგზავრება. სხვა ფროს იქნებ უარი არ მეთქვა და მიწვევა სიამოვნებით მიმეღო, მაგრამ ახლა, რომ იტყვიან, დანა და ყელი ერთად მქონდა და შინიდან ფეხის გადგმას სიკვდილი მერჩია. ჩემდა სამწუხაროდ, უარის თქმა არ ეგებოდა. მსურდა თუ არა, ყველა სხვა საქმე სახვალოდ უნდა გადამედო და დანიშნულ დროს ერევანში ჩავსულიყავი.

თბილისში ჯერ კიდევ საგრძობლად ციოდა. აქა-იქ, ქალაქის გარშემო, მოშინებულნი ხროიკი მთების ჩრდილოეთ კალთებზე და ღრანტეებში მინდორ-მინდორ ახვეტილ მტვერში ამოგანგლული თოვლიც იღო. თავისი ბუნებრივი პირობების გამო, თუ ამინდის ბიუროსაც რაიმეს დაუჯერებ, ერევანში კიდევ უფრო სიცივე უნდა ყოფილიყო. ამიტომ ურიგო როდი იქნებოდა, თუ დროული კაცი თბილად ჩაიკვამდი და მოსალოდნელ სუსხიან სიცივეს, სომხეთში ზამთრის თვეებსა და გამოზაფხულზე რომ იცის, წინასწარ მომზადებული შეეგებებოდი.

რადგანაც თბილისის მთავარი სარკინიგზო სადგური ჯერ კიდევ, მეორედ თუ მესამედ, შენდება და პირველ მგზავრებს, მაინცდამაინც რომ არსად შეიჩქარებათ და თვითმფრინავით მგზავრო-

ბას ისევ მშვიდობიან მამაპაპურ მატარებელში ჩაბარგებას ამჯობინებენ, ვინ იცის, როდის მიიღებს, ერევანსა და ბაქოს მიმართულებით მატარებლები ნავთლულის სადგურიდან გადიან.

მე ფიქრით უკვე გზას ვადექი, უკვე სომხეთში ვიყავი, ერევანის ქუჩებში დავაბიჯებდი და, არ დამავციანდეს-მეთქი, სამგზავრო ბარგი სახელდახელოდ შეეკარი, ქურჭი გადავიცივი და ნავთლულის სადგურს მატარებლის გასვლამდე ერთი საათით თუ საათნახევრით ადრე ვეწვიე. ვცდილობდი ცოცხლად წარმომედგინა, რაც ერევანში ოცი თუ ოცდახუთი წლის წინანდელი სტუმრობისას ვნახე. კარგა ხანი იყო, ჩვენში ხმა დადიოდა და ამ ხმას ოფიციალური ინფორმაციის წყაროებიც ადასტურებდნენ, სომხებმა თავიანთი რესპუბლიკის დედაქალაქი მას შემდეგ ხელახლა ააშენეს და იმისაგან, რაც იქ ოდესმე გინახავს, კვალიც აღარ დარჩენილაო.

რა მინახავს? რა უნდა გამჭრალიყო ასე უკვალოდ? რის გახსენება შემეძლო? ერთიმეორეზე მიჭუჭუქული ხანოანი ქოხებისა, დღენიადაგ კარგით თვალეგამოლამებულ მიწურებისა, კლდოვან გორებზე შეფენილი ერთიმეორეზე ლატაკი უბნებისა, ქოხმატების წინ გაფენილი ჰრელ-ჰრულა სარეცხისა, გამუდმებული უწყლობისაგან

გადასწრებული

ამმორებული მიხვეულ-მოხვეული შუა-კებისა, ქუჩების მაგივრობას რომ ეწეოდნენ, და ვარდისფერი ტუფისაგან ნაგები რამდენიმე თვალწარმტაცი შენობისა ქალაქის შუაგულში, რომელთა არსებობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მტრის მიერ უთვალავჯერ აკლებული და მიწისთან გასწორებული ამ დიდი სოფლის, დიხს, სოფლის საერთო უბადრუკ შესახედაობას.

ჩემდა სამარცხვინოდ, ცხოვრება ისე წარიმართა, ვერა და ვერ გამოვნახე დრო, მოგზაურის კვერთხი ხელში დამეჭირა და საქართველოსებრ მრავალჭირსა და ვეებაში გამოვლილი სომხეთის თვალის შესავლებად ერევანს ერთხელ კიდევ ვსტუმრებოდი. ახლანდელი მგზავრობა, თითქმის იძულებითი, სწორედ მისწრება გახლდათ: ქართული ანდაზისა არ იყოს, მაიმინისა ცნახადი და ცხენისა ცაგხედნიდი.

საათს ავხედე და ვინანე, ასე ადრე რომ მოვედი. ნავთლულის სადგური, რომლითაც მეზობელ მოძმე რესპუბლიკებს ვუკავშირდებით და რომლის გავლითაც ბაქოსა და ერევანში მიღეთის ხალხი მიდი-მოდის, ერთობ მოუვლელი და უყურადღებოდ მიტოვებული ყოფილა, თუმცა ტუფითა და ეკლარის ქვით მოპირკეთებული შენობის გარეხედი და დარბაზების განლაგება მაინც და მაინც არ დაიწუნება. სახურავში წყალი ჩამოსულა და ოდესლაც თეთრად შეფეთქილ ქერს პაპიროსის კვამლით რომ არის გაყვითლებული, ვეებერთელა ყავისფერი ლაქა აჩნია, რაც იმას მოწმობს, რომ შენობის სათანადოდ მოვლა-პატრონობისათვის არავის სცხელა, თავს არავინ იტყვივს. ლაქის ჩამოსწვრივ, მოზაიკით დაფარულ იატაკზე, მტვერში ახელილი წვიმის წყლის გუბე დამდგარა, გუბეში ჩადგმულ სკამებს კი, თუ შარვალი არ აიკარწახე და ქუსლებზე არ დადექი, ახლოსაც ვერ მიეკარები. აქ, ეტყობა, არამტოვ გავლა, დგომაც საშუალება არ იცი, გულსაკლავად მოხა-

ტული სველი ბათქაში ქვეყნისა და დის ჩამოიქცევა და ქვეშეშეშეშე გიყოლებს!

მოსაცდელი დარბაზი, რომელიც ვაგზლის მოგრო შენობის მეორე სართულზეა, სადაც ქვის განიერ, ზვიად კიბეს აყავხარ, მგზავრებითაა გაჭედლი. სამოქალაქო ომისდროინდელი ვაგზლები გაგახსენდება. პაპიროსის ბოლოში მოლოდინისაგან გულგადაღებული დაღვრემილი ადამიანები ძლივს ჩანან. ზოგან ჭგუფ-ჭგუფად სხედან თოკით გაბორკილი ჩემოდნებსა, მუყაოს ყუთებსა და ფუთებზე, ზოგი ზურგმობარატებულ გრძელ სკამებზე გაშლართულა, თავქვეშ საკუთარი ნიდაყვი ამოუღია და არხეინად ხვრინავს, არად დაგიდევს ირგვლივ გამეფებულ გულისამრევ სიბინძურეს. დროდადრო რადიორეპროდუქტორის ხრიალი და დიქტორის ხმა იჭრება ბრბოს უთავბოლო ყაყანში. ბაქანზე საგარეუბნო მატარებელი შემოდის და მგზავრებაც უმალ გამოცოცხლდებიან. იწყება აქეთ-იქით სირბილი და გამახილ-გამოძახილი.

თვალი უიმედოდ მოვავლე იქაურობას. ვითომ ჩამოსაჯდომ ადგილს ვეძებდი. ნურას უკაცრავად! ადგილი კიდევაც რომ აღმოაჩინო, რამდენიმე წლის გაუწმენდავ, ჭუჭყისაგან უღმერთოდ გაშავებულ სკამებზე, რკინიგზისათვის დამახასიათებელი რალაც უცნაური მყარალი სუნი რომ ასდით, ბოდიში მომიხდია და თავისი თავის პატივისმცემელი კაცი კი არა, ძალიც არ დაჭდება.

რა არის ეს? გულგრილობა? უბასუხისმგებლობა? თუ ორივე ერთად აღებული და ერთმანეთზე გადამრავლებული?

საკუთარ სახლში, ოთხ კედელშია, კი ბატონო, ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე მოიქცეს, ნაგავს თუნდ წლობითაც ნუ გაიტანს, შიგ იბუნხალოს, კაცია და გუნება, დამძალბებული და მომთხოვნი არავინ ეყოლება, მაგრამ ეს — საჩინიგზო ვაგზალი, საზოგადოების თავმჯდომარის ადგილი, ერის საე-

რთო სახლი რომ არის? შიგ, როგორც სარკის ნატეხში, ერის, ქვეყნის სახე რომ მოჩანს? ნუთუ დღესდღეობით ვინმესათვის ძნელი მისახვედრია, რომ როდესაც მას ასერიგად პატრონობენ, როდესაც თავს ისე დაქანკალეებენ, როგორც მე ნავთლულის სადგურში ვნახე, ამით უდიერ შეურაცხყოფას აყენებენ თავიანთ ეროვნულ სახლს და ამ საქმისათვის პასუხისმგებელ პირთა საქციელი გაცილებით უფრო დიდ გულსწყრომას იწვევს, ვიდრე სიზარმაცისაგან წელმოწყვეტილი კაცის უბრალო გულგრილობა და უპასუხისმგებლობა გამოიწვევდა, თუმცა ერთიცა და მეორეც, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს, ყველა დროსა და ყველა ვითარებაში უპატივებელი დანაშაულია.

არა და, პირი რომ აქეთ ვქენი და ჩემს მომავალ მოგზაურობაზე ვფიქრობდი, გული ამალღებული გრძობებით მქონდა სავსე, უაღრესად საბატიო მისიით სომხეთისაკენ მივიჩქაროდი, ათასნაირ გეგმებს ვაწყობდი, როგორ უკეთ შემესრულებინა ეს მისია და როგორღაც მეგონა, გულში ჩაბუღებული ეს საზეიმო განწყობილება აქ იქნება, თვით ნაადრევად დაჩაჩანაკევაგზლის ახალთ-ახალ შენობასაც კი უნდა ვეზიარებინა.

სომხეთში მეტად სამახსოვრო ამბავი ხდებოდა. იხდიდნენ გამოჩენილი სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რაფის იუბილეს.

რაფი სომეხი ერის ერთი თავმოსაწონებელი და წმიდათა-წმიდა სახელია. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის თავისი მშობელი ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ღვაწლმოსილი მწერლისა და დაუღალავი ეროვნული მოღვაწის კალამს არა ერთი და ორი მაღალი ნიჭიერებით აღბეჭდილი რომანი, მოთხრობა, ნარკვევი და მეცნიერული გამოკვლევა ეკუთვნის. სომეხი მამულიშვილები მის სახელს სიამაყით წარმოთქვამდნენ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში და ამ სახელის ბრწყინვალება ჩვენს დროში ოდნავადაც არ გამქრალბებულა, პირიქით, იგი კიდევ

უფრო ელვარე და საყოველთაოდ აღიარებული გახდა.

რაფი, ისევე როგორც ბევრი სხვა სახელმწიფოებრივი მოღვაწე სომხეთის ეროვნული კულტურისა, საქართველოში ცხოვრობდა, თითქმის მთელი სიცოცხლე თბილისში, ქართველებს შორის გაატარა და სამარადისო განსასვენებელიც აქვე, თბილისის მიწაში, ხოჯე-ვანქის სასაფლაოზე ერგო. მადლიანი მწერალი და მოქალაქე, მსგავსად მისივე თანამოძმე ოვანეს თუმანიანისა, რომელსაც ქართველი ერის უპირველეს შვილებთან ძმური ურთიერთობა და წარბშეუხრელი თანადგომა აკავშირებდა, არასოდეს არ შეზღუდულა ვიწრო ეროვნული ინტერესებით, არასოდეს არ დაავადებულა ეროვნული ეგოიზმის ბაცილით. რაფს საქართველო მეორე სამშობლოდ, მისი ტანჯული, ბრძოლაში გაუტეხელი ხალხის უძველეს და უპირველეს საიმედო თანშესაფრად მიიჩნდა და ამიტომაც თანამედროვეთა შორის, სომეხი იქნებოდა თუ ქართველი, ზეგარდმო ნიჭით მომადლებული შემოქმედის შესაფერისი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. ეს პატივისცემა და სიყვარული მარტოოდენ ხალხის წიაღში როდი იყო ფესვგადგმული, იგი იმდროინდელ ქართულ პრესაშიც ჩანდა და დღეს, ასე წლის შემდეგ, ჩვენ, მადლიერ შთამომავლობას, საშუალება გვძლევს სომეხი მწერლისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ნათლად წარმოვიდგინოთ.

რაფი, შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა გამოეთხოვა წუთისოფელს, ორმოცდაათი წლისაც არ იყო. დედა-სომხეთი ძაძით შეიმოსა. აი, რას წერდა ქართული ეროვნური აზრის სამარეკლო გაზეთი „ივერია“ 1888 წლის 88-ე ნომერში:

„დღეს, პარასკევს, ტფილისში ასაფლავებენ სომეხთა გამოჩენილ მწერალს რაფს, რომელიც ფილტვების ანთებით გარდაიცვალა აღდგომა დღეს, შუალამისას. სომხურმა ლიტერატურამ დაჰკარგა მისი ერთი პატიოსანი და

ნიჭიერი მწერალი. რაფი თბილისში მოღვაწეობდა და ქმნიდა დიდებულ ნაწარმოებებს მისი ერის ცხოვრების ქარგაზე. მთელი სომეხი ერი გლოვობს დღეს აგრე უდროოდ გარდაცვალებულ მწერალს, რომელმაც არა ერთხელ გამოთქვა თავისი, სიცოცხლეში მაღლით ცხებული ძლიერი სიტყვა და არა ერთხელ შეუძწარია გული თავის თანამემამულეებს უმაღლესი გრძობითა და აზრით. ამისთანა კაცს ძნელად ივიწყებს ერი, რადგანაც ამისთანა კაცი თავის მაღლიან გულში ატარებს თვითონ ერის ჭირსა და ლხინს“.

გაზეთ „ივერიას“, რომელსაც სათავეში საქართველოს უგვირგვინო მეფე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი დიდი ილია ჭავჭავაძე უდგა, მანამდე და შემდეგაც ბევრჯერ მიუძარტავს რაფის სახელისათვის. აი, კიდევ ერთი ადგილი, რომელიც იმავე გაზეთის 1892 წლის 31-ე ნომრიდან ამოვიღე:

„...რაფის ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მეტად მდაბიოდ წერს, მდაბიოდ და გულთბილად, არ უჭრელებს კაცს თვალს ბუნების სურათების აღწერით, არ უჭედავს ყურებს ფრაზების ჭექა-ქუხილით. მისი სიტყვა მარტივია, სურათოვანია, მაგრამ ძლიერ ებეჭდება კაცსა გულში. ხშირად სომარტივეში ძლიერებაა.

რაფის ნიჭის უმთავრესი ძარღვი გლოვია დაჩაგრულისა, დამდაბლებულისა, გალახულის კაცისა, ტირილი იმ ადამიანთა, რომელთაც ცხოვრება მძიმე ტვირთად დასწოლია და სჩაგრაეს!“

აი, ასეთი მწერლისა და მოღვაწის იუბილეს ობდიდა სომხეთი და მე წილად მხვდა ბედნიერება, ჩემი სამშობლო საქართველოს სახელით მონაწილეობა მიმეღო დიდ ეროვნულ ზეიმში. მატარებელი მთელ ღამეს ივლიდა და გათენების ხანს ერევანს მიადწევდა, სადაც, ჩემი ვარაუდით, მასპინძლები უნდა დამხვედროდნენ და თავის წესრიგში მოსაყვანად სასტუმროში წაგვყვანე. კვირა ღამე იყო, მეორე დღე

ორშაბათი თენდებოდა. დეპეშა წინაღამეს გაიგზავნა და მე დანაშაულების ადგილზე მის მიხედვით ხელი არაფერმა შეუშალა, ჩემთვის სრულიად უცხო ქალაქში დილაადრიან მთლად მარტოდმარტო ვგონებ არ უნდა დავჩინილიყავი.

მატარებელი ნახევარი საათის თუ მთელი ორმოცი წუთის დაგვიანებით ჩამოდგა. კუპეში მთლად მარტო აღმოვჩნდი და თუმცა უკვე გვიანი იყო, გული დამწყდა, რომ გზაზე ხმის გამცემი არავინ მეყოლებოდა. მამაკაცურად მხარბეჭიანმა და ტლანქმა, საუღვანელოდ მთლად შეგვგრემანმა სომხის ქალმა, ვაგონის გამცილებელმა, დამწვარზე მდულარე გადამასხა, თქვენთან არავის შემოეუფებ, რომ არ შეგაწუხონო და თავად შემოსასვლელი-საკენ წავიდა, სადაც მგზავრები შეჯგუფულიყვნენ და რაღაცის გამო ხმაილა დაობდნენ. სწორედ დამკრის წინ კუპეში ერთხელ კიდევ შემოიხედა და თბილისელი სომხისათვის დამახასიათებელ კილოზე ქართულად მკითხა:

— შეიძლება შეგაწუხონო, უფროსო? როგორ არა, მობრძანდით-მეთქი, ვუპასუხე.

— ერთი კაცი ძალიან მთხოვა. ლენინაკანში მიდის... თუ არ გეწყინებ: უფროსო, სიუდა პოლოუუ, — მან ლენიბებითა და ბალიშებით ახორხლილზედა თაროს ჩამოსდო თავისი მძიმე ხელი. — სპაკონი ბიჭი ჩანს, ვას ნე პობესპაკოიტ. პასადიტ?

— როგორც გენებოთ, ქალბატონო. მე აქ მხოლოდ ერთი ადგილი მიკავია, მეორე თავისუფალია. ვისაც ნებაქს, იმან დაიკავოს!

— ხაროშ ჩელოვეკ! — თქვა ქალმა და სომხურზე გადავიდა, თითო-ორჯულა რუსული სიტყვა იქაც გამოუტყია, კუპის კართან მომდგარ ღიმილიან ახალგაზრდა კაცს რაღაც დამრიგებლურად უთხრა, ხოლო როცა ის კუპეში შემოვიდა, ჩემოდანი დადგა და ვინ ერთმანეთს რუსულად მივესალეთო, ისევ მე მომიბრუნდა: — ახლა ერთ-ერთი მიატანე, პასტელი აქ იქ.



თქვენ ბილეთები და პო რუბლიუ გა-
ამზადეთ!

— მაშ, ლენინაკანში მიდიხართ? —
ვკითხე მე ახალგაზრდას და ფანჯრისა-
კენ ჩაეიწიე, რათა მისთვის ადგილი
დამეთმო. ის წკიპად, მორიდებულად
ჩამოჯდა კიდეზე, ზურგით კარის მო-
საზღვრე კედელს მიეყრდნო და მიპა-
სუხა, დიახ, სწორედ ლენინაკანში გე-
ახლებითო.

— იქაური იქნებით.

— თვით ლენინაკანიდან არა. ლენი-
ნაკანიდან ოცდაორი კილომეტრია
ჩვენს სოფლამდე. ავტობუსით დავდი-
ვართ...

ეროვნებით ასირიელი აღმოჩნდა,
ახალი ჯარმთვლილი იყო და უფრო-
სების წინაშე კრძალვა და ზედმიწევ-
ნით სწორი რუსული გამოთქმაც სწო-
რედ იქიდან მოჰყოლოდა. საშუალო
სამი წლის წინათ დაემთავრებინა, ამ-
ჟამად კი, ჯარმთვლილი და ცხოვრება-
ნახული, საგანგებოდ ემზადებოდა და
ერევანის უნივერსიტეტის აღმოსავლუ-
რი ენების ფაკულტეტზე აპირებდა მი-
საღები გამოცდების ჩაბარებას.

რატომ მაინც და მაინც ეგ დარგი
აირჩიეთ-მეთქი, ვკითხე.

ადვილი მისახვედრიაო, მიპასუხა,
მე ხომ ძველი აღმოსავლეთის ერთ-
ერთი დიდი ერის შვილი ვარ, რომე-
ლმაც თავისი წველილი შეიტანა საკა-
ცობრიო ცივილიზაციაში და ბუნებ-
რივია, თუ ჩემი შორეული წინაპრე-
ბის ისტორიის და კულტურის შესწავ-
ლა მაინტერესებდესო.

ეს საიდან, ვკითხე, ნუთუ სკოლაში
გასწავლეს-მეთქი?

არაო, სკოლაში ძველი აღმოსავლე-
თის ისტორიის სასწავლებლად ვისა
სკალია, მასწავლებელი გვეყავდა, ჩვე-
ნი მოფლელი, ერევანში პედაგოგიური
ინსტიტუტი დამთავრა, ეროვნებით
ისტ. ასირიელი იყო, მე შორეულ ნა-
თესავად მერგებოდა, მათემატიკას გვა-
სწავლიდა, მაგრამ მისგან ასურეთის
ისტორია უფრო ვისწავლე, ვიდრე მათე-
მატიკაო. ვისაც დაინტერესება შეგ-
ეცოდ, წავიყვანა და მოვედა, მაგრამ

ის წიგნები რუსულად იყო დაწერილი,
ჩვენ კი რუსულში მოვიკითხეთ და
წაიკითხა გვიჭირდაო.

— სკოლა რა ენაზე დაამთავრეთ?

— დაწყებითში, მეოთხე კლასამდე,
ასირიულად ვსწავლობდით, მერე სომ-
ხურზე გადავედით. სომხურთან ერ-
თად რუსულიც ხომ უნდა გვესწავლა,
ერთი კიდეც უცხო ენაც და მეხუთე
კლასის მოსწავლეს მეტი კი აღარ შე-
უძლია.

— თუ ასე კარგად ლაპარაკობთ სო-
მხურადაც და კიდეც ერთ უცხო ენა-
ზე, როგორც რუსულად, თქვენ ნამდ-
ვილი პოლიგლოტი ყოფილხართ!

— რას ბრძანებთ, — დაიმორცხვა.
— პოლიგლოტობამდე ჯერ ბევრი მა-
კლია. ნამდვილი პოლიგლოტი ვინ არის,
იციო?

ვინა-მეთქი, გამეცინა.

— აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე!

— თამაზ გამყრელიძე? თამაზ გამყ-
რელიძე თქვენ საიდან იციო?

— ვიცი. ამას წინათ გახეთ „იზვეს-
ტიაში“ მისი ინტერვიუ წაეკითხეთ.
თქვენც წაიკითხული გექნებათ, ალ-
ბათ?

— რასაკვირველია!

— იქ ეკითხებიან, რამდენ ენას
ფლობობო.

— შერე, მერე? აღარ მახსოვს, რას
პასუხობს!

— მართალი მოგახსენოთ, ამ საყი-
თხზე არ დავფიქრებულვარო. აი, ვინ
არის პოლიგლოტი!

— თქვენი აზრით, თამაზ გამყრე-
ლიძეს ასირიულიც ეცოდინება?

— რაღა თქმა უნდა! და განა მარ-
ტო ასირიული. მისი თეორია, რომელ-
მაც გადატრიალება მოახდინა ლინგვის-
ტიკაში, წარმოუდგენელია, თუ ყველა
ინდო-ევროპულ, სემიტურ და ქართვე-
ლურ ენასთან ერთად მათი წინაპრების
ენებიც არ იცი! ასე არ არის?

— ახლა კი ნამდვილად ვხვდები,
რატომაც ავირჩევიათ აღმოსავლური
ენების ფაკულტეტი სწავლის გასაგრ-
ძელებლად. ვატყობ, მონდომებული
კაცი ბრძანდებით, არც ნიჭი და მიხვე-

დრა გაკლიათ. დარწმუნებული ვარ, თავდადებული შრომა და ნათელი მიზანი, რომელიც წინ მიგიძღვით, თავისას გაიტანს. წარმატების მიღწევას მეტი არაფერი ჭირდება. გულით გისურვებთ; დასახული მიზანი მიგედწიოთ და თქვენ და თამაზ გამყრელიძე ოდესმე ერთმანეთს შეხვედროდეთ სამეცნიერო ასპარეზზე!

— ეჰ, — შეფარული ნატვრით თქვა მან და თავი ჩაქინდრა, ანთებული თვალები მომარინდა. — ფუჭი ოცნებაა. სად მე, ერთი საწყალი სოფლელი ბიჭი, და სად ის! აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან შეხვედრას! დღეს მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები ნატრობენ! თქვენ იცნობთ პირადად?

— როგორ არა, საკმაოდ ახლოს ვიცნობ!

— შეგიძლიათ თავი ბედნიერ კაცად ჩათვალოთ!

— მე ვამაყობ მისი თანამემამულეობით!

— სწორედაც უნდა იამაყოთ!

— ერთი მიბრძანეთ, თქვენი სოფლიდან თუ გამოვიდა ვინმე ცნობილი პიროვნება? აი, ისეთი, ვისი მაგალითითაც ახალგაზრდობა გაიზრდება?

ჭაბუკი არ დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი. იმაზე დიდი კაცი ჩვენს სოფელს არ გაუზრდია!

— მართლაც შესანიშნავი პიროვნება ყოფილა, რაკი თქვენ აგრე ამბობთ! მე ეგ არც მიკვირს. ვინ არის ჭვეყნად ისეთი გონიერი ადამიანი, ვინაც თავისი მასწავლებლისადმი მოწონება და მადლიერება კუმოს ფიცრამდე არ მიჰყვება. თამაზ გამყრელიძის და ვეაჩესლავ ივანოვის იმ უზარმაზარ ორტომეულს რომ გადაშლით, რომლის გამოსვლასაც „იზვესტიიაში“ დაბეჭდილი ინტერვიუ მიეძღვნა, იქ წაიკითხავთ, რომ ჩვენი დროის ეს უდიდესი მეცნიერები კრძალვით იხსენიებენ თავიანთ გზის გამკვალავ მასწავლებლებს...

— მართლა? ვინ არიან მათი მასწავლებლები?

— წარმოიდგინეთ, ^{სოფლის მეურნეობის} ^{მეცნიერების} მათგანს მე პირადად ვიცნობდი. აკადემიკოსები გიორგი ახვლედიანი და გიორგი წერეთელი. ერთიც უცხოელია — მიხეილ პეტერსონი!..

ახალგაზრდა ასირიელმა აღფრთოვანების გამოხატვაც ვერ მოასწრო, რომ კარზე კაკუნი მოისმა, მერე ის ხრიგონით გაიღო და თვალისმომჭრელად განათებულ ოთხკუთხედში ჩვენი ახვანის გამცილებელი გამოჩნდა.

— ვი ეშო ნე სპიტე, ი დრუგიმ ნე დაიოტე სპატ! — თოვლის გუნდასავით მოგვაახალა ეს და უკან დაიხია, კარი ხრიგინით მოგვიკეტა.

რალა გვეთქმოდა, ორივენი დამნაშავენი ვიყავით. საათს დავხედე და ელდა მეცა — სამი დაწყებულიყო. ასირიელი აღარ დაწოლილა. მე რომ არ შევეწუხებინე, თვალისმომჭრელად განათებულ ტალანში გავიდა და თავის ახალგაზრდულ ოცნებებს აყოლილი ფანჯარასთან ჩამოჯდა, მე კი ასევე გაუხდელად მივწევი და მაშინვე ძილმა წამართვა თავი. თვალი რომ გამოვხილე, ფანჯარაში შაბიამისფრად შეფერადებული გარიყრაყი იჭვრიტებოდა. უკვე გათენდა? ასე მალე გაიარა მთელმა ღამემ? კუბეში მივიხედ-მოვიხედე. ახალგაზრდა ასირიელს თავისი ბარგ-ბარხანა აეკრა და ფეხაკრეფით გაპარულიყო. მაშასადამე, ლენინაკანი, სადაც ის მიდიოდა, უკვე გავვივლია და მალე მატარებელი ერევენასაც მიაკივლებს. მაგიდაზე შუაზე გავეცილ რვეულის ფურცელს მოჯარი თვალი. ზედ, მგონი, რალაც ეწერა. მივწვდი და უშალ სათვალე მოვირგე. ჩემი ახალი ნაცნობი მწერდა: მომერიდა, გამოსამ-შვიდობებლად ვერ გაგაღვიძეთო. მადლობელი ვარ, რწმენა რომ ჩამინერგეთ და დამამიძედეთო. თუ ოდესმე ბედმა გამილიმა და ჩემგანაც კაცი გამოვიდა, იცოდეთ, ამ მადლიან საქმეში წილი თქვენც გედებათო. მე ვიცი, თქვენ ვინცა ხართ და სად და რაათვის მიემგზავრებით, თუმცა არაფერი

გითქვამთ. ამაღამ ტელევიზორს მივუ-
ჭდები და მოვისმინეთ, რაფი ნამდვი-
ლად დიდი მწერალია და ჩვენც, სომ-
ხეთში მცხოვრები ასირიელებიც ვკი-
თხულობთ მას ორიგინალშიო...

ეს იყო და ეს. არც სახელი, არც
გვარი. ეტყობა, ამის აღნიშვნა კანდი-
ერებად და მამის ტოლ კაცთან ზედ-
შეტ გაშინაურებად ჩათვალა. ვინ იცის,
შევხვდებით კიდევ ერთმანეთს ოდეს-
მე? იქნებ კიდევაც შევხვდეთ. სიცო-
ცხლის ძარღვით მფეთქავი ჩვენი მწვა-
ნე პლანეტა არც ისე დიდია, რომ ადა-
მიანები ერთმანეთს დავეკარგოთ!..

2

გამიკვირდა, მატარებელი რომ სად-
ღაც მიყრუებულ ჩიხში გაჩერდა. მე-
გონა, სემაფორია დაკეტილი და სად-
გური არ გვიღებს-მეთქი, მაგრამ რო-
დესაც ვაგონი თითქმის მთლიანად და-
იკალა, ფიქრისა და ყოყმანის დრო
აღარ იყო, კუბეში ხელი შევყავი და
ჩემი ქურჭი და დიპლომატი დავით-
რიე.

— უკვე ერევანია? — წინდახედუ-
ლება მაინც გამოვიჩინე და ვკითხე
ფაშფაშა ბავშვიან ქალს, რომელსაც
ტალანში დავეწიე და პასუხს, რაც შე-
ძლებოდა თავაზიანად დაველოდე.

დაველოდე-მეთქი, ამას იმიტომ ვა-
მბობ, რომ ჰოს ან არას თქმის მაგიერ
ქალმა ექვიანად ამხედ-დამხედა, შავ-
ბუსუსებიათი მსხვილი ტუჩები აიბ-
ზუა, წარბი შეიკრა და მხოლოდ ამის
შემდეგ მომიგო:

— მაშ რა არის, ველარა ცნობთ?
პარიზიდან ხომ არ ჩამოხვედით?!

ეს უკმეხი პასუხი სილასავით მომხ-
ვდა და ყვრიმალეები ამიწვა. თქვე კაი
დედამამიშვილო, რას მირისხდებით-მე-
თქი, მინდოდა მესაყვედურა, მაღლობა
ღმერთს, ურიგო არაფერი მიკადრებია,
აქ პირველადა ვარ და მაინც და მაინც
პარიზიდან უნდა მოვდიოდე, შეკითხ-
ვის უფლება რომ მოვიპოვო-მეთქი?
მაგრამ თავი აღარ გამოვიდე — ქალმა,
ჩემი კავკასიური გარეგნობის გამო,

ეტყობოდა, ერევნელ სომხად მიმიღო,
უწყინარი კითხვა, თანაც *გაგაქცეხტყქ*
ენაზე, გამოლაპარაკების *შახაბეტი* მშაპა
მითვალა და, მისი აზრით, პასუხიც სა-
კადრისი მომცა.

რომ დაეფიქრდი, გულის გულში მე-
სიამოვნა. მაგარი ქალი ჩანდა, ვაგლა-
ხად არავის დაეჩაგვრინებოდა. ბედია
ნეტავ თუ უბედობა, ორი ათასი წლის
დაგვიანებით რომ დაიბადა? ხომ შეი-
ძლებოდა, ცოდვითა და მადლით საძსე
ქვეყანას არა ახლა, მეოცე საუკუნის
მეორე ნახევარში, არამედ ორი ათასი
და მეტი წლის წინათ მოვლენოდა?
მაშინ ხომ ერთი იმათგანი იქნებოდა,
უხსოვარ დროს, საკაცობრიო ცივილი-
ზაციის გარიერაზე, თავიანთი ქმრე-
ბის, მამებისა და ძმების მხარდამხარ,
ჯანათლებული აღმოსავლეთის დასაყ-
რობად დაძრულ მაკედონელის კოპორ-
ტებს და მონათმფლობელური რომის
უძლეველ ლეგიონებს რომ ებრძოდნენ
და არამტუ ებრძოდნენ, იმარჯვებდ-
ნენ კიდევაც სამკვდრო-სასიცოცხლო
ომში, ანდა სასიკვდილოდ განწირულ-
ნი, გამხეცებულ მტერს ცოცხალი თა-
ვით რომ არ დანებებოდნენ, მომხველ-
რი ღუშმანის სისხლით შეღებილ დაშ-
ნაზე მკერდით ეგებოდნენ.

ეს ვითომ რა შუაში იყო? აბა, სად
ეს ავყია დედაკაცი და სად დიდი სო-
მხეთი, ძველი აღმოსავლეთის უძლიე-
რესი სახელმწიფო, ურარტუს ერთი
მემკვიდრეთაგანი, შუამდინარეთის ქვე-
ყნების, კოლხეთ-იბერიისა, კავკასიის
ალბანეთისა და პონტოს სამეფოს საი-
მედო მეზობელი, სომხეთის, იმავე არ-
მენიის მთელ ზეგანზე, კასპიის ზღვის
სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებიდან
ვიდრე ხმელთაშუა ზღვამდე რომ იყო
გადაჭიმული და ჯერ მსოფლიოს დასა-
პყრობად ამხედრებულ ალექსანდრე
მაკედონელს, ხოლო შემდეგ მონათ-
მფლობელური რომს მგლის მადას უღ-
ვიძებდა.

ამიტომაცაა, სომხეთის ისტორია
ძველი აღმოსავლეთის, არა მარტო
ძველი აღმოსავლეთის, არამედ თვით
ანტიკური საბერძნეთისა და რომის ის-

ტორიის განუყოფელი ნაწილი რომ არის და მისი არ ცოდნა ყოველ ასე თუ ისე განათლებულ და გათვითცნობიერებულ კაცს, მთელ ერებზე რომ აღიარებენ ვთქვათ, საქმეზე საქმედ ვერ ჩაეთვლება. სირიის, პალესტინის, კაპადოკიის, იკონიის, ეგვიპტის, რუმისა და წინა აზიის ბევრი სხვა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხებს ოდესღაც სომეხთა უზარმაზარი იმპერიის ნება-სურვილი განსაზღვრავდა ხოლმე და სომეხთა სამხედრო, ეკონომიკური, სავაჭრო, სამშენებლო და კულტურული მოღვაწეობის ცხოველყოფილი კვალი, ათეულობით საუკუნის გავლის შემდეგ, ამ ქვეყნების შემკვიდრე ქვეყნებს დღესაც თვალნათლივ ეჩვენება.

რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ დიდი მიწისძვრის დროს ჩამოქცეული აია-სოფიას ტაძრის გუმბათის აღსადგენად ბიზანტიის იმპერატორმა 889 წელს კონსტანტინოპოლში სახელგანთქმული სომეხი ხუროთმოძღვარი ტირიდატი მიიწვია. ტირიდატის სასწაულმოქმედი მარჯვენივით აღდგენილი თალი უკვე ათასი წელიწადია მკვიდრად დგას თავის საყრდენებზე და მნახველს ანკეიფრებს გრანდიოზულობითა და სიმსუბუქით. აღსანიშნავია, რომ მანამდე, სანამ ამ დიდ საქმეს თავს დაადგამდა, ტირიდატმა ბევრი ხელთუქმნელი ტაძარი და მეფეთა სასახლე ააშენა. მათ შორისაა ზეარტნოცის ტაძრის საკათედრო ტაძარი ბაგრატიონების ძველ სატახტო ქალაქ ანისში, რომლის ნანგრევის ხილვა დღესაც შეიძლება, თუ მდინარე ახურიანის კანონის გადაადგები და წყალგაღმა, თურქეთის ტერიტორიაზე, უწყალოდ დაქცეულ და მიწასთან გასწორებულ ქალაქ ანისს დააკვირდები.

ნეტავი თუ სმენია ამ ჩემს თანამგზავრ ქალბატონს, თავისი სულისა და სხეულის ნაწილი შეილი გულში რომ ჩაუხუტებია და ძუ-ვეფხვის გაფთხრებით ზედ დაჰფოფინებს, „ვისი გორისაა“, ვისი ნატეხია, რა გადახდა მის მრავალტანჯულ გმირულ ქვეყანას, ვიდრე ცამდე აღმართული ბიბლიური

არაბატის წინ ლეგენდარული მავრების ტყვევით დაპატარავდნენ და ეს მერამდენე საუკუნეზე მერამდენე პერიოდებს იშუშებს?

სმენია, უთუოდ სმენია და ამიტომაც ბრძანდება ასე უკარება, თავზე ბუზს არ იფრენს, აქეთ გაიძულებს ქედი მოიხარო და მის დიად შეუვალობას რაინდულად თაყვანი სცე.

მატარებელი ისევ ჩიხში, მალა მიწყაირილზე იდგა და როგორ არ გინდოდა დაგვეჩერებინა, რომ დიდი, მილიონიანი ქალაქის მთავარ სარკინიგზო კვანძში იყოფებოდი. ჭკუფ-ჭკუფად მიმავალ მგზავრებს, რომელთაგან ზოგს მსუბუქი ხელბარგი — თბილისიდან წამოდღვანილი სისხლივით წითელი კეზურა ვაშლითა და ზღვისპირეთის უნიკალური ნობათით — ციტრუსებით პირამდე სავსე ბაღურები მიჰქონდათ, ზოგი კი მძიმე ფუთებს, ჩემოდნებს და თავგადაკერილ ჭვალოს ტომრებს მიათრევდა, შემადგენლობის კულისაყვ გავეყვი და როდესაც სხვეთან ერთად რკინიგზის ხაზი გადავიარე, მაშინდა მივხვდი ეს რატომაც მომხდარიყო.

მალალბაქნიანი გრძელი პლატფორმები, რომლებიც ერთმანეთს და ვაგზლის მთავარ შენობას მიწისქვეშა გვირაბებით უერთდებიან, მძლავრ საყრდენებზე ლითონის უზარმაზარი კონსტრუქციებით გადაეხურათ. პლატფორმების გადახურვის სამუშაოები, რასაც, ალბათ, ათასობით ტონა ლითონი და ბევრი სხვა რამ სჭირდებოდა, სწორედ ახლა მომდინაროებს და რკინიგზის ხელმძღვანელობაც უცაბედი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, იძულებული გამხდარა მატარებლების მიღება-გასტუმრება პლატფორმებისაგან მოშორებით გადაეტანა. როდესაც ეხველა ეს ურთულესი და ძვირად ღირებული სამუშაო დასრულდება და მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად პლატფორმას რკინიგზელები საექსპლუატაციოდ მიიღებენ, თუ, რასაკვირველია, იმის მიხედვით ვიმსჯელებთ რაც უკვე გაკეთებული და ხელშესახებია,



ერევნის სარკინიგზო სადგური ერთ-ერთი თვალსაჩინო იქნება არამტუჟ მარტო საბჭოთა კავშირში, მსოფლიო-შიც. მოსკოვის, ლენინგრადის, ბერლინის, ლაიფციგის, პარიზის, ლონდონის, რომის, სტამბულის, ბრიუსელის, კოპენჰაგენის, მილანის, ანტვერპენის, ამსტერდამის „გადასურული ვაგზლები“, რომლებიც ცისქვეშეთში სამოგზაუროდ აღოღალეზულს სხვადასხვა დროს მინახავს, დიდი ხნის წინათ აშენდა, ზოგი მათგანი უკვე ასი წლისა და მეტი ხნისადაა, ერევნის ვაგზალი კი ახალთ-ახალია, ავტო, ჩვენს თვალწინ შენდება და სომეხი სპეციალისტები, ერთ-ერთი საუკეთესონი მთელ კავშირში, მის მშენებლობაში ჩვენი დროის ყველა ტექნიკურ მიღწევასა და შესაძლებლობას იყენებენ.

ერევანს ჭერაც დიდი სოფლის, სოფლის თუ არა, რუსეთის იმპერიის დროინდელი ერთი განაპირა საგუბერნიო ქალაქის იერი ედო, როცა სომეხმა ბუროთმოძღვრებმა, რომელთაც სომხეთის გასაბჭოების უმაღლეს სათავეში ერევნის მთავარი არქიტექტორი, გამოჩენილი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ტამანიანი ჩაუდგა, ამ სამი თუ ოთხი ათეული წლის წინათ ორთქლშაველის კვამლით გამურული ძველი ტიპური სადგურის ნაცვლად სადგურის ახალი, მკვიდრი, საშვილიშვილო შენობა ააგეს. მას ვაგზლის მოედნის ერთი მხარე მთლიანად უჭირავს და მნახველის ყურადღებას იქცევს ფორმების მონუმენტურობით, რაც სომხური ეროვნული არქიტექტურის უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია, ხაზების სინატიფით, სისადავით და ყოველი გოჯი სივრცის მიზანდასახული გამოყენებით, სხვანაირად, თანამედროვე ტექნიკის ენაზე, რაციონალურსაც რომ უძახიან ხოლმე. მაღალი თაღები და კამარები, ერთიმეორეში გამავალი სხვადასხვა ზოშისა და დანიშნულების დარბაზები ზემოთრობის განწყობილებას ქმნიან და თითქოს ყოველი სულდგმულის გასაგებ პნაზე გეუბნებიან, კეთილო სტუ-

მარო, მოყვარეში მოყვარად მოსულო, ფეხბედნიერი იყოს შენა, მობრძანება ამ უძველეს, მარადიულ მქექფარე სიცოცხლესთან დაამოზილუბულ ქვეყანაშიო.

უკვე ნანახითა და განცილით იმდენად მოხიბლული ვიყავი, გვიანდა შევინიშნე, მასპინძელთაგან სადგურში რომ არავინ დამხვედრია. არა და ეს გარემოება ხუმრობა საქმე როდი იყო. ექვსს ოცდასუთი წუთი ავლდა და წინადლის შრომით გულმოჭერებულ ქალაქს ჭერ კიდევ დილის ტყბილი ძილით ეძინა. ვის გინდა მიადგე უდროოდროს? ვის კარზე დააკაუნებ? სადაც სხვაგან კი არა, თუნდაც მშობლიურ ქალაქში იყავი, სადაც აუარაცხელი ნათესავი და ნაცნობ-მეგობარი გყავს!

ერთხანს სადგურის დარბაზებში ვიბორიალე, ყველაგან შევიხედე, ყველა კუთხე-კუჩქული მუშტრის თვალით გავსინჯე, შემდეგ ხარაჩოებით ჩამოზნელებულ ბაქანზე გავედი, აუჩქარებლივ გავიარ-გამოვიარე და ბოლოს მოედანზე გამოვბრუნდი, რომლის შუაგულშიაც ჩემთვის ბალობიდანვე ნაცნობი დავით სასუნცის საქვეყნოდ განთქმული ქანდაკება დგას. მართლაც დიდებული რამ არის. შეუძლებელია, მისი მაქტრალი გულგრილი დარჩე და აღმაფრენით არ აღივსო. რა ძალაა, რა სწრაფვა, რა ვაყაყური. შემართება! ასეთი იყო, ალბათ, სპარაპეტი ვარდან მაშიკონიანი, 541 წლის 26 მაისს, ავარიარის ბრძოლაში, თავისი ერთი მუჟა ცხენოსანი ჯარით კალისაციით შემოსეულ სპარსელთა ჯარს რომ ეკვეთა და მტერს სიცოცხლე ძვირად დაუსვა. იძალეს ავარიართან სპარსელებმა, სომეხთა ცხენოსანი ჯარი, მტერი რომ რამდენჯერმე ჭარბობდა, წინვერ აღუდგა გაცოფებულ სპილოებს, რომლებზედაც სპარსი მოისრები და შუბონსები ისხდნენ და, როგორც ერთი კაცი, გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

არ ვიცი, მართალი ვიქნები თუ არა (თავი ხელოვნების სხვადასხვა დარგის, მათ შორის ქანდაკებისა და მუ-

სიკის უბაღლო მცოდნედ არ მო-
მაჯეს, მაგრამ მინც გავხედავ და ვი-
ტყვი, რომ ეს ექსპრესიული ქანდაკე-
ბა, გადარეულ სქენზე ამხედრებული
სახალხო გმირი, შოღერებული მხვი-
ლით შტრის დასათარგუნავად რომ მი-
ისწრაფვის, ჩემს წარმოსახვაში „გაი-
ანეს“ ცეცხლოვანი მელოდის ცოც-
ხალ ასოციაციას იწვევს.

არის მართლა რაღაც საერთო, თუ
ეს მხოლოდ მე მეჩვენება? მაგრამ ხე-
ლოვნების ნაწარმოები, მუსიკა იქნება,
ფერწერული ტილო თუ ქანდაკება, მა-
რტო თავის პროფესიაში გამოკეტილი
სპეციალისტებისათვის ხომ არ იქმნე-
ბა? მის ჰერეტიკას თუ მოსმენისას
ყოველი აღამიანი რაღაც თავისეულს
ამოიკითხავს, უცხო იეროგლიფს თა-
ვისი გულის ენაზე თარგმნის, საიდუმ-
ლო კარიბჭეს თავისი გასაღებით
აღებს, ანუ უფრო მშრალად და გასა-
გებად, ფაქტს თავისებურად აღიქვამს.

გამვლელ-გამომვლელისა და მანქა-
ნების სიჭარბე ხელს არ მიშლიდა და
ხალხის უძლეველობის გამოშხატველ
ქმნილებას გარეშემო რამდენჯერმე შე-
მოვლურე, თითქოსდა რაღაც რიტუალს
ვისრულებდი, ჩემი პირველი შთაბეჭ-
დილება ერთხელ კიდევ შევამოწმე.

ცნობათა ბიუროსთან რომ მიეტრი-
აღდი და მასპინძელთაგან იქ კიდევ
არავინ დამიხვდა, მაშინ კი გამკენწლა
ეცემა, რომ თბილისიდან გამოგზავნი-
ლმა დეპეშამ დანიშნულების ადგილს
ვერ მოაღწია და დღეს დილაადრიან მე
აქ არავინ მელოდა. მაგრამ როგორ და
რანაირად, როცა საიუბილეო საღამო
სახვალიოდ იყო დანიშნული, დღევა-
ნდელი დღე კი სტუმრების მიღებას და
მოთავსებას ეთმობოდა. შეტ ცდასა და
ყურყურტს არავითარი აზრი აღარ ჰქო-
ნდა და სადგურის შენობიდან ტაქსის
დასაქერად გამოვედი, რომ სასტუმრო
სხვათა დაუხმარებლად შეპოვნა და ჩე-
მი ადგილსამყოფელი მწერალთა კავ-
შირისათვის ტელეფონით შემეტყობი-
ნებინა. ვაკჭროლდით სწორ, ფერად-
ფერადი ტუფის მრავალსართულიანი
მკვიდრი სახლებით ჩარიცხულ ქუჩე-

ბში. ახალი მორწყული და პირდაპი-
ნილი ქუჩები მშვენიერ სახსარს იყო.
შენობათა კედლებივით ფერადი ფილე-
ბით მოგებულ ფართო ტროტუარებს
ცაცხვისა და ჭადრის გადაბედილი ხე-
ები გასდევდა. ქალაქი, ის იყო, იღვი-
ძებდა. თავბრუდამხვევი სისწრაფით
მიპქროდნენ და მოპქროდნენ პირველი
მანქანები. ისინი სვლას მხოლოდ გზა-
ჯვარედინებზე, წითლად, ყვითლად და
მწვანედ აბრღვიალებული შუქნიშნე-
ბის წინ ანელებდნენ და შემდეგ ისევ
განაგრძობდნენ თავიანთ თავდავიწყე-
ბულ სროლას. გამოჩნდნენ საღადაც
გაჩქარებით მიმავალი გამვლელები,
მზარზე ცოცხადადებული შევზოვეე-
ბი, ძარიან მოტოციკლებზე ამხედრე-
ბული თეთრხალათიანი მერძევეები...

ჯერ სად მივიდეთო, მკითხა შოფე-
რმა, როცა მორიგ გზაჯვარედინზე სი-
ჩქარე გადაართო და სვლას მოუმატა,
„არმენიაში“ თუ „ერევანში“.

თუ სახელწოდებების მიხედვით იმ-
სჯელებ, ჩემს სომეხ კოლეგებს მოწ-
ვეული სტუმრებისათვის ადგილები
სწორედ ამ მთავარ სასტუმროებში უნ-
და ჰქონოდათ დაბევებული. მხოლოდ
მოგვიანებით შევიტყვე, რომ მკვეთრად
გამოკვეთილი „მთავარი“ თუ „პირ-
ველხარისხოვანი“ სასტუმრო აქ არა
ორი, არამედ რამდენიმეა, რომლებიც
პირველობის პალმას არავის უთმობენ.
თუ პირველი რბი — „არმენია“ და
„ერევანი“ ქალაქის ცენტრში — ლე-
ნინის მოედანსა და ხაჩატურ აბოვიან-
ის ქუჩაზეა და იმ პირველ შენობათა
რიცხვს მიეკუთვნებიან, ერევნის განა-
შენიანების 1924 წლის გენერალური
გეგმის მიხედვით რომ აშენდა, შედა-
რებით ახალგაზრდა „ანისი“ და სრუ-
ლიად ახალგაზრდა „დვინი“ და „რაზ-
დანი“ ცენტრიდან ცოტა მოშორებო-
თაა, მაგრამ არც ერთი, არც მეორე და
არც მესამე ამით არაფერს კარგავენ,
პირიქით, თავისებური პეწი და მომხი-
ბველობა აქვთ.

ჩემდა სამწუხაროდ თუ სასიამოვნო-
ნოდ, ვერც „არმენიაში“ და ვერც
„ერევანში“ საჭირო ცნობის მოწიპება



ვერავენ შესძლო, სამუშაო საათების დაწყებამდე, სადამდეც კარგა გვარიანი დრო იყო დარჩენილი, დარეკვაც არ ხერხდებოდა და მეც, ქართული ანდაზისა არ იყოს, ვაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინა. უკეთეს ადგილას სადღა წავიდოდი. ქალაქის მთავარ, ლენინის მოედანზე ვიყავი, საიდანაც ოციანი წლების დამლევს და ოცდაათიანი წლების დასაწყისში ერევნის განახლება, მისი ახალი ერა დაიწყო და მეც შემეძლო, სომხეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობას სწორედ აქედან შევდგამოდი.

სომხეთში გამოგზავრების წინადღეებში ჩემი ძველი მეგობარი არმენოლოგი ბონდო არველაძე მოვინახულე და ვთხოვე, თუ არ დაიზარებდა, შესაფერი ლიტერატურითა და ცნობარებით მოვემარაგებინე. სომხეთსა და მის მრავალსაუკუნოვან კულტურაზე თავდავიწყებით შეყვარებულმა მეცნიერმა ეს თხოვნა დიდი სიამოვნებით, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე შემისრულა და აქვე მეძლევა საშუალება ძვირფას ბონდო არველაძეს ძმური მადლობა გადავუხადო.

სადაც არ უნდა მიდიოდე, როცა მოგზაურის კვერთხს ხელში იღებ, რომელი ქვეყნის მიწა-წყალზეც არ უნდა გინდოდეს ფეხის დადგმა, თუ წინასწარ საფუძელიანად არ მოემზადე, წასაკითხი არ წაიკითხე და მოსასმენი არ მოჰსმინე, ხალხის ბედ-იბღლის უმთავრეს პერიოდებს მაინც არ გაეცანი, შენი მოგზაურობა უსინათლო ყრუმუნჯის ბორიალს დაემსგავსება და ვერაკითხარ სასურველ შედეგს ვერ გამოიღებ. მთებსა და ველებს, თუნდაც დიდი ისტორიული მნიშვნელობის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და გადატანილ ძნელბედობის უტყვე მოწმე ადგილებს, მომდევნო თაობებს წმიდათაწმიდად რომ მიუჩნევით, ენა არა აქვთ თავისთავად, წიგნის ან საქმეში ჩახედული კაცის ზეპირი სიტყვის დაუხმარებლად ვერაფერს გეტყვიან.

ამგე არად, მე ასე თუ ისე შეიარაღებული ჩიყავი, მთლად უბირ კაცად ვერ

ჩაეთვლებოდი და ზოგი რამის გაგება და მიხვედრა სხვათა დაუხმარებლობა შემეძლო.

ლენინის მოედანი, სადაც ახლა ვიდექი, თავისი არქიტექტურული სახით, განუმეორებელი ანსამბლურობით ერევნის მშენებება და არამტუ მარტო ერევნისა, მისი შადრევნები და სრასასახლეები, თალოვან-კამაროვანი ფასადებით მოედანზე რომ გამოდიან და ნახევარკალეზად მას გარს ერტყმიან, მსოფლიოს რომელსაც გნებავთ უღამაზეს ქალაქს დაამშვენებდა. ისევე როგორც მთლიანად, ერევანი, ის ერევანი, რომლის ნახვაც დღეს შეიძლება, თანდათანობით, თაობიდან თაობაში გადაკეთება-რეკონსტრუქციებით არც დღევანდელი ლენინის მოედანი აშენებულა. იმისაგან, რაც აქ ოდესღაც იდგა და მსახვრალი მტრისაგან იავარქმინისა და გაცამტვერების შემდეგ ვინ იცის, მერამდენედ მკვდრეთით აღდგა, დღეს კვალიც აღარ არის დარჩენილი. მოედნის მშენებლობის გეგმა ერევნის განაშენიანების გენერალური გეგმის ნაწილია და, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ამ გეგმის განხორციელება, მისი საშვილიშვილო ხორც-შესხმა სწორედ ლენინის მოედნის მშენებლობით დაიწყო. და დაიწყო როდის? იმ დროს, როდესაც ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჭერ ისევ ადამისეამინდელ მიწურებსა და ისლითა და ჩალით გადახურულ აშორებულ ქონხახებში ცხოვრობდა. ერევანი ხომ დაბადების პირველი დღიდანვე თავისი ქულბაქებით, ბაზრებით და სავაჭრო რიგებით, ქარავან-სარაიებით, საჯინბოებით, ამქართა სახელოსნოებით და ფარღალალა ტრაქტირებით ტიპური აზიური ქალაქი იყო. მას არც წყალსადენი გააჩნდა მოსახლეობის სასმელი წყლით მოსამარაგებლად, არც კანალიზაცია და არც ბევრი სხვა რამ, რაც ქალაქური ცხოვრებისათვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს და რის სრულყოფასაც ევროპის დიდმა და მცირე ქალაქებმა ჭერ კიდევ ანტიკურ ეპო-

ქაში, ანდა აღრეულ შუა სოკუნეებში მიაღწევს.

ლენინის მოედანზე რამდენიმე საზოგადოებრივი შენობა დგას, დანარჩენი სივრცე ბელადის მონუმენტს, ე. წ. მომღერალ შადრევანს და წლის ყოველ დროს ფარდაგივით მოჩითულ ყვავილნარს უჭირავს. შენობათაგან პირველყოველისა აღსანიშნავია მთავრობის სახლი, ფოსტამტი, სასტუმრო „არმენია“, კავშირგაბმულობის სასახლე და ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმების კომპლექსი სამხატვრო გალერეითურთ.

მთავრობის სახლი თვით ალექსანდრე ტამანიანის პროექტით აშენდა და მის მშენებლობას აწ უკვე შორეულ 1926 წელს შეუდგნენ. აღმშენებლობის გინით შეპყრობილი შთაგონებული ხუროთმოძღვარი მაშინ ჯერ ორიოცდაათი წლისაც არ იყო და სანამ მშობლიური დედაქალაქის აღორძინებას სათავეში ჩაუდგებოდა და თავისი სიცოცხლის უპირველეს ოცნებას აისრულებდა, რუსეთის უდიდეს ქალაქებში — სანკტ-პეტერბურგსა, მოსკოვსა, იაროსლავლსა და სხვაგან არა ერთი და ორი ღირსშესანიშნავი შენობა ააგო, ურიგო როდი იქნება, აქვე გაიხსენოს კაცმა, რომ როდესაც მოგვიანებით ალექსანდრე ტამანიანმა მშობლიურ ერევანს, ყველა სომხის სალოცავ ბატს, დედამიწის რომელ კუთხეშიაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, კიდევ ერთი სწორუპოვარი შედევრი, საოპერო თეატრის უაღრესად ორიგინალური შენობა შესძინა, საერთაშორისო გამოფენაზე, პარიზში, 1936 წელს, როგორც ჩვენი დროს ერთ-ერთი თვალსაჩინო არქიტექტორი, ის დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს. ტამანიანის მსაფლიო აღიარება კლასიკურ ფესვებზე მყვილად დაფუძნებული თანამედროვე სომხური არქიტექტურის საქვეყნო აღიარება იყო, ეს, რასაკვირველია, შინ და გარეთ ასეც იქნა გაგებული, მაგრამ წარმატებას თავბრუ არავისთვის დაუხვევია, უპირველეს ყოვლისა თვით ალექსანდრე ტა-

მანიანისა და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის. ამის დასაბუთება და დამადასტურებელი საბუთო დოკუმენტი თვალწარმატცი ერევანი, რომელიც უმთავრესად უკანასკნელ ოთხხუთ ათეულ წელიწადში, დიდი სამამულო ომის დაწყების წინ და ომის შემდეგ აშენდა.

ლენინის მოედანზე აღმართული მთავრობის სახლი თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობის ეტალონად და ნიმუშად იქცა ერევანსა და მთელ სომხეთში. ტამანიანის დიდმა ნიჭმა შესძლო ერთმანეთთან შეერწყა მასიურობა და შესრულების სინატიფე, თუნდაც სომხურ ხაჩკარებს რომ ახასიათებთ, მასშტაბურობა და თითოეული არქიტექტურული თუ სკულპტურული დეტალის ფილიგრანული დამუშავება. მოედანზე რომ აღმოჩნდებით, თქვენს ალტაცებას უმაღლეს გამოიწვევს ვებერთელა შენობის პოსტამენტად გამოყენებული კიბეები, სივრცეში ატყორცნილი სიმეტრიული ყოლონები და თითქოსდა ხელის ერთმოსმით მოხაზული კამარები. სადა, ბრტყელი კედლები და რამდენიმე საფეხურიანი ლავგარდანები, რომელთა შემოთაყ ხუროთმოძღვრული სასწაულის ახალი ციკლები იწყება, შენობას სიდიადესა და მონუმენტურობას სძენენ.

მაგრამ მოედნის დამამშვენებელი მონუმენტური ნაგებობები, რომელთაგან არც ერთი მეორეს არა ჰგავს, თუმცა ყველა ერთი დედის შვილია და ყველა ერთად ერთ მთლიან ანსამბლს ქმნის, მარტოოდენ არქიტექტურული გამომსახველობით როდი იპყრობენ მნახველის ყურადღებას. აქ თვით სამშენებლო მასალაც, გარეხედის მოსაპირკეთებელი ქვა — ადგილობრივი ვულკანური ტუფი, რითაც აკარაბ-არაგასის ჩამქრალი ვულკანების მხარე სომხეთი ავრე მდიდარია და მიი არა მარტო თავის თავს, მთელ კვშირს ამარაგებს, თავისი ბუნებრივი თვისებით — ფერის გამომსახველობით მხატვრულ ფუნქციას ასრულებს, თუმცა



ეს ფერადოვნება ტიპურ აღმოსავლურ, თუნდაც სპარსულ-არაბულ სიჭრელეში არასოდეს არ გადადის.

თვით მთავრობის სასახლე ვარდისფერი ტუფით არის აგებული, მთელ მოედანზე კი სამი ფერი ბატონობს: ვარდისფერი, ღია-ყვითელი და ნაც-რისფერი ბაზალიტისა. თუ მთავრობის სასახლე და მისი მიმდებარე ფოსტამტი და სასტუმრო „არმენია“ ვარდისფერია, ღია ყვითელი ფერი დაპყრავს არარატრესტსა და მუზეუმების კომპლექსს. ნაცრისფერშია გადაწყვეტილი ლენინის გრანდიოზული მონუმენტი მთავრობის ტრიბუნებითურთ და აუზი სურათების გალერეის წინ თავისი მუსიკალური შადრევნებით.

ლენინის ძეგლის უკან მოედანს აგრძელებს ბულვარი ერევნის ასაკის აღმნიშვნელი ორი ათას შვიდას ორმოცდაათი შადრევნით, რომელთა ბოლოშიაც, არანაკლებ ვრცელ მოედანზე, სტეფანე შაჰუმიანის სკულპტურული პორტრეტი დგას.

აქაურ ქუჩებში გავლა-გამოვლისას, მანქანით იქნები თუ ქვეითად, დაკვირვებული კაცი უმაღლესე შეამჩნევს, რომ ერევანში ბევრი ძეგლი დგას. შეიძლება თამამად ითქვას, იგი ძეგლების, სომეხი ერისა და კაცობრიობის გამოჩენილ შვილთა სკულპტურული პორტრეტების ქალაქია. ძეგლთაგან, ქალაქს და ქვეყანას აგრერიგად რომ ამშვენებს, ყველა ახალია, ყველა მათგანი ჩვენი თანამედროვე სომეხი მოქანდაკეების ხელიდან არის გამოსული და სამუდამო სამკვიდრებელი ყველას მშობლიური დედაქალაქის მოედნებზე, ქუჩებსა და ბულვარებში უბოვნიო.

ცნობილია, რომ ქანდაკებას, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ სრულუფლებიან ეანრს, ქრისტიანული ეკლესია თავიდანვე არა წყალობდა. მისი სიმპათიები უფრო ფრესკული ფერწერისაკენ იხრებოდა და უთუოდ ამ მიზეზის გამო არც ქართულებს და არც სომეხებს, ქრისტიანობის ურყევ ბურჯებს აღმოსავლეთში, ქანდაკების უძველესი ტრადიციე-

ბი არ გააჩნიათ. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია არც ერთმხრივი დიპლომატიის მეთაურების, სრულად მოკლე დროში ასწლელულებში გასავლელი გზა გადაელახათ და მსოფლიო სახვითი ხელოვნების საგანძურში თავისი ორიგინალური, სხვათაგან განსხვავებული წვლილი შეეტანათ.

ნუთუ არ გამოდგება ამის თვალნათლივ მაგალითად ქოჩარის „დავით სასუნცი“ ერევნის ვაგზლის მოედანზე, კარგა ხანია, სომხეთის დედაქალაქის ემბლემად რომ იქცა, და ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან“ მარნულში?

ერევანში მოხვედრილი უცხო სული ერთ უაღრესად საინტერესო თავისებურებას შეამჩნევს: სომეხი მოქანდაკეები მოჩვენებითი ორიგინალობის წინაშე არავითარ ხარკს არ იხდიან, არ ცდილობენ, საკუთარი ტყავიდან გამოხტნენ და თავიანთი არაჩვეულებრივი მიგნებებით, ვითომდა მოვლენების არსში წვდომით ვინმე განაცვიფრონ. თავიანთი ნაფიქრ-ნააზრების პლასტიკურად გამოხატვისას ისინი ნატურის ერთგული რჩებიან. ერთი წუთითაც არ იფიწყებენ, რომ ქვაში თუ ბრინჯაოში რეალური, საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი პიროვნება უნდა გამოსახონ და კიდევაც ახერხებენ ამას ვირტუოზული ისტატობით. მათ, ეტყობა, ბევრ თანამომძებზე უკეთ მოეხსენებათ, რომ რეალური ისტორიული, მით უფრო ჩვენი თანამედროვე პიროვნების გამოსახვისას ე. წ. შემოქმედებითი თავისუფლება თუ მკრეხელობა არა, ელემენტარული ამბების უცოდინარობა მაინც არის და თვით-უკეთეს შემთხვევაშიაც კი უბადრუკი პროვინცი-ალოზმის დაღს ატარებს.

ამას რომ ვამბობ, მე მახსენდება ოგიუსტ როდენის „ბალზაკი“, ქრისტიან დანიელ რაუზის „ვოლფგანგ გოეტეს პორტრეტი“ და ეან ანტუან გუდონის „ვოლტერი“, აი, ის, სავარძელში რომ ზის და ხმელი ხელის მტევანი სავარძლის სახელურზე აქვს გადმოკიდებული. შემემლო, რასაკვირვე-

ლია, ჩემი მოსაზრების დასადასტურებლად ეს სია ათწილ და ასწილ გამეზარდა, მაგრამ ვგონებ მოხმობილი სამი მაგალითიც საკმაოა ამ აზრის ნათელსაყოფად, თუმცა არაფერი დამავდებდა, თუ ერთ მაგალითს კიდევ გავიხსენებ.

ეს გახლავთ ერევნის მთავარი არქიტექტორის ალექსანდრე ტამანიანის სკულპტურული პორტრეტი, რომელიც მისსავე სახელობის ქუჩაზე ქალაქის ცენტრის ბულვარების რკალში ეწახე.

თამაშთხელებულია, სახის კლასიკური ნაკვთები აქვს. მთელი მისი პოზიციდან და სახის გამომეტყველებიდან მტკიცე ნებისყოფა გამოსჭვივს, რაც სიმკაცრეში გადადის. ღრმა ფიქრში წასული ორივე ხელით სახაზე დაზგას დაპყრდნობია და დაზგაზე გადაშლილ ვატიმანის ქაღალდს დაპყრებს. საოცარი კავშირია დამყარებული ამ ქაღალდსა და ზედ დაბრილ ოსტატს შორის. ვინ იცის, ის სწორედ ახლა ხელდავს „ვარდისფერ ერევანს“ (გამოთქმა ელიშე ჩარენცს ეკუთვნის), რომელიც ტამანიანზე ადრე სხვამ ვერავენ დაინახა!

დიდი ემოციური ძალა და აზრის სიძლიერე გააჩნია ამ დიდებულ მონუმენტს. შენ გჯერა, გწამს, რომ ეს სწორედ ის არის, ვინც შეუძლებელი შესძლო, ვისაც ამ გაუტანელ წუთისოფელში სხვა უზენაესი საზრუნავი არ გააჩნდა, გარდა სამშობლოზე ფიქრისა, ვისი ზეგარდმო ნიჭი და მოწამებრივი შრომა, ძველ სომეხ ვარპეტებს რომ მოსდევდათ, პლასტიკურად სწორედ ამ მკაცრ, ბოლომდე დაუმუშავებელ ბაზალტში უნდა გამოსახულიყო.

3

ჩემი ძველი ნაცნობი, პოეტი და დრამატურგი სალათელ არუთინიანი, სომხეთის მწერალთა კავშირის ორგანიზაციის, რომელსაც სხვადასხვა რესპუბლიკის ლიტერატურულ ფორუმებზე არა ერთჯერ შეგხვედრივარ, ერთობ განცვიფრდა, როდესაც მკლავზე


გადაკიდებული ქურჭითა და „ლიბლომატით“ ხელში თავმჯდომარეობის ზღვრულზე დაშინება. *Հանգիստը* მსგავსი თადი მასპინძლის წესია, ზეზე წამოვიარდა, მომგება, ქურჭი და ლიბლომატი გამომგლიჯა, იქვე ადგილი მოუნახა. აღარ იცოდა რა ექნა, სიხარული გამოეხატა თუ სანამ მე რაიმეს ვიტყვოდი, ათასი ბოდიში მოეხადა. თბილისიდან გამოგზავნილი დეპეშა ჩემი გამოგზავრების თაობაზე რამდენიმე წუთის წინ მოეტანათ ტელეგრაფიდან, იგი ჭერ კიდევ მაგიდაზე იდო და უზომოდ შეწუხებულ სალათელს მოსაზრებაც ვერ მოესწრო, სად ეფრინა კაცი მწერალთა კავშირში ჩემს მოსაყვანად.

მაგრამ ეს, რუსები რომ იტყვიან, ნახევარი უბედურება იყო: მიზეზთა და მიზეზთა გამო რაფის იუბილე რამდენიმე დღით გადაედოთ და 18 მარტის ნაცვლად მის გამართვას 21 მარტისთვის ვარაუდობდნენ.

ელდა მეცა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა, მე უკვე აქ ვიყავი. ღვთის წინაშე, ვერც სალათელს და ვერც მწერალთა კავშირის რომელიმე სხვა ხელმძღვანელს დაადანაშაულებდი, რომ სათანადო ყურადღება არ გამოიჩინეს. სალათელს თავის დროზე ეფრინა დეპეშა და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ეს ამბავი წინასწარ შეეტყობინებინა, მაგრამ იმ დღეს შაბათი იყო, დასვენების დღე, შაბათს კი მეორე დასვენების დღე კვირა მოსდევს და დეპეშამ, ამგვარიად, ჩემამდე ვერ მოაღწია.

— თავი მოგვეკრა, — თქვა გულწრფელად შეწუხებულმა სალათელმა და სკამი დამიდგა. — ვარდგესი, ვიცი, ყველაფერს მე დამაბრალებს და საყვედურებით ამავსებს, არა და, ხომ ხედავ, ღმერთი, რჯული, არა ვარ დამნაშავე!

— ეგ არაფერი, ჩემო სალათელ, უარესიც ხდება, წუხილით რაღას მოვეწვივით, — ვითომ შევეშუბუქე მე მწუხარება. — ახლა იმაზე ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ?



— როგორ მოვიქცევით, — გაიკვირვა და სიტყვა ჩამომართვა მან. — ახლავე სასტუმროში წავალთ, „რაზდანიში“ ნომრებია დაგვანული, ერთად ვისაუბრებთ და ამასობაში ვარდგვსიც გამოჩნდება, ანდა იქიდან დავურეკავთ!

— ესე იგი თქვენ უკვე გადაწყვიტეთ, რომ აქ უნდა დავიცადო ეს დღეები? დღეს 17 მარტია. იუბილის დღემდე მთელი საუკუნეა დარჩენილი!

— ვეცდებით, არ გაგრძნობინოთ ეგ დრო. თქვენ ხომ პირველად ხართ სომხეთში? რაღაც არ მაგონდება, რომ სხვა დროსაც ყოფილიყოთ.

— მეორეჯერ, მაგრამ პირველი ყოფნა არ ითვლება, რადგან, ჭერ ერთი, ეგ ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ იყო და მეორე, გარდა ეჩმიადინისა, სადაც მე და ჩემი თანამემამულეები ძველ სომხურ საკულტო დღესასწაულს დავესწარიით, და მშენებარე ლენინის მოედნისა ერევანში არც არაფერი მინახავს.

— მატარებლით გვესტუმრეთ თუ მანქანით?

— ავტობუსით. ინტურისტისაგან ვიჭირავთ ერთი დღით.

— მაშ, აქ ლამეც არ გავითევიათ?

— აგრე გამოდის. იმავე დღეს დავბრუნდით, მაგრამ სამახსოვრო მოგზაურობა კი იყო. ბევრი ვინმე, ვინც მაშინ გვახლდა, დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის. გახსოვთ, თქვენი კოლეგა მიხეილ მრეველიშვილი? მაშინ მისი ახალი პიესა „ზვავი“ იღვმებოდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე, მთავარ როლში სერგო ზაქარიამე გამოდიოდა და მიშა უაღრესად ბედნიერი იყო. სომხეთში მეგზურობას გვიწევდა. იყვნენ ცნობილი მწერლები: გიორგი შატბერაშვილი, მამია ასათიანი, ედიშერ ყიფიანი. ამას წინათ მაშინდელ სამახსოვროდ გადაღებულ სურათს წავაწყდი. რა ახალგაზრდებმა ვართ, რა ლამაზები, ეკა..

— სევანზე იყავით? — საღათელმა თვალი ეშმაკურად მოჭუტა.

— იქიდანაც და აქედანაც. სევანს

როგორ ასცდები? მისი წყალი და დავლით და განთქმულ ავაშიშინებინეთ?

— დღეს იზხანს წამლადაც ვეღარსად იშოვნის!

— რას ამბობთ! როგორ?

— ჩვეულებრივად. წყლის დონემ მას შემდეგ 20 მეტრით დაიწია. ვერ გასჭრა ჩვენმა ხვეწნა-მოუღარამ და კომპეტენტური სპეციალისტების გაფროხილება. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ჰიდრომშენებლებს დაუჯერეს და რაზდანზე, რომელიც სევანიდან გამოედინება, ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აშენების ნება დართეს. რაზდანი რა დიდი მდინარეა, წყალი არ კმაროდა, მით უფრო მშრალ ამინდში, გვალვების დროს. ისინიც აღგნენ და მთა გაბურღეს, მდინარის გასაძლიერებლად და არარატის ველზე ახალი საირიგაციო ქსელის მოსაწყობად ტბიდან წყლის დამატებითი მარაგი გამოუშვეს. ამან სევანის ტბის ბუნებრივი წონასწორობა დაარღვია და წყალმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კატასტროფულად იწყო კლება. გახსოვთ პატარა კუნძული სევანში? ზედ მეცხრე საუკუნის საყდარი დგას!

— როგორ არა, იმ საყდრის დასათვალიერებლად ჩვენ კუნძულზე ნავით გადავედით და იმდროინდელი წარწერებიც ვნახეთ!

— დღეს არავითარი ნავი აღარ დაგჭირდებათ, ვოლგით მიგრიალდებით. კუნძული, დიდი ზანია, ნახევარკუნძულად გადაიქცა.

— მე მაგონდება თქვენი ცნობილი მწერლის ნაირი ზარიანის გამოსვლა ერთ დიდ თათბირზე მოსკოვში. შეშფოთება გამოთქვა სევანის ტბის გამო, დაშრობას უპირებდნო. ეს მაშინ იყო, კოლმეურნეობები რომ გაამსხვილეს და დარგობრივი პარტიული კომიტეტები შექმნეს, რომელმაც შემდეგ არ გაამართლა და ისევე ძველ სტრუქტურას დაუბრუნდენ. ზარიანის სიტყვა შემფოთებას კი არა, საგანგაშო ზარის შემოკვრას ჰკავდა.

— ვერ გვიშველა საგანგაშო ზარმა.

საქ. სსრ კ. მარკსის

ახლა უკვე ყველაფერი ცხადია, ყველა ყველაფერს მიზეზი, მაგრამ რაღა დროს, როცა ურემი გადაბრუნდა. პიდრომშენებლები, ვისაც რაზდანზე ელექტროსადგურების კასკადის აშენება საშვილოშილო საქმედ მიაჩნდათ, ირწმუნებოდნენ, ნახევარი საუკუნის მანძილზე წყლის დამატებითი მარაგის გამოშვებით ტბის ზედაპირი ექვსჯერ შემცირდება, ამით აორთქლების კოეფიციენტი ნაკლები იქნება და წყლის ბუნებრივ დაზაყლის მინიმუმამდე შევამცირებთო. არ მოხდა აგრე, სევანი მათ ნაჩქარევ გამოთვლებს არ დაემორჩილა და აი შედეგი!

ერთხანს ორივე ფიქრმა წაგვიღო, შემდეგ ისევ მე ვითხე:

— ეს ამბავი ახლაც გრძელდება?

— ახლა? არა, რასაკვირველია რესპუბლიკის მთავრობამ საგანგებო დედგნილება მიიღო სევანის წყლის სატუნეობრივი მარაგის შენარჩუნების თაობაზე.

— მაგრამ ის, რაც უკვე დაიხარჯა, რით ანახლავრდება?

— ძნელია მაგის თქმა, როდის და როგორ მოხერხდება დაზაყლისის შევსება, თუმცა სევანს ოცდაათი მდინარე ერთის და იქიდან მხოლოდ ერთი რაზდანი გამოდის!

— რა ეშველება კასკადს და საირიგაციო სისტემას?

— გამოინახება საშუალებები. დღეს სხვა დროა. ელექტროსადგურები ნაწილობრივ გაზზე და სხვა ბუნებრივ საწვავზე გადავიყვანეთ. სარწყავი არხების წყლით უზრუნველსაყოფად ინიერებმა სხვა წყარო გამოძებნეს და დღეს უკვე ვიმკით მათი შრომის ნაყოფს. გაგიგონიათ არა-სევანის გვირაბი? არა! საკმაოდ წყალუხვი მთის მდინარეა, მაგრამ სევანისაკენ მისი შემოტრიალება და ცხრა მთას აქეთ გადმოგდება გუშინ და გუშინწინ ყველაზე გაბედულ მეოცნებეებსაც არ შეეძლოთ. უზარმაზარი გვირაბი გაიჭრა მთის მასივის კლდოვან წიაღში. გვირაბის სიგრძე 48 კილომეტრია, 48, არც მეტი არც ნაკლები! წარმოგიდგე-

ნიათ? ჩვენმა მშენებლებმა, პროექტის ავტორებიდან და მშენებლობის ხელმძღვანელობიდან დაწყებული და გვირაბის რიგითი მგრეველებითა, მეორმატურეებითა და მეტეოტონეებით დამთავრებული, გაუგონარი, თუ მკვეხარობასა და გადაჭარბებულ პატრიოტობაში არ ჩამომართმევთ, საარავო გამირობა ჩაიღინეს. მე, მართალი მოგახსენო, ზეპირად არ მახსოვს ციფრობრივი მონაცემები, სადაც კი მიწერიია, მაგრამ შემიძლია დაახლოებით გითხრაო, რომ წლის განმავლობაში არაა სამასი-ოთხასი მილიონი კუბმეტრი წყლით შეავსებს სევანს და მთლიანად ანახლავრებს იმ დანახარჯებს, ტბას სარწყავი ქსელის უზრუნველსაყოფად რომ სჭირდება. ჰა, რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა, — მე მხრები ავიჩეჩე. — განციფრებული და აღტაცებული ვარ! ბარაქალა! ჭეშმარიტი მსოფლიო დონეა!

— მაშ, წავიდეთ, მანქანა უკვე მოსული იქნება და ჩვენ გველოდება. ქურქს ჩაიცვამთ თუ მკლავზე გადაიკიდებთ? ჩაცმა ჯობს. ჯერ ისევ დილაა და სუსტია. დიდი ხანი კი არ არის, რაც თოვლი გადნა და ძვლები გაგვიტბა.

— მაგიტომ წამოვიღე და ახლა კი ვნანობ. დამარწმუნეს, ერევანში აუცილებლად სიცივე იქნებაო. შინაურებს ეს თუ ყურში მოწვდათ, მერე საშველი ზომ აღარ დაგადგება! რის სიცივე, მშვენიერი მზიანი დარია და შეიძლება სიციხემ ისე დაგვაჭიროს, პიჯაკის გახდაც დაგვირდეს. სად მივდივართ, თუ საიდუმლო არ არის?

— სასტუმრო „რაზდანიში“. ეს ახალი სასტუმროა. ორი წელიც არ იქნება, რაც მშენებლებმა ხარაჩოები ჩამოხსნეს. თქვენ მოგეწონებათ. შემიძლია წინასწარ გითხრაო, რომ ევროპისა და ამერიკის არც ერთ თანამედროვე მშენებელურ ოტელს არ ჩამოუვარდება. იქ ვისაუზნებთ, თქვენ ნამგზავრი ხართ, ცოტას დაისვენებთ, თავს წესრიგში მოიყვანთ და ამასო-

ბაში ვარდგესიც გამოჩნდება. თანახმა ხართ? — საღათელ არუთინიანმა ამ სიტყვებით ტროტუართან მოყენებული თეთრი ვოლგის უკანა კარი გამოაღო და უკან დაიხია, შებრძანდითო.

— ეს, სადაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, მარშალ ბაგრაშიანის პროსპექტია. ქვემოთ თეატრალური მოედნისაკენ ეშვება და ქალაქის ყველაზე ულამაზეს მაგისტრალს — ლენინის პროსპექტს გადაჰკვეთს. რომელი გზით წავიდეთ, რომ პატივცემულ სტუმარს ქალაქიც ვაჩვენოთ და თავი მოვიწონოთ? — ეს მან შოფერს უთხრა. შოფერმა რალაც უპასუხა ჩემთვის გაუგებარ სომხურ ენაზე, უთუოდ ჰკითხა, ჯერ მითხარით, გეზი საით გვიდევსო და როცა პასუხი იმავე ენაზე მიიღო, ჩემს გასაგონად რუსულად დამუშაბა:

— საითაც მიბრძანებთ, ჩემთვის სულ ერთია!

ნელა დავეშვით, ორი ირიბი ქუჩა გადავკვეთეთ, სხვადასხვა ფერად მოციმციმე მანქანების ნაკადს შევეერიეთ, ბულვარი ჩამოვიტოვეთ და თეატრალურ მოედანზე გავედით.

— ეს გახლავს ჩვენი ოპერის თეატრი, — მითხრა საღათელმა და ცირკისმაგვარ მრგვალ შენობაზე მიმითითა. — ოცდაათიანი წლების დასაწყისში აშენდა აკადემიკოს ალექსანდრე ტამანიანის პროექტით, გაგიგონიათ ალექსანდრე ტამანიანი? ერევნის პირველი მთავარი არქიტექტორი იყო. ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. აქ ახლოს მისი მონუმენტიც დგას.

— მე უკვე ვიყავი, ვნახე!

— ნახეთ? როდის? ასე უცებ როგორ მოასწარი?

— ამ დილას დრო ბევრი მქონდა და მეც, რაც შემეძლო, ბეჯითად გამოვიყენე.

— ერთხელ კიდევ ყველას მაგიერ ბოდიში უნდა მოგიხადოთ. გულით ვწუხვარ, რომ ასე მოხდა.

— რას ამბობთ, საღათელ, განა ეს იმიტომ ვთქვი! თქვენ ერთი ეს მიბრძანეთ, თუ გეგულებათ მსოფლიოში

ისეთი ქალაქი, რომელსაც, რადგან... არქიტექტორისათვის შეგულად მიგონებდა?

— თუ გინდათ მართალი გითხრათ, პირადად მე არ მეგულდება.

— აქედან ერთობ საგულისხმო დასკვნა გამომდინარეობს.

— კი, — ის მიმოხვდა და ღიმი მოერია. — გამომდინარეობს.

— სად არის ტამანიანი დაკრძალული?

— მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რასაკვირველია.

— შიგ ქალაქში?

— სერგო ორჯონიკიძის სახელობის პროსპექტზე, კომიტასის სახელობის პარკში.

— ვინაა კიდევ იქ დაკრძალული?

— სომხეთის თითქმის ყველა დიდი შვილი, ვინც ჩვენს დროში გარდაიცვალა. სულ უკანასკნელი ოვანეს შირაზი დაჯვრძალეთ. მიწა ჯერ კიდევ ნედლია მის საფლავზე...

— იმედი ვიქონიო, რომ წამიყვანენ პანთეონის სანახავად?

— რასაკვირველია! მე გამომიშვებდით თბილისიდან ისე, მთაწმინდა რომ არ გეჩვენებინათ?

ამასობაში მანქანა უზარმაზარი ვარდისფერი შენობების ორ წყებას შუა მოქცეულ ფართო მაგისტრალზე გავიდა, სადაც ავტომობილების, საქალაქო ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა კიდევ უფრო ინტენსიური მოძრაობა იყო. გულმა მიგრძნო, რომ უკვე ლენინის პროსპექტზე ვიყავით, მაგრამ წამიერად გარინდებულ მასპინძელს მაინც ვკითხე:

— ლენინის პროსპექტია, საღათელ?

— დიახ, უკვე გავედით ლენინის პროსპექტზე.

— ხომ არ შევჩერდეთ ცოტა ხანს? ცოდვია, ერთი ასიოდენ ნაბიჯი ფეხით რომ არ გავიაროთ.

— ლენინის პროსპექტზე გავლა ბევრჯერ მოგვიწევს, ეს ქალაქის ცენტრია, ისე კი, თუ გნებავთ, ახლაც შეგვიძლია შევჩერდეთ ცოტა ხნით, გავიაროთ კიდევაც.

„რუსთველის პროსპექტზე ხეტიალი

ნუ მომიშალოს ღმერთმა! — გამახსენდა ჩვენი ლაღო ასათიანი. უთუოდ ასევე უმღერიან თავისი მშვენიერი დედაქალაქის ხალხმრავალ პროსპექტს სომეხი პოეტებიც. ავ თვალს არ ენახვისო, ბაღდადაში გამიგონია, სწორედ ასეთია იგი. ხარბად გავყურებდი ხან აქეთ, ხან იქით, ვცდილობდი, არა გამოპარვოდა რა, ყველაფერი ჩემი ხედვის არეში მომეჭყია და რატომღაც ელისეს მინდვრების ზატი ამეკვიატა. მხოლოდ ზღაპარში შეიძლება იმის თქმა და დაჯერება, რომ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით აღესილმა ადამიანებმა, არა ერთმა და ორმა რჩეულთაგანმა, ყოველი დიდი ისტორიული გარდაქმნების დროს რომ გამოჩნდებიან ხოლმე, რათა მილიონები თავიანთი პირადი მაგალითით შთააგონონ, არამედ მთელი ერის ერთიან ძალისხვევას შეუძლია სრულიად უმნიშვნელო ისტორიულ მონაკვეთში ზორცი შეასხას თითქმის განუზორციელებელ ოცნებას, უბადრუკი ქოხმახების, ოღროხოლორ ქუჩებისა და ამშორებული ჩიხების ადგილას ასეთი საკვირველი რამ ააშენოს.

ლენინის პროსპექტის მანქანების სავალი ნაწილის სიგანე არაფრით არ ჩამოუვარდება მოსკოვის სახელგანთქმული ბულვარების რკალის — საღოვოე კოლცოს სიგანეს, ხოლო რაც შეეხება ასევე ფართო ტროტუარებს — ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილს, ასეთს მხოლოდ ლენინგრადში, სასახლის პროსპექტზე და უცხოეთის ზოგიერთი სატახტო ქალაქის ცენტრში წაეწყდომივარ.

ჩოგბურთის სათამაშო მინდორივით უზადოდ ბრტყელი ტროტუარები ჯადოსნური მრუდე ხაზებით ერთიმეორეში ჩამჯდარი კერამიკული აგურით არის მოგებული პროსპექტის ორივე მხარის მთელ სიგრძეზე და მნახველს ანციფერებს და ხბილავს არა მარტო მხატვრული გამოგონებლობით და შესრულების ხარისხით, არამედ იმ ადამიანების გულმოდგინებით და მშობლიური დედაქალაქის საგნობრი-


ვი სიყვარულით, ვისე მარჯვენა-ს-ქვაფენილი დაიგო და უმნიშვნელო მომავალი თაობებისათვის საგანგებოდ არ შემონახულა. ვერც შემოინახება. საღ დასტევე ასობით, ათასობით და მილიონობით სახელს! მათ ყველას ერთად ერთი სახელი ქვია — სომეხი ერი!

მე, ალბათ, ოდნავადაც არ დავიღლებოდი, არც მომეწყინებოდა, დაწერილებით აღწერდი პროსპექტს, რომელიც ჩემს წინაშე იდო და სიცოცხლის უთვალავი ფერით კაშკაშებდა, აღწერდი თუნდაც მის ყველა შენობას, შადრევნებს, ბულვარებს და ხეივნებს, განუყოფელი მთელის, ერთი მხატვრული მთლიანობის ნაწილს რომ წარმოადგენენ, ვინაიდან ამის გარშემო ლაპარაკი ყოველი კეთილშობილური ადამიანისათვის ერთი განუწყვეტელი სიამოვნებაა, მაგრამ ვაი რომ ეს ისევე და ისევე ჩემი ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა იქნებოდა და მკითხველის ცოდნის საღაროს მაინც და მაინც ბევრს ვერაფერს შესძენდა.

მაინც არ შემძლია ცთუნებას ვძლიო და მკითხველის ყურადღება ერთ კლასიკურად მკაცრ, ოდნავ შემალღებულ ბორცვზე ზეიდად გადმომდგარ, რუხი ბაზალტითა და ვარდისფერი ტუფით აგებულ მონუმენტურ შენობაზე არ გავამახვილო.

შორიდანვე მოჩანს მარჯვნიდან და მარცხნიდან სულ ზევით და ზევით მიმავალი ბაზალტისავე კიბეები, რომლებიც მცირე ბაქანზე იყრიან თავს, თითქოს აქ რუხ ფონად გამოყენებულ შევეულ კედელთან დადგმული გრანდიოზული მონუმენტის წინაშე იხრიან ქედსო და შემდეგ ასევე წყვილად ესწრაფვიან აღმა და აღმა ათასწლოვან ფიქრში გართული მღუმარე შენობის საღარბაზო კარიბჭისაკენ.

რუხიდან ვარდისფერში გადამავალი შენობა მთელ სიგანეზე კეტავს ლენინის პროსპექტს. უკან კლდოვანი მთის თხემია და მისი წყალობით შენობა პროსპექტის ყოველი წერტილიდან მთელი თავისი სიღიაღით მოჩანს.



რა შენობაა, სასწაულოდოქმედ სომეხ ზურთოთაძელებს და ქვის თლისა და წყობის მარჯვენადლოცვილ სომეხ ოსტატებს ასე თვალსაჩინო ადგილას რომ ილუმინათი და ვინც კი ათას ცეცხლსა და რბევაში გამოვლილი ერევნის კურთხეულ მიწაზე ფეხს დაადგამს, უკლებლივ ყველას ყურადღება აქვთ მოუხუროთ?

— მატანადარანი!..

ამ სიტყვას მსოფლიოს არც ერთ ენაზე თარგმნა არ ჰქონდა. იგი ასევე, სომხურად წარმოითქმის და ყველასათვის გასაგებია. ქართულად მატანადარანი ძველ ხელნაწერთა საცავს ნიშნავს.

ძველ ხელნაწერთა ერთადერთი საცავი ანტიკურ, შუა საუკუნეების და ახალი დროის სომხეთში ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქების საკათედრო ტაძარი წმიდა ემშიაძინი იყო. რა ღვთის რისხვა და სისხლის წვიმაც არ უნდა მოსწოდათ ძველი აღმოსავლეთის ძლევაშისილი იმპერიის, დიდი სომხეთის ნაშიერ სომხებს, სპარსელები დაეცემოდნენ თუ არაბები, მონღოლები თუ სელჩუკები, ერის უძვირფასესი საუნჯე — უძველესი სომხური ხელნაწერები წმ. ემშიაძინში ინახებოდა და ეკლესიის მამები, სამშობლოს დასაცავად აღმდგარ მთელ სომეხ ერთან ერთად, ყოველთვის ახერხებდნენ მათს დაცვას და თაობიდან თაობაში გადაცემას.

მაგრამ მარტო ეს არა კმაროდა. არამქონეს აკლდებოდეს და მქონებელს ემატებოდესო, გვმოძღვრავს ბრძნული ქართული ანდაზა. სომხურ ხელნაწერთა უდიდესი კოლექცია, რომლის შეგროვებისა და მოვლა-შენახვის წმიდათა-წმიდა ტრადიცია სომხებს იმ თავიდან ამ თავამდე მოსდგამთ, წლითი წლობით ივსებოდა ახალი ექსპონატებით, რომლებსაც სხვადასხვა დროს სამშობლოს მოწყვეტილი, მაგრამ გულითა და მთელი არსებით ისევ სანუკვარი სამშობლოს, სომხური ენისა და სარწმუნოების ერთგული სომეხი მამულიშვილები სადღაც ცხრა მთას

იქით შამასისხლად ყიდულობდნენ არაერთხელ, თუნდ პირიდან ლუქმაც გამოვლით და ხან მოკლე და ხანაც გრძელი გზით დედა-სომხეთში აგზავნიდნენ წმ. ემშიაძინისათვის შესაწირად.

იქნებ სიტყვა გამიგრძელდეს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მე მაინც მინდა მოვიგონო ერთი შეტად საგულისხმო ამბავი, ცოტა ხნის წინათ მოსკოვური ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე ეურნალისტ ზორი ბალაიანის სტატიაში რომ ამოვიკითხე. ეს ტრაგიკული ამბავი, რომლის მსგავსი კაცმა სხვაგან იქნებ ვერც ვერსად გაიგონო, ორ სომეხ ქალიშვილს და სომხურ ხელნაწერ წიგნთა შორის ყველაზე უდიდეს „მუშის ჩარინტის“ გადახდა.

ხსენებული წიგნი დღეს მატანადარანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი რელიკვიაა. წიგნი 34 კილოგრამს იწონის. მის შესაქმნელად შეიღასი ხბოს ტყავი დაიხარჯა. ხორცს ვიღა ჩივის, მარტო ტყავი რამდენი ეღირებოდა! თუ ამას ზედ გადაწერისა და მინიატურებით მოხატვის ფასსაც დაუმატებ, არ დაუმატო, არ იქნება, კარგა გვარიანი თანხა გამოდის. უბრალო ნახარარი, სომეხი დიდგვაროვანი, მას ვერ იყიდდა, ასეთი წიგნის შესაძენად სამეფო ხაზინა იყო საჭირო.

ამიტომაც ბრძანებდა სომხეთში ვარპეტად აღიარებული კონსტანტინე გამსახურდია, შვენატრი იმ დროს, როდესაც შწერლის, ფილოსოფოსის თუ ღვთისმეტყველის ნაფიქრ-ნააზრევი ხბოს ტყავზე იწერებოდაო. წყალწყალა ლექსების და აზრისა და ემოციისაგან დაკლილი პროზის დასაწერად ძვირად ღირებულ ხბოს ტყავს არავინ გაიმეტებდა და საბეტქი ქალღლის სიიფის გამო დღეს ასე გაიფხვრულ და გაადვილებულ მწერლობას უნიჭობები, ყალბი ფულის მოპქრელებზე უარეს საქმეს რომ სჩადიან, სათოფეზეც ვერ მიეკარებოდნენო.

ხუმრობა იქით იყოს და არის აქ კეშმარიტების მარცვალი. საყველუ-

რო ამბების ჩასაწერად და შთამომავლობისათვის გადასაცემად ამოდენა ხარჯებს მართლაც ვერაინ ვაიღებდა. რაკი წიგნი იწერებოდა, მაშასადამე, მას რალაც მეტად მნიშვნელოვანი უნდა გადაეცა მომავალი თაობებისათვის.

მაგრამ ბალაიანის მიერ მოთხოვნილ ამბავში მთავარი ხბოს ტყავის ნომინალური ღირებულება როდი ვახლავთ. მთავარი აქ ისაა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, თურქეთში, სადაც ზემოთ ხსენებული წიგნი ერთი სომეხი სასულიერო პირის ოჯახში ინახებოდა, მას გარდაუვალი დალუპვა დაემუქრა.

ამ წელს, როგორც ცნობილია, ე. წ. ახალგაზრდა თურქთა პარტიამ მისი სულისჩამდგმელის ვინმე ტოლიატ-ფაშას დანაშაულებრივი მეთაურობით მსოფლიო ისტორიაში გაუგანარი ხოცვა-ჟლეტა, სომეხთა გენოციდი მოაწყო და რამდენიმე დღის განმავლობაში ყელი გამოსჭრა ორ მილიონამდე ადამიანს, ეროვნებით სომეხებს, ბრალად მხოლოდ სომეხობა რომ ედებოდა, ქალს, ბავშვს, მოხუცს თუ ახალგაზრდას.

გერმანელ ფაშისტ მოიერიშეთა ეს აზიელი წინამორბედები განათლებული კაცობრიობის წინაშე უტიფრად აცხადებდნენ, რომ მათ მიზნად დაისახეს პირისაგან მიწისა აღგავონ სომეხი ერი, მოსპონ მისი სახსენებელი, სიცოცხლე შეუნარჩუნონ მხოლოდ ერთადერთ სომეხს, ქალი იქნება თუ კაცი, რათა ის, როგორც ექსპონატი, მუზეუმის ვიტრინაში გამოფინონ და გამვლელ-გამომვლელს უჩვენონ, რომ აი, იყო ასეთი ხალხი — სომეხები და ეს ამ ხალხის უკანასკნელი ანთროპოლოგიური ნიმუშია!

გენოციდის შავბნელი დღე 1915 წლის 24 აპრილი სომხეთში ეროვნული გლოვის დღედაა გამოცხადებული და ყველა სომეხი, სამშობლოს მიწა-წყალზეა იგი თუ მის ფარგლებს გარეთ, ამ დღეს საგანგებოდ აღნიშნავს.

სომეხთა გენოციდის ამბებმა, ოსმალო შურისმაძიებლებმა ადამიანის გო-

ნებისათვის წარმოუდგენელი სისასტიკით რომ ჩაიდინეს და მთელი მსოფლიო ალაქავეს თავიანთი ეროვნული სინდისი, უბრალოდ დაღვრილმა მოწამებრივმა სისხლმა თავის დროზე მსოფლიო შესძრა და მთელი კაცობრიობა გულმწყრომით აავსო, მათ შორის ქართველი ხალხი, ყოველი დროის სომეხთა უღალატო თანამოსაგრე და პირველი ჰირსუფალი. დაინტერესებულმა კაცმა, ვისაც აქამდე არ წაუკითხავს, თვალი უნდა გადაჰკრას იმდროინდელ ქართულ პრესას. გაზეთებისა და ჟურნალების ყოველ ფურცელს ცეცხლი უკიდია. ქართველი მწერლები და ჟურნალისტები, მთელი ქართველი ხალხის სახელით, მსოფლიოს ხალხებს, ვისთვისაც ძვირფასია ერთა შორის ძმობა და ეროვნული თავისუფლების წმიდათა-წმიდა იდეალები, სომეხი ერის დასაცავად და სომეხი ქალებისა და ბავშვების უბრალო სისხლის დამღვრელი ოსმალო კაციქამიების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოსვლას მოუწოდებდნენ.

რაკი რიცხვით უმეტესი მტრის გამკლავება ძველებურად უკვე აღარ შეეძლო, სომეხების ნაწილმა თავს გაქცევით უშველა და სიცოცხლის გადასარჩენად საქართველოს, ერაყს, სირიას, ეგვიპტეს და სხვა მოსაზღვრე ქვეყნებს შეეხიზნა.

ლტოლვილებს შორის იყო შიშველტიტველი, თავს დამტყდარი ელდისაგან ღონემიზდილი ორი ახალგაზრდა ქალი, ღვიძლი შვილები იმ სომეხი სასულიერო პირისა, ვის ჰერქვეშაც სომეხი ხალხის ეროვნული საუნჯე „მუშის ჩერინტირი“ ინახებოდა. ოსმალო ბაშის ბუბუკები შუალამისას დაეცნენ მძინარე შვიდობიან ოჯახს, არსაიდან არავითარ საშიშროებას რომ არ მოელო-

და, და დედაბუდინა ამოვლიტეს, გაქცევა და მიმალვა მხოლოდ ამ ორმა დამ შესძლო.

ახლობლების მბეჭური დახოცვით თავზარდაცემული, შიმშილითა და გაუსაძლისი სიცივით განაწელები დები უფრო ადვილად მოახერხებდნენ კვალდაკვალ დადევნებული მდევრის ხელიდან გასხლტომას, ძალზე მძიმე და ძვირფასი ტვირთი რომ არ ჰქონოდათ ზურგზე წამოვიდებოდა.

ეს ტვირთი, რომლის დაკარგვა და კელური მტრის ხელში ჩაგარდნა არასგზით არ შეიძლებოდა, სომხური ხელნაწერი წიგნი გახლდათ, თითქოსდა უბედური დების ჯიბრზე 34 კილოგრამს რომ იწონიდა. დაახლოებით ამდენსავე იწონის ტყვიამფრქვევ „მაქსიმის“ დაზგა, ჯერ სამოქალაქო და შემდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ყველაზე ჯანმგარ და გამძლე ვაჟაკებს რომ გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე და არაადამიანური დაღლილობისაგან ზშირად ფეხებს ძლივს დაათრევდნენ. აბა, რა დღეში უნდა ჩაკვირულიყვნენ ჯავრისაგან სასოწარკვეთილი, შიმშილისაგან გამოდიტული, კლდესა და ღრეში უგზოუკვლო ღასლასით და სისხლისმსმელი მტრის შიშით ღონეგამოღებული ქალები, რომელთა ისედაც მძიმე ტვირთი გზადაგზა უფრო და უფრო მძიმდებოდა და ზიდვა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. ბოლოს, ღონემ რომ მთლად უმტყუნათ, გადაწყვიტეს, ტვირთი შუაზე გაეყოთ და მტრის კვალის ასარევად, იმ იმედით, რომ სამშვიდობოს ერთი მათგანი მაინც გააღწევდა, სხვადასხვა გზას დასდგომოდნენ.

შემდეგ, ხანმა რომ განელო და მრავალმა წყალმა ჩაიარა, წიგნის ერთი ნახევარი თბილისში აღმოჩნდა, მეორე ნახევარი — ერევანში.

ვინ მოიტანა? როდის? საიდან? როგორ?

სპეციალისტებმა ერთმანეთს შეადარეს წიგნის ორივე ნახევარი და ადვილად დაადგინეს, რომ ერთი და იგი-

ვე თხზულების ერთსა დეკორატიული ხელნაწერთან ჰქონდათ საქმე. სომხური ძნელი წარმოსადგენი როდია, რა დიდი ზეიმი იქნებოდა სომხეთის მიწაზე, როცა კვლავაც ერთ ტომად შეკინძული ვეებერთელა ხელნაწერი ეჩმიოაძინში ჩაასვენეს და ძველ სომხურ ხელნაწერთა უნიკალური კოლექცია კიდევ ერთი მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატით გაამდიდრეს.

მაგრამ ვინ იყვნენ ის ქალები, ვისმა უმაგალითო თავგანწირვამაც იხსნა „მუშის ჩერიტორი“ უშველი დაღუპვისაგან და სამუდამო სამყოფელი სამშობლოში მიუჩინა? თუმცა არცთუ ისე დიდი დროა გასული, დღესაც არავინ იცის მათი სახელები, არ იცის არც ის, მართლა სასულიერო პირის შვილები იყვნენ თუ არა. იქნებ არც ჰქონდეს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ერი მით უფრო მდიდარი და უძლეველია, რაც უფრო მეტი უსახელო გმირი და მოსარჩლე ჰყავს!

ალექსანდრე ტამანიანიმა რომ ერევნის განაშენიანების გენერალური გეგმა შეადგინა, მატანადარანის აშენება იმთავითვე გათვალისწინებული იყო, მაგრამ, ეტყობა, ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებას ხელი ომმა და ომისშემდგომმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა შეუშალა, იგი მოგვიანებით, 1958 წელს აიგო და ხელნაწერთა სახელმწიფო საცავმაც ეჩმიოაძინიდან აქ გადმოინაცვლა. საცავის ბაზაზე დაარსდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის უძველეს ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომლის განმგებლობაშია დიდძალი წერილობითი ძეგლი, აღმშენებლობისა და ახლის დამკვიდრებისაკენ სწრაფვით შთაგონებულმა სომეხმა ერმა საუკუნეების განმავლობაში რომ დააგროვა.

მაგრამ მატანადარანის ხელნაწერთა კოლექციები განა მარტო სომხურ მანუსკრიპტებს შეიცავს. თუ სანიმუშო პოლიგრაფიულ ღონეზე რუსულ ენაზე გამოცემულ ცნობარ-გზამკვლევე „საბჭოთა სომხეთში“ ჩაიხედავთ, იქ ამოიკითხავთ, რომ აქ სომხური მანუს-



არასწორად წარმართვით აღგზნებული ჩვენი ახალგაზრდობა ღვთის რწმენასთან ერთად ერის წმიდათა-წმიდა ეკლესია-მონასტრებსაც ანგრევდა და იქიდან გამოყრილ უძველეს ხელნაწერებს ცეცხლსა და ქარს ატანდა, კაცი აღვილად წარმოიდგენ, რა საზარელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მთელი ჩვენი სულიერი ავლადიდება. მადლობა დემეტოს, განურჩევლობა დიდხანს არ გაგრძელებულა და იგი კანონის ძალით აღიკვეთა. ეროვნულ სიძველეებს, ხელნაწერი წიგნი იქნებოდა ის თუ ხუროთმოძღვრული ქმნილება, საიმედო პატრონი გამოუჩნდა სახელმწიფოს სახით. ასე რომ არ მომხდარიყო, გონს რომ დროზე არ მოვეგებოდით და საქმეში ჩახედულ მამულიშვილებს ნამდვილი მოქალაქეობრივი გამბედაობა არ გამოეჩინათ, დღეს იქნებ ველურების მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით და დანაკლისი, საკუთარი წინდაუხედაობით რომ მოგვივიდა, ველარაფრით აგვენახლდურებინა.

ჩანს, სომხეთში საქმე ცოტა სხვანაირად წარიმართა. აქ თავიდანვე აუღეს ალღო დროის გარდაუვალ მოთხოვნებს და ეროვნულ საგანძურს მეტი გულმოდგინებითა და მომჭირნეობით მოუარეს.

ბუნებრივია, სომხურ და სხვა ზემოთდასახელებულ ენებზე შედგენილ მანუსკრიბთა ყველაზე დიდი ფონდები მატანადარანშია თავმოყრილი. აქ 11 ათასი მანუსკრიპტი და ორი ათასი ფრაგმენტი ინახება. დაინტერესებული მირი აქვე შეიძლება გაეცნოს ასი ათასზე მეტ ისტორიული მნიშვნელობის საარქივო დოკუმენტს, რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათი საუკუნისა და შემდგომი დროის სისხლიანი ამბებს მოგვითხრობენ.

4.

ერთი დღეა საქმათ შეიქნა იმისათვის, რომ რაფის საოუბილეო ზეიმის სამი დღით გადადების გამო მწუხარების მავიერ დიდი სიამოვნება გამო-

მეტქვა. ჩემდა გასაკვირვებელია დრო აღარ მენანებოდნენ მსუხუცედად იმისა, რომ შინ შუაგზაზე მიტოვებული გადაუდებელი სამუშაო მელოდა, მე შემოძლია ეს ოთხი დღე ერთობ ნაყოფიერად გამომეყენებინა, ძველი ოცნება სისრულეში მომეყვანა და მოძმე სომხეთში ზოგი რამ თვალის ერთი შეველებით მაინც მენახა.

რა არის სომხეთში მთავარი, გამაერთიანებელი და განუმეორებელი, რის ირგვლივაც ყველაფერი დანარჩენი თავს იყრის და ყოველივე ერთ ცოცხალ ორგანიზმად წარმოგიდგება? ბიბლიური არარატი, სომხურად მასისი, თავისი ორი, დიდი და მცირე ბლაგვი წვერით, დიდსა და მცირე არარატს რომ ეძახიან, რომელთა შორის მარადიული თოვლით დაფარული უნაგირა გაწოლილა.

მასისი წმიდა მთაა, სომხეთის სიმბოლოა, ურომლისოდაც ეს მთაგორიანი პატარა ქვეყანა წარმოუდგენელია. ამიტომაცაა, რომ პიროვნეიერი ზვიადი არარატი, რომელზედაც ბიბლიური წარღვნის დროს ნოეს ლეგენდარული კიდობანი გამოირიყა, სომხეთის სახელმწიფო ღერბშია ჩახატული.

არარატ-მასისს ერთი საკვირველი თვისება აქვს: საითაც არ უნდა წახვიდე სომხეთის მიწა-წყალზე, ის გამოუღმებით თანა გდევს, შენს წინაშეა, თვალიდან არ გშორდება, დგას და დაცქერის თავისი ორი წვერით ცას მიბჭენილი გოლიათი, ლამის შენს სულში შემოვიდეს და ყოველივე დაფაროს.

სომხეთში, ეს შეიძლება თამამად ითქვას, ყველაფერს არარატი ქვია, თვით სომხეთსაც კი — არარატის ქვეყანა, უარარატოდ აქ სიტყვა არ ითქმის.

არარატის ველი, თოვლიანი ლურჯი მთებით შემოზღუდული ვეებერთელა დაცემული ჭალა გელამის მთაგრებილსა და არარატს შუა, სომხეთის პუარის ბელელი, მისი მარჩენალი, სამშობლოსათვის თავდადებული სომეხი კაცის სისხლითა და ოფლით გაპოზილი

მკიდროდ დასახლებული მხარეა. იგი გულის გულია სომხეთისა. ამის დასადასტურებლად იმის გახსენებაც კმარა, რომ თითქმის ყველა სატახტო ქალაქი, ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში სომხურ სახელმწიფოს რომ სათავეში ედგა, არმავირი იქნება, ერვანდაშატი, არტაშატი, დვინი, ანისი თუ ერევანი, არა სადმე სხვაგან, არამედ სწორედ ქვეყნის გულში, არარატის ველზე აღმოცენდა. არარატის ველზევე, მიწაშია ჩაფლული ნაშთები იმ ძველი სატახტო ქალაქებისა, მრავალი საუკუნის წინათ მნახველს რომ ანკვიფრებდნენ დამაარსებელ მეფეთა პატივმოყვარეობის დასაქმყოფილებლად აგებული სრა-სასახლეებისა დეციხე-დარბაზების ბრწყინვალეობით, აქვე, გელამის მთის ძირასაა ერევანიც, აღმოსავლეთ სომხეთის აღმინისტრაციული ცენტრის სტატუსი 1440 წელს რომ მიიღო და ათასწლოვან ომებსა და ხანძრებში გამოვლილი ქვეყანა გარს შემოიკრება.

არარატის ნაყოფიერ ველზე, როგორც წინათ იტყოდნენ, უფალს თავისი უხვი კალთა დაუბერტყია. რა არის, რომ აქ არ ხარობდეს და არ მოდიოდეს! აქაურ ბაღ-ბოსტნებსა და ცენახებში სწორედ რომ ღვთის თვალი ტრიალებს. სომხური ატამი, სამხრეთის თაკარა მზე რომ აცხუნებს და ტბილზე უტყბესი წვენითა და უცხო სურნელით ავსებს, მომწვანო-მოვარდისფრო სუფრის ყურძენი, გამჭვირვალე, სიფრიფანა კანი და თაფლის სიტკბო რომ აქვს, საღვინე ჯიშები, რომელთაგან მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოებთან ერთად ძვირფასი საკონიაყე სპირტი მზადდება, განთქმულია მთელს აღმოსავლეთსა და მსოფლიოში.

იქნებ ზოგ ვინმეს ყურამდე ჯერ არ იყოს მისული, არა და მეტად საინტერესოა, რომ სახელმწიფოებრივ ქართველ

მრეწველსა და კომერსანტს, ყველა დიდი ეროვნული წამოწყებულ მონაწილესა და დამფინანსებელს გასული საუკუნის საქართველოში, დავით სარაჯიშვილს, ევროპაში განათლებამიღებულ სწავლულს, რომელმაც რუსეთის იმპერიაში კონიაკი პირველმა დაამზადა, სხვადასხვა ქვეყანაში მისი რეალიზაციით დიდძალი სიმდიდრე დააგროვა და მთელი კაცობა თავისი ქარხნებით მოპოვინა, ერთი ქარხანა ერევანშიც აქონდა და აქაურ საკონიაყე მასალას თავდაპირველად სახელი სწორედ მან გაუთქვა.

მაგრამ იქნებ ზემოთ მოხსენიებულ ორივე ცნება — „აღმოსავლეთი“ და „მსოფლიო“ ოდესღაც ერთსა და იმავე შინაარსს მოიცავდა, როგორც გამყრელიძე-ივანოვის მეცნიერული კონცეფციიდან გამოსჰქვივის? იქნებ ცამდე აზიდული არარატის მთაზე კიდობნის გამორიყვის მითიც იმდროინდელია, ისტორიის წინარე ეპოქას მიეკუთვნება და ბიბლიაში გაცილებით გვიან, მზამზარეული სახით ჩასვეს?

მასისი-არარატი, სანუკვარი სამშობლოს მარადიული სიმბოლო, ერთსა და იმავე დროს სიხარულითა და სიმძიმით ავსებს ყოველი მამულიშვილი სომხისა და ყველა იმისი მეგობრის გულს. სიხარულით იმიტომ, რომ ეს წმიდა მთა მრავალტანჯული სამშობლოს უკვდავებას განასახიერებს და სიმძიმით იმიტომ, რომ იგი, სალოცავი ხატი, განუშორებლად თან რომ სდევს თუნდაც ცხრა მთას იქით გადაბეწვნილ სომეხს და დღისით თუ ღამით ძილსა და მოსვენებას უკარგავს, სახელმწიფო საზღვრის გარეთაა.

გახედავ არარატს ერევნის სერებიდან და აქაურობას შეუჩვეველი უბირი კაცი ვერასჯობთ ვერ წარმოიდგენ, თუ რაღაც ერთი საათის სავალზე, არარატის ველის სამხრეთ კიდეში, სადაც მდინარე აჭურიანი თავის მქუხ-



რე ტალღებს არაქსისაყენ მიაქანებს, მდღეობარე მასისის ძირას სომხეთი მთავრდება.

განა მარტო მასისი-არარატი, ახურიანის ვაღმა, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე დაჩენილია სრულიად სომხეთის მეფეების ბაგრატილთა დიდებული სატახტო, ათასი ტაძრის ქალაქად წოდებული, ოდესღაც ხალხმრავალი და აყვავებული, აღმოსავლეთის და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მყოფი ანისი, ამჟამად უწყალოდ დანგრეული და იავარქმნილი.

ახურიანის კანიონი, კარგად რომ ახსოვს განსაცდელში ჩავარდნილ ანისის მოსაშველებლად საქართველოდან მოსული ლეგიონების ცხენების თქარათქური და ქართული ყიფინა, ჰვა მაგასო, სასაზღვრო ზონაა.

ქუთთი ფეოდალების — შედადილების მრავალწლიანი ბატონობის წინააღმდეგ დედაბუდიანად ამხედრებულმა ანისის ერმა და ბერმა მოციქულები გაუგზავნა ქართული მიწების შემკრებ და ერთ მთლიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ საქართველოს შემაკავშირებელ მეფე დავით მეოთხეს, ხალხის მიერ აღმაშენებლად წოდებულს, რომელმაც 1121 წელს დიდგორის ომში თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი დაამარცხა (სომეხი ისტორიკოსის მათე ურპაელის ცნობით იგი 560 ათასი კაცისაგან შედგებოდა, ქართველი მეფის ლაშქარი კი ზუსტად ათჯერ ნაკლები იყო!), ერთი წლის თავზე თბილისიც აიღო და ქვეყნის სატახტო ქალაქად გამოაცხადა, და ძმური დახმარება თხოვა.

დავითს არ დაუყოვნებია, საომრად აღიჭურვა, 60 ათასიანი ლაშქრით ანისის კედლებთან გაჩნდა, უთანასწორო ომში სძლია რიცხვით უმეტეს მტერს

და ქალაქი მის კანონიერ, მცოდნეებს — სომხებს გადასცა. მაშინ: *ჩუხს სწჳრად, მეფე რომ სომეხთა დედოფლის სამარეს მიეხალა და ჩასძახა მიცვალებულს, შენი სამშობლო და სატახტო ქალაქი ურჯულო მტრის კლანჭებისაგან გამოხსნილია, იძინე მშვიდად, მისი ჭავრი მოსვენებას ნულარ დაგორლვევსო.*

შირაკი, მთელი ეს პროვინცია, ანისითურთ, დავით მეფემ, ადგილობრივი მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით, მართალია, საქართველოს შეუერთა, მაგრამ შინაური მმართველობა აქ მუდამ სომხებისა იყო და მრავალი ომის გადაშხედლმა ქალაქმაც, როგორც იქნა, თავისუფლად ამოისუნთქა.

თურქ-სელჩუკები მაინც არ ცხრებოდნენ, არასგზით არ უნდოდათ, გმირიელი ლუკმა ერთხელ და სამუდამოდ ხელიდან გაეგდოთ. და აი, 1126 წელს, როცა მუსულმანური სამყაროს რისხვა მეფე დავით აღმაშენებელი უკვე ცოცხალთა შორის აღარ იყო, შედადილი ფადლუნი დიდი ჭარით შეესია ქართველების ხელდებულ შირაკს და ანისს ალყა შემოარტყა. ორივე ერის მემბტიანეებმა შემოგვინახეს ცნობა, რომ ქალაქის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, მადალი წოდება და ვაჭრები, უარზე არ იყვნენ, ციხის კარი გაეღოთ და ფადლუნი, რომელიც მათ კლასობრივი პრივილეგიების შენარჩუნებას ჰპირდებოდა, ქალაქში შემოეშვათ, მაგრამ ანისელი მოქალაქენი, ხალხის დაბალი ფენები, ვისი ძვლების მასალითაც სამშობლოს ციხის კედელი შენდება, კლდედ აღიმართნენ, მრისხანე მტერს, ერთზე ათი და ოცი რომ მოდიოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართეს. ციხის ბასტიონზე დადგა დიდი და პატარა. ასე გასინჯეთ, ქალები და მცირეწლოვანი ბალებიც კი თავგანწირულად იბრძოდნენ. ისტორიამ უკვდავყო გმირი ქალიშვილის აიცემნიკის სახელი. იგი რამდენიმე ისრით დაიჭრა, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია, ისარს ისარზე აგზავნი-

და მოალყე მტრის ბანაკში, რითაც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მებრძოლ სომეხ ვაჟაკებს გულში რწმუნასა და მხნეობას უნერგავდა. ამ დროს მოუსწროთ სწორედ ქართველთა მეფის დემეტრეს ლაშქარმა. საშინელი კვეთება და ჩეხვა გაჩაღდა. ბროლივით ანკარა ახურიანი სისხლით შეიღება. შემტეეთა ყოინა, დაჭრილ-დასახირებულთა კვნესა და გოდება იჭაურობას აზანზარებდა. გაუჭირდათ ამ ომში მოძმის საშველად მოსულ ქართველებს, ვერას გახდნენ რიცხვით უმეტეს მტერთან. დავით აღმაშენებლის ძე დემეტრე იძულებული შეიქნა ანისი ფადლუნისათვის დაეთმო, ოღონდ სახავო მოლაპარაკების დროს პირობა ჩამოერთვა, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ხელი არავის ეხლო და დავით აღმაშენებლის მიერ დაწესებული პრივილეგიებიც, რითაც ქალაქის მთელი მოსახლეობა სარგებლობდა, ხელუხლებლივ დაეტოვებინათ.

1161 წელს ქართველებმა ხელახლა ილაშქრეს თურქ-სელჩუკთა უღელქვეშ მგმინავი ანისის გამოსახსნელად, ამჯერად უკვე დიდი თამარის მამის, მეფე გიორგი მესამის წინამძღოლობით და სისხლისმღვრელ ომში იგი მტერს ხელიდან გამოჰკლიჯეს. ანისის ალები დრო ბრძოლაში თავი ისახელა ხოფორნელმა აზნაურმა, ქართველთა მხედრობის მეწინავე რაზმის სარდალმა სარგის ზაქარიას ძემ, რომელსაც ომში გამოჩენილი საარაკო გმირობისა და ვაჟაკობისათვის თანამემამულე ქართველებმა ზედმეტსახელად მზარგრძელი შეარქვეს და რომლის საგვარეულომ, აღზევებულმა და დიდებით მოსილმა, სომხურ ისტორიოგრაფიაში ზაქარიდები რომ ეწოდათ, შემდგომ დიდი როლი ითამაშეს შუა საუკუნეების საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში. ესენი გახდნენ ბაგრატიონთა სამეფო ტახტის უერთგულესი და უზირველესი მოხელენი, ამირსაპასალარები, შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლები, ზოგმა მათგანმა საქართველოს მეფის კარზე მანდატურთუხუცესის

ერთობ საპატიო სახელოც მიიღო და სამმართველოდ, „მუდარგ“ საჯდომად ყოფილი სომხეთის სამეფოს სწორედ ის პროვინციები მიუჩინეს, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს მეფეთა უმაღლეს განგებლობაში შემოვიდა.

სასაზღვრო მდინარის — ახურიანის მარცხენა ნაპირზე კერძო პირის მისვლას დღეს საგანგებო საშვი და გამცილებელი ჭირდება. ამბობენ, თუ აქეთა ნაპირის ფრილო კლდეზე გადადგები, სადაც, ვინ იცის, მეფე დავით აღმაშენებელიც იდგა და ციხეზე მიბრძნით მისულ თავის კოპორტებს გადაჰყურებდა, და მესაზღვრის დურბინდს თვალბზე მოიჩრებ, ქვა-ლორლით ამონჩხილ ტიტველ ბორცვზე გაარჩევ ოდესდაც ანისის მშვენება საკათედრო ტაძარს, რომლის ნანგრევი, ოსტატურად გამოკოპიტებული ქვების უწესრიგო გროვა, ჯერ კიდევ იქცევს მნახველის ყურადღებას თავისი გრანდიოზულობით.

რა უნდა იყოს ამ სანახაობის ხილვაზე უფრო მწარე და გულის გამგმირავი, მით უმეტეს ყველა იმისათვის, ვისი მამა-პაპის მარჯვენიდაც ყოველივე ეს შენდებოდა. ნანგრევი, ნანგრევი, კიდევ ნანგრევი და მეტი არაფერი! ჩამოქცეული კამარები, მიწაზე დამხობილი ბრწყინვალე გუმბათები, თავწაგლეჯილი სამრეკლოები, ქრისტესმოსაც მორწმუნე ერს სალოცავად რომ მოუწოდებდა, უაზროდ ცაში აშვერილი, შუაზე ნამეხარივით გადამტყდარი იონური კოლონები, მიწიდან აქა-იქ, თითქოსდა აჩრდილთა სამყაროდან ამოჩრილი საზეიმო კიბის საფეხურები, თვალშეუდგამი სიმალიდან ძირს დანარცხებული და ლუქმალუქმა დაფშენილი კაპიტელები, მარჯვენანაკურთხ ვარპეტს ზედ რომ ხაზების ჯადოსნური გამა ამოუკვეთია, ახურიაზე გადებული ქვითკირის ნახიდარები, რომელთაგან მხოლოდ დულამის საყრდენები გადარჩენილან, და-



ნარჩენი კი უფსკრულში ჩანთქმულა და წყალსა და მეწყურს წაუღია. სწორედ რომ სამუშს გადაუვლია, მოუსრავს და წარუბოცია თვით კვალიც კი შემოქმედი ადამიანის დაუღალავი, ღვთისა და კაცის სარგო მოღვაწეობისა და ის ადგილი, სადაც რვაასი და მეტი წლის წინათ სიცოცხლე დღედა და ვადმოდიოდა, მარადიულ უდაბნოდ, ნაძრახ ადგილად, გველისა და ღრიანკლის ბუდედ უქცევია.

ვინ დასწყევლა ნეტავ ასე უმოწყალოდ ეს თვალმახარა ქალაქი, აღმოსავლეთის ბეჭდისთვალი, ქრისტიანული კულტურის ბურჯი, ვინ აღასრულა ეს საშინელი, ძარღვებში სისხლის გამყინავი წყევლა, ვინ გაიმეტა ასი ათასობით მშვიდობიანი ადამიანი გასაყლეთად, ხოლო მათი ხელით ნაგები ტაძრები და სასახლეები, ხიდები და მიუვალი ციხე-სიმაგრეები დასანგრევად, მიწასთან გასასწორებლად?

ისევ და ისევ იმათ, ბიზანტიის დამატყვევლებმა, იმათმა ფესვმა და ჯილაგმა, ვინც რამდენიმე ასეული წლის შემდეგ, 1915 წლის 24 აპრილს, ახალრ გაუგონარი აკვაცობა ჩაიდინა, სომეხთა გენოციდი მოაწყო და ორ მილიონამდე უდანაშაულო ადამიანი, ქალი, ბავშვი და მოზუცი, თავისსავე მამაპაპურ მიწაზე სიცოცხლეს გამოასალმა!

აბა, ამას ვინ დაივიწყებს, ვის შეუძლია, ამ ღველფს დაივიწყების ნაცარი წააყაროს! და არც არავინ ივიწყებს: ერევნის თვალსაჩინო ადგილას, ქალაქის ყველა კუთხიდან რომ მოჩანს, წიწვანაქაბერდის მთაზე, რაც ქართულად „მერცხლის ბუდედ“ ითარგმნება, 1967 წელს სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა მარადიული ხსოვნის უკუდავსაყოფად დიდებული მემორიალი აიგო. ეჩმიანინის შემდეგ, სადაც ყოველთა სომეხთა კათალიკოსების საკათედრო ტაძარი დგას და აგერ თექვსმეტი საუკუნეა, დედამიწის ზურგზე იელოვას ნაშიერთა მსგავსად გაბნეული მიწაწყლიშვილების შემაქვამირებელი რგოლის მოვალეობას ასრულებს, ეს, წიწვანაქაბერდის სამგლო-

ვიარო მემორიალი. აღბარებულა მემორიის მემორიის უწმიდესი ადგილის წინაშეც ყველა სომეხი, განურჩევლად მსოფლმხედველობისა და პარტიულობისა, მუხლს იდრეკს და ახალი ფიციტ ეკვრის მრავალტანჯულ სამშობლოს, რომ მუდამ და მარადეამს თავისი სისხლისა და მოდგმის, თავისი დედაენისა და კულტურის უყოყმანოდ ერთგული იქნება.

ასე ეხმარებიან მეკდრები ცოცხლებს, ასე მტკიცდება და სალკლდედება ცეცხლსა და წყალში ნაწრთობი რვალი!

მომწვდა თუ არა ყურში მემორიალის ამბავი, რომლის არსებობისა, ჩემდა სამარცხვინოდ, აქამდე არაფერი ვიცოდი, მე მაშინვე იქ წასვლა და დაღუპულთა ხსოვნის წინაშე მუხლის მოყრა მოვიწადიე. ვინ დამაკავებდა!

— რატომაც არა, — თავისებურად მშვიდად, ყოველგვარი ემოციისა და გარეგნული ეფექტის გარეშე მითხრა ვარდგეს პეტროსიანმა, სომხეთის ერთმა უნიჭიერესმა მწერალმა და პუბლიცისტმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ. — შეიძლება, ერევნის გაცნობა წიწვანაქაბერდის პლატოდანაც დაიწყოთ. გარდა მემორიალისა და ეროვნული პარკისა, იქ რომ გავაშენეთ, პლატოზე ერთი ახალი შენობაც გვაქვს, რომელიც, ეს-ესაა, დეამთავრეთ და მისი ნახვა თქვენც აუცილებლად დაგაინტერესებთ!

ვარდგეს პეტროსიანი პატარა ტანის კაცია, შვაგვრემანი და შავთვალწარბა, თავზე ხშირი შავი თმის ბუჩქი ადგას. თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდობა ეთქმის, ორმოცდაათი წელიწადი ახლახან შეუსრულდა, სომეხ მწერლებს ყარგა ხანია სათავეში უდგას და თავისი ნიჭისა, ღრმა განათლებულობისა და კეთილშობილების წყალობით ხალხშიაც და მწერლობაშიაც შეუვალი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს. მე არა ერთჯერ მქონდა საშუალება, ამაში პირადად დავრწმუნებულიყავი. ვარდგესის მთავარი ნაწარმოებია ნახევრად ბელეტრისტული

ნახევრად პუბლიცისტური „სომხური ესკიზები“, რომელიც მწერლის მშობლიურ ენაზე უკვე რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ევროპის, აზიისა და ამერიკის, ასე გასინჯეთ, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში გამოიცა, ავტორის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის დღეს კი, თბილისის მსახიობის სახლში რომ გაიმართა, იგი ქართველმა მკითხველმაც მიიღო.

რას ეხება ვარდგეს პეტროსიანის ზემოთხსენებული თხზულება? სომხეთს! ესაა ნაღვლიანი და იმედის შთამნერგავი სიმღერა სომხეთზე, მის აწმყოზე, წარსულსა და მომავალზე. ვარდგესი არ გახლავთ ის კაცი და მოქალაქე, თავის საშობლოს და ხალხს მხოლოდ მომგებიან ფერებში რომ ჰკრეტს და მის კარგს და ავს თვლემის მომგვრელ გუნდრუქს უკმევს. ის ნამდვილი შეუდრეკელი მამულიშვილია, ერისა და ქვეყნის ჰირისუფალი, ფხიზელი კაცი, ის პიროვნებაა, ვინც საკუთარი თვისტომის სიკეთეს ჯეროვანს მიუზღავს, ავს კი არაორაზროვნად ძრახავს და შეურიგებელ ომს უცხადებს.

კარგად მახსოვს ვარდგეს პეტროსიანთან პირველი შეხვედრა. მე მას კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში შევხვდი, სადაც ერთი დიდი თავყრილობის შემდეგ გამართულ საბანკეტო სუფრაზე გვერდი-გვერდ აღმოვჩნდით, მერე ჩვენი მეგობრობა კონსტანტინე გამსახურდიას გლოვისა და დაკრძალვის დღეებში განვამტყიცეთ, ვარდგესმა სომეხი ხალხის სახელით დაიტირა დიდი მწერალი, ბოლოს კი მისი დაბადების 50 წლის აღსანიშნავ საღამოზე, თბილისის მსახიობის სახლში, მისასალმებელი სიტყვის თქმაც მოიხდა. მე მაშინ მოვიგონე გიქორი, გულის პირველი მწარე ტკივილი და დაჩაგრულისადმი თანაგრძნობა, ჯერ კიდევ მესამე თუ მეოთხე კლასის მოსწავლეს ზეგარდმო შთაგონებული სომეხი მწერლის მადლიანმა კალამმა, რომ მაგრძნობინა. ეს ნიშანდობლივი იყო. ვარდგეს პეტრო-

სიანი სწორედ იმ გენერალურ ხაზს ადგას მწერლობაში, რომელიც დიდი ოვანეს თუმანიანი ადგა. ისიცა ვთქვი, ბავშვობის წლების მწარე ტკივილი დღესაც გულს მისერავს, დღემდე არ გამწვანებია-მეთქი.

იმავე ღამეს, მეგობრულ სუფრაზე, რომელიც ახალადდგენილი ძველი უბნის ერთ მყუდრო რესტორანში გაიმართა, თანამეინახე მეგობრების თანდასწრებით მე და ვარდგეს პეტროსიანმა დაქდეთ ჟენტლმენური შეთანხმება, ერთი ისტორიული ბედის მქონე მოძმე ხალხების, ქართველებისა და სომხების, ურთიერთსიყვარულის გამოხატვაში ერთმანეთს ვაჯობებოდით და მას საქართველოზე, მე კი სომხეთზე წიგნი დაგვეწერა.

სომეხ-ქართველთა ისტორიული ბედისა და ურთიერთდამოკიდებულების მხატვრული წარმოსახვა ქართულ მწერლობაში გაუტეხავი ყამირი არ არის. პოეზიის მოყვარულ მკითხველს, ჩვენშიაც და სომხეთშიაც, არ შეიძლება არ ახსოვდეს შთაგონებული სტრიქონები, ალექსანდრე ქავჭავაძის კლასიკური „გოგჩის ტბის“ შემდეგ ჩვენმა თანამედროვე პირველხარისხიანმა ქართველმა პოეტებმა — ტიციან ტაბიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, იოსებ ნუნეშილმა, მურმან ლებანიძემ სომხეთს რომ მიუძღვნეს, რასაც, თუ ერუდიცია არ მალაატობს, ასე თამამად პროზაიკოსების მიმართ ვერ გავიმეორებდით.

ეს ორი ახალი წიგნი, რომელთა დაწერა მე და ვარდგეს პეტროსიანმა განვიზრახეთ, ჟენტლმენური შეთანხმების თანახმად, ერთი ყდის ქვეშ, ერთსა და იმავე დროს სომხეთსა და საქართველოში, სომხურ და ქართულ ენებზე უნდა გამოქვეყნებულიყო. წამოწყება მეტისმეტად სასურველი და დროული ჩანდა და მას ყველა დამსწრე დიდი მოწონებითა და სიხარულით შეხვდა.

სამახსოვრო შეხვედრის შემდეგ ორმა წელიწადმა გაიარა. მეც და ვარდგესმაც ერთმანეთს რამდენჯერმე შევა-

ხსენებ დადებული პირობა, ის, რომ საქმეს არ ელაღატებოდა, მთელი მიწერ-მოწერა გაიმართა, მაგრამ რა დიდი სურვილიც არ უნდა გვექონოდა იგი სისრულეში მოგვეყვანა, გაძნელდა შესაფერი დროის გამოხახვა.

— ეტყობა, არ შეიძლება ამ ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვება, — ვუთხარი მე ჩემს კეთილ მასპინძელს, როცა საღამოელ არუთინიანთან ერთად სასტუმროდან მწერალთა კავშირში დავბრუნდით და ვარდგეს პეტროსიანი უკვე იქ დაგვიხვდა. — რაფის მაღლი თავზე დაგვანათის და გვეხმარება. რაჟი მის იუბილეზე ჩემდა უნებლიეთ სამი დღით ადრე ჩამოვდი, ეს სამი დღე შეძლების კვალობაზე სომხეთის გაცნობას უნდა მოვანდომო და წინასწარ ჩაფიქრებული ვრცელი წიგნი თუ არა, გაზეთის ერთი ან ორი გვერდი მაინც მივუძღვნა სომხეთში ჩემს ხანმოკლე მოგზაურობას.

— თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი! — შემომლიმა გახარებულმა ვარდგესმა. — დრო, მართალია, ძალიან ცოტა გვაქვს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ რაციონალურად გამოვიყენებთ, ბევრი რამის ნახვა და გაცნობა მოესწრება, დანარჩენი გადავდოთ. ეს ჩვენი პირველი შეხვედრაა სომხეთის მიწაზე, მომავალი შეხვედრები ხომ წინ გვიდევს!

— რასაკვირველია! — მხურვალედ ვუპასუხე. — გულთ ვწუხვარ, ძვირფასო ვარდგეს, რომ მიუხედავად არაერთგზისი მოპატიებისა ერევანში აქამდე ვერ ჩამოვედი და აქაურობას თქვენებრ ხუთი თითოვით არ ვიცნობ. არა და უნდა ვიცნობდე, ვალდებული ვარ!

— არა უშვას, ჯანი იყოს და გამოტოვებულის აღდგენა ყოველთვის შეიძლება, — პირზე ღიმილის მოუშორებლად გამამხნევა ვარდგესმა. — თქვენის ნებართვით ავარ ჩვენი საგათელიც მოგვეხმარება და მოგზაურობის გეგმა შევადგინოთ. იმსაყ ხომ აქვს მნიშვნელობა, რა რის შემდეგ

უნდა ინახოს! თქვენს განკარგულებაში იქნება მანქანა ვოლვა, რომელიც ახალგაზრდა კრიტიკოსი გვეორქ ხაჩატრიანი. გვეორქ ეშენის სეზნიია და მისი სახელი იმედია არ დაგვიწყდებათ. რუსულ პრესაში ხანდახან ატრიანის ფსევდონიმით გამოდის, რომ უცხო მკითხველს თავისი გვარის გამოთქმა და დამახსოვრება გაუადვილოს. ღრმად განათლებული და ნიჭიერი ლიტერატორია. ამას წინათ, თუ წაიკითხეთ, მეტად საინტერესო ინტერვიუ ჰქონდა ჩინგიზ აიტმატოვთან. გვეორქი ყველგან თქვენს გვერდში იქნება და ყველა საჭირო ინფორმაციას მოგცემთ. ბოლოს შევეცდებით ჩვენც შემოგვიერთდეთ. იუბილე კი გადაიდო, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა სათავეებში გავვიჩნდა: გუშინდამ ორი ჩვენი ხანდაზმული ლიტერატორი გამოგვეცალა ხელიდან. კიბეზე ამოსვლისას შეაჩინვედით, ქვემოთ დარბაზს აწყობენ სამოქალაქო პანაშვილის გასამართავად. ხვალ დილას ორივე უნდა გადმოვასვენოთ. ამიტომ ბოდის მოხდა დამკირდება, თქვენთან ერთად რომ ვერ მოვდივარ. ათას აღვიღზეა დასარკვი, აქ უჩემობა არ იქნება!

— მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიშარი. ვწუხვარ, რომ ჩემი სტუმრობა ასეთ უსიამოვნო ამბებს დაემთხვა!

— გმადლობთ. რას იზამ. ასეთია ცხოვრება. სანამ კაცი ფეხზე დგახარ, არასოდეს არ იცი, ხვალ რა მოგელოის. აი, გვეორქ ხაჩატურიანიც! გაიცანით! თავმჯდომარის კაბინეტში მორიდებით შემოვიდა და ფეხაქრფით მოგვიახლოვდა ვარდგესივით ფაქიზი და მისებრ დახვეწილი ტანმორჩილი ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდარვა-ოცდაცხრა წლისა, რომელიც ოფლით დაცვარულ შუბლზე გადმოვარდნილ შავი თმის ბლუჯას ხელის ზურგით ისწორებდა, და მოგვესალმა. მან უკვე იცოდა ჩემი ვინაობა და ისიც, რომ მეგზურობა უნდა გაეწია, ერევანი და მისი შემოგარენი უნდა ეჩვენებინა და საამისოდ კიდევაც მომზადებულიყო. მას თან რამდენიმე ბრჭყვილაყდიანი

ცნობარი და ერევნის გეგმა წამოეღო. გეგმას ხარბად წავეტანე და მაშინვე უცერემონიოდ ვავშალე. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორია დღეს ერევნის საერთო პროფილი, ქალაქის ცენტრის — ლენინის მოედნის გარშემო კონცენტრიულ წრებზე და დალაგებული სატრანსპორტო მაგისტრალების და ბულვარების რკალების, აგრეთვე მათი გადაწყვეთი ლარივით სწორი რადიალური ქუჩების განლაგება. დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმას გამოსარკვევად, რომ საუკუნეების მანძილზე სტიქიურად გაშენებული პატრიარქალური ერევნისა, რომლის ჩანახატები უცხოელმა მოგზაურებმა დაგვიტოვეს, კვლიც კი აღარ არის დარჩენილი, თუმცა რამდენიმე ისტორიული შენობა, უპირატესად საეკლესიო დანიშნულებისა, ხანდახან მთელი ქუჩებიც კი თითქმის ხელუხლებლივ შეუნარჩუნებიათ და ქალაქის ახალ არქიტექტურულ სურათში ძველ გრავიურასავით ჩაუხატავთ. გეგმის პირველდაწყებითი ვარიანტი ქალაქის მთავარი არქიტექტორის ალექსანდრე ტამანიანის ხელითაა შედგენილი. ოდესღაც, ოციანი წლების დამდეგს, ის მარტოოდენ ოცნება იყო, ძნელად განსახორციელებელი გაბედული ოცნება და მხოლოდ ვატმანის ქალაღზე არსებობდა, დღეს კი თითქოს სასწაული მომხდარა და უკვე რეალური ქალაქის სახეს ასახავს.

ოციანი წლების დამდეგს ერევნის განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენასა და დამუშავებაზე პატრიოტული სულიცვეთებით აღტიწებული სომეხი არქიტექტორებისა, მხატვრებისა და მოქანდაკეების დიდი ჯგუფი მუშაობდა. მათ შორის თამაშეჟიარაღებულნი და ცხოვრების დიდი გამოცდილებით აღჭურვილი მხოლოდ ალექსანდრე ტამანიანი იყო. „თავის სომხეთს“, როგორც უყვარდა ხოლმე თქმა, მან გასაბჭოებისთანავე მოაშურა, ხელი მიჰყო მრავალსაუკუნოვანი სომხური არქიტექტურული ძეგლებს შესწავლას, დამყნო ეკონსულტატორ

დიცია თავის დიდ გამოცდილებაზე ქალაქმშენებლობის დარგში. საყოველთაო მიღწევებზე, რასაც ჩვენს განათლებულ საუკუნეში მონუმენტური ხელოვნების ამ სახემ მიიღწია, შემოიკრიბა მისებრ გულანთებული ენთუზიატები, ძილში თუ ცხადში მშობლიური დედაქალაქის აღორძინებაზე რომ ოცნებობდნენ და თეთრად გათენებულ ღამეებში ქალაღზე გადაიტანა ის, რასაც ჩვენ დღეს ვპყრებით, ხელით ვეხებით და აღტაცება ვერ დაგვიფარავს.

ზემოთ საღდაც ვთქვი და აქ ვიმეორებ, ოციანი წლების დამდეგს სამოქალაქო ომიდან გამოსული მშვიდმწყურვალი ერევანი ერთი პატარა, უღიმამო პროვინციული ქალაქი იყო. ასეთი ნახეს ის დეკაბრისტებმა, გრიბოდოვებმა, შემდეგ არზრუმს მიმავალმა პუშკინმა. ქალაქის უზომოდ შეთხელებული მოსახლეობა ოც-ოცდაათი ათასს არ აღემატებოდა, მაგრამ დიდმა მეოცნებემ, ალექსანდრე ტამანიანმა, ელიშე ჩარენცის სიტყვებით რომ ვთქვათ, შესძლო მწვანედ მოლალანე ბაღებსა და პარკებში ჩაფლული ვიარდისფერი ერევანი დაენახა და შემდეგ ფრთებიც შეესხა თავისი სასუკვარი ოცნებისათვის.

1924 წლის 3 აპრილს რესპუბლიკის მთავრობამ დედაქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა დაამტკიცა. გეგმა იმ ანგარიშით იყო შედგენილი, რომ მისი განხორციელების დროისათვის, ოცდაათიანი წლების მიწურულს, ქალაქის მოსახლეობას 150 ათას კაცამდე უნდა მიეღწია.

თვით ალექსანდრე ტამანიანის გენიამაც ვერ შესძლო ზრდის ტემპები შეუცდომლად გაეთვალისწინებინა. აბა, მაშინ, 1924 წელს, ვინ წარმოიდგენდა, თუ გაივლიდა რაღაც ექვსი ათეული წელიწადი, დემოგრაფიული სიტუაცია ასე შეიცვლებოდა და სომხეთის დედაქალაქი მილიონიანი ქალაქი გახდებოდა მიუხედავად იმ უზარმაზარი, აუნაზღაურებელი ზარალისა, ერევანში და მთლიანად სომხეთში, სხვა

ერების შეილება თან ერთად, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე რომ ნახა.

— რას ფიქრობ, ტერ გევორჯ? ჩვენს პატივცემულ სტუმარს ერევანი უნდა ვაჩვენოთ. შენზე უკეთ ამას ვერავენ იზამს. საიდან ჯობს დაწყება? არ დაგავიწყდეს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი დღე გვაქვს. ოცდაერთში რაფის იუბილეა და სტუმარი, თუ გავუშვით, იმავე ღამეს წავსვლას აპირებს.

გევორჯ ხაჩატრიანი, რაღაცით მტერიან ფოლიანტებზე დახრილ შუა საუკუნეების დროინდელ შავანაფორიან ბერს რომ მივამსჯავს, გულმოდგინე შეგირდის სერიოზულობით შეჰყურებდა თვლებში ვარდგესს და თითქოს ცდილობდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, მისი ყოველი სიტყვა წინასწარ გამოეცნო.

მე უკვე მქონდა მოგზაურობის მცირე გეგმა, უფრო ზუსტად, ის ამ დღის ჩამოწყობის მიზნით: პირველ რიგში მინდოდა მენახა გენოციდის მსხვერპლთა მემორიალი წიწვრანქაბერდის პლატოზე, შემდეგ სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, მატანადარანი და ბოლოს, თუ დრო დაგვრჩებოდა, გარნი-გეპარდი — ანტიკური ეპოქის წარმართული ტაძარი და შედარებით გვიანდელი ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსი ქელამის მთებში, შუა საუკუნეების სომეხმა არისტოკრატებმა საქარიდებმა რომ ააშენეს და შემდეგ პროშიანებს მიჰყიდეს.

— დარი მშვენიერია, მზეს ძალა მოემატა, მაგრამ არაფერია გვყავს თავდები, რომ ხვალ ისევე არ ვავადარდებო. ამიტომ, ხომ არ აჯობებდა, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი ბოლო დღისათვის დაგვეტოვებინა და ჯერ შედარებით შორეული პუნქტები გვენახა? — წამოაყენა ახალი გონივრული წინადადება ვარდგესმა.

— სიამოვნებით! — აღფრთოვანდი მე. — მაგრამ რომელი?

— მაგალითად, გარნი. იქიდან გეპარდი ახლა ამების ნახვა მარტო მხოლოდ დარზე შეიძლება. აქ ვაწვიმდა

ან ნისლი წამოვიდა, მთელი ეფექტი იკარგება, საერთოდ ვერაფერს დანიხავთ. ასე არ არის, საღათელ?

— არქა, მიშველეთ, — წამოვიძახე მე და საღათელ არუთინიანს სანამუსოკითხვაზე პასუხის გაცემა აღარ დავაცალე. — ახლავე გავუდგეთ გზას, ერთ წუთსაც ნულარ დავკარგავთ!

— მაშ, გარნი? — ვარდგესი წამოდგა, წამოვდექით დანარჩენებიც. ის ძლიერ ჩანდა უზარმაზარი საწერი მავიდის ორივე მხარეზე ამოხოლავებულ წიგნებში.—გისურვებთ კეთილად გემგზავროთ და კარგი შობაბეჭდილებით დაბრუნებულყოთ. მანქანა ხომ მზად არის? — ეს მან გევორჯ ხაჩატრიანს ჰკითხა.

— მზად გახლავთ, სადარბაზო კარის წინ გველოდება!

5.

სულმა წამძლია, მოგზაურობის მარშრუტი ოდნავ შეეცვალეთ და გარნის მაგიერ გეზი პირველად წიწვრანქაბერდის მთისაკენ, ანუ, როგორც აქ ეძახიან, პლატოსაკენ ავიღეთ. გულის სიღრმეში ამეკვიცა აზრი, რომ ამით რაღაც სავალდებულო რიტუალს ვასრულებდი და ჩემი მხრივ ძმურ თანაგრძნობას ვუცხადებდი მთელ სომეხ ხალხს მილიონობით მისი შეილის ბარბაროსულად გაელეტის გამო. და განა არ მქონდა ამის საბაბი! ტირანული ოსმალეთი ხომ სომხეთისა და საქართველოს საერთო მტერია. ვინ იცის, რამდენჯერ მოუღერებია მახვილი ორივე ქვეყნის მიწასთან გასასწორებლად! ქრისტიანული აღმოსავლეთის მტერ-მოყვარე ბიზანტიის დამთრგუნველ ოსმალეთ ქართველების გენოციდი, მართალია, არ მოუწყვიათ, მაგრამ ვინ დაითვალოს ის უსამართლობა, ძალმომრეობა, ძარცვა, ტყვევნა და სისხლისღვრა, რაც შეთერთმეტე საუკუნიდან მოკიდებული, განსაკუთრებით კი მეტექსმეტე-მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მათ განუწყვეტელ ომებში სისხლისხვედნი დაცლილი საქართველოს

მიწა-წყალზე ჩაიდინეს. ქართლის მთაგორებს დღესაც შეუხორცებელ წყლებად აწინა მუსტაფა ლალა-ფაშას სისხლიანი ნაფებურები, ქვეყანას ქართველ-სპარსელთა გაერთიანებული ლაშქრის დამარცხების შემდეგ 1578 წელს რომ შემოესია, მშვიდობიანი მოსახლეობა, სადამდეც კი ხელი მიუწვდა, დედაბუდიანა ამოეღიტა, დანარჩენები ტყვედ გაირეკა, ქართველ მეფეთა ტახტი დაამხო და მრავალპირნახული ქართლი ტფილისის ვილაიეთად გამოაცხადა! ახსოვს იმერეთს, აფხაზეთს და გურია-სამეგრელოს ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად შეგროვილი, ერთიმეორეზე თოკით გადაბმული, პარამხანის სიბინძურისა და ფანატიკურ იანიჩართა რაზმებში ჩასარიცხად განწირული ათასობით მალხაზი გოგო-ბიჭის მოთქმა-გოდება, გადამწვარი სოფლები და დაბა-ქალაქები, შეგინებული ეკლესია-მონასტრები, გაძარცვული წიგნსაცავები, დაუმარხავად მიტოვებული უპატრონო გეგამები...

აი, ეს იყო ჩვენთვის თურქეთი, თავს ოსმალთა უძლეველ იმპერიას, ბრწყინვალე პორტას რომ უწოდებდა, თავისი უღმობლობით სახელგანთქმული ქვეყანა, მთელი სომეხი ერი, დიდისა და პატარის გაურჩევლად, მიწის პირასაგან აღსაგველად რომ გამოიშეტა. სომხურისაგან განსხვავებით ქართული გენოციდი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და რაც ამ ხნის მანძილზე თავისი მშობელი მიწის დამცველთა მოწამებრივი სისხლი დაიღვარა, მტკვარსა და რიონსაც კი აადიდებდა!..

ერევნის თავზე აღმართული წიწარნაქაბერდის პლატოზე რომ ახვიდე, მარშალ ბაგრამიანის პროსპექტიდან მიმავალმა კაცმა მდინარე რაზდანზე გადებული მალაკამარებიანი ახალთახალი ხიდი უნდა გადაიარო, უკან ჩამოიტოვო კავშირში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული კომპლექსი „რაზდანი“, სადაც საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო პირველობის სპორტული პაეტრობები, მათ შორის, უპირველეს

ყოვლისა, „არარატისა“ და მისი მეტოქეების საფეხბურთო პაეტრები, რმართება და ვარდისფერ ტუფთუ მპარკეთებული თანამედროვე საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობებით ჩარიგებული კიევის პროსპექტით ქვა-ლორლით გადათეთრებულ ხრიოკ მინდორში გახვიდე.

ქვა-ლორლი და ხრიოკი მინდვრები სომხეთში სათლით საძებარი არ არის. ამდენ ქვას, კლდესა და უნაყოფო მიწას ერთსა და იმავე ქვეყანაში ძნელია კაცი კიდევ სადმე წააწყდეს. სომეხ კაცს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თვით მშობელი მიწის ბუნებრივი პირობებიც კი აიძულებდა, ყველა სულიერი და ფიზიკური ძალა დაეძაბა, ხასიათის სიმტკიცე, იობისებური მოთმინება, ჯოჯობეთური გამძლეობა, გამომგონებლობა გამოეჩინა, უდაბურ კლდე-ღრეში წვრილშვილის დასაპურებელი ჭირნახული მოეწია, თავადაც ამ კლდეებს შეხიზნოდა და ირგვლივ გამეფებული ქვის სამყარო თავისი ღმერთის სადიდებლად აემეტყველებინა!

ასე იყო გუშინ, ასე იყო ათეული საუკუნეების წინათ, ასე იყო მაშინაც, შურისძიებით აღესილმა მამა-ღმერთმა ცოდვით დამძიმებულ კაცობრიობას საშინელი რისხვა — წარღვნა რომ მოუვლინა, ასე იყო მანამ, სანამ მოსიხსნე მტრის გამუდმებული შემოსევებისაგან თავდახსნილმა სომეხმა კაცმა მახვილი არ დასდო და მშვიდობიან აღმშენებლობას ჩვეული ორივე სასწაულმოქმედი ზელი წერაჯვს, ნიჩაბსა და ფარგალს არ ჩასჭიდა, ქვეყნის ბუნებრივი ლანდშაფტის თავისი გუნება-განწყობილების მიხედვით გადაკეთება-გადასხვაფერებას არ შეუდგა.

სწორედ ამ ბუნებრივი ლანდშაფტის განუყოფელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ წიწქარნაქაბერდის მთაც. დღეს აქ რამდენიმე ათეულ პეტტარზე გადაჭიმული ეროვნული პარკი შრიალეებს, გუშინ და გუშინწინ, რვა თუ ათი წლის წინაც კი პლატო უნაყოფო უდაბნო იყო, რომლის გაცოცხლებასა და



ადამიანის სამსახურში ჩაყენებას თვით ყველაზე უფრო გამოუსწორებელი მეოცნებეებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ. მაგრამ წარმოიდგინეს, თავისი დაიქინეს და კიდევაც გაიტანეს. განა ცოტანი არიან ისინი, ეს გამოუსწორებელი მეოცნებეები, დღევანდელ, ჩვენს თანამედროვე სომხეთში! აგერ ჩვენს გვერდით ოცნებობენ, დასისხლიანებული ნუნებით ერთის შეხედვით გადაულახავ სიძნელეებს ეჭიდებიან და კიდევაც იმარჯვებენ. როგორ შეიძლება არ მოიხიბლო მათი უხადო ნიჭიერებით, საქმის ღრმა ცოდნით, შეუპოვრობით, უანგარობით და, რაც მთავარია, იმის შეგნებით; რომ ეს ყველაფერი დღევანდელი დედა-სომხეთისათვის და მისი ხვალისდელი კეთილდღეობისათვის კეთდება!

ჯერ არ მომკვდარა, კვლავაც ცოცხლობს და მომავალშიაც ცოცხლებს ხელოვანის სული, ბაღებისა და ბუღვარების ხასხასა სიმწვანეში ჩაფლული, შადრევნების კამკამა აუზებში ამოკაშკაშებული. ვარდისფერი ერევანი ოცნებაში პირველმა რომ დაინახა. არც შეეძლო არ დაენახა, რადგან ის მონატრებულ სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული დიდი ალექსანდრე ტამანიანი იყო!

მაგრამ საქმე მართო შთაგონებული არქიტექტორები და მხატვრები, მშენებელი ინჟინრები, სხვადასხვა სპეციალობის მოხელეები და ქვითხუროები როდია. სრულიად უდაბურ ალაგას ერთგული ტყე-პარკის გაშენებას, უდაბნოში სიცოცხლის წყაროს ამოჩუჩხუბებას ათასობით და ათი ათასობით დამხმარე მუშახელი ჰპირდებოდა. ჰპირდებოდა და გაჩნდა კიდევაც! ერევნიდან და მისი უახლოესი დაბაქალაქებიდან, მიუვალ მთებში შეყუყული სულ უშორესი სოფლებიდანაც კი ქუღზე კაცი გამოვიდა და ეროვნული ლაშქრობაც გაიჩაღა. ამუშავდნენ მექანიზმები, ეკვეთნენ მთის ქანებს მძლავრი მიწისმთხრელი მანქანები, ხრიოკ ბორცვებს ათობით ბუღვარები და გრეიდერი შეესია. უზარ-

მაზარ კრაზებს არარატივს ველიდან მოჰქონდა ფხვიერი მიწა, მთაწარმისაგან წინასწარ გაშენილი ადგილების გასანოყიერებლად და მცენარეულობის გასაშენებლად ვარგისი ნიადაგის შესაქმნელად.

ეს რომ წარმოვიდგინე, ასე მეგონა, მეც იქ ვიყავი და ბედნიერებისაგან გულაჩქროლებული, ხელებდაკაიწებული ჩემი სამშობლოს მომავალს ვაშენებდი.

გვეორქ ნაჩატურიანმა შეუცდომლად იგრძნო, რა სულიერი მდგომარეობაც დამეუფლა, როდესაც ვერ კიდევ ნორჩი, მაგრამ ლალად ნაზარდი კედრებითა და ცაცხვებით დაჩრდილული ეროვნული ტყე-პარკის ტერიტორიაზე ფეხი შევდგივით, და შეფარული სიამაყით მკითხა:

— მოგწონთ? ნამდვილად? ნეტა განახათ, რა იყო. ეს სულ ჩვენი ხელით გავაკეთეთ! — და თავის ნაზ, ინტელიგენტურ ხელებზე დაიხედა. მეც დავბედე ამ ხელებს და ყელში გორგალი მომეძვინა, ცრემლი მომერია. ეს სიხარულის და კიდევ რაღაც სხვა აუხსნელი გრძნობით გამოწვეული ცრემლი იყო. ჩემი ახალგაზრდა თანამგზავრი ისე გატაცებით ათვალეირებდა იქაურობას, ისე გაჩქარებული და აღელვებული დამატარებდა, თითქოს პირველად ზედავდა და მისი ცქერით ვერ გამძღაროყო.

მემორიალი, ბაზალტის დიდრონი დიდრონი ფილებით მოგებული ვრცელი ოთხკუთხა მოედანი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ასეულ ათას ადამიანს დაიტევს და რომლის საწინააღმდეგო ბოლოშიაც წვერწამახული და, თითქოს მეზი დასცემიო, ძირიდან წვერამდე შუაზე გახლეჩილი გრანიტის ობელისკი აღუშართაჟო. მთის მოსწორებულ თხემზეა გაშენებული. ორად გახლეჩილი ობელისკი ერთის მხრივ სომეხთა სამშობლო ქვეყნის ორი სხვადასხვა ნაწილის ერთიერთისაგან საბედისწერო გათიშვის საშუალო ფაქტზე მიგვანიშნებს, მეორეს მხრივ კი იგი ხალხის გაუტეხელ

სტუზე, ხვალინდელი დღის იმედზე და ბრძოლისა და აღმშენებლობის დიად მისიაზე ღალადებ.

რა იქნებოდა, სასწაული მომხდარიყო და გენოციდის მომწყობ მსალო კაციტაშებებს დღევანდელი ერევანი და სომხეთი ენახათ! მაშინ მაინც ჩახვდებოდნენ, ვის წინააღმდეგ აღმართეს ჩელი? არა მგონია. ისტორიამ მათ ვერაფერი ასწავლა, თორემ სასწავლი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი მაშინაც ბევრი ჰქონდათ. თითოეულს მხოლოდ ბოღმა შესძრავდა და ახალი გულისწყრომით აღავსებდა, რომ დიდი ერის უკვდავებასთან ყასბის დანითა და მკვლელის იატაკანით ვერაფერს გახდნენ და პირისაგან მიწისა მთელი ერის წარხოცვის ბინძური ზრახვა საფლაგში უიმედოდ ჩაიყოლეს!

ობელისკს რომ გასცდები, ნაცრისფრად მოლაპლაპე ბაზალიტის მოედნის იმ მხარეს, რომელიც რაზდანის მიხვეულ-მოხვეულ მწვანე კანიონს და ვარდისფერი ქალაქის წყალგაღმა უბნებს გადაჰყურებს, ბაზალტისავე განიერსაფეხურებიანი კიბით საკმაოდ ღრმა ხელოვნურ ტაფობში ჩახვალ. აქ, თანდათან ამაღლებულ მარმარილოს კვარცხლბეკზე, უჭრობი ცეცხლი გიზგიზებს იმათი მარადიული ხსოვნის უკვდავსაყოფად, ვინც იმ საზარელი გენოციდის დროს დაიღუპა. უჭრობი ცეცხლის ირგვლივ, რკალად, მიწაში ღრმად ჩადგმული დგანან ზღაპრული დევებივით ღონიერი და შიგნით ზვიადად გადმოზნექილი პილონები, რომლებიც მარმარილოს კვარცხლბეკთან და მემორიალის მთელ დიდებულ ნაგებობასთან ერთად მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან. პილონები განასახიერებენ თურქეთის ვილაიეთებს, ოდესლაც, ჩვენი წელთაღრიცხვის გარეყრაყზე, დიდი სომხეთის სამეფოს შემადგენელ პროვინციებს, სადაც უხსოვარი დროიდან და გენოციდის შავ-ბნელ დღეებში სომხები ცხოვრობდნენ და კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს ხოცვა-ჟლეტაში მსალო მტარვალეების ხელით დაიღუ-

პნენ. ჟღერს კომიტასის რეჟიმი, სივრცე ურთოლვისმომგვრელი სამშლო-ვიარო მელოდით იესება და ყოველი აქ მყოფი სომეხი მაჟულიშვილის გულს, ისევე როგორც ყოველი კაცთ-მოყვარე ადამიანის გულს, ვისთვისაც ძვირფასია სხვისი სიცოცხლე და დღე-გრძელობა, ხელახლა იპყრობს განუზომელი სევდა და მწუხარება.

არა, არასოდეს არ მომუშდება ეს საუკუნოდ დამჩნეული ჭრილობა სომხეთის გულში, არასოდეს, ვიდრე ერთი სომეხი მაინც დააბიჯებს ცოდვითა და მადლით სავსე დედამიწის ზურგზე, ეს საშვილიშვილო ტკივილი არ განელდება და არც გულების შემაკავშირებელი გლოვა მოიშლება.

ყოველი წლის 24 აპრილს, გენოციდის დღედ რომ არის მიჩნეული, აქეთ, წიწყრნაქაბერდის პლატოსაკენ, დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი მარადიული ცეცხლის წინაშე მუხლის მოსადრეკად მოემართება სრულიად სომხეთი, ჩამოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და უცხოეთში მცხოვრები ათასობით და ათი ათასობით მათი თანამეჟაჟე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, ჟღერს კომიტასის სულის ამაღლებელი მუსიკა, მოდიან, მოაქვთ თაიგულები და გვირგვინები, თუნდ ერთადერთი მიხაკი, ვისაც რა შეუძლია. უზარმაზარ ეროვნულ პროცესიას, რომელიც ასეულო ათასობით ადამიანისაგან შესდგება, წინ მოუძღვის სომხეთის მთავრობა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, საპატიო, მათთვის საგანგებოდ მიჩენილ ადგილზე ასვენებენ თავიანთ გვირგვინებს, მოდის სამღვდელთა ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქ ვასგენ პირველის წინამძღოლობით, მოდიან მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები, აქაურნი და უცხოელნი, შემოქმედებითი კავშირები — მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი, მშრომელები, სტუდენტები, სამშობლოს, თავისი გვარისა და მოდგმის, მშობლიური დედაენის უქ-

რობი ცეცხლით გულანთებული მოსწავლე ახალგაზრდობა, მოდის ყველა, ვის გულშიაც ლამპრად ანთია უთვალავ ცეცხლსა და წარღვნაში გამოვლილი სამშობლო, მისი აწმყო, მისი მომავალი. აქ არავენ არაფერზე ლაპარაკობს, არავენ არავეთარ ფიცს არ დებს. ეს საყოველთაო საზეიმო მღუმარება, უზარმაზარ ქვის მემორიალს და მთელ წიწვრანაქაბერდის მთას რომ დაუფლებია, ყველაფერზე უკეთ მეტყველებს, რამ მოიყვანა ეს ზღვა ხალხი აქ, რა უძლეველმა ძალამ შეკრიბა ერთსულად და ერთხორცად.

ბაზალტის ნაცრისფერი ფილებით ოსტატურად მოგებულ მოედანზე რომ შემოვდიოდით, კუთხეში სომხურ წარწერას მოგვარი თვალი, დამაინტერესა, რა უნდა ყოფილიყო და გვეორქს ვკითხე, რა წერია-მეთქი.

— წერია, რომ ეს არის ზონა, სადაც პაპიროსს არ ეწევიან, — მომიგო მან.

ვინ მოწევს! ვის შეუძლია აქ თავისი თავი და პირადი ინსტინქტები, თუნდაც პაპიროსის მოწევა გაახსენდეს, აქ მხოლოდ სამშობლოზე და ყოველივე ამქვეყნიური ჭუჭყისაგან განწმენდილ უზენაეს იდეალებზე ფიქრი შეიძლება!

შარშან, 1985 წლის 24 აპრილს, გენოციდის 70 წლისთავი შესრულდა. მრგვალი თარიღის გამო სამგლოვიარო ზეიმმა აქამდე გაუგონარი ფორმა და მასშტაბები მიიღო. ბევრმა ვინმემ ვერ შესძლო დღის პირველ ნახევარში წიწვრანაქაბერდის წმიდა მთამდე მიეღწია მიუხედავად იმისა, რომ ვიდრე სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში შემოვიდოდა, ზღვით, რკინიგზით თუ თვითმფრინავით ათასობით კილომეტრი გამოიარა.

ესენი ხომ იმ ბედნიერთა პირდაპირი შთამომავლები და უახლოესი ნათესავები არიან, ვინც სისხლმოწყურებულ მტარვალს უკანასკნელ წუთს ხელიდან გაუსხლტა და სიცოცხლის გადასარჩენად მეზობელ ქვეყნებს მი-აშტრა, აქედან კი ბედმა თუ უბედო-

ბამ ისევ აპყარა და სამშობლოს მონატრებულ მთა-გორებს კედევ უტრო დააშორა. იქ იქნებ ყისმათმა გაუჭრათ, ხელიც მოიმართეს, ბუნებრივი ნიჭიერებისა და ყოველი სომხის დამახასიათებელი გულმოდგინების წყალობით სიმდიდრეც საგრძნობი შეიძინეს, მაგრამ რას აქნევენ აბა იმ სიმდიდრეს, უკეთუ შინ, მშობლიურ სომხეთში ვერ მოიხმარენ, თუ მათი ნაშრომ-ნაღვაწი მშობელ ქვეყანას არ წაადგება.

მთელ დღეს და ლამპიონებითა და პროექტორებით გაჩახახახებულ მთელ ლამეს ხალხი განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა მარადიული ცეცხლისაკენ, მიედინებოდა ისე დაეინებით და გულდაგულ, თითქოს ვილაც სასწაულ-მოქმედი იქ უკვდავების წყალს არიგებდა და ყველას უნდოდა თავისი არჩივი მიეღო.

6

მემორიალიდან როგორღაც დამძიმებული, მაგრამ სულიერად მხნე და ამბლებული გამოვედი. ასეთი გრძნობა გიპყრობს ადამიანს, როდესაც გულში ჩამწვდომ დიდებულ მუსიკას უსმენ, დიდოსტატურ მხატვრულ ქმნილებას უყურებ, ანდა უცაბედად შენს წინაშე ბუნების აუწერელი მშვენიერება გადიშლება. მე თითქოს პირადად დავესწარი ყოველივე იმას, რაც ეს-ესაა მკითხველს შეძლების კვალობაზე მოვუთხრე და კიდევ მეტად განმიმტკიცდა რწმენა, რომ ისტორიულ ქართველებს მხოლოდ ის გამოჩენილი ერები უძლებენ, რომელთაც შინაგანად დიდი ჰუმანიტური იდეალები, სიკეთის უშურველად გაღების უნარი და გაღმერთებული სამშობლოს საკურთხეველზე სიცოცხლის მსხვერპლად მიტანის წმიდა მცნება აერთიანებთ.

— ის მოდერნული შენობა რაღაა? — კვითხე გვეორქ ხაჩატრიანს, როდესაც წითლად მოხასხასე აგურის ფხვნილით მოფრქვეული ბილიკით გზა შევიმოკლეთ, ტყე-პარკიდან გამოვე-

დით და მანქანების სადგომთან ჩვენს მანქანას მივუახლოვდით.

— სპორტულ-საკონცერტო კომპლექსი გახლავთ. ესეც სახალხო მშენებლობად გვქონდა გამოცხადებული და დიდი ხანი არ არის, რაც დავამთავრეთ.

— გამახსენდა. ვარდგესმა მითხრა, იქ ერთი შენობა გვიდგას, თქვენ აუცილებლად მოგეწონებათო.

— უნდა მოგეწონოთ!

— არ შეიძლება, ცოტა ახლოს მივიდეთ?

— რატომაც არა, ახლავე! — გვეორქმა შოფერს ანიშნა, საქვს მიუჭქვიო და მანქანის უკანა კარი გამოაღო, გზა დამითმო.

— აქედან არც ისე დიდი ჩანს, არა და, ვატყობ, რადგანაც კომპლექსია, მოცულობაც შთამაგონებელი უნდა ჰქონდეს!

— მართალია. ეს სხვებისგანაც გამოიგონია. რაზდანის სტადიონიც აგრე გეჩვენება, სანამ შიგ შეხვიდოდე, მაგრამ როცა ახლოს ნახავ, მით უფრო, როდესაც შიგ შეხვალ, მაშინ სულ სხვაა!

ჩემი ახალგაზრდა თანამგზავრის მოსაზრება დაზუსტებას არ საჭიროებდა. სპორტულ-საკონცერტო კომპლექსის მოჩვენებით სიბატარავეს მისი არქიტექტურული ფორმების გარემოსთან საკვირველად პარმონიული შეხამება ქმნის და შენობას თავისი ჰემარიტი გრანდიოზულობითა და დამთრგუნველი სიდიადით მხოლოდ მაშინ აღიქვამ, როდესაც წინამოს მხრიდან უშუალოდ მიადგები და თავს მის გარემოცვაში იგრძნობ.

მე არ შეუდგები რკინა-ბეტონის, მინის, პლასტიკატების, ფოლადისა და ალუმინის ამ განუმეორებელი ქმნილების სკრუპულოზურ აღწერას, საამისოდ არც მეხსიერების ძალა მეყოფა და არც განსწავლულობა არქიტექტურის დარგში, მხოლოდ შევნიშნავ, რომ კომპლექსი მთლიანად ტექნიკის უკანასკნელ სიტყვაზე დაფუძნებული მოდერნული სტილით არის აგებული და

თუ უნებლიეთ რისამე ასოციაციას აღძრავს, ისევე ამერიკის, ინგლისის და ბრაზილიის სულ ბოლო დროს აგებულ საზოგადოებრივ სანახაობათა გასამართავ შენობებისას.

გავუსწრებ საკუთარ თავს და ბარემ აქვე ვიტყვი: ამ ტიპის ახალ-ახალი ნაგებობა ერევანში სამად სამია — სპორტულ-საკონცერტო კომპლექსი, საკონცერტო პროგრამისა და სპორტული სანახაობების ერთდროულად ჩატარებისათვის, რომლის წინაშეც ახლა ვიდევით, სამდარბაზიანი კინოთეატრი „როსია“ ქალაქის ცენტრში, რომლის სამივე დარბაზი სამი ათასამდე მაყურებელს იტევს, და საჰაერო ლაინერებისა და მგზავრების საცხები ახლებური მომსახურების პრინციპების მიხედვით აგებული ერევნის აეროპორტი „ზვარტნოცი“ არარატის ველზე. სამივე ეს უნიკალური ქმნილება ახალგაზრდა სომეხ არქიტექტორთა ერთი ჯგუფის პროექტის მიხედვით აშენდა და რაღაც საერთოსა და განზოგადებულს მათ შორის ამ საქმეში გაუთვითცნობიერებული მნახველის თვალც კი ადვილად შეამჩნევს. გადახურვის ორიგინალური კონსტრუქციები თითქოს ჰაერში ჰკიდია და ეს სივრცის რაციონალური გამოყენების სრულ შესაძლებლობას იძლევა. მასიურ კედლებს და საყრდენებს, როგორც ვერტიკალურს ასევე ჰორიზონტალურს, სხვა მრავალ დანიშნულებასაც რომ ასრულებენ, განსაცვიფრებელი პლასტიკურობა და სიმსუბუქე ახასიათებთ.

გული როგორ მოგიტმენს, ყოველივე იმის შემდეგ, რასაც გარედან ხედავ, შეგნით შესვლა და ინტერიერის დათვალიერებაც არ მოიწადინო. შემოვუარეთ აქედანაც, იქიდანაც, კვერცხისა არ იყოს, ღია კარს ვერსად მივაგენით. ჩაგმანულ მინის კარებებს უკან, სარკესავით მოლაპლაპე ვრცელ ვესტიბიულში, კაცის ჰუკანება არ იყო. სად გაიკრიბა ნეტავ ყველა? ნუთუ მართლა არავინ იყო და ეს ამოდენა

ბრწყინვალე სასახლე უმეტეაღყურე-
ოდ მიატოვეს?

— შეუძლებელია როგორ გვეადრე-
ბათ! — დაბეჯითებით განაცხადა გე-
ვორქმა. — მომსახურე პერსონალი
აქედან ფეხს როგორ გადადგამს, ეგ კი
არა, ლამითაც აქ არიან. ამას გარდა,
ათასი გუნდი და წრე მეცადინეობს.
წავალ, ახლავე სასამსახურო შესასვ-
ლელს ვიპოვნო!

მალე დაბრუნდა და წინ გამიძღვა.
გრანიტისსაფეხურებიანიმა ვიწრო კი-
ბემ, ორ ყრუ კედელს შუა რომ იყო
დატანებული, სადღაც ზემოთ, მეორე
სართულის დონეზე აგვიყვანა. შინის
კარი შევალეთ და თითქმის ცარიელი
გარდერობის წინ ამოვყავით თავი. კა-
ჩხებზე აქა-იქ თითო-ოროლა პალტო
და საწვიმარი ლაბადა ეკიდა. სათვალე-
ანი შეგარდერობე დედაბერი, ყველ-
გან რომ ერთნაირები არიან, თავის სა-
სამსახურო ადგილზე იჭდა და გრძელი
წინდის ჩხირებით წინდას ქსოვდა.
ჩვენ სხვა, ლურჯ სამუშაო ხალათში
ტანგამოკრული, თმაშეჭალარაგებულ
შეაკრი ქალი გამოგვეგება და უსიტყ-
ვოდ მოგვაჩერდა, ვინა ბრძანდებით და
რა საჭიროების გამო გარჯილხართო.
გვეორქმა კეფაზე ხელი მოისვა და
სომხურად მიმართა, თან წამდაუწუმ
მოწაფესავით წითლდებოდა. ახლალა
შეენიშნე, მორცხვი ბიჭი იყო, მეტად-
რე შეაკრი შესახედაობის თმაშეჭალა-
რავებულ ქალებთან საუბარი ეკრძა-
ლებოდა. ერთი ორჯერ, თითქოს შვე-
ლას ითხოვსო, ჩემკენ გამოიხედა და
სომხური სიტყვა „ვრაც“ ახსენა, რაც
ქართულ თარგმანში „ქართველს“ ნი-
შნავს. ქალს გამომეტყველება არ შე-
უცვლია, პირქუშად უსმენდა, შემდეგ
სასამსახურო უდისკო ტელეფონს დას-
წვდა და ყურმილი აიღო.

— როგორ არის საქმე? — მე ამით
ვისარგებლე და მასპინძელს, რაღი მე-
ტისმეტ ნერვიულობას ვამჩნევდი, ჩუ-
რჩულით ვკითხე. — იქნებ უდროს
დროს მოვედით და ჩვენთვის არ ცა-
ლიათ? ზედმეტად ნურავის შევაწუ-
ხებთ!

— არა, რასა ბრძანებთ, — მომიგო
მან და ნიშნად იმისა, რომ ყველიფერი
რიგზე იყო, ოფლით დაცვარულ მუბ-
ლზე ჩამოშლილი ჭიუტი თმის ბლუჯა
ხელის ზურგით უკან გადაიგდო. — ეს
ქალბატონი კომენდანტია და ახლა დი-
რექტორს ელაპარაკება. მისაყვედურა,
რატომ ადრე არ შეგვატყობინეთ, მო-
ვეშხადებოდით, როგორც საჭიროო.
ახლავე ექსკურსიამძღოლს ჩამოგზავ-
ნიან და ჩვენ მისი თანხლებით შე-
ვალთ!

ექსკურსიამძღოლი, კომპლექსის სა-
ინფორმაციო სამსახურის თანამშრომე-
ლი, გემოვნებით ჩაცმული ოცდახუთი-
ოდე წლის ახალგაზრდა ქალი აღმოჩ-
ნდა, მაგრამ, როგორც მე შევამჩნიე,
კომენდანტისა არ იყოს, გამომეტყვე-
ლების კლასიკური სიმკაცრე და თავ-
შეკავება არც მას აკლდა. მოსალმები-
სას მუხლებში ოღნავ ჩაიხარა, თავი
დაგვიკრა, დირიჟორის ჯოხი ორივე
ხელით დაიჭირა და თანამეამულე გე-
ვორქ ხაჩატრიანს, რომელსაც, ეტყო-
ბოდა, კარგად იცნობდა მისი კრიტი-
კული წერილებით, რაღაც უთხრა სო-
მხურად.

გვეორქს გაელიმა და მაშინვე მე მო-
მიბრუნდა:

— გვეკითხება, რომელ ენაზე ინე-
ბებთ საუბარსო.

— სხვა სიყეთესთან ერთად იქნებ
ქართულიც იცის? — ჩემი მხრივ ახლა
მეც გამელიმა.

— არა, ევროპული ენების სპეცია-
ლისტია.

— რომელ ენებს ფლობთ?

— ინგლისურს, ფრანგულს, გერმა-
ნულს, ცოტა ბერძნული, იტალიური
და ესპანურიც მეხერხება, გაქცეულს
მოვაბრუნებ.

— ღმერთო ჩემო! სად ისწავლეთ
ამდენი ენა?!

— სად? აქ, ერევანში! ენის სწავლას
რა უნდა, მთავარია, არ დაიზარო და
თავი რეჟიმში ჩააყენო. მაშ, რუსულად?

— რასაკვირველია გარდა მშობლი-
ურისა და რუსულისა, მე და გვეორქ-
მა, სამწუხაროდ, სხვა ენა არ ვიცით!...

ქალმა იმწამსვე უკუაგლო ოდნავ მსუბუქი ტონი და უზადო რუსული გამოთქმით დაიწყო ლაპარაკი. სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა და დროდადრო დირიჟორის ჯოხს იშველიებდა. ხელოვნებისმცოდნე სპეციალისტის მიერ შედგენილი ტექსტი ეტყობოდა, ზეპირად იცოდა, მაგრამ შენ მაინც ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, რომ ყოველი სიტყვა შენს თვალწინ, სწორედ შენთან სასაუბროდ, ცოცხალი შთაბეჭდილების გადმოსაცემად იზადებოდა, მოსათხრობი და საჩვენებელი კი აქ ზომიანე მეტი იყო.

მე, ალბათ, აქაც გამიჭირდება რისამე აღწერას შევეცადო, რადგან სპორტულ-საკონცერტო კომპლექსი თავისი ფორმებით, კიბეებით, ლიფტებით და უამრავი სხვა რამით, რის გახსენებაც და ერთმანეთის გვერდით მოთავსებაც ძალიან ჭირს, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ნუთუ ეს ჩვენმა თანამედროვე არქიტექტორებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა და მრავალი სხვა პროფესიის ადამიანებმა ჩვენს დროში, ამ უახლოეს წლებში გააკეთეს? დიახ, სწორედ ასე მოხდა! იქნებ მათი ავტორები სადმე ტროლეიბუსიც შეგხვდნენ და ჩვენი ყურადღება გერაფრით მიიქციონ, იქნებ ჩვენი ფეხბურთელების მატჩზეც სტადიონზე გვერდიგვერდ ვმჯდვართ და ერთად გვიყვირობ. მე მათი გვარები გამოვიკითხე და უბის წიგნაკში საგულდაგულოდ ჩაიწერე. მეგონა, აქ რალაც ჯადო იყო, გვარები რალაცას ამიხსნიდნენ, რალაცას მეტყობდნენ, აქამდე დაფარულ საიდუმლოს გამიხვლდნენ. არა, აქ არავითარი ჯადო და საიდუმლო არ არის, სრულიად ჩვეულებრივი ამბებია. იი, ის გვარებიც: აკოფიანი, თარხანიანი, პოლოსიანი, ხაჩიციანი, მუშელიანი. ეს არქიტექტორები გახლავთ, ვის ფანტაზიაშიაც ეს ხელთუქმნელი ქმნილება დაიბადა. მათთან ერთად შენობის პროექტზე მუშაობდნენ კონსტრუქტორები აზიზიანი და ცაგურიანი.

შენობის საშენი ქვა — ტუფი, რაკაკირველია, ადგილობრივი წარმო-

შობისაა, მშენებლებიც, კონსტრუქტორველია, სომეხი ქვითხრატებშიც და მომპირკეთებლები, მემარტურეები, დურგლები, მემარკეტეები, ელექტრიკოსები და მექანიკოსები იყვნენ; მარტო ზოგიერთი ძვირად ღირებული მოწყობილობა და დანადგარია დამზადებული საზღვარგარეთ — იაპონიასა და ფინეთში, საფრანგეთსა და ბელგიაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში, ოღონდ იმ ესკიზების მიხედვით, რომლებიც კომპლექსის პროექტის ავტორებმა შეადგინეს და, თანახმად მოლაპარაკებოდა, შესასრულებლად უცხოეთის შესაბამის ფირმებს ვაუზგავნეს.

არსებითად აქ ორი, კონცერტებისა და სპორტულ სანახობათა გასამართავი, საარაკო აკუსტიკითა და ყველა თანამედროვე ტექნიკური საშუალებით აღჭურვილი დიდი დარბაზია, რომლებიც ერთად ექვსი ათას მაყურებელს იტყვენ, მაგრამ ამით გარდა შედარებით წვრილ-წვრილი დარბაზები, მაყურებელთა ამფითეატრებითურთ, თვით ფორიდან დაწყებული, კიდევ რამდენიმეა.

ბევრ სხვათაგან ამ საკვირველ ნაგებობაში, საუკუნის ოთხმოციანი წლების დალი რომ ასეა, გვხვდება ერთი სიახლე, რაც აქამდე არსად მინახავს და არც არსად, თუმცა მთელი ევროპა ფეხდაფეხ მომივლია, გამიგონია. ის სიახლე მიღწეულია ერთი მხრივ საკონცერტო და მეორე მხრივ სპორტული დარბაზის უკანა კედლის თავისებური მოწყობილობით. იგი მათ სავართო აქვთ. ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც უკანა კედელთან შემერთებულია მოძრავი სექტორი, რომელზედაც ათასობით მაყურებლის რბილი სავარძელია დამაგრებული. იმისდა მიხედვით, თუ სად იგრძნობა მაყურებელთა სიჭარბე, საკონცერტო თუ სპორტულ დარბაზში, უკანა კედელი, მოძრავი სექტორითურთ, ათობით ტონას რომ იწონის, თავის ღერძზე შემობრუნდება და დარბაზი რამდენიმე ათასი მაყურებლის მოსათავსებელი ადგილით შემცირდება ან გა-



იზრდება. და მერე რა უბრალოდ და უდავიდარაბოდ ზდება ეს! საკმაოა დილაკზე თითი დააჭირო და სასწაულიც მოხდება. შექანიზმები კოსმოსურ ხომალდებზე დადგმული ავტომატების სიზუსტით, მცირეოდენი შეფერხების გარეშე მუშაობენ... მოფიქრება და გაბედვა არ გინდა? ვინ დაგიდგება თავდებად, რომ არ ჩაფლავდები? საქმე განა მარტო სანახაობაზე დასასწრებად მოსული მაყურებლის ინტერესია. ჩემი ღრმა რწმენით, თუ მკრეხელობად არ ჩამომერთმევა, სომეხმა არქიტექტორებმა, კონსტრუქტორებმა და ტექნიკოსებმა, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობების დემონსტრირებაც განიზრახეს და წარმატებითაც გაართვეს მას თავი. სწორედ ტუღელ მეიარაღეთა ფილიგრანული ოსტატობა გაგონდება, ოქროს რწყილი რომ დაჭედეს და შეჯიბრში გამომწვევთ თავიანთ მეტოქეებს საზღვარგარეთ გაუგზავნეს!

ახლა მოედნები, სადაც კალათბურთის ან ფრენბურთის მატჩები და ყინულზე ფიგურული სრიალის წარმოდგენები იმართება? სულ ცოტა დროა საჭირო იმისათვის, რომ ვეება მოედანი, რომელზედაც ეს-ესაა კალათბურთის თამაშობდნენ, თითქოსდა ჯადოსნური კვერთხის შეხებით ყინულის სქელი აკვით მოისარკოს და სასწაულებს უკვე შეჩვეული ერევნელი მაყურებელი ახალი სპორტული პაექრობების მოწმე გახდეს.

რა სიტყვები ეყოფა ინტერიერის ყველა უჯრედში გამეფებული წესრიგის, ცინცხალი ფერებით მოლაპარაკე

გრანტიცისა და მარმარილუქი და ვერსალისა და სან-სტუაზის ბის ხელით დაგებული მხატვრული პარკეტის, ოქროსფრად მოელვარე უთვალავი შანდლებისა და კანდელარების, კიბეებისა და ლიფტების აღწერას. მშენებელთა ხელოვნებას და სიყვარულს თავისი საქმისადმი, ჩანს, არც იმათი მოწადინება და დაკისრებულ საქმისადმი პასუხისმგებლობა ჩამოუვარდება, ვისაც ხელში ცოცხი და ჩვარი უჭირავს და აქაურობის მოვლა და თვალის ჩინივით გაფრთხილება აქვს მინდობილი. მომსვლელის მაღლიერება და მოწიწება მათაც სხვების თანაბრად ეკუთვნით, ვინაიდან ადამიანების მიერ გაწეული ღვაწლი მარტო იმით არ განიზომება, ვის მეტის გაკეთება არგუნა ბედმა და ვის ნაკლებისა, არამედ იმითაც, თუ ვის რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა და რა გავაკეთეთ.

— მაგრამ ის, რაც და როგორც თქვენ გვაჩვენეთ, ქალიშვილო, — ვუთხარი მე ჩვენს მკაცრ ექსკურსიამძღოლს გამომშვიდობებისას — ყოველივე ამის გაგრძელება და დავირგვინება!

— გმადლობთ, — მიბასუხა მან და ფერმკრთალი ლაწვები შეუფაქლდა. — მობრძანდით კიდევ, თუნდაც ამ სალამოს, ესტრადის საინტერესო კონცერტო გვექნება!

— მე ამაზე უფრო განსაკვიფრებელს და სამახსოვროს ვერაფერს ვნახავ, რაც უკვე ვნახე, აქ თუნდაც მთელი მსოფლიოს ყველაზე უფრო სახელგანთქმული საესტრადო ორკესტრები და მუსიკოს-შემსრულებლებიც რომ ჩაამწყრივოთ!

გივი ქნელაძე

წიგნიდან: „ნუგეზინი“

ვნახოთ ერთი — სანამდე!...
ანუ დღეაგის თვლა

ერთი
ორი.
სამი.
ოთხი.
ხუთი.
ექვსი.
შვიდი.
რვა.

რვამდე უკვე დავითვალეთ,
ახლა რიგით მოდის
ცხრა...

ხომ წარმტაცი
საქმე ვნახეთ, —
მივნავარდობთ ადვილად!..
ვთვალთ.
ვთვალთ.

ვთვალთ.

ვთვალთ, —

ვნახოთ ერთი, — სად მივალთ!..

ბედისწერა — ნამდვილია:

იცის, ვის რა ელის!..

დღეების თვლა ადვილია,

წლების თვლაა ძნელი!..

ჯერ არც ისე

ბევრი ვთვალეთ

(ვინ ელოდა ან ამდენს!)

ვთვალთ.

ვთვალთ.

ვთვალთ.

ვთვალთ, —

ვნახოთ ერთი, სანამდე!..

სხვათა გასახარებლად...

მე რამდენიც მირბენია
სხვების დასახმარებლად,
მე რამდენიც მიწვალაია
სხვათა გასახარებლად,

ბუნებრივად,
თავისთავად,
რაც მე კარგი მიქნია,
მაგრამ სამაგიეროზე



რადგან არ მიფიქრია, —
 ღმერთი არ შემეწყვეა?
 არ გამოწვეს ანგარიშს?..
 (ექიმებმა დამიღვინეს,
 სისხლში გაქვსო შექარი...)

თუმცა... ერთი საიდუმლო
 იცით, ჩემო ძმებო?
 (მე ამაზე იგავეურად
 მოგახსენეთ ზემოთ!..) —
 თურმე, ღმერთიც ყოვლისშემძლე
 არ ყოფილა სრულიად:
 თურმე, ვერ გადაიფიქრებს,
 რაც ჩაფიქრებული აქვს!..

„სადაც არის ბედი შენი —
 იქ მიგიყვანს ფეხი შენი...“

მინც... მინც ვირბინოთ
 სხვათა დასახმარებლად!..

ვიცხოვროთ და ვიღვაწოთ
 სხვათა დასახმარებლად!

კაცს რაც შუბლზე აწერია,
 იმას ვერ გარდაუვა,
 მაგრამ... ყველი კაცურობას
 არასოდეს გაუვა!..

ხვეწნა-ლოცვით რა გამოვა
 (ეს საკითხი რთულია!..
 ღმერთიც ვერ გადაიფიქრებს,
 რაც ჩაფიქრებული აქვს!..

უბილავში გულისხმობენ
 უსასრულო არეალს...
 თვალბილული, — დაბლა — მიწა,
 მაღლა — მზე და მთვარეა!..

სულ ტყუილი ქიჩავია
 ამ საქმეში ჩარევა...
 სანამა ხარ, უნდა იყო
 სხვათა დასახმარებლად!..

ჩემს სადგურსაც მიაყვირა ჩქარამ მატარებელმა!..

ამ ოხერმა ათასი სხვაც
 დაღუპა და დაცოხნა...
 ჩადიხარ თუ არ ჩადიხარ, —
 ამოიღე, კაცო, ხმა!..

გასავლელი გავიარეთ,
 ახლა რა სადგურია?..
 ალბათ, არსად აწერია,
 „— ჩასვლა აკრძალულია!..“

...დასაღუპი,
 დასაცოხნი —
 გაღუპა და დაცოხნა!..
 ჩადიხარ თუ არ ჩადიხარ, —
 ამოიღე, კაცო, ხმა!..

ნუ ხარ გადარევაზე და,
 ნუ ხარ გაშტერებაზე!..
 — გამატარეთ, —
 მე ჩაედივარ
 შემდეგ გაჩერებაზე!..

ზოგჯერ ნეე-ზეე,
 ზოგჯერ ტყე-ტყე

ზოგჯერ მთა-მთა მრებელი, —
 მიპქრის ჩქარი,
 ჩქარზე-ჩქარი,
 ჩენი მატარებელი!..

გასამარგლი გამარგლა და
 გასათოხნი გათოხნა!..
 თვარ ჩადიხარ — გამატარე,
 ამოიღე, კაცო, ხმა!..
 ტყვილა ხომ არ იხარჯება
 მელანი და ქაღალდი...
 ნახვამდის და ნახვამდის და
 ნახვამდის და ნახვამდის!..

რხევით,
 რყევით,
 ტყე-ტყე,
 ღრე-ღრე,
 ზეე-ზეე,
 მთა-მთა მრებელმა, —
 ჩემს სადგურსაც
 მიაყვირა
 ჩქარმა მატარებელმა!..

ცისფერ ნისლში ცურავენ და
 ჩასხასებენ ქუჩები, —
 უფრო — ლედვის ხეებით და
 ბროწეულის ბუჩქებით..

...რა გადაკვრით ვლაპარაკობთ,
 უწნოდ და უნაყოფოდ
 მე ჩავედი! —
 თქვენ ყველანი
 ღმერთმა კარგად გამყოფოთ!..

ღღას — უცნაურად!..

ამოგრუხუნდა —
 მზე გურგურით ამოგრუხუნდა,
 პო, ახლა ჩემთვის,
 ახლა მართლა ამოგრუხუნდა!..
 გახურდა მიწა
 და თვალები ამოუხუნდა
 ირგვლივ ყველაფერს,
 რასაც მწვანე ელფერი ედო!..
 ყოველთვის წყნარად,
 უხმაუროდ ამოდიოდა...
 (ლაშარის გორზე შემომდგარა —
 ამო ლუხუმთან!..)
 ო, ჰყავ სიკეთე, —
 დაგვიფარე,
 დაგვაიმედე,

ღიდსულოვნებას შენსას როგორც
 შეჭფერის, ღმერთო!..
 არა გრუხუნით,
 არა გრუხუნ-გრუხუნ-გრუხუნით, —
 სათნოდ,
 მოყვასად,
 მოალერსედ ამოლამაზდეს!..
 აწ და მარადის, —
 დაირღვევა ოდეს უკუნი, —
 ლოცვა-კურთხევით
 შეხვდეს მიწა
 ამომავალ მზეს!..

 ამ დილით
 კი არ ამოვიდა, —
 ამოგრუხუნდა!..

ისე აქედან ვერ წავალ!..

სიჭაბუქეში შევდივარ,
 თუმც სამოცს მივუახლოვდი...
 ძალა და ღონე მემატვის, —
 ხელი არავინ მახლოდით,
 ძალა-ღონეში ვგულისხმობ
 ჰკუა-გონების მატებას...
 ეს გრძნობა სხვისთვის არც ისე
 იოლად განიმარტება!..
 მე ხომ ჭიუტი კაცი ვარ,
 ვერ მოვისვენებ, ცხადია,

სანამღე ნათლად არ გეტყვით,
 რისი თქმაც ახლა მწადია;
 ერთი რაღაც მაქვს ჩათქმული
 (მიზნის კაცს ვინ არ აქებდა!)
 სანამ არ ამისრულდება —
 ფეხსაც არ გავდგამ აქედან!
 დიდ რამეს თუ არ ესწრაფვი,
 ისე წინ ნაბიჯს ვერ წადგამ... —
 აი, რისი თქმა მინდოდა!
 აი, რისი თქმა მეწადა!..



მე და სიკვდილი

უბედურება ყოველგვარი
 მისგან იწყება, —
 მიჰერს მარწუხებს,
 მეგლისება და მელირწება...
 სამაგიეროს მე ასე ვუბლი:
 ის არ მივიწყებს
 არც ერთი წუთით,
 მე კი... ვახერხებ შიგადაშიგ მის
 დავიწყებას!

ვინ ხარ შენ

„შტონი ისა ვარ!...“
 უილიამ შექსპირი — „ჰამლეტი“,
 „ადამიანი კი გქვია, მაგრამ...
 იქნებ შეტი ვართ რაღაცით კიდევ...“

I

ვინ ვარ მე?!...

ვის უნდა ჰკითხო, —
 ვინ ხარ შენ:

ალბათ — დედას, — პირველ
 ყოველისა!...

დედამ რა იცის, —

დედას იქნებ,

იქნებ კი არა, —

არც მოსვლია ეს კითხვა თავში —

თვითონ ვინ იყო...

რა იყო და საიდან იყო!...

ვის უნდა ჰკითხო, —

ვინ ხარ შენ:

ალბათ, მამას, — პირველ ყოველისა!...

მამამ რა იცის, —

მამას იქნებ,

იქნებ კიარა, —

არც მოსვლია ეს კითხვა თავში —

თვითონ ვინ იყო, რა იყო და საიდან
 იყო!...

დედას ან მამას რომც შესძლებოდათ

პასუხი გაეცათ

ამ ახირებულ, უწინო კითხვაზე:

— „ვინ ვარ მე?...“, —

გვიანლა არი, —

ახლა ისინი არაფერი აღარ აზიან!...

არც დედა ჩემი, არც მამა ჩემი, —

აღარაფერი აღარ არიან!...

...სადღაც ვარსკვლავი მოსწყდა
 და ბნელ მიწაში ჩაეშვა მძიმედ!...
 კაბადონს

ო, რამხელაა, რა ვეებაა

ქვეყნიერება! — ზესკნელ-ქვესკნელი!...

მზე — აგერაა! — ხელის წვედენაზე!...

იქ, იქ რა არის, — მზეთა აღმა!

მზეთა გადალმა!

გამოლმა!

გალმა — ეჭეჭეჭეუუ!...

...ამასობაში ცერზე დამაჯდა

(ბალახებში ვარ!...), ამასობაში

ცერზე დამაჯდა ჭიამაია, —

პაწაწკინტელა, საცოდავი ჭიამაია!...

— დარია თუ ავდარია?...
 — რა ვარ მე!...

— დარია თუ ავდარია?...
 — ვინ ვარ მე!...

— ეს რა გუგუნ-დგანდგარია?...
 — რა ვარ მე!...
 — ქვეყანა რამ გადარია?...
 — ვინ ვარ მე!...

ბალახის ღეროს
 პაწაწინა მწერი რამ ღრღნის
 და... ხეთა თავზე
 თვითმფრინავემ გადიგრილა!...

ცენტი ვარსკვლავი
 ცის კაბადონს მეორეც მოსწყდა
 და ბნელ მიწაში ჩაეშვა მძიმედ!...

...ალარც დედა ახლა ჩემი
 და ალარც მამა!...

მაინც:
 — ვინ ვარ მე?!...
 ვილას ვკითხო,
 ვინ გამცემს პასუხს!...
 კითხვით ამას ყველა კითხულობს,
 პასუხის მოქმელი კაციშვილი არ ჩანს,
 რატომღაც!...

შენ ვინა ხარ და ის ვინ არის, —
 ათასჯერ ითქვა!...
 დამაჯერებლად,
 ღრმბაზროვნად და ხატოვნადაც!...
 შენ ვინა ხარ და ის ვინ არის, —
 როგორ არ ითქვა!..
 მე უნდა აეხსნა
 ჩემი ტანი და ჩემი სული:
 — მაინც ვინ ვარ მე?..

მზეთა ჩრდილში და მზეთა მიღმა
 გრიალ-გრიალი გაუდის და გრგვინავს,
 დგანდგარებს
 დრო, — გარდაუვალ-გარდამავალი!...

ბალახის ღეროს
 ნაცრისფერი,
 პაწია მწერი
 ღრღნის და წრიბინებს, —
 წკრრრრ!... წკრრრრ!..

მაინც, — ვინ ვარ მე?...
 ან — მითხარი,
 ანდა — მე გეტყვი!...

II

ავიღე მზე და შევხებთქმე
 სამყაროს კედლებს
 (ეს — სხეული!...)

კენესას როგორ ჰგავს
 ბულბულის ხმა, —
 სიმღერით ნათქვამს!...
 (ეს — სული!...).

III

თითქმის ყველაფერს —
 სულ ადვილად გასცა პასუხი
 ჩვენმა რუსთველმა,
 მაგრამ... ვერ თქვა:
 — ვინ იყო იგი!...
 მე კი —
 რუსთველთან ვინ ოხერი ვარ,
 და მაინც, მაინც...
 ჩიუტად და მეცხრედ ვკითხულობ:
 — ვინ ვარ მე?...

... იქ, —
 უსახელო მზისმიღმეთში, —
 მილიონობით წლის სავალზე
 ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს
 და ნამსხვრევები
 მილიარდობით წლების შემდეგ
 მიწაზე ცვივს!...

...პაწაწა მწერმა
 ძლივს გადალრნა ბალახი მცირე
 და კმაყოფილმა მიიძინა
 თავწახერხილი ბალახის ძირში, —
 ამაყი ძილით!...

IV

— დარია თუ აედარია?...
 — ვინ ვარ მე!...
 — დარია თუ აედარია?...
 — რა ვარ მე!...
 — ქვეყანა რამ გადარია?...
 — რა ვარ მე!...
 — ეს რა გუგუნ-დგანდგარია?...
 — ვინ ვარ მე?...

V

შენ ისე იცინი,
 ვითომ იცოდე:
 — ვინ ხარ შენ?!...

ეხუთქებიან პლანეტები სადღაც
 ერთმანეთს
 და ახალშობილ კრატერებში
 ლუღლუღებს ლავა!...

...ვინ ხარ შენ?!...

პაწაწა მწერმა გაიღვიძა
 და მადიანად შესრუპა
 გადახერხილი თუ გადაღრღნილი
 ბალახის ფესვზე,
 ვარდისფერ ფესვზე შემონახული
 კრიალა ნაში...
 ...ვინ ვარ მე?!..

ვთქვათ და,
 სუყველამ ერთად ვიკითხეთ:
 „— ვინ ვართ ჩვენ?!...“, —
 მაშინ რაღა ვქნათ,
 მამალმერთის იმედზე ვიყოთ?
 ვინ გაგვეცემს პასუხს ამ კითხვაზე,
 როცა სუყველას თავად აქვს კითხვა:

„— ვინ ვარ მე?!...“

„...ადამიანი!...
 ადამიანი! —

დავირქვით ჩვენ თუ...
 ადამიანი კი გვეკვია, მაგრამ...
 იქნებ მეტი ვართ რაღაცით კიდევ!...“

აი, პასუხი, — (ძიახლოვეებით!...)
 ამოკითხული ერთი ძველი ჩემი
 ლექსიდან!...

შენ ისე იცინი,
 ვითომ შენ იცოდე, —
 — ვინ ხარ შენ!...

VI

ტელეფონის ხმა:
 — ალო!
 — ალო!
 გივი ბრძანდებით?!...
 — დიახ, გივი ვარ!...
 — რომელი გივი!... ალო!... ვინ გივი!...
 — ეგ რომ ვიცოდე,
 რომელი ვარ, ანდა ვინა ვარ,
 შე კაი კაცო, რაღა მიჭირს...
 მაინც ვინ გინდათ!...

...კაცმა იფიქრა:
 ეს ვილაცხა, უსათუოდ გივიას და...
 სხვაგან დარეკა!..

აღბათ, ის კაცი რიხით ეტყვის მას:
 „— კი, მე ვარ, მე ვარ, მე გახლავართ,—
 აფრასიონი!...“

მარი აბრამიშვილი

• • •

ილია!
აკაკი!
ვაჟა!

ვაშა, მეცხრამეტევე, ვაშა!
რაც შეეხება მეოცეს —
ოცდამეერთეში ნახავთ.

რუსთაველის ახსოვს პროსპექტს


პოეტი რომ პოეტს
შეხვდებოდა უწინ,
ახალგაზრდა იყო იგი
თუ მოხუცი,
აუწყობდა ნაბიჯს,
არც ჰკითხავდა: საით?
ლექს ეტყოდა უმალ —
გამარჯობასავეით.
პოეტი რომ პოეტს
ეწვეოდა სტუმრად,
აქაც ლექსი იყო
მათი ლხინის სუფრა.
შეჯიბრი რომ ჰქონდათ
აქ თბილისის მგოსნებს,
ახსოვს, კარგად ახსოვს
რუსთაველის პროსპექტს.

მათ ლექსებს რომ ჭარში
ზეპირობდნენ აღრე,
ის ფოთლები, ვაგლახ,
დასცვენიათ ჭადრებს.
დასცვენიათ, მაგრამ
ჩვენ ხომ გვესმის, ძმებო,
იმ დღეგრძელი ლექსით
თქმული სადღეგრძელო?
ამ პროსპექტზე ახლა
ლექსის მთქმელი ვინ ჩანს,
თუ არ ტრიბუნიდან
გადმომდგარი ყინჩაღ?
რა კოცონიც ენთოთ
აქ თბილისის მგოსნებს,
ახსოვს, კარგად ახსოვს
რუსთაველის პროსპექტს.

პირისპირ

შენც — ამაყი,
მეც — ამაყი —
ერთხელ შევხვდით
პირისპირ;

შენც გიყვარდა,
მეც მიყვარდა,
ჩვენი იყო თბილისი!
აღარ მახსოვს,



ძლიერ გეწვავდა,
მგონი იყო ივლისი, —
მე ვფიქრობდი:
...ან მუნჯად
ნეტავ, სანამ ივლის ის?

შენ ფიქრობდი:
...ნომ მოვხარე, *ეროვნული
გინგლირთეკა*
მგონი უკვე ტირის ის, —
შენც ამაყი, მეც ამაყი —
ერთხელ შევხვდით
პირისპირ.

• • •

როცა სიყვარული თავდება,
ან სინანულად იქცევა,
ან სიბრაღულად იქცევა,
ან შურისგებად იქცევა...
უკან შეიძლება მოიხედოს,
დაბრუნებით კი
არასოდეს
არ დაბრუნდება.

სინანული — ცუდი რამ არის!
სიბრაღული — კიდევ უარესი,
შურისგება კი ორჯერ სიკვდილია.
ნუ გათავდები, სიყვარულო
ნუ გათავდები!
არ გათავდე, სიყვარულო,
არ გათავდე!

• • •

ისე გავყურებ წლებს
სიყმაწვილის,
როგორაც უფსკრულს,
სადაც ნატვრისთვალი ჩამივარდა.

და როცა მის ჭავრს
თან გადავყვები,
ცა აირეკლავს ბრწყინვას
შორეულს
და გამოჩნდება ჩემი ვარსკვლავი.

მოლოდინის სკამი

თითქოს აქეთ მოდიოდა ვიღაც,
მომეყურა ნაბიჯების ჩქამი,
მომეჩვენა, თითქოს
რალაც მკითხა,
ისე შეკრთა მოლოდინის სკამი;

უფროსი ჩიტი —
ჩემი გულიც შეკრთა,
გადალაზა მოთმინების მიჯნა, —
ნაბიჯებმა ჩაუარეს ჩემს კარს,
სკამზე ისევ მოლოდინი
იჭდა.

• • •

გწევარ.
არ მძინავს...
ღამის კედელი
ჩემს ნათელ ხატებს

გარშემო უვლის
და სიბნელეში გამოკეტილი
ობოლ კნუტივით
კრუტუნებს გული.

არ მძინავს,
როგორ ენახო სიზმარი —
ვითომ ქარივით დავეჭრებარ
შინდერად.

რა გინდა, გულო? *არცინული*
საქმეც ის არის, *ზიზღილითიქვს*
რომ არაფერი
შენ აღარ გინდა.

• • •

თავო ჩემო, რა გისურვო,
რა ბელი საგანგებო?
ბედო ჩემო, თავგასულო,
ბედისწერით ნაგებო;
გულო ჩემო, დაისრულო.

იმას სჯერბარ, რაც გერგო,
სულო ჩემო,
ტყბილო სულო,
სევდის ჩიტის ნაქენყო...


პასუხი კითხვაზე — როდის ვნარ ლექსებს

ლექსის საწერად ვინ დამსვამს
დღისით,
შადევს ოჯახის შიშვე ხუნდები,
სიკვდილისაგან
ღამე თუ მიხსნის,
როცა საკუთარ თავს ვუბრუნდები.
გადაღლილ თვალებს დაეხუჭავ —
თითქოს
მეც მთელი ღამე მკედრულ ძილს
ვუნდები,
რას ეტყვიებენ, არ მესმის ვითომ
ღამის ჩიტები —
ვარსკვლავთ გუნდები.

ციურ გალობას მოვტაცებ
ბგერებს,
ბეღო რომ დავატებო ძილისგუნდები,
ჩემს სიმართლევს ამოვიმღერებ
ღა —
მთელი ღამე არ დავდუმდები.
დავიტანჯები და ტანჯვის
ნიშანს
ბედნიერების წაეშლი წუთებით
და ფეხაქრეფით შემოსულ რიერაეს
მთვრალი კაცივით ავეყუდები.

სამი უჯრა

მრავალრიცხოვან ამ ჩემს ოჯახში,
ჩემს კუთვნილ სახლში
და არც ჩემს სახლში
ეს სამი უჯრა მეკუთვნის მხოლოდ,
ამ სამი უჯრით ვსუნთქავ
და ვცხოვრობ.
და თუ ვერ ხედავთ თქვენ ცოცხალ
პოეტს,
გაშლილ სივრცეში თუ ვერსად მპოვეთ,
ლექსის ტრფიალო და შვილო ორო,
ამ სამ უჯრაში მიპოვნით ბოლოს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

• • •

ალარაფერი ჩვენ აღარ გვიკვირს —
აღარც ეშმაკი,
აღარც ფერია,
რა უნდა მოხდეს კიდევ ისეთი,
რასაც თავი არ გაუმხელია?

ყველა სასწაულს და საოცრებას
გაუძლო გულმა და მოერია, —
გასაოცარი ის არის მხოლოდ,
რომ საოცარი არაფერია.

ბრუნება

კაცი...
კაცმა...
კაცს...
კაცის...
კაცით...
კაცად...
კაცო, —
ასე ბრუნავს ეს სახელი,

არსებითი, საზოგადო,
რათა ქვეყნად მოვლენილმა
კაცმა კაცის სასო ბადოს.
ასე ბრუნავს ეს საწუთრო,
რომ გაბრუნოს, გაბარბაცოს,
შენ დაუღეპ, შენ გაუძელ,
შენ ივარგე კაცად.
კაცო!

ზამთრის პირი

ფოთოლი ფოთოლს გაეკიდა,
ეგონა, იმან გზა იცოდა
გადარჩენისა;
ქარიშხლისაგან ავიდ მოგლეჯილს,
ჭერ კიდევ ჰქონდა რალაც
იმედი;
ჭერ კიდევ მაინც ჰაერში იყო,
ჭერ ფრენა ერჭვა მის არსებობას

და მიჰყვებოდა ბრმად
მინდობილი
იმას, იმ წინას —
უფსკრულისაყენ.
შიშველი ხე კი იღვა
მოწყენით
და, ვიდრე კაბას შეუქერავდნენ,
თეთრი პერანგით უნდა მდგარიყო.

• • •

როგორ მეიმედებოდი...
როგორ მეიმედები,
ასე შეილებს შეჭხარიან
ამაგდარი დედები;
როგორ გეტრფიალებოდი...
როგორ გეტრფიალები,

ასე მიჯნურს თუ ეტრფიან
განწირული ქალები;
როგორ მეამაყებოდი...
როგორ მეამაყები, —
ალბათ, ასე ამაყობენ
შენთვის მსხვერპლის
გალებით.

ჯერ კიდევ


 ქართველი
 პედაგოგები

ჯერ კიდევ ბრწყინავს,
 ჯერ კიდევ გათბობს,
 ჯერ კიდევ გიხმობს სიმაღლისაგენ;
 ჯერ კიდევ ეძებ,
 ჯერ კიდევ აგნებ,
 ჯერ კიდევ ხელით
 ეხები საგნებს.
 ჯერ კიდევ დგახარ,
 ჯერ კიდევ არ თმობ,
 ჯერ კიდევ ძინავს შენში სიშმაგეს, —
 ოცნების კოშკის
 იყენებ ნანგრევს
 და მცირე ტაძარს
 ჯერ კიდევ აგებ.

ჯერ კიდევ ისევ იმ ნერგზე
 დარდობ,
 ამ გაზაფხულზე რომელიც დარგე,
 ჯერ კიდევ ფიქრობ:
 მე თუ არ მარგო
 ტყბილი ნაყოფი —
 სხვას მაინც არგებს.
 ჯერ კიდევ იტყვი,
 ჯერ კიდევ ამბობ,
 ჯერ კიდევ ელი
 ალისფერ ვარდებს, —
 ჯერ კიდევ გინდა,
 ვილაც გიყვარდეს
 და იმ ვილაცის —
 ღმერთივით გწამდეს.

მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები

ვინ არის ნამდვილი მკითხველი ?

ვისაც გარჩევა შეუძლია, რა წიცი-
თხოს და რა — არა.

ვინც იმას ითვინებს, რაც ავტორს
უწერია და ამასთან ერთად გრძნობს,
კიდევ რა უნდა ეთქვა ავტორს, მკით-
ხველს რომ სათქმელად დაუტოვა.

ვინც გრძნობს, სად სჯობია მას ავ-
ტორი და სად გაეჭიბრებოდა ის ავ-
ტორს.

ვინც ხვდება სიტყვათა, აზრთა, ეპი-
ზოდთა განლაგებებს შინაგან მხატვრულ
ლოგიკას, ხან ეთანხმება ავტორს, ხან
— არა.

ვისაც ძალუქს ყოველი ეპოქის თხზუ-
ლება თავის დროს მიუსადაგოს და
წიგნისმიერი რაღაც გამოცდილებით
ცხოვრებისეული გამოცდილება გაიმ-
დიდროს.

ვინც გრძნობს, წიგნთან ყოველი
შეხვედრა საინტერესო პიროვნებასთან
შეხვედრაა და რამდენადაც მცირეა
ჭეშმარიტ შემოქმედ პიროვნებათა რი-
ცხვი ცხოვრებაში, იმდენადვე მცირეა
ჭეშმარიტად ორიგინალურ წიგნთა რი-
ცხვი ამქვეყნად.

ვინც დასაწყისშივე ხვდება, რას იტ-
ყვის შემდეგ ავტორი და წიგნს წაუ-
კითხავად შორს გადასდებს.

ვინც იცის, რომ ავტორი ისეთივე
აღამიანია, როგორც ის და პლუს კი-

დევე რაღაც, რაც მას მიანც სხვანიარ
აღამიანად აქცევს.

ვინც ხვდება, რომ ორ-სამ საათში
წასაკითხი წიგნი ზოგჯერ წლობით იწე-
რება.

ვინც იმასაც ხვდება, რომ ავტორი
არ ცდილობს მას მიესადაგოს, არამედ
ცდილობს ის მოაქციოს, თუ ამას მკი-
თხველი ადვილად ხვდება, ავტორი სუ-
სტი მწერალია, სამაგიეროდ, მკითხვე-
ლია ძლიერი.

ვინც ადვილად მიჰყვება ავტორს მის
მიერ ქმნილ სამყაროში, მაგრამ თუ ეს
სამყარო ღარიბი აღმოჩნდა, ადვილად
დევ ტოვებს მას, ზოლო თუ ეს სამყა-
რო მდიდარია, ის მთელი ცხოვრების
მანძილზე მისი თანაზიარი ხდება.

ვინც ანათლად გრძნობს სხვადასხვა
ავტორის არა მხოლოდ მონათხრობის
ადვილად ამოსაცნობ განსხვავებას,
არამედ უფრო მნიშვნელოვან სიღრმი-
სმიერ, სტილისმიერ, მხატვრული აზ-
როვნებისმიერ, ტემპისა და რიტმის-
მიერ განსხვავებას და, რაც მთავარია,
ცხოვრებისმიერის აღქმის არცთუ იო-
ლად ამოსაცნობ ინდივიდუალობას.

ვინც ისევე შორსმჭვრეტელია, რო-
გორადაც ავტორი ნამდვილი წიგნისა.

ვინც ისევე თვითკრიტიკულია, რო-
გორც ჭეშმარიტი ავტორი.

ვისთვისაც ყველა კარგი წიგნი ამ-

ქვეყნად ერთი დიდი წიგნია, მთელი სიცოცხლე რომ უნდა იკითხოს.

ნამდვილი მკითხველი ნამდვილი

მწერლის თითქმის ტოლია, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი მწერალი მის გარეშე არ არსებობს...

იმაღი

კვლავ უნდა შევუდგე ჩემს მძიმე საქმეს, რადგან წარსული ისევ მაიძულებს — თავს მახსენებს, სულს მიჯანყებს, მშვიდ ცხოვრებას არ მაცლის.

თითქოს ვიღაც სხვა ჩასახლებულია, თითქოს ვიღაც სხვა ბორჯავს ჩემში და არც დღისით, არც ღამით არ მსვენებს.

ამგვარი დაყენებით ამღელვარებული სული კვლავ ესწრაფის სიმშვიდეს, რომლისკენაც ერთადერთი გზაა იმის გამოთქმა, რაც ამ შინაგანი ბორჯვის, მღელვარების და დაუწყნარებელი ჭანყის მიზეზია.

როგორც ჩანს, ხსოვნა ინახავს არა მხოლოდ პირადად განცდილს და გადატანილს.

ყოფილა კიდევ ერთი ფორმა ხსოვნისა, წინაპართა მიერ განცდილსაც რომ ითავისებებს, იღუმალი გენეტიკური კავშირით რომ არის მიბმული მათზე, ვინც ოდესღაც ყოფილა და დღეს ცოცხლობს მხოლოდ ჩემში, ვითარცა მათი უკვდავი სულის მორიგე ტურქელში.

ადამიანთა შინაგანი კავშირის უწყვეტობა ხორციელდება ყოველი მათგანის შეგნებით, რომ დღეს ის არსებობს მხოლოდ იმის გამო, რომ მანამ-

ღე იყვნენ სხვები და არსებობს კიდევ იმისთვის, რომ მის შემდეგაც მოვიდნენ სხვები.

ეს ბიოლოგიით ქმნილი ინსტინქტი როდია (ინსტინქტი ხომ ცნობიერების მიღმაა), არამედ საკუთარი თავის ადამიანურობის დონეზე გაცნობიერებაა.

ამდენად, დავიწყება იმისა, რაც იყო ან გულგრილობა იმისადმი, რაც იქნება, შეგნებული არსებობის მთავარი პრინციპის უარყოფაა.

ყოველი ადამიანი კერძო არსებაა და მხოლოდ ზოგადი ადამიანურობა აქცევს მას ჰუმანიტ ადამიანად...

წარსული ისევ მაიძულებს, უფრო ღრმად დავფიქრდე მომავალზე. შინაგანი ხსოვნა კვლავ იქით მიბიძგებს, საიდანაც წამოსულა ჩემი დღევანდელი არსებობის ფესვები და იქით მახედებს, საითაც წავა ახალი ყლორტი.

უნდა გავყვე გზას მათი სიღრმისაკენ და კვლავ შევუდგე ჩემს მძიმე საქმეს იმ იმედით, რომ მისმა სავარაუდო შედეგმა იქნებ ოდნავ მაინც გაამართლოს ჩემი ამქვეყნად შეგნებული ყოფნის წამიერება და დროებით მაინც გააყუჩოს ამღელვარებული სულით წარმოშობილი ტკივილი.

მიგრაცია

იმერ-ამერის მოსახლეობის ურთიერთგადანაცვლება არაერთგზის სავარაუდებელი ფაქტია ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

ამ ურთიერთგადანაცვლების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების დადგენა უმეტეს შემთხვევაში გართულებულია სარწმუნო ისტორიულ ცნობათა სიმწირის გამო.

თავი რომ დავანებოთ შორეულ ისტორიულ წარსულს და დაახლოებით უკანასკნელი ასი წლის პერიოდს დავაკვირდეთ, ადვილად შევამჩნევთ ამ

ურთიერთგადანაცვლების გაინტენსიურებას.

ცხადია, აღნიშნული დროის მანძილზე მოსახლეობის გადანაცვლების სხვა მიზეზებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს სხვადასხვა პუნქტში სამრეწველო საწარმოთა ჩასახვა და აღმოცენება იყო.

ჩემი (და ალბათ სპეციალისტთა) დაკვირვებით, ამ გადანაცვლების წამყვანი ტენდენცია იყო იმერის მიგრაცია ამერში.

მაგრამ ეს ლტოლვა ამერისაკენ თა-

ვიდანვე დომინირებული არ ყოფილა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ტრანსამიერკავკასიის რკინიგზის დამთარებებისა და რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, გაინტენსიურდა საქართველოს ზოგიერთი ზღვისპირა ქალაქის ცხოვრება.

გურულები ძირითადად ბათუმს აშუარებდნენ.

მეგრელები, იმერლები და იგივე გურულები ფოთისკენ დაიძრნენ.

გახშირდა რაჭველების ბარისკენ მოძრაობა, წინათ რომ ჩრდილოეთ კავკასიისკენ იწვედნენ.

შეიმჩნევა სამურზაყანოდან და სვანეთიდან ზღვისკენ მიმართება.

ბაქომ და ვლადიკავკაზმა უამრავი ქართველობა მიიზიდა.

მანგანუმის მოპოვებას კიათურაში არ გამოუწვევია აქეთკენ მოსახლეობის დიდი მიგრაცია, კიათურის მალარონებს ძირითადად ადგილობრივი ზემო-იმერლები ემსახურებოდნენ.

სამტრედიის სარკინიგზო კვანძის შექმნამ ფაქტიურად ცარიელ ადგილზე ქალაქი აღმოაცენა, რომლის მოსახლეობა ძირითადად ახალმოსული და მეტად ჭრელი იყო.

ზესტაფონის (წინათ ყვირილა ერქვა) გაქალაქურება უფრო გვიან, ძირითადად „ფერომ“ გამოიწვია.

ხაშურში (მიხაილოვო რომ დაარქვეს) გადმოინაცვლა ლიხს იქით მდებარე ზოგიერთი ლარიბი სოფლის უმეტესმა მცხოვრებმა.

იმ ფაქტმა, რომ ქუთაისს მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი ასცდა, ერთგვარად შეანელა მისი სამარეწველო ზრდის ტემპი, მაგრამ დროებით.

საუკუნის ბოლომდე თბილისი არ გამხდარა იმერის დიდი მიგრაციის ობიექტი. ეს ამბავი ინტენსიურად შემდეგ დაიწყო, მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან, ძირითადად კი — საბჭოთა პერიოდში. თბილისმა სწრაფად ჩაყლაპა ახლომდებარე სოფლები (ახლა რომ ქალაქის თითქმის ცენტრალური უბნებია) და ლამის დააცარიელა შიდა ქართლის ზოგიერთი რაიონი. მაგრამ

მიგრაციის ტალღა მას შენჯღღეღსდებოდან ეხეთქებოდა.

კახეთი, ვარეკახეთი, ქიზიყი და მთა კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ მოსახლეობის აბსოლუტურ ერთგვაროვნებას, მაგრამ უკანასკნელი ოცდახუთი-ოცდაათი წლის მანძილზე ეს ვითარება მკვეთრად ირღვევა იმერის ენერჯიული შეჭრით (განსაკუთრებით ქალეების — ცოლების — სახით), რისი შედეგიც დროთა მანძილზე მკვეთრად დაეტყობა აჭარის მოსახლეობის ხასიათსაც და გარეგნობასაც.

როგორ უნდა შევაფასოთ მთელი ეს პროცესი?

ერთი მხრივ, ის იწვევს ქართველი ხალხის სხვადასხვა ნაწილის კუთხურობის ლიკვიდაციას და მის სასურველ შინაგან კონსოლიდაციას.

ეს მთავარია.

მეორე მხრივ — ისტორიულად ჩამოყალიბებულ კუთხეთა მრავალი თავისებურების გაქრობას და ყოფის საყოველთაო გაერთფეროვნებას.

ეს სამწუხაროა.

ვერაუდობ, რომ საუკუნის ან საუკუნენახევრის შემდეგ უნდა დაიწყოს საწინააღმდეგო პროცესი — ამერის მიგრაცია იმერში. მართალია, ამის არავითარი მტკიცე საბუთი არ გამაჩნია, მაგრამ ვხელმძღვანელობ ისტორიული ანალოგიებით და იმ მოსაზრებას ვადგავარ, რომ სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური თუ გეოგრაფიულ-ეკოლოგიური მიზეზების გამო ეს პროცესი გარდაუკალია.

როგორც უნდა შევაფასოთ ყოველივე ზემოთქმული, ფაქტი ის არის, რომ ვერაკეთარი სუბიექტური ძალისხმევა ვერ მოერევა ობიექტური ისტორიული აუცილებლობით განპირობებულ მოვლენებს, ამიტომ ყველანი მოვალენი ვართ, შექმნილი სიტუაცია შეძლებისდაგვარად გამოვიყენოთ და წარემართოთ საერთოდ ჩვენი ხალხის და, კერძოდ, მისი ყველა კუთხის, ყოველი რაიონის, ყოველი ოჯახისა და ყოველი ერთეულის საკეთილდღეოდ.

ამის მრავალი საშუალება არსებობს. ოღონდ უნდა იყოს სურვილი უფრო ღრმა დაფიქრებისა ყოველივეზე, რაც ხდება და ყველაფრის განსჯისა არა

წარმავალი ამწუთიერი მზისწრებით, არამედ იმ დიდი ისტორიულ ცხოვრება-არსებობის გათვალისწინებით, ქართველ ხალხს რომ წინ აქვს.

მიჯნაზა

თხუთმეტი წლის ასაკიდან დაწყებული, როდესაც ვიჯარმენი, რომ თანდათან ვერკვევი ვითარებებში, უკვე გამიჩნდა უნარი ხასიათების ასე თუ ისე ამოცნობისა და წარსულის აწმყოსთან დაკავშირებისა.

დიდი დაყოვნებით, მაგრამ განუხრელად, რალაც ზანტი თანმიმდევრობით, თითქოს შუქი ეფინებოდა გონებას და მანამდე ბინდებულდით მოცულ ამბებსაც.

უკვე თითქმის ნათლად ვლინდებოდა აქამდე შეუმჩნეველი შინაგანი კავშირი მოვლენებსა და მოვლენებს შორის, ადამიანებსა და ადამიანებს შორის.

ეს თითქოს ბავშვობის სიზმრებიდან გამოსვლა, უშუალო აღქმიდან მიზეზობრივ ურთიერთკავშირთა შეგნებულ გაცნობიერებაში გადასვლა, როგორც ვთქვი, უეცრად არ მომხდარა, მაგრამ მთელი წლის მანძილზე დაგროვილი მიგნებები და მიხვედრები, რომლებზედაც მანამდე მეტად გაურკვეველი წარმოდგენა მქონდა და ბავშვური გუჟინით თუ ვხედებოდი მათ არსებობას, მაინც მეტად რთული გამოდგა გულისა და გონებისათვის.

მიუხედავად ამ ერთგვარი სულიერი შეჭირვებისა, ჩიუტად ვცდილობდი, როგორმე სრულად გამეზიარებინა და შემეთვისებინა ის ახალი ვითარება, რომელშიც ასე შეუმჩნეველად აღმოვჩნდი.

პირველად მაშინ მივხვდი, რომ თანაკლასელებს შორის მხოლოდ მე არ ვიყავი მთლად სრულფასოვანი ადამიანი, თუმცა მათ, ჩემს თანაკლასელებს, ამაზე ალბათ წარმოდგენაც კი არ მქონდათ; ვგრძნობდი, რომ არც მასწავლებლები აცნობიერებდნენ ბოლომდე ამ ფაქტს. მაგრამ შინაგანად იმა-

საც ვხედებოდი, რომ იყო ვიღაც თუ რალაც, მარადეამს მოუხუჯავი თვალის მქონე, რომელსაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა ეს არასრულფასოვნებაც, მისი ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზიც და ჩემგან რამდენადმე დამოკიდებული შედეგიც.

ეს ვიღაც, წარმოდგენილი მყავდა ერთ ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხედველ ციკლოპსებზე უწამწამო თვალად, რომლის მსჯავრსაც, რაც უნდა მელონა და შემოქმედნა, ვერ ავცდებოდი, ვერ გავიქეცოდი, ყველგან მომწედებოდა, და თუ ახლა რამდენსამე ხანს მაკლიდა და მინდობდა, როგორც ჭერ, ასე ვთქვათ, შეურაცხად, გამოუვლენელ, ყველაფრის შინაგანი ურთიერთკავშირის გარეშე აღმქმელ ყრმას, საბოლოოდ, როცა დრო დადგებოდა, მაინც მომწედებოდა მის მიერვე წინასწარ უკვე დადღასმულს, და თავისას იქმოდა, მისი შეურყეველი და შეუცვლელი შეხედულებით ადრევე გადაწყვეტილსა და განსაზღვრულს.

ეს ვითარება არ იწვევდა ჩემში რაიმე განსაკუთრებულ შიშს ან განწირულობის შეგნებას, სავსებით ბუნებრივად მეჩვენებოდა, თუმცა იმ თვალთ დანახულ ჩემს არასრულფასოვნებას და მასთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ მოულოდნელობებს წინასწარ ისე ნათლად ვგრძნობდი, რომ უკვე თითქმის განვიცდიდი.

მომავალ წელს სკოლას ვამთავრებდი და თუ მანამდე იქ გატარებული ცხრა წელიწადი არაფრით გამოირჩეოდა, გარდა ტრივიალური სასკოლო ყოფისა, იმ დამამთავრებელ წელს სკოლა შევიცანი არცთუ სავსებით სრულყოფილ დაწესებულებად, რომლის ძირითადი მიზანი იყო ჩვენი მოუსვენარი ბავშვური სულის იმ კალაპოტში



ჩაყენება, იდეალად რომ იყო მიჩნეული ცუდისა და კარგის, დასაშვებისა და დაუშვებელის იმ ერთადერთი გაგებით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უკვე ცხოვრების ქურაში გამობრძმდელი, ცხოვრებაზე განაწყენებულ თუ ცხოვრებით კმაყოფილ ჩვენს კეთილგონიერ მასწავლებლებს გააჩნდათ.

და იმდენად დიდი იყო შეუსაბამობა საყოველთაოდ აღიარებულ მიზანსა და ბავშვის ჯერ გონებით განუსჯელ უშუალობას შორის, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, რომ ორივე მხარისათვის, მწვრთნელთა და საწვრთნელთათვის, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჩქმეტა, წკიბურტი, ყურის აწვევა, ნიკაპის ამობრუნება და სხვა ამგვარი წამიერი ტკივილის მიმყენებელი წვრილმანი ქმედებანი მათ მიმართ, ვინც ამაზე ჯიუტი ურჩობით, ტირილით, შენიღბული სიძულვილით და ათასგვარი, ზოგჯერ საკმაოდ უხამსი, კლასშიგა თუ კლასგარეშე ეშმაკობით პასუხობდა.

ეს ყველაფერი წარსულში იყო, ახლა კი ვგრძნობდი, რომ რაღაც უხილავ მიჯნასა თუ ზღვარზე ვიდექი, და ჩემი მაშინდელი ჰკუთით, მწირი გამოცდილებითა და განჭვრეტის, ცხადია, კვლავ ბავშვური უნარით, შემდგომ ცხოვრებაში ასარჩევი მხოლოდ ორი გზა, არსებობის მხოლოდ ორი ფორმა მესახებოდა.

ერთი იმგვარი, რომელიც გარეგნულად მაინც შეეფერებოდა არცთუ ღრმად ჩანერგილ, მაგრამ სავესებით ნათელ და გასაგებ ცხოვრებისეულ იდეალს, მაშინდელ მწვრთნელთა მაშინდელი აზრით იმ ფართო გზაზე რომ გამიყვანდა, რომელზედაც, მათივე ვარაუდით, თითქმის არ იქნებოდა აღუნაზღაურებელი დანაკლისები, უმიზნოდ დახარჯული დრო და ენერჯია, ყოველი პიროვნული ძალისხმევა შესაფერის შედეგსაც გამოიღებდა და ჩემი ხოტორა თავი ძირითადად დაფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად სინქრონულად და ზუსტად მოერგებო-

და მასში გაჩენილი აზრებით, რაფეზიანი სწორედ ამ გზის არჩევით განპირობებულ მიზანსა და იდეალს.

რასაკვირველია, სწორედ ამ გზის არჩევა, განსაკუთრებულ პიროვნულობას და ინდივიდუალობას რომ არ მოითხოვდა, უფრო ადვილი და მოსალოდნელი იყო საკუთარი თავის შეცნობის გზაზე მხოლოდ ახლახან დამდგარი ყმაწვილისათვის, რომელიც თანაც განიცდიდა, თუმცა არცთუ დიდი დრამატიზმით, საკუთარ არასრულფასოვნებას სხვა სრულფასოვანთა, მშობელთა წარსულით დაღდაუსმელთა შორის და ხანდახან დაფიქრდებოდა იმ მარადეამს თვალმოუხუჭავზე, რომელიც პიროვნული ჩარევის გარეშე, მხოლოდ ანკეტურ-ფორმალური მონაცემების საფუძველზე, ყველას კეთვნილს მიუჩენდა, და რომელიც, ასე იქნებოდა თუ ისე იქნებოდა, თავის დროზე დროისმიერ აუცილებელ კორექტივს შეიტანდა მისი არსებობის ხასიათშიც, ამიტომ ყრმისათვის თითქოს სულ ერთი უნდა ყოფილიყო, რომელ გზას დაადგებოდა, პირველსა თუ მეორეს, რომელიც, პირველის დახასიათების შემდეგ, აღარც საჭიროებს განსაკუთრებულ დახასიათებას.

მაგრამ განსხვავება მაინც არსებობდა.

იგი მდგომარეობდა პიროვნული ზნეობრიობის გამოცდაში, რომელიც ისე მკაფიოდ არ მქონდა მაშინ წარმოდგენილი, თუმცა საგრძნობი იყო საყოველთაოსა და კერძობის განხორციელების იმ ფორმაში, როცა კერძობა ესწრაფის საყოველთაოს და როცა საყოველთაო არ ემთხვევა კერძობას და, პირველისაგან განსხვავებით, არც გარდაქმნის უნარი გააჩნია. ამიტომ მაშინ პიროვნულ გადაწყვეტილებას, მითუმეტეს, თუ მას საზოგადოებრივი არასრულფასოვნების შეგნება ედო საფუძველად, ზნეობრივი ალტერნატივის სახე ჰქონდა და ეს მცირე აქტი მრავალმხრივ განსაზღვრავდა წინ მდებარე დიდბ აქტის — მთელი ცხოვრების — თავისებურ თუ

სხვათაგან განურჩეველ ხასიათს.

ამგვარ ან სხვა ფორმის თუ შინაარსის მიჯნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, ძალგამს თუ არა მაშინ, ყრმობაში, მისი ჭეშმარიტი მასშტაბის რეალური შეგნება.

მიჯნაზე ხანგრძლივად დგომა შეუძლებელია — იგი მოითხოვს იმ ნაბიჯის აუცილებელ გადადგმას, რომელიც წაგიყვანს იქით, საითაც წაგიყვანს.

და წამიყვანა კიდევ იმ გზით, რომლის მაშინ შეგნებული არჩევა მთლიანად გავაცნობიერე მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, უკვე მოწიფულობაში.

და სამუდამოდ დამარჩა გონებაში, თუმცა არა მხოლოდ გონებაში, არა-

მედ როგორც მთელს სხეულში, მთელს არსებაში, ხსოვნაში, მოქმედებაში, დღევანდელი ასაკის თვალთახედვით მასზე მეტად მცირე ხნით დგომისა, როცა გგონია, რომ რაღაცას ირჩევ, თუმცა უკვე გრძნობ, რომ შენდაუნებურად ყველაფერი შინაგანად არჩეული და გადაწყვეტილია სწორედ იმ მშინდელი არასრულფასოვნების შეგნების გამო, რომელიც, ამჟერად შენგან დამოუკიდებელ სიკეთედ გარდაქმნილი, გიბიძგებს და თავისით გითითებს გზას სულიერი, პიროვნული სრულფასოვნებისკენ მაინც, რომელიც, არაეინ იცის, რა სახის სრულფასოვნებად შემოგობრუნდება მომავალში.

აღსარება „აღსარების“ გამო

(ახსუბი მკითხველის ერთ პირად წერიალზე)

ზოგ კრიტიკოსს ეგონა, რომ ჩემი მოთხრობის „აღსარება ანუ პროფესორი სორდია“ მთავარი თემა გენეტიკის საკითხები იყო. დაერწმუნდი, რომ თქვენც ასე ფიქრობთ.

გენეტიკის საკითხების კვლევა არ შეიძლება მხატვრული ძიების ობიექტი იყოს.

მხატვრული ძიების ობიექტი შეიძლება იყვნენ ადამიანები, გენეტიკის საკითხებს რომ იკვლევენ.

გენეტიკის მაგივრად შეიძლებაოდა სულ სხვა დარგი ამელო: ბირთვული ფიზიკა, კიბერნეტიკა, ფილოსოფია და სხვა, რომელთა განვითარება არანაკლები დრამატიზმით იყო აღბეჭდილი.

გენეტიკა თუ ავირჩიე (უფრო სწორად — გენეტიკოსი) ალბათ იმიტომ, რომ იგი უშუალოდ უკავშირდება სიცოცხლის აღმოცენების, მიმდინარეობის, განვითარების პერსპექტივის საკითხებს, ამდენად — ადამიანსა და ადამიანურს.

ეს შინაგანი არჩევანის საკითხია, რაც მწერლის სუბიექტური მიდრეკილებითაა განპირობებული. სხვა საქმეა, სწორია თუ მცდარია იგი.

ზოგს ეგონა (და ახლაც ჰგონია),

რომ მოთხრობაში მხატვრული ძიებისა და ასახვის მთავარი და ერთადერთი ობიექტი პროფესორი სანდრო სორდიაა (შეცდომით თქვენც ასე ფიქრობთ).

ცოტა თუ მიხვდა, რომ არანაკლები (შეიძლება მთავარიც) როლი ეკუთვნოდა ბევრ რამეზე დამაფიქრებელ იმგვარ პიროვნებას, როგორცაა მისი ძმა ეპიფანე სორდია.

ყოველ შემთხვევაში, ორივე ტოლად მაინტერესებდა: ერთნაირ გარემოში წარმოშობილი და აღზრდილი ტყუპი ძმები. როგორ მოქცეულიყავი? უნდა ვალიარო, რომ ჩემთვის რთულ ზერხს მივმართე:

ამბავს ჰყვება ეპიფანე, ძმის თავგადასავალს, ხასიათს და მოღვაწეობას გვამცნობს, მაგრამ თხრობის პროცესში მისთვის შეუმჩნევლად, თავისდაუნებურად, ქვეცნობიერად თვითაც „იხსენება“. როგორ შეეძელი ეს, სხვა საკითხია, სხვამ უნდა განსაჯოს, მათ შორის — თქვენც.

ძალიან მინდოდა მეჩვენებინა მაშინდელი ქუთაისის როლი ახალი ქართული ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში. სამწუხაროდ, ეს თემა თითქმის ხელუ-

ხლებელია, რაც თქვენი ბარათითაც დასტურდება.

ავირჩიე კონკრეტული ობიექტი: ქუთაისის ქართული გიმნაზია. მგონი ყველაფერი შევისწავლე, რაც მასზე და მის მესვეურებზე დაწერილია თუ საცავეებში შემონახულა. ბევრი ვესაუბრე მათ მომსწრე თუ ამ საკითხებზე მომუშავე პირებს. დიდი მასალა დამიგროვდა, მაგრამ მოთხრობაში მისი მცირე ნაწილი შევიდა — მხოლოდ ის, რაც ტიპური და თხზულებისათვის აუცილებელი იყო. თქვენ კი მეტს მოკითხოვთ. ვგონებ, თქვენც მართალი ხართ ამგვარი სურვილის გამო და მეც მართალი ვარ შესაძლებლობათა შეზღუდულობის გამო.

შემდეგ, სადმე ხომ უნდა დამესახლებინა ჩემი გმირები?

კვლავ ჩავედი ქუთაისში, ბევრი სიარულისა, ძიებისა და ყოყმანის შემდეგ ავირჩიე ის სახლი რიონის ნაპირას, მოთხრობაში რომ არის აღწერილი. თქვენ კი მსაყვედურობთ, რომ ამგვარი სახლი რიონის პირას, მკედლების ქუჩაზე არ არის! ძალიან ვთხოვთ, ნულარ ეძებთ, ჩათვალეთ, რომ იყო და დროთა განმავლობაში დაინგრა...

ბევრი ვიარე აგრეთვე იმ გზებზე — ქუთაისს, წულუკიძეს, სამტრედიასა და ვანს შორის — ჩემი გმირები რომ დადიოდნენ.

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის შედარებით გახშირდა „უაზნოთა“ და „კეთილშობილთა“ შეუღლების ფაქტები. ამან განაპირობა უფროსი სორდიასა და ტასო ლორთქიფანიძის ოჯახური ალიანსი და მასთან დაკავშირებული დრამატიზმი.

მე თვით ძალიან მომწონს, ისე როგორც თქვენ (ნუ ჩამითვლით ამას თავის ქებად), კომერსანტ ებიფანე სორდიას საქველმოქმედო მოღვაწეობა. მისი მსგავსი ადამიანებიც გამოჩნდნენ სამოქმედო ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში. თუმცა მის ბედზე თქვენ ძალიან დარდობთ და მსაყვედურობთ კიდევ, რა-

ტომ არ გადმოვიყვანე მისი ცნობები ეპოქაში და „საბჭოთა მზრუნველობა“ რატომ არ გაეხადე, მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ მისი ბედი საეკლესიო კანონზომიერია იმ კონკრეტულ ვითარებაში, მაშინ რომ შეიქმნა, თუმცა, ცხადია, სხვანაირი მაგალითებიც იყო, აქ სიტუაციის წვდომის უფრო მეტი სიღრმეა საჭირო, ვიდრე ის, რომელსაც თქვენი სურვილები თუ დასკვნები ეყრდნობა.

მეკითხებით და გასაუხობთ: მოთხრობის არც ერთ გმირს რეალური პროტოტიპი არ გააჩნია (ცხადია, ეს არ ეხება ისტორიულად ცნობილ პირებს), ქუთაისის მაშინდელი ცხოვრების ყველა მოყვანილი ფაქტი კი ნამდვილია (ცხადია, ეპიფანე სორდიას ოჯახს გარდა).

სპირიდონ ლორთქიფანიძისა და მასთან დაკავშირებული ამბებიც შეთხზულია.

ერთადერთი გმირი, რომელსაც, ასე ვთქვათ, კოლექტიური პროტოტიპი ჰყავდა, ესაა სერგო რურუა და მისი ნათესაეები. მე აქ რამდენადმე ვკულისხმობდი ერთ იქაურ ქართველ რევოლუციონერთა ოჯახს, საკმოდ ცნობილს, რომელმაც თავისი როლი შეასრულა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაშიც და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების საქმეშიც.

თქვენ კი თურმე გეგონათ, რომ ყველა გმირი სინამდვილეში არსებობდა.

არსად, მოთხრობის არც ერთ მონაკვეთში, სიტუაცია შეგნებულად არ გამოიწვევებოდა და არ გამოიმჯაფრებოდა. ეს თქვენ ნამდვილად მოგჩვენათ. პირიქით, ყველაფერი მიდის დაბალ რეგისტრში, რომელიც ამბის მოთხრობელის ხასიათს შეესაბამება და მისი პიროვნების „გახსნასაც“ ხელს უწყობს.

უნდა ვაღიარო, რომ არც ისე ადვილი იყო ცხოვრების ამგვარი და ამოდენა გზის გამოვლელში, 79 წლის მოხუცში ჩემი გარდასახვა, მრავალი ცდისა და ძიების შემდეგ მივაგენი იმ

ტონალობას, „ხმასა“ და სტილს, რომელმაც ცოტად თუ მეტად დამაკმაყოფილა. ხოლო, თუ როგორ მოერგო იგი ამბავს და მოთხრობელის ხასიათს, სხვამ უნდა განსაჯოს, მე მხოლოდ ამ ფაქტთა ჩამოთვლის უფლებას ვაძლევ თავეს.

თქვენ კი გაბედულად ვარაუდობთ, რომ „იქნებ“ მე ხელში ჩამივიარდა „ვილაც ინტელიგენტი მოხუცის“ მიერ დაწერილი „ნამდვილი ამბავი“ ან ქართულ ენციკლოპედიაში ბატონმა ირაკლი აბაშიძემ გასაცნობად გადმომცა „ვინმე მოხუცის ხელნაწერი“, მე კი გამოვიყენე. „სხვანაირად როგორ შეგეძლოთ ასე აღგეწერათ ადამიანები და ამბები, რომლებსაც არ მოსწირებოხართ?“ — მეკითხებით თქვენ. უნდა ვალიარო, რომ ეს ფრაზა ყველაზე დიდი კომპლიმენტია თქვენს წერილში, ყველაზე მეტად მასში გამოთქმულმა უნდობლობამ და ეჭვმა გამაბარა, ასე უნებურად რომ დაადასტურა მოთხრობილი ამბის „ნამდვილობა“, მაგრამ დავლონდი იმ გარემოების გამო, რომ თქვენ თურმე ენციკლოპედიაში გიძებნიათ ალექსანდრე სორდიას სახელი და „რატომღაც“ ვერ გიპოვიათ! გთხოვთ, ნულარ მოძებნით, რადგან ამოდ დაშვრებით.

შემდეგ ისე როგორც ზოგიერთ ჩემს სხვა ნაწარმოებში, ჯერ დაიწერა ფინალი (44-ე თავი), შემდეგ მივიარე ღვევი ზხას ამ ფინალისაკენ, ვისწრაფოდი მისკენ და ყველაფერი ემორჩილებოდა ამ ფინალის ლოგიკას.

მოთხრობა რამდენადმე დოკუმენტურიცაა. გენეტიკოსთა კამათში ნამდვილი ციტატებიცაა ჩართული. ამას მკითხველი ადვილად შეამჩნევს. ნამდვილია აგრეთვე მოსკოვისათვის ბრძოლის ფრაგმენტები, მარშალ კ. როკოსოვსკის ეპიზოდი.

თქვენ კი გგონიათ, რომ მოთხრობა თავიდან ბოლომდე „ნამდვილია“. მეცნიერული ტრაქტატი რომ დამეწერა, მართალი იქნებოდი — ზუსტი სინამდვილე მომეთხოვებოდა. მწერლობაში ასე არასოდეს არ ხდება.

ზუსტად ვერ ვუპასუხებ თქვენს შე-

კითხვაზე, თუ რამდენი დრო მოვანდომე გენეტიკის ასე თუ ისე შესწავლას. ეს იყო მეტად რთული და უაღრესად საინტერესო პროცესი. ვგონებ, სამ-ოთხ წელს მოუწინდი. ცხადია, მოთხრობაში მეტად მკირე ზომით შევიდა ყველაფერი ის, რაც ამ მეცნიერებას და მის პერიპეტეებს ეხება.

მოკლედ რომ ვთქვა, მოთხრობის ისტორიული და მეცნიერული საფუძველი ნამდვილია, სხვა ყველაფერი შეთხზულია.

პირველად ნაწარმოები გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი საბოლოო ვარიანტი (დაახლოებით, ორჯერ დიდი). პირველი ვარიანტის დასრულების შემდეგ, ერთი წლის მანძილზე მოთხრობა სამჯერ გადავწერე, შემდეგ კიდევ დავახანე და ჩემი ოჯახის წევრებს წაეკითხე.

მის ავკარგში სწრაფად და პროფესიულად გაერკვა ჩემი ორი მეგობარი მწერალი, რომელთა აზრისა მე უყოყმანოდ მჯეროდა: არჩილ სულაკაური და ოტია პაჭკორია. მათ დაბეჭდეს კიდევ „მნათობში“, 1984 წელს. ამგვარია მოთხრობის გარეგნული თავგადასავალი.

თინათინი — თვით ტექსტშია მოცემული.

საბოლოოდ, თქვენ მეკითხებით, თუ რატომ ვარ ასეთი უღმობელი.

თქვენ დასტირით უფროს ებიფანეს და ტასოს, თქვენ გლოვობთ პროფესორ სორდიასა და მისი ძმის გამო. თქვენ გაწუხებთ გმირების ტრაგიკული ბედი და მე ვგაძნობ თქვენს გაუმეცლავნებელ სურვილს, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრებულყო.

რას იზამ, ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და მწერლობაც იმ კანონებს ემორჩილება. მართალია, ის ცდილობს მათ ახსნას, მაგრამ მათი შეუვალე ლოგიკისაგან თავდახსნა არ შეუძლია.

ამიტომაცაა თქვენი ცხოვრება და ჩემი მწერლობა ტყე ერთი სინამდვილისა, ნამდვილი სინამდვილისა, რომლის შელამაზება თქვენ არ ძალგიძთ, ხოლო ჩემგან დანაშაული იქნებოდა.

ესაა ჩემი „უღმობელობაც“, თუ ამას თქვენ ის სახელი უწოდეთ, რასაც ნამდვილად იმსახურებს...

გმადლობთ წერილისათვის, „უღმობელობის“ თაობაზე ეს იმუღმობითი აღსარება რომ მათქმევინა.

ილიაზე ფიქრისას

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თვისი პროზის ოთხი შედეგრიდან — „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-აღამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ — პირველი სამი ილიამ ჩაიფიქრა და ნაწილობრივ განახორციელა კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში, როცა 21-23 წლისა იყო.

იმავე წლებში შეიქმნა აგრეთვე ბევრი მისი ცნობილი ლექსი, პოემა და პირველი მძაფრი ლიტერატურულ-პოლემიკური წერილები. მათში ილია არსებითად კონკრეტულ პირებს კი არ ეკამათებოდა, არამედ მთელს იმდროინდელ ლიტერატურულ სინამდვილეს.

ყმაწვილი კაცის ამგვარი მასშტაბური განაცხადი მოწმობდა, რომ საქართველოში დიდი მწერალი დაიბადა.

დიდი მწერალი არასოდეს ორდინალური პიროვნება არ ყოფილა.

შეუძლებელიცაა, ასე რომ არ იყოს: ერთი თვალსაზრისით მწერლობა ხომ შემოქმედი პიროვნების ყველას წინაშე სიღრმისეული გამოვლინება-გაშიშვლებაა და ვის დააინტერესებს მის მიერ აღქმული და გამოსახული, თუ იგი საესეებით ტრივიალურია?

(სამწუხაროდ, საკითხის ამგვარი დაყენება უცხოა ბევრი დღევანდელი ქართველი მწერლისათვის).

დიდხანს თუ არ მოველინა ლიტერატურას ამგვარი პიროვნება, ეცემა მისი დონე, რადგან ემპირიულ სინამდვილეში მრავალთა უმწეო ფართხალი მაღალი რანგის მწერლობას ვერ ბადებს.

საკმარისია ერთი გაელევა, მწერლობაში დიდი პიროვნების მოსვლა, რომ ყველაფერს გამართლება მიეცეს და მათ შორის იმ მოლიტერატურო მწერლობასაც, რომელიც აუცილებელი ინფრასტრუქტურაა, განოყიერებული ნიადაგია, მეტად საჭირო ნამდვილი შემოქმედის მძლავრი ზრდისათვის.

და იმ ერთ პიროვნებას შეუძლია ენისა და ერის შემოქმედებითი პოტენცია ისეთ სიმალლეზე ატყორცნოს, რომ საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭოს, ამასთან, ამ საერთო მნიშვნელობას თან გაჰყვება მისი პიროვნების განუმეორებელი ანაბეჭდი.

ამიტომ სჭირდება ჯერ კიდევ ნორჩ ნიჭიერებას და ინდივიდუალობას ბიძგი და ხელშეწყობა ან ბედნიერი დამთხვევა თუ იღბლიანობა, თორემ უნიჭობა, როგორც სინამდვილეს კარგად შეგუებული მოველენა, თვით გაიკაფავს თავის გზას არსებობისათვის.

სამყარო, რომელსაც

უშუალოდ ვგრძნობ

სამყაროში ვარ და სამყარო ჩემშია. ყოველი (ფიზიკური თუ სულიერი) მოძრაობა ცვლის მასში ჩემი ყოფნის მასშტაბს და ასხვაფერებს სამყაროს ჩემდამი დამოკიდებულებას, რასაც მხოლოდ მე ვგრძნობ სამყაროს ჩემდამი აბსოლუტური გულგრილობისა და უყურადღებობის ვითარებაში.

სამყარო სხვა განზომილებებშია, სრულიადაც რომ არ ემთხვევა ადამი-

ანურს, მაგრამ მინც ვასულიერებ (ისევე მხოლოდ ჩემს შეგნებაში), და, რამდენადაც შემოძლია, ვცდილობ, მივესადაგო და ისიც გავაადამიანურო (ისევე მხოლოდ ჩემი შეგნებით).

სამყარო არის ის, რაც გარსმომგლებია, ყველაფერი, რაც არ ვარ მე. სამყაროა ოთახი, ჩემი შეგნების გარეშეც რომ თავისთავად არსებობს, საწოლი, რაზედაც ვწევარ, ფანჯრის გამ-

კვირვალე შინა და დილის მზის სხივი, იმ შინაში რომ ისე დაუბრკოლებლად გადის, როგორც არახორციელი აზრი ხორციელ ტვინში, გრძობა — გულში და ალბათ — მთელ სხეულში, მთელს სულიერ-ხორციელ სამყაროში.

მხოლოდ ჩემს მიერ, სულიერის მიერ, გასულიერებულ სამყაროს ეკუთვნის იატაკი, რომელზეც ფეხს ვდგამ, მაგიდა, ამგვარი ფორმით მხოლოდ სულიერის მიერ შეთხზული და მომარჯვებული შრომის დაზგად, შრომისა, რომლის შედეგი, ჯერჯერობით სავსებით უხილავი და არამატერიალური, ჩემს სულიერ სამყაროში გამოვლილი რომ განსხეულდება, გასაგნდება და იქცევა ჩემგან დამოუკიდებლად არსებულ სამყაროს ნაწილად, მაგრამ კვლავ რაღაც გამოუთქმელი ფორმით რომ ისევ ჩემს ნაწილადაც რჩება: როგორც საკუთარი თავი მეკუთვნის მე და ეკუთვნის აგრეთვე იმ სამყაროს, რომელსაც უნდა მივესადაგო (მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერაცაა შექმნილი) მისი ჩემდამი სრული გულგრილობისა და უყურადღებობის შეჩვეულ და, ამდენად, შეუჩინეველ ვითარებაში.

განყენებულად და პრაქტიკულად წარმოუდგენლად, მაქვს იმის მკაფიო შეგნება, რომ ამ მხოლოდ ჩემგან გასულიერებული, თავისთავადი, შესაცნობადი კანონზომიერებით არსებული სამყაროს ნაყოფი ვარ, მაგრამ, როგორც აუხსნელად სჩვევია ადამიანურ ბუნებას, ვფიქრობ, უფრო ზუსტად — ქვეცნობიერად დარწმუნებული ვარ, რომ ეს უშუალოდ ჩემი გარემომცველი მიკროსამყარო ჩემი შექმნილია, ჩემს მიერ არის იმგვარად კონსტრუირებული, როგორც ჩემი საჭიროებანი მკარნახობდნენ და, ამავე დროს, ყოველ წამს ჩემს ხელთაა მისი გარდაქმნის, საგანთა გადაადგილების, მასშტაბთა შემცირებისა თუ გადიდების შესაძლებლობანი.

ეს იმდენად აქსიომატურად მიმაჩნია, რომ ხშირად არც კი ვფიქრობ ჩემს სურვილთა, ჩემი თვითნებობის

მიზეზობრივად განპირობებულ და შეზღუდულ შესაძლებლობებზე: ავიღე სკამი და დავდგი მაგიდის მეორე მხარეს. დავჯექი. შუქი მარჯვნიდან მცემს, წერა გამიუხერხულდა, თანაც მაგიდის აქეთა მხარე შეფიცრულია, ფეხს თავისუფლად ვეღარ ვშლი, მუხლები ფიცარს მიეძვინა, ხელები ზედმეტად დაშორდა მაგიდას, წერა მიჭირს და მალევე თავს ვანებებ, სკამს ისევ თავდაპირველ ადგილზე ვდგამ და ვფიქრობ, რამდენად ძალმიძს ჩემს მიერვე შექმნილი კერძო მიკროსამყაროს შემადგენელ ნაწილთა შეცვლა, გადაადგილება, გადასხვაფერება?

თანაც ვგრძნობ, რომ ეს პრიმიტიული მაგალითი თავისთავად არაფრის მთქმელი და მაჩვენებელია, რომ ამით არ მტყიცდება შესაძლებლობათა ვარიანტების შეზღუდულობა, რომ ჩემს მოქმედებას უბრალოდ ამწუთიერი მიზანშეწონილობა განსაზღვრავს და რომ სავსებით შესაძლებელია გონიერების ფარგლებში სხვა მიზანშეწონილობის კონსტრუირება. მაგრამ ეს დასკვნა სრულიადაც არ აუბრალოებს ჩემს დამოკიდებულებას სამყაროსთან, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ, რომელიც საგნისმიერია და რამდენადმე ჩემი თვითნებობის შედეგია. დამოკიდებულება ჩემს მხრივ კვლავ ისეთი სირთულის ზღვარზე დგას, სიმარტივეში რომ გადადის, მაგრამ, არსებითად, კვლავ დაუძლეველ დაბრკოლებებს რომ მიქმნის.

სირთულისა და სიმარტივის ზღვარზე დგას-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ურთიერთობას გვიადვილებს ავტომატურ მოქმედებამდე დასული ჩვენი სხეულის (და სულის?) ზოგიერთი თანდაყოლილი შესაძლებლობანი, გონების ჩარევას უმეტესად რომ არ საჭიროებენ — სიარული, სუნთქვა და სხვა ამგვარი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს „ავტომატური“ პროცესებიც ათასგვარი ხილული თუ უხილავი მიზეზითაა განპირობებული, რაზეც დაფიქრება და რისი ძიებაც წამიერად იწვევს მათ გაუთვალისწინებელ შეფერხებას, რაც



დაუყოვნებლივ ცვლის აზრის მიმართებას იმ მხრივ, თუ რა კავშირშია ეს პროცესები არა მხოლოდ ტენიისა და მთელი სხეულის ნეიროსისტემასთან, არამედ იმ მხრივაც, თუ რა კავშირია ფიქრის პროცესსა და ავტომატურ მოქმედებას შორის. ესაა მიზეზი სირთულისა და სიმარტივის ზღვარზე დგომისა. ძველთაგანვე ხომ ცნობილია, რომ, როგორც კი ჩვენს განცდათა ანალიზს ვიწყებთ, ის განცდანი ქრება...

დრო დიდი არ გასულა, მხოლოდ შუაღლე დადგა, მაგრამ სამყარო, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ, საკმაოდ შეცვლილია. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სივრცობრივი და საგნობრივი გადაადგილება-გადანაცვლება არ მომხდარა, იგი ახლა სრულიად სხვა ხასიათის ასოციაციებს ბადებს. და ამავე დროს შევიცვალე მეც მთელი ჩემი სულიერ-ხორციელი შეგრძნებით, — ის ახლა სხვა ტალღაზე იჭერს და გამოსცემს იმ მუდმივი ურთიერთობის სიგნალებს, ურომლისოდაც ჩვენი ყოფნა სამყაროში და სამყაროს ყოფნა ჩვენში არ არსებობს.

ეს სიგნალები ცალმხრივია, მაგრამ მათი ბუნება, ჩვენდაუნებურად, იმგვარია, რომ მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში, გულისხმობს, ორმხრივ კავშირს. ცხადია, ეს სრული ილუზიაა (გაიხსენეთ: პოეტის გასაუბრება სამელნესთან, კალამთან...), უსულოსთან სულიერი კავშირის აღიარება მისტიკაა, მაგრამ მისი პირობითი დაშვება იმგვარ მიდიარ შესაძლებლობებს ბადებს შემოქმედებით სფეროში სახეობრივი წარმოდგენების გამარავალფეროვნების თვალსაზრისით, რომ ის, რაც ჩვენ მისტიკად მიგვაჩნია, თითქმის ყოველწამიერად ხორციელდება რეალურ სამყაროში ჩვენი არსებობის დროს ადამიანური ბუნების თავისებურებათა გამო და, მითუმეტეს, ჩვეულებრივი პრაქტიკაა სულიერი შემოქმედების ყველა სფეროში. ამ ილუზიური ურთიერთკავშირის რაობის შეცნობა და ახსნა უპირველესი (და ურ-

თულესი) ამოცანაა, შემოქმედების ფსიქოლოგიის წინაშე

სკამიც საგანია და წიგნიც აი, ავიღე წიგნი, რომელიც თავისთავად აბსოლუტურად უსულოა, მხოლოდ საგნობრივია, მკვდარია, უტყვია და როგორც მკვდარი საგანი მრავალმხრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას სპირობის-სამებრ: დასარტყმელ იარაღად, თავქვემ ამოსადებად, რაიმეს შესაყუდებლად, საწვავ მასალად, ინტერიერის ნაწილად და სხვა ამის მსგავსად. მაგრამ ამავე დროს, წიგნი ხარისხობრივად სხვა საგანია, მასში თითქოს ადამიანის სულია შთაბერილი, განსხეულებული იმ მცირე ზომის ასოებში, რომლებიც თავისთავად არაფერს ნიშნავს, რადგან საღებავწისპული ლითონის მხოლოდ მექანიკური ანაბეჭდია და, ამასთანავე, პოტენციაში, ცოცხალი არსებაა, ცოცხალ არსებასევე რომ მოელის, რათა განსულიერდეს, აღაპარაკდეს.

საგნობრივი სამყარო, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ, მკვეთრად იყოფა ორ ჯგუფად (გარდა იმისა, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით კიდევ იყოფა მრავალ ქვეჯგუფად) — საგნები, რომლებიც ყოველთვის არსებობდნენ და მარად იარსებებენ ადამიანის გარეშეც და საგნები, რომლებიც არსებობენ და იარსებებენ მხოლოდ ადამიანთან კავშირში. ამდენად, ჩვენი წარმოდგენით, ისინი ადამიანთა თვითნებობას ემორჩილებიან. მაგრამ საინტერესოა, რომ ადამიანები ასულიერებენ უმეტესად იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც პირველად დასახელებულ ჯგუფს ეკუთვნიან და ალბათ ეს იყო მიზეზი პირველყოფილი ანთროპომორფული რწმენების წარმოშობისა. მითუმეტეს, რომ დღესაც უფრო იდვილად ვასულიერებთ, მაგალითად, აი იმ მთას, შუადღის მზეზე რომ გამოუბერავს თავისი ვეება გულმკერდი, მწვანე ტყე რომ ნაბადად მოუსხამს და სიფრთხანა ღრუბლის მომრგვალებული ზოლი რომ თავზე დაუდგამს, ვიდრე, მაგალითად, ამ სკამს, რომელსაც

შემიძლია ხელი დავტაცო, სხვა ადგილას გადავდგა ან საერთოდ ფანჯარაში გადავაგდო. მოვლენათა და საგანთა პოეტური გასულიერების ტრადიცია ქართულ მწერლობაში მეტად მდიდარია, განსაკუთრებით მთის პოეზიაში, თუმცა მას არც ბარის „რაფინირებული“ პოეტები არიდებდნენ თავს, რადგან ეს მოვლენა პოეზიისათვის დამახასიათებელია საერთოდ.

ჩვენს გარშემო განლაგებულ საგანთა პოეტურობის ჭერება ან მუსიკალური აღქმა მხოლოდ ჩვენი, ადამიანთა, პერეოგრატივია, ადამიანური ბუნებით განპირობებული; საგნები თავისთავად არაფერ შუაშია, მხოლოდ ჩვენ შეგვაქვს მათში, მათ განლაგებაში რალაც აზრი, რალაც განწყობილება.

ეს რომ ასე არ იყოს, ტიპიური იქნებოდა ის მითიური მაგალითი, როცა ასოთამაშვობს შრიფტით სავსე ყუთი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, უცერად ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დაცვენილი შრიფტი შემთხვევით იმგვარად დალაგდა, რომ შექსპირის სონეტს იკითხებოდა. სრულიადაც არ არის საჭირო მათემატიკოსთა მოშველიება იმის გამოსათვლელად, თუ ალბათობის თეორიით მერამდენე შემთხვევაშია ეს შესაძლებელი — ერთ შემთხვევით თუ შემთხვევით შემთხვევაში. ეს ფუჭია, რადგან შექსპირის სონეტს ადამიანური სული ქმნის და ყოველ დაცვენაზე რომ შრიფტი აუცილებლად შექსპირის სონეტად დალაგებულიყო, მაინც ფუჭი იქნებოდა ისევე, როგორც სხვა ყველაფერია, რასაც გამასულიერებელი, შემოჭმედი ადამიანის ხელი, გონება, ნიჭი არ მიჰკარება.

თვით ბუნება თავისი საკვირველებებით, საშინელებებით, მომხიბლველობით, პარმონიით თუ დისპარმონიით იმდენადაა ალტაცების, შიშის, სიხარულისა თუ ცრემლის აღმძვრელი, რამდენადაც ადამიანური ჭერების ობიექტია, თავისთავად, უჩვენოდ იგი არაფერია. ამდენად, თუ ხელით არა, თვით, შემოჭმედი მხერით ავიდა ჩვენი

შეგვაქვს მასში ის, რისი ადამიანური შეგრძნების, დანახვისა და აღქმის შესაძლებლობას უკუბადებს იგი.

ამდენად ვამბობ, რომ ხელმოუწვდომი ბუნებაც კი, მაგალითად ისეთი თავისთავად სრულიად უაზრო, მაგრამ ჩვენთვის განსაკვიფრებლად შთამაგონებელი კავასიონიც მხოლოდ ჩვენ მიერაა აღიარებული ასეთად, თვით იგი კი, მხოლოდ უსისტემოდ, უპარმონიოდ, განსულიერებული აუცილებლობის გარეშე და უთავბოლოდ აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი ქედები და მწვერვალებია, სხვა არაფერი...

კვლავ იმ სამყაროს ეუბრუნდები, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ, რადგან ისევ წარმოშობს ჭერ გაუთვალისწინებელ ურთიერთობებს, რომელთა გააზრებამ, შესაძლებელია, ზოგიერთ საგულისხმო დასკვნამდე მიგვიყვანოს.

გარემოს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე — ეს ყველა ჩვენგანის მიერ აღიარებული მატერიალისტური თეზა ისე მექანიკურად კი არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს საკმარისია ორი პიროვნება ერთსა და იგივე გარემოში ჩავაყენოთ, რომ მათ შორის სრულ პარმონიას მივიღწიოთ და ერთნიშნა შედეგი მივიღოთ. არ უნდა დაგვაიფყდეს, რომ ცალკეული პიროვნება მხოლოდ არსებულ ურთიერთობათა პროდუქტი კი არ არის, არამედ, გარდა გენეტიკურად მიღებული თვისებებისა, შედეგია მთელი წინამორბედი ისტორიისა, საკუთარი განვითარებისა და თვითშეგნებისა.

ამიტომაც ხდება, რომ ზოგჯერ ერთნიორ სოციალურ მდგომარეობაში მყოფი პიროვნებები მრავალი ცნობილი თუ უცნობი მიზეზით სხვადასხვაგვარად აფასებენ ამ მდგომარეობას, რაც მათ მხრივ სრულიად სხვადასხვა, ხშირად საპირისპირო მოქმედებას იწვევს. ზოგჯერ არ თანხვდება ადამიანის რეალური ქცევა და მისი არსი, ისეთი, როგორსაც იგი მას თვით ხედავს, და წარმოიშობა ამ



მოვლენასთან დაკავშირებული მცირე თუ დიდი, აშკარა თუ ფარული კონფლიქტები. ამითაცაა გამოწვეული ჩვენს სოციალურად ერთგვაროვან, კლასობრივი თვალსაზრისით უკონფლიქტო საზოგადოებაში ეგრეთწოდებული „ნეგატიური მოვლენები“, რომელთა ახსნა ერთნიშნად — მხოლოდ „ბურჟუაზიულ გადმონაშთებად“ — არ უნდა იყოს მთლად სწორი.

ასევე თავისთავად არ ხდება გარემომცველი სამყაროს ესთეტიკური აღქმის თვისებათა შემუშავება, რადგან თავისთავად ესთეტიკური გარემოს შექმნა მექანიკურად არ მოქმედებს არც ზრდის პროცესში მყოფ ბავშვზე ან ყმაწვილზე და არც, მითუმეტეს, ზრდადარსებულ ადამიანზე.

კაცი შეიძლება ხელოვნების მუშეუში, საჯარო ბიბლიოთეკაში ან კონსერვატორიაში გაიზარდოს და სავსებით მოკლებული იყოს ესთეტიკურ გრძნობას.

რატომ? იმიტომ, რომ მისი ჭეშმარიტი ესთეტიკური გარემო, მისი სამყარო, რომელსაც მხოლოდ ამჩნევდა და უშუალოდ ვერ ხედავდა, მისი ამ სამყაროში არსებობა არ იყო გასულიერებული იმ ესთეტიკური აზრით, მშვენიერების იმ იდეით, რომელიც აღვიძებს, ხსნის, ნერგავს მოზარდში ესთეტიკურ გრძნობას.

თავისთავად ესთეტიკური სულის, იდეისა და ატმოსფეროს შექმნას და ოჯახში დამკვიდრებას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უტყვე „მხატვრულ“ გარემოს.

სწორად უნდა ამას გაგება. იმაზე კი არ მივეუთითებ, ის კი არ მაწუხებს, რომ ადამიანები აუცილებლად ხელოვნების მოღვაწენი, ხელოვნების პრაქტიკოსები ან თეორეტიკოსები უნდა იყვნენ. სრულიადაც არა.

მართალია, რეალური სამყაროს ესთეტიკური ფასეულობანი და მათი მხატვრული ათვისება ისე მჭიდროდა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მათი გათიშვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს გარემოება ზოგჯერ მეორე

უკიდურესობას ბადებდა. ერთი მხრივ, მხატვრული მოღვაწეობის მეორე მხრივ, ადამიანის ესთეტიკური აქტივობის გაიგივებას. ცხადია, ეს სულ სხვადასხვა კატეგორიებია და სწორედ იმაზე მივეუთითებ, იმით ვარ დაინტერესებული და ის მაწუხებს, რომ ყველა ადამიანი უნდა გრძნობდეს ესთეტიკური აქტივობის აუცილებლობას, მითუმეტეს, თუ ამას გარემო უწყობს ხელს, ის მიკროსამყარო, რომელიც მისი ცხოვრების რეალური თანამგზავრია.

აბა ის არის ნორმალური, რომ პრინციპში არც ერთი საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალი კოლექციონერი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ ყოფილა ჭეშმარიტი ხელოვანი ან ხელოვნებათმცოდნე, მათი მოქმედების ძირითადი წარმმართველი უმეტესად „ხელოვნების ბაზრის“ არსებული და შესაძლებელი კონიუნქტურა იყო (იყვნენ, ცხადია, ერთეული გამონაკლისები).

ამრიგად, მხოლოდ ჩვენი ურთიერთობა საგნისმიერ სამყაროსთან აძლევს აზრს ამ სამყაროს და გვიდასტურებს ადამიანის ამოუწურავ შემოქმედებით პოტენციას.

ადამიანი. მე, შენ, ის... უძველესი ჩინური, ინდური, ბერძნული წარმოდგენებით ადამიანი იყო დროის გარეშე არსებული კოსმოსის ნაწილი, მცირე სამყარო, დიადი სამყაროს ხატი და სიმბოლო, თავის თავში რომ მოიცავდა კოსმოსის ყველა ელემენტს, შედგებოდა სულისა და სხეულისაგან, როგორც ერთი რეალობის ორი ასპექტისაგან ან ორი განსხვავებული სუბსტანციისაგან.

ინდური ფილოსოფიის სულთა გადასახლებების მოძღვრებაში მხოლოდ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება, გათავისუფლდეს ემპირული არსებობისაგან.

ანტიკური ფილოსოფიისათვის ადამიანი არის სული და გონება, „გონიე-

რი სული“, საზოგადოებრივი ცხოვრების უნარით აღჭურვილი.

ქრისტიანული წარმოდგენით ადამიანი ღვთის მსგავსია, მართალია, შინაგანად გაორებულია თავდაპირველი ცოდვით, მაგრამ ძალუძს ღვთის მადლს ეზიაროს და გახდეს სუპერპუმანუსი — ზეადამიანი.

შუა საუკუნეებში ესმით, რომ ადამიანი არ დაიყვანება ზოგად ბუნებაში, არაა რაღაც სუბსტანციამდე, რომ ის არის განუყოფელი ურთიერთობაა განსახიერება.

აღორძინების ხანაში ბატონობს ადამიანის ავტონომიურობის, მისი უსაზღვრო შემოქმედებით შესაძლებლობაა პათოსი.

1 დეკარტესული შეხედულება, რომ აზროვნება ერთადერთი ნამდვილი საბუთია არსებობისა — ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ — საფუძვლად დაედო ახალეროპულ რაციონალიზმს, სწორედ გონებრიობაში, აზროვნებაში რომ ხედავს ადამიანის სპეციფიკას, არსს.

დეკარტეს დუალიზმი განსაზღვრავს აგრეთვე ანთროპოლოგიური პრობლემების დასმას, როცა სხეული განიხილებოდა ვითარცა ერთგვარი მანქანა, ავტომატი, საერთო რომ აქვს ცხოველს და ადამიანს, ხოლო სული უთანაბრდება გონს.

დუალიზმიდან გამოდიოდა კანტიც, როცა ადამიანი ესმოდა ორი სხვადასხვა სამყაროს კუთვნილ არსებად — ბუნების აუცილებლობისა და ზნეობის თავისუფლებისა.

ამის საპირისპიროდ ახალ გერმანულ ფილოსოფიაში უბრუნდებიან ადამიანის, ვითარცა ცოცხალი მთლიანობის იმ გაგებას, აღორძინების ეპოქას რომ ახასიათებდა — ჰერდერი, გოეთე და სხვ.

კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიაში განსაზღვრელია ადამიანზე წარმოდგენა, როგორც სულიერი საქმიანობის სუბიექტზე, კულტურის სამყაროს რომ ქმნის და მატარებელია ზოგადმნიშვნელობის შეგნებისა, საყოველთაო

იდეალური საწყისისა — სულიერი, გონიერებისა.

ამის საპირისპიროდ ფილოსოფიის ცენტრში დაიყვანა ადამიანის ხორციელ-მგრძნობელობითი არსი. მის კონკრეტულ გამოვლინებაში.

გასული და ჩვენი საუკუნის ადამიანის ირაციონალურ კონცეფციებში წამყვანია აზრგარეშე თვისებები და ძალები (გრძნობა, ნებისყოფა...) ნიციშეს აზრით, ადამიანის ყოფნის თავისებურება განპირობებულია ცხოვრებისეულ ძალთა თამაშით და არა შეგნებით და გონიერებით. კიერკეგორი უმთავრესად თვლის ნებისყოფის აქტს, რომელშიც ადამიანი „თავისთავს შობს“, სულიერი ყოფის არჩევანს, რის გამო ინდივიდი, ბუნების არსება, პიროვნებად იქცევა. პერსონალისტთა და ეგზისტენციალისტთა შეხედულებით ადამიანი არ დაიყვანება რომელიმე „არსამდე“, — ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, სულიერ არსამდე, ისინი საზღვრავენ და უპირისპირებენ ერთმანეთს, ერთი მხრივ, ინდივიდუალობის, ვითარცა ბუნებრივი და სოციალური მთლიანობის ნაწილის და, მეორე მხრივ, პიროვნების, ვითარცა განუყოფელი სულიერი თვითგამორკვევის, ცნებებს.

და, საბოლოოდ, ამოსავალ წერტილად მარქსისტული გაგებისათვის აღიარებულია ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტის მატერიალისტური კონცეფცია...

დიდია იმ რყევის ამპლიტუდა, რომლის ფარგლებში თვით ადამიანი არკვევს საკუთარი თავის განსაზღვრებას, თავისი არსის სპეციფიკას, საბოლოოდ — თავის თავს. მე კი ახლა, ჩემს მიკროსამყაროში მყოფმა, სრულიადაც არ მინდა იმ მეტად ჰეგელიურ და რთულ ამბებზე ვიფიქრო, თუ ათასეული წლების მანძილზე როგორ ადგენდა კაცობრიობის რჩეული ინტელექტუალური ძალები ჩვეულებრივი ადამიანის არსს, ვიფიქრო იმაზე, თუ რა ძალის იქნებოდა მათი ტვინის მი-

ერ დახარჯული ენერჯია, ამ საკითხის გარკვევას რომ მოხმარდა.

მე მსურს სულ უბრალო, კერძო, სუბიექტური რამ: გავარკვიო ჩემი ურთიერთობა იმ სამყაროსთან, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ და განვიცდი. მაგრამ ისიც კარგად მაქვს შეგნებული, რომ ეს გარკვევა ვერ გაცდება მატერიალური სამყაროს ფარგლებს და ჩემს სულიერ შესაძლებლობებს, რადგან ერთიც მოცემულია და მეორეც განსაზღვრულია.

მაინც რა საზღვრამდეა შესაძლებელი ადამიანის გარემომცველ მატერიალურ მიკროსამყაროსთან ურთიერთობის შეცნობა, ადამიანის სულს (მასში გონებასაც და გრძნობასაც ვგულისხმობ) როგორ და სანამდე შეუძლია არეგულიროს ეს ურთიერთობანი? მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით?

ვეჭვობ, ამის პასუხი უკვე არსებობს, უკვე გაცემულია და სადღაც, რომელიმე ჩემთვის უცნობ ფოლიანტში ეს და ამგვარი გულუბრყვილო საკითხები უკვე გარკვეულია.

მაგრამ, როგორც ლმობიერი მკითხველი უკვე შეამჩნევდა, ამ საკითხების დაყენებას და გარკვევას მე ვცდილობ არა მკაცრი მეცნიერული მიდგომის დაცვით, არამედ როგორც უბრალო ადამიანი, ვთქვათ, პროფესიონალი ლიტერატორი, შეიარაღებული ბუნების მიერ ჩემდაუნებურად ბოძებული უნარით, წარმოვიდგინო მხოლოდ ჩემს მიერ გასულიერებული სამყარო და ჩემი მის ფარგლებში მოძრაობა, ურთიერთობა, საერთოდ ყოფნა, ბუნებრივია, დეტერმინებული, მაგრამ მაინც ჩემი თვითნებობით გასუბიექტურებული.

თუ ვინმე საკითხის ამგვარ დასმას მეცნიერული თვალსაზრისით არაკორექტულად ჩათვლის, ნუ დამძრახავს, რადგან „კორექტული“ კითხვები ისედაც ჰარბად დგება ხოლმე და მასზე პასუხი იმდენად თავიდანვე აშკარაა, რომ ზოგჯერ ადამიანური სურვილი

გაწვევა, რამდენადმე გასაყვედურს ვეჩვენს მიერ შემოფარგლულ-მეცნიერულ ბულ წრეს, ცოტა სხვა მზრივითაც წარმართო გონება.

სამყარო, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ, სავსებით ობიექტურია. ჩემი მასში ყოფნა და მისი ჩემში არსებობა ობიექტურისა და სუბიექტურის ზღვარზე დგას. მე შემიძლია ის გავასულიერო და არ გავასულიერო, ამით ის არ იცვლება, მაგრამ ვიცვლები მე, როგორც ობიექტური რეალობა, აღჭურვილი ინდივიდუალურად ორგანიზებული აღქმისა და შემეცნების უნარით.

სამყარო კვლავ იქნება, როცა მე აღარ ვიქნები, მაგრამ მის არსებობას აზრს აძლევს მხოლოდ ადამიანი, რადგან მას თავისთავად აზრი და სული არა აქვს. მხოლოდ უსულო გარემოს მიერ შექმნილი ადამიანისათვის არსებობს სამყარო, რომელიც თავისთავად არსებობს, ოღონდ საკუთარი თავის შეცნობის უნარი არ გააჩნია.

ამ თვალსაზრისით სამყარო, მთელი თავისი გიგანტური მოუხილველობით, ვითარცა მარად მოძრავი მატერია, აბსოლუტურია, უპირობოა, შეუქმნელია, მარადიულია, საყოველთაოა, ხოლო ადამიანი, ვითარც სულიერი, მგრძნობელი, მოაზროვნე, მოუხილველი სამყაროს ერთადერთი მომხილავი — რელატურია, პირობითია, წარმავალია, დროებითია, მაგრამ ვითარცა იმ აბსოლუტურის ნამკეცი, მისი ადამიანური ერთობის უსულო ნაწილი მარადიული საბეცვლილების ფერხულშია ჩაბმული, და ამის გამო, ერთი ზუზედვით, იმ პარადოქსულ ვითარებაში ვართ, რომ სხეული ჩვენი უკვდავია, ხოლო სული მოკვდავი!

პარადოქსულს იმიტომ ვამბობ, რომ ადამიანის სურვილია, იმეღია, ნუგეშია და ოცნებაა ის, რომ პირიქით იყოს, რასაც სხვადასხვაგვარი ხერხით ამტ-

კიციებს და ამკვიდრებს მისი სულის ნაყოფი მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგია. და, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ქრისტიანობის შედარებით სწრაფ გავრცელებას და მსოფლიო რელიგიად აღიარებას ხელი შეუწყობს იმისა ერთმა, თავისი დროისათვის რევოლუციურმა, ლოზუნგმა და მტკიცებამ, რომ ადამიანი უკვდავია, რაც აღდგომის საკვირველ აქტში გამოიხატა!

მაგრამ მოვეშვათ რელიგიურ ოცნებებს და ვალიაოთ, რომ ერთადერთი ნუგეშსაცემი ამ ვითარებაში ის არის, რომ, თუ ადამიანი, როგორც ინდივიდი მოკვდავია, უკვდავი უნდა იყოს ადამიანური მოდგმა (პირადად მე ეს მაკმაყოფილებს). თუმცა ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში, მეოცე საუკუნის მიწურულს, ეს ალტერნატივა კითხვის ქვეშ დააყენა თვით ადამიანმა თვითმოსპობის პოტენციალის შექმნით. მაგრამ, როგორც სხვაგან აღვნიშნავდი, აქ შეიძლება ვიმედოვნოთ კაცობრიობის თვითგადარჩენის ზოგადი შეგნების აღმოცენება, გამოვლინება, გაბატონება, რაც შეუძლებელს გახდის საყოველთაო ხარაკირის ბარბაროსულ აქტს.

დავუბრუნდეთ იმ გარემოებას, რომ უსულო სამყაროში ვცხოვრობთ. მართალია, ჰეგელის აზრით კაცობრიობის სულიერი კულტურა თავის განვითარებაში თანდათან ავლენს მსოფლიო გონის შემოქმედებით ძალებს და ამავე დროს ეს უპიროვნო მსოფლიო სული ერთდროულად შეიცნობს საკუთარ თავს ვითარცა შემოქმედს. აბსოლუტურ იდეად სახელდებული ეს მსოფლიო სული ჰეგელის აზრით ვლინდება მის საყოველთაო შინაარსში კატეგორიათა სისტემის სახით ზოგადიდან კონკრეტულამდე. როცა ჰეგელი აზროვნებას აღიარებს იმ სუბიექტად, რომელმაც შექმნა ისტორიის მიერ განვითარებული მთელი სულიერი სიმდიდრე და რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ როგორც საერთოდ შემოქმედებითი მო-

ღეწეობის მარადიული, დროისგარეშე სქემა, სხვისი არ ვიცი, უნდა გვეჩვენოს მომიდგება უბრალოდ ანტიკურმა მემორთ ვითარცა ყოველივეს შემოქმედი.

განა საქმეს შევლის იმის მტკიცება, რომ იდეა პოულობს შეგნებას, ნებისყოფას, პიროვნებას მხოლოდ ადამიანში? — ადამიანის გარეშე და ადამიანამდე იგი ხომ ხორციელდება ვითარცა შინაგანი კანონზომიერი აუცილებლობა?!

ჰეგელის მცოდნეებმა შესაძლებელია უეციობა დამწამონ, მაგრამ აქაც ის მისტიციზმი მეჩვენება, ვ. ი. ლენინი რომ ჰეგელის ლოგიკაშიც ხედავდა. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უფრო მისაღებად მეჩვენება ჰეგელის ესთეტიკა და ამ მხრივ შემიძლია ვალიაოთ, რომ მისი გამზიარებელი ვარ, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ მისი შეხედულებით მშენებელი იდეის გრძნობითი მოვლენაა, აღებულები არა მისი წმინდა ლოგიკური ფორმით, არამედ რომელიმე გარეგნულ ყოფასთან მის კონკრეტულ მთლიანობაში.

ჩემი აზრით, ასევე გასაზიარებელია ჰეგელის მოძღვრება იდეალზე და მისი განვითარების საფეხურებზე, რაც დამოკიდებულია იდეისა და მისი გარეგნული სახის თანაფარდობაზე: გარეგნული სახე, სიმბოლური მხატვრული ფორმით გადმოცემული, მხოლოდ ნართაულად მიგვიჩივებს იდეაზე (აღმოსავლური ხელოვნება); კლასიკურში იდეა და მისი გარეგნული სახე გაწონასწორებულია და მთლიანად შეესაბამებთან ერთმანეთს (ანტიკური ხელოვნება); რომანტიკულში ქარბობს სულიერი ელემენტი, სულის სიღრმე და უსაზღვრო სუბიექტურობა (შუა საუკუნეების ქრისტიანულ საფუძველზე წარმოშობილი ხელოვნება და ახალი ევროპული ხელოვნება). როგორი იქნებოდა (თუ საერთოდ იქნებოდა) შემდეგი საფეხური, ჰეგელს არ უწინასწარმეტყველებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამომაქვს, რომ ეს მიკრო თუ



მაკრო სამყარო, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობ და განვიცდი, თავისი კანონებით რომ არსებობს, რომელთა კაცობრიობის მიერ შეცნობის, ახსნისა და ადამიანური გათავისებების ალბათ მხოლოდ დასაწყისში ვართ, მე, როგორც მასში მოძრაობა გასულიერებულმა ერთმა წერტილმა გავაადამიანურო ისე, როგორც ჩემი, ერთგვარად ჩემგან დამოუკიდებელი, ვითარცა დეტერმინებული, ბუნება მოითხოვს და, რადგან ადამიანში მისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე, მზარდი ტექნიციზმის პირობებში მთავარი სწორედ ეს სულიერი ცხოვრება ყოფილა, ადამიანთა მოდგმის საბოლოო ერთიანობისა და სოლიდარობის სრული შეგნებით ისე ვიმოქმედო, რომ არ დაეარღვიო ერთიანი მიზნით განპირობებული ბუნების ძალთა თანაფარდობა, გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები, გონიერულად ვიარსებო დღეს, შეძლებისდაგვარად განვეკვიტო მომავალი და, რაც მთავარია, სურვილისამებრ ვიქცე და დავრჩე განსახიერებად იმ სულიერებისა და ზნეობრიობისა, რომელიც საგნობრივ სამყაროშიც შეგვაქვს, მაგრამ მაინც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურ თვისებად რჩება.

მხოლოდ ერთი მაგალითი. ოთახის კედელზე რეპროდუქცია მივიღია: „ლაოკონი“. ჩვეულებრივი რეპროდუქციაა, არაფრით გამორჩეული, ყველასათვის ხელმისაწვდომი. შევეყურებ ორგველშემოხვეულ მამასა და შვილებს. იგი ბავშვში შიშს იწვევს, მონარდში — სპორტულ ინტერესს (ვინ ვის!) ხოლო ხნოვანში, ვინც იცის, რას ეძღვნება ეს სკულპტურული ჯგუფი, ათასგვარ განცდას, ფიქრს, ასოციაციას აღძრავს.

ლაოკონი. ლაოკონი იყო ტროელი გმირი, ამოლონის ქურთში. იგი წინაღუდგა ბერძენთა ხის ცხენის ქალაქში შეტანას, რაც ქალღმერთ ათინას სურვილს უპირისპირდებოდა. ლაოკონი და მისი ორი ვაჟიშვილი ღმერთებმა ორ ვეება გველს მოაშთობინეს, ტროელებმა ხის

ცხენი ქალაქში შეაგორეს და ტროა დაეცა, ლაოკონი დაიღუპა, კთინამ და ბერძენებმა გაიხარეს.

კომპოზიციის ცენტრში უკვე წახრილია, მაგრამ ჯერ კიდევ მტკიცედ დგას გველშემოხვეული ლაოკონი, აქეთ და იქით მისი ვაჟები ამოდ ცდილობენ გველთა მიძღვრი სხეულისაგან განთავისუფლებას, თვით ლაოკონიც წინააღმდეგობის უკანასკნელ ზღვარზეა.

კომპოზიცია შეერული დგას, ამასთან, თავისუფლად მოძრაობს, აბსოლუტურ დინამიკაშია: იკლავებიან გველები, იბრძვის დეკაკი, იბრძვიან ყმაწვილები, საცაა მათ გველთა შხამი დაგესლავს და მოიშთობიან სამივენი. მაგრამ მაინც იბრძვიან და ცდილობენ თავდახსნას.

ჯერ კიდევ ვინეკლმანმა, შემდეგ ლესინგმა, ჰერდერმა, გოეთემ, შილერმა, ჰეგელმა და მრავალმა სხვამ გააანალიზა გვიანი ელინიზმის ეს შედეგრი, რომელსაც რალაცნაირად იმ დიდი ხელოვნების დაქემის პერიოდის მცხრალი შუქი მოსავს (ჰეგელმა შენიშნა, რომ ერთგვარი მანერულობა მას ბერძნული კულტურის ბოლო პერიოდს მიაკუთვნებს).

უხსოვარ დროში ხალხმა შექმნა მითი, რომლის ცალკეული მომენტები ალბათ რეალური ცხოვრების ამბებს დაეყრდნო, — გაასულიერა თავისი სამყარო, რომელსაც უშუალოდ გრძნობდა. ვერგილიუსმა სიტყვაში აღბეჭდა ეს მითი და „ენეიდაში“ უკვდავეყო.

ბევრი ვეძებე ქართულ მითოსურ სამყაროში ამგვარი მითის ანალოგი, მაგრამ პარალელი ვერ დავუძებნე. საერთოდ კი ღმერთთა ურთიერთვიდოლის შედეგად მართალი ადამიანის მსხვერპლად მიტანის იდეა ბევრგანაა გავრცელებული და ობიექტურად იგი ზოგადად ქართული მითოსის და, კერძოდ, ჩვენი მთის ფოლკლორის ბუნებიდანაც გამომდინარეობს.

ასეა თუ ისე, ძველმა როდოსელმა ოსტატებმა — აგესანდრემ, ათენო-

დორემ და პილიდორემ — გენიალურად აამეტყველეს მარმარილოს უტყვი ლოდი და მითის საფუძველზე სახვითი ხელოვნების მსოფლიო შედეგური შექმნეს. შემდეგ ლესინგმა სიტყვის და აზრის ანალიზისეული ხელოვნების გამომსახველი შესაძლებლობანი უმაღლეს წერტილში აიყვანა და მხატვრული შეფასების მსოფლიო შედეგური შექმნა, რომლის საფუძველზე პოეზიისა და სახვითი ხელოვნების კანონთა სხვადასხვაობაც დაადგინა.

ჩვენ, ყოველდღიურობის ფერხულში ჩაბმულნი, ქრონიკულად განვიცდით დროს უქმარობას, სამსახურებში დაღლილნი და შინ დაბრუნებულნი ერთავთ ტელევიზორს, რომლის სხვისი გემოვნებით შერჩეული, არსებითად ტრივიალური გადმოცემა ზოგჯერ ჩვენი სულიერი ცხოვრების უმაღლეს გამოვლინებად მიგვაჩნია...

ჰკიღია ჩემი ოთახის ერთ კედელზე „ლაოკოონი“ და მის ქვემოთ თაროზე მდგარ ლესინგის „ლაოკოონს“ დაკუთრებს. ეკიდოს, როგორც ერთ-ერთი სიმბოლო ადამიანის ხორციელი ტანჯვის მარადიულობისა და მისი სულიერი უდრეკელობის უკვდავებისა. ვინც ოდესმე ვატიკანის პიო-კლემენტინოს მუზეუმში მოხვდება, თვით „ლაოკოონი“ განიცადოს, ვინც ვერ მოხვდება, ლესინგისა და გოეთეს „ლაოკოონი“ წაიკითხოს და შეეცადოს, იმ მაღალ სულიერ სამყაროს ზიარებულმა, აღარ დათმოს მოპოვებულ სიმალღე და სამყაროში, რომელშიც არსებობს, რომელსაც უშუალოდ განიცდის, რომელიც მისი თვითნებობის ანუ სუბიექტური მიზანშეწონილობის შედეგია, იყოს ჭეშმარიტი სულიერების განსაზიარება, რაც ჩვენი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ალბათ ნამდვილი ადამიანურობის განსაზიარება იქნებოდა.

შეიძლება ვცდები და ვაჭარბებ, მაგრამ, როგორც მეჩვენება, ქართველები მომხმარებლებად და „სიტუაციის გამოყენებლებად“ არასოდეს ვვარგოდით და, ჩვენი შინაგანი ბუნების წყალობით, ინტერესთა სფეროს, ზოგ-

ჯერ ჩვენდა საზიანოდაც, უფრო სულისმიერში ვეძებდითე რეჟიმულარც იმის გამო დაგოწყებთქვენიქვენიქვენი ჩვენი ისტორიული ცხოვრების მანძილზე და დღეს ამის საპირისპირო მაგალითებსაც დაძებნით.

ხანდახან ის ტენდენციაც მაწუხებს, რომ ზოგჯერ, განსხვავებით ზოგიერთი ერისაგან, ანგარიშიანი ზომიერება და წინდახედული თავდაჭერილობა გვაკლია — გვაზასიათებს ერთგვარი უკიდურესობანი, როცა ცხოვრების ხელშესახებ სიაშეთა ხვეჭაში სულიერს ვივიწყებთ და სულიერით გატაცებულნი რეალურ საჭიროებათა აუცილებლობას უგულვებელვყოფთ.

საინტერესოა, რომელი სხვა ერის შვილი იტყოდა მთელი სერიოზულობით, ისე რომ ცხოვრების პრინციპად ექცია — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“... „სჯობს სახელისა მოხვეჭა“... ან „რასაცა ვასცემ შენია“... მაგრამ საქმე ისაა, რომ რეალური ცხოვრება უქანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ხანდახან საპირისპიროსკენ გვიბიძგებდა და არც ჩვენ გაგვიწევია დიდი წინააღმდეგობა, მეტი რომ არა ვთქვა.

თუ წინათ, ერთგვარი საზოგადოებრივი განცალკევებისა თუ კლასობრივი დაპირისპირების ვითარებაში, ხშირად სხვისი ჭირი ჩვენ ჭირზე უფრო განგვიცდია და სიტყვები „შენი ჭირიშე“ და „გენაცვალე“ გამოვიგონეთ; ე. ი. მოხდა არსებულ სულიერ სწრაფვათა თუ მოთხოვნილებათა აუცილებელი ენისმიერი დაფიქსირება, ახლა, სოციალურად გაერთიანდობის და აღიარებული კოლექტივიზმის პირობებში, ერთმანეთისაგან გაუცხოებისა და „ყველამ თავისთავს მიხედოს“ ამოტივტივებული ჩვენთვის უცხო მიდრეკილება მაწუხებს, რის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ სულიერი ყოფის უქმარობა და მატერიალურის მოჭარბება მეჩვენება, რაც მომავალში ერის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სულიერ აღნაგობას დეფორმაციით ემუქრება.

და საბოლოოდ: ცნობილია, რომ

ყოველგვარი აბსტრაქცია ანუ განყენება ისე აფორმირებს წარმოდგენებს, ცნებებს, მსჯელობებს, რომ იყენებს სათანადო მონაცემთა მხოლოდ ნაწილს და უმატებს მას ახალ ინფორმაციას, იმ მონაცემებიდან რომ უშუალოდ არ გამომდინარეობს. განყენება რამდენადმე ამარტივებს, ხოლო აღნიშნული შევსება ართულებს რეალობის სახეს. შემეცნების თვალსაზრისით აბსტრაქცია ორგვაროვანია — ის ან გამოდგება მოვლენათა ობიექტური არსის წვდომისათვის ან არ გამოდგება იმ სუბიექტურობის გამო, კონკრეტულ რეალობას რომ აღარიბებს, აცალმხრივებს, აზედაბირებს.

მკითხველმა თვით განსაჯოს ამ თვალსაზრისით ეს ჩემი რამდენადმე განყენებული და შეძლებისდაგვარად კონკრეტული ნაფიქრალი და იმ პოზიციის ვარგისიანობა თუ უვარგისობა, რომელზედაც თვით ვცდილობ ვიდგე და სხვებსაც მისკენ მივუთითო — უშუალოდ ჩვენზე დამოკიდებული საკუთარი სულიერი ცხოვრების ინტენსიფიკაცია ჩვენგან დამოუკიდებელი

მატერიალური ყოფის ინტენსიფიკაცია — ის დღევანდელ პირობებში.

ხომ ცნობილია, რომ ნილს ბორის მიერ გამოთქმული აზრი, რომ „არსებობს ჰემმარიტების ორი ნაირსახეობა: ტრივიალური, რომლის უარყოფა უაზრობაა, და ღრმა, რომლისთვისაც საწინააღმდეგო მტკიცება აგრეთვე ღრმა ჰემმარიტებაა“, — სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ჰემმარიტების ჰემმარიტება მოწმდება მისი უარყოფის შესაძლებლობით თუ შეუძლებლობით. აქედან გამომდინარე, თუ მუდმივ მოლოდინში და მზადყოფნაში ვიქნები აქ გამელაგნებულ აზრთა საპირისპიროდ ვინმეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა განხილვისათვის, ვგონებ, შევინარჩუნო სულიერი ცხოვრების ის აუცილებელი დონე, რომელიც გვაადამიანურებს ბუნების ჩვენთვის შეუმჩნეველი მარადცვალებადობისა და ჩვენთვის შესამჩნევ სწრაფადცვალებადი საზოგადოებრივი ყოფის პირობებში, იმ სამყაროში, რომელსაც უშუალოდ ვგრძნობთ და განვიცდივთ.

იზა გოციაძე

ბათუმი

ვერცხლის პერანგად წვიმა გაცვია,
მარაოებად — პალმის რტოები,
ზღვა შენთვის ღმერთის ტოლი კაცია —
და ღმერთს საშველად შენ გამოგები.

ვარდების გვირგვინს ისე იმშვენებ,
თითქოს ეკალი ვარდს არ ჰქონია,
ძველი ცხოვრების ყველა სიძნელე,
უცხო ზღაპარი უკვე გგონია.

გახელებული მზის უხვი ცქერით,
ოქროში იბანს ტანს შენი ღმერთი,
მარადიული სიცოცხლის ფერი,
კივილით გამცნობს, რომ შენ ხარ ერთი.

მინდა ჩაგიკრა შეილივით გულში,
შემოგახვიო ჩემი ხელები,
გითხრა, რა ძლიერ გინატრე გუშინ,
სხვა სიყვარულით შენ გეფერები.

გაზაფხული

გაზაფხულია, ბრდღვიალებს ზეცა
და მე სიყვარულს ვიწყებ თავიდან,
ყვავილებს ვატან იმ ლამაზ ქალებს,
რომელთაცხოვრებაც უღმრთოდ
გაფრინდა.

და მე არ მინდა არავის ვგაგდე,
ყველა ნაბიჯი მტკივა ამ დილით,
აქამდე თურმე ვყოფილვარ ლანდი,
თურმე ვყოფილვარ სხვისი აჩრდილი.

ღღეს კი ყვავილთა უნაზეს ფურცლის,
საგალობლები მიმაქვს ზეცაში,
მე ჩემს ცხოვრებას ბედ-იღბალს
ვეუცვლი
და ჭვარს დავიწერ ისევ მცხეთაში.

და მიზარია ეს გაზაფხული,
რომ გამოვედი ძველი ვალიდან,
რომ ავუვედი ჭორსა და ტყუილს
და რომ სიყვარულს ვიწყებ თავიდან!

მზეს

ლამე შენი ჩადრია,
დილა — სახიერება,
ჩინჩხლიანი ვარსკვლავი
კიდევ ერთი მშვენება,
ხან რომ დაგეკარგება,

ხან რომ მოგეჩვენება,
მთვარე — და და მოკეთე,
ზეცა — შენი სადედო,
ყველა შენ შემოგველოს
მჩის მარაგანდედო.



ოპოლი სხივი

ხანდახან ისე მომენატრები ძვირფასო მამავ,
 როცა შენს სუათს თვალს შევავლებ
 შავ ჩარჩოში უკვე საოცრად დაღლილს,
 მინდა კივილით შეეძრა ქვეყანა...
 მაგრამ უღონო დედას,
 უმცროს და-ძმას და ჩვენს პატარებს რომ გადავხედავ,
 რომლებიც წვიმაში დამფრთხალი ბელურებივით
 იმედით შემომყუჟევიან,
 იმ გამხმარ-გამომშრალ ხედ ვიქცევი,
 რომელსაც წვეთი სისხლიც აღარ გააჩნია
 თავის გადასარჩენად,
 მაგრამ მედიდურია და ზვიადი,
 ამაყი და გულშემატკივარი ყველასი,
 თავადაც ობოლი და ერთადერთი ამ ტრიალ უდაბნოში,
 თავისი წვრილი, ობოლი ჩრდილით უამრავ სიკეთეს რომ აფრქვევს.

• • •

და თუ ღრუბლები მიწის სულია,
 მიწა ტანია, მზე კი გულია,
 მთვარე ტრფობისთვის დანიშნულია,
 ტრფობა კი ცამდე აზიდულია,
 გაუგებარი არის სრულიად
 ქვეყანა რატომ ასე რთულია?!

• • •

მზი-ფერი თმებით,
 ქარვისფერი ქალია ახლოს,
 შეხეთ ბიჭებო ამ ლამაზმანს,
 სადა ხართ ამ დროს?!

და გროვდებიან უცხო პორტში მეზღვაურები,
 თვალს წყალს ასმევენ და ჰყვებიან საშობლოს ამბებს.

მზის სხივი



საქართველოს
წიგნების კავშირი

მე ის მზის სხივი ვარ
გამოტყორცნილი დედამიწაზე.
მილიარდი წელიწადი რომ ეუნდები
თქვენთან ჩამოსულას,
რომ გაგინათოთ დღე კეთილი,
ყველა გაგათბოთ,
სიცოცხლე გაჩუქოთ და დაგლოცოთ...

მაგრამ ვაი, რომ არაეინ უწყის
კიდევ რამდენი მილიარდი წელიწადი დამპირდება,
რომ იქ — საფლავებშიაც ჩავაღწიო
და გავანათო მდუმარე მარადიულობა,
დედამიწის ღრმა გული,
ძაძვებით რომ არის მოსილი.



ვაჟა შუაუსიძე

ბულბული უსტვენს

იქნება სულაც არავინ უსმენს,
იქნება უსმენს, უსმენს ვიღაცა,
უსტვენს და უსტვენს, ბულბული
უსტვენს,
თავისაა უსტვენს, არა სხვისასა
და იხანგრძლივებს იმედის წუთებს, —
ებრძვის უკულმართ ბედს და იღბალსა.

მეც ასე ვმღერი, ვმღერი და ვმღერი,
უმისამართოდ გრძნობებს ვარიგებ,
ტალღად მივეყვები სინათლის ღელეს,
მომხედოს იქნებ ბედის გამრიგემ
და, დღეს თუ არა, მერე და მერე
გამოუთქმელის აზრი გავიგო.

მემღერება და ვმღერი და ვმღერი,
სიმღერის წვიმით ვარ გალუმბული,
ველი და ველი, სასხვისოს ველი,
შორიდან მესმის მისი გუგუნეი...
ხომ შეიძლება — ვერც უსმენს ვერვინ
და მაინც უსტვენს, უსტვენს ბულბული.

ცაცხლოდავული თოვლი

არავინ იცის
დეღამიწა ვის რით იზიდავს,
ვით კაცის მზერას —
ზღვაზე მზის ჩასვლა!

ციკქნა ფანტელი
ფრიალ-ფრიალით
ნუთუ იმისთვის დაეშვა ციდან,

რომ გათოვილი სული გაეთბო
მიწის სითბოთი...
და გამჭრალყო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიბზო თუ სურდა —
მზისკენ რატომ არ წაფარფატდა?!

შემოდგომის ფოთოლი

მე უკანასკნელ ფოთლად შემოვრჩი
ხეს, შემოდგომის ქარით განძარცვეულს,
მჭდარი აკუთარ ჩრდილის ჩეროში,
ყოველდღიურად ვუმზერ აღსასრულს.

ჩაშლილა ყოფიან ირქველი ხიდი,
გავებულა დედაბუნება,
ყოველდღიურად ვიღაცა მიდის,
მიდის და აღარ დაგვიბრუნდება.

ობობას ქსელში გაუბამთ ნისლებს
მზე, გაცრეცილი და ფერმიხდილი...
და შევეგუე აღსასრულს ისე,
რომ დამეკარგა შიში სიკვდილის.



...

მან გალიაში ჩაქეტა ჩიტი,
უცებ შეწყვიტა ჩიტმა გალობა.
ვერ შეიფერა ბედის წყალობა
და გალიაში ჩაქეტა ჩიტი.

შინ, ცივ სენაკში ჩაქეტა ქალი,
ქალი, რომელიც უყვარდა ძლიერ.
სანთლის ალივით სუსტი და მკრთალი
გამოაჩინა თოვლსა და წვიმებს.

ჩიტსაც და ქალსაც გარეთ ერჩია,
სადაც თავნება დაჰქროდა ქარი.
ჩიტი გალობას გადაეჩვია,
გადაეჩვია ოცნებას ქალი.

...ჩვენ მედილეგის ზნე გეჭირს ფარული
და ეს ზნე ბოლოს გვატირებს მწარედ.
გაუშვი! ჩიტმაც და სიყვარულმაც
თავის ნებაზე იფრინონ გარეთ.

...

მინდა დავწერო უსიტყვო ლექსი:
ლექსი სიტყვების გარეშე,
ამ უაზროდ მოკიციკივე ჩიტების გარეშე
მინდა დავწერო უსიტყვო ლექსი.
და შიგ ისმოდეს უსიტყვო კვნესა,
წუხდეს ქარი და ტიროდეს ზეცა,
ჩემმა უსიტყვო ტკივილმა შეგძრას.

მინდა დავწერო უსიტყვო ლექსი.
სიტყვები — ყალბი მოწმეები
გაეძევეო დარბაზიდან
და უსიტყვო სიტყვით მოგმართოთ.
აი, მაშინ გამეჯიბრონ
სახელგანთქმული ორატორები.

რა მშვენიერია მდუმარე ადამიანი,
უსიტყვოდ რომ გესაუბრება
და ყველაფერს გაგაგებინებს.
რა ყოვლისმთქმელია სიჩუმე.
რა გასაგები და ცხადია სიბნელე.

სანთლით დაბრმავებულებს
როგორ გეჭირს ერთმანეთის დანახვა.
— ჩაქრე სინათლე! — მეხვეწები შენ,
რადგან იცი, რომ სიბნელეში ჩანხარ
ყველაზე უფეთ.

მეც ასე ვეაჯები ხოლმე
ენადგაყრეფილ ქვეყნიერებას:
— გაჩუმდით! გაჩუმდით-მეთქი!
სინათლეჩამქრალ და მდუმარე
ქვეყანაში
დაეხსნდეთ ერთმანეთის პირისპირ
და უსიტყვოდ ვილაპარაკოთ.

მინდა დავწერო უსიტყვო ლექსი.
სუფთა ქალაღი გამოგიგზავნო,
ქათქათა და ხელუხლებელი,
ვიცი, რომ მასზე ჩემს საწუხარს
ამოიკითხავ.

სუფთა ქალაღი გამოგიგზავნო,
როგორც ვარდის ფურცელი.

განა საჭიროა ვარდის ფურცელს
რაიმე დააწერო,
ის ხომ ყველაფერს ამბობს ისედაც.

სიტყვები რაა — ვარდის ფურცლის
საიდუმლო პაროლის ახსნა,
სიტყვები რაა —
იმისი გახსენება,

რაც უკვე მოხდა, ვარცხნილი
ან რაც ზღვება, ზიზღიწიწი
რაც არის უკვე...
დაგვიანებული ელჩები,
თოვლქყაპში რომ აბუზულან სასახლის
კართან.

მინდა დაწერო უსიტყვო ლექსი...

ძარი

მე ვარ ქარების გამომძახებელი,
ქარების გამომწვევი,
ქარების შემლოცველი,
ქარების მჩხიბავი
ძველი მეოცნებე.
ქარია, ქარია
შინა და გარეთ,
ქარში იღვწება
ქარების მხარე.
ქარში იღვწება,
ქარში იღვწება,
ქარში იხვეწება
დაღლილი ზარი.

მე ვარ ქარების გამომძახებელი,
მე და ქარი ერთად ეტირით,
ერთად ვმღერით,
ბნელ სადარბაზოებში
ერთად ვეხვევით საყვარელ ქალს.
ქარია შენი თმები,
ხორბლისფერი ქარი.
ხორბლისფერი ქრუანტლით და
ქართა ვარ მთვრალი.
ქარო,
მოსასხამივით მოგიგდებ მხარზე
და გავფრიალდეთ გაზაფხულის
ციხურ მხარეში.
მიყვარს შენი დაუოკებელი ქროლეა,
შენი მოუხელთებელი ჭანყი,
მთელი სხეულით რომ შეხეთქები
მკერდზე
ისიც მიყვარს.
შენი თინიანი შეკვივლება მიყვარს,
მთელ სხეულში ქრეოლა რომ ჩაგიდგება:
და ვნებისაგან აკანკალებული

ველზე რომ გაიქრები.
ვერ მოგიხელთე,
გულში ვერ ჩაგიყარ,
შენს ტუჩებს ვერ დავეწაფე,
შენს ყელზე ჩემი დამლა ვერ ამოვშანთე.
ერთხელაც იქნება
ურა ცხენზე შემოგიგდებ
და ერთად გავქროლდეთ ულრანი
ტყეებისკენ,
გადავუაროთ ჩათვლემილ ველებს,
თავს გადავევლოთ ზრამებს და ხეებს,
ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ
გავქროლდეთ მე და შენ,
ისე რომ ჩვენს ყიყინაზე
ციდან ვარსკვლავები ცვიოდნენ.
მე ვარ ქარების მომტაცებელი,
ქარების მომთვინიერებელი,
ქართან ჭვარნაწერი,
ქარია ჩემი პატარძალი თმაგაწეწილი.

როცა არა ხარ, ქარო,
მაშინ სადა ხარ, ნეტავ?
სად გძინავს,
სად თვლემ,
სად იშუშებ დაბეგვილ სხეულს.
რა გაიძულე, რომ დასტოვო
მყუდრო ბუნაგი
და საწანწალოდ გაეშურო კილით
კიდემდე.

რა გიმღერებს, ნეტავ, სისხლს,
რა ძალა გაფორიაქებს.
რა წამოგაგდებს ფეხზე უეცრად,
რა დარდი გლრღნის და
რა ნაღველი გაყმუვლებს ასე?

როგორც ჭინი ბოთლში,
 იცე ზიხარ ყველა ჩვენგანში
 და შესაფერის დროს ელოდები.
 როგორ მარყევე შიგნიდან,
 როგორ მანქლრევე,
 თითქოს ვულკანი მეჭედეს მყარდში
 და გულისფიცრის გამონგრევას
 ღამობდეს.
 ეს შენი სული იღვიძებს ჩემში,
 შენს წერას ვყავარ ატანილი,
 როცა ვბობოქრობ,
 შენი ნება მიკარნახებს
 მტვერწყაროვან დღეებს ქარივით რომ
 გადავერიო...

შენ ერთი დიდი სიბრძნე იცი
 და იმით ცხოვრობ:
 ამ ქვეყანაზე რაღაც უნდა ინგრეოდეს,
 რაღაც უნდა ილეწებოდეს,
 რაღაც უნდა მთავრდებოდეს...
 ნგრევა შენი სიმართლეა,
 უწესრიგობა — შენი წესრიგი,
 შენი შფოთვა და აურზაური
 სიმშვიდის დასაწყისი.

ქარო, ყვეთელი ფოთლებს უნდა
 ჩამოგვსვლელო,
 ქარო, გამხმარი ტოტების
 ჩამომლეწველო,
 ქარო, სნეული ხეების ამომთბრელო...

შენს სხეულში ვარ ჩაგრეხილი,
 შენს ვენბაში ვარ ჩაწნეხილი,
 ძარღვებში სისხლის ნაცვლად
 შენ ბრუნავ,
 შენ მიმოიქცევი, ქარო.
 ჩემს ნაცვლად შენ ღაპარაკობ,
 ჩემი სიტყვები შენგანა მაქვს ნასწავლი.
 შენი ოხერისგან,
 შენი ზათქისგან,
 შენი კენესისგან.
 დამბერე, ქარო,
 ამახშიანე სივრცეებში,
 დამარისხე,
 დამრევე როგორც ზარი,
 ამაკენესე, როგორც სიმი,
 ამალელვე, როგორც ზღვა,
 ნაპირთან შეუტრიგებელი,
 ნაპირების გადმომძალველი.



სოლომონ სამხარაული

მ ე ო ხ ე

მომხრობა

გამთენიისას ნისლმა აკრეფა დაიწყო. ზვინა-ზვინა ტენიანი ქულები ირიბად აუყუვა ქარაფიან ფერდობს, ჩხარითყის შეთოშილ კენწეროებში იწეწებოდა, ზედ ნამად ეპყურებოდა, ზუნ-ზლავდა და ხოჭობებსა და მძინარე კვირტებზე წვეთებდა ეკიდებოდა. წვეთები ცრემლივით იღვენებოდა, მღოვრედ, სულ ნელ-ნელა იბერებოდა, ჩამოგრძელებოდა, ჩამოგრძელებოდა, ყამ-ყამ მოსწყდებოდა და წკაპანით დაეცემოდა პირწყინულ თოვლზე.

ლამე ტყდებოდა. ხეობაში ტყურით მღუმარება იდგა. გათენების სასწაულის მოლოდინში რიდი დაუფლებოდა ყოველივეს. ნიაიცი კი ვერ თამამობდა, კრძალვით, უძრახველად შიერეკებოდა ნისლებს თხემებისაკენ. ქანჩახის თავზე გადმოხრილ მუხის ნაზამთრი, დალტობილ-ყამგადანსული ფოთლები უჩუმრად თრთოდნენ რალაც უხილავის შიშით. ველარც ნაკადული შორაკრავებდა, ყინულქვეშ ჩამძერალი მალულად მიიპარებოდა, გზა და გზა პაერის ბუშტებს კრეფდა და ლუკლუკებდა. არც სადმე სულიერი ჰაჰანებდა, გეგონებოდათ ამ დაყურსულ, ძნელად საჩინარ ხეობაში სიციცხლე ერთიანად თოვლს ამოფარებიანო, რომ ქვემოთ, ნაკადულის გამოღმა, მეჩხერში, ხმელი წიკმლის ყრუ ტყაცანი გაისმა. ასეთი ხმა იშვიათი არ არის ტყეში. მოტყდებოდა ხმელი, დაძაბუნებული რტო, წამო-

ვა ტოტებზე სუსტი, ხამუშ-ხამუში ხეთქება-დაცურებით, აგერ-აგერ თოვლზე დაეცემა და ჩაილეწება. ახლა ტყაცანს ვარდნის და თოვლზე დაცემის ჩქამი აღარ მოჰყოლია. კვლავ მღუმარება, შეთოშილი წვეთების კანტიკუნტი ცქაფი და ხეობის ქვემოთ, ჩქერალიდან ნაკადულის ძლივს გასაგონი შხივილი ისმოდა. მოგვიანებით ახლა თოვლის ხრამუნი გაისმა და სამი მხრიდან ციკაბოებით შემოზღუდულ ვიწრო ვაკობზე, თეთრად გადაზვინულ მავყლის ბარდებთან შველი გამოილანდა. გრძელი კისერი აელერებინა, ყურები აეცქვიტა, ფრთხილად, მოსინჯვით გადმოადგამდა ორსამ ნაბიჯს, გაჩერდებოდა, მიაყურადებდა, უსმენდა, უსმენდა, შერე, როგორც, იქნა გაბედავდა და გამოცქნადებოდა. ვაცი იყო. ბინდბუნდში, თოვლის ათინათზე თანდათან გამოიკვეთა მისი შვეულად აღმართული, სამად განშტოებული რქები.

ესა შუქი შეეპარა, შველი ნება-ნება მიუახლოვდა მავყლის ბარდს, კისერი წინ წაიგრძელა, ციმციმ ისე რომ ქურხლს — ბარდზე გადაპენტილ თოვლს — ნამეციც არ გაეარდნოდა, მოაკვნიტა ფოთოლი, მოაბრუნა თავი და საიდანაც მოვიდა იქით დაიწყო ცქერა. რალაცას ელოდა. ეტყობოდა დიდი ხნის მშვიერი იყო — ფერდები ჩასცვინოდა. დრო და დრო ოღნავ გა-



აცმაცუნებდა პირს, ნელა მიიბრუნ-
 მოაბრუნებდა ყურებს, მოათვლიერე-
 ბდა ფ რდობებს და ისევ ვაკობის შე-
 მოსასველს მიაჩერდებოდა. კარგახანს
 იყო ასე გახვეებული. უცხად ყურები
 ცქვიტა, მოცოცხლდა, თავი მოაბრუნა
 და გამალებით დაიწყო ჭამა. ვაკობის
 შემოსასვლელში კიდევ ორი შველი
 დაჩნდა. მის კვალს მოჰყვებოდნენ. წინ
 პატარა, თავზე ბეწო რქებამოჩრილი
 ნუკრი მოცანცალებდა. ეს ცქვიტო უკვე
 დიდებს დამსგავსებოდა; თეთრი ხალები
 გადასვლოდა, მუქი რუხი ფერი დას-
 ლებოდა, მაგრამ მცირე ტანსა და რა-
 ცრაცა სკუპ-სკუპზე აშკარად ეტყო-
 ბოდა ნუკრი იყო.

უკან ნეზევი ჩანდა, წვრილი, გრძე-
 ლი კისერი ნაზად მოეღერებინა, დოლა
 თავი და კობტად მობოკოლაგებული
 ცხვირი ჰქონდა. ბინდბუნდში ბოქვე-
 ნების მიდამოსა და ილღიების ღია ფე-
 რი ისე არ გამოირჩეოდა, არც ნიკაპის
 სიმუქე და შავი, ხატულა ქუთუთოები,
 მაგრამ გავაზე, ბარძაყებს ზემოთ, თე-
 თრად გადაქათქათებული „სარკე“ ნა-
 თლად ლაღლადებდა. თუმცა ნუკრს მის
 მიხედვით დედის უკან დევნა აღარ
 სჭირდებოდა, მამის კვალში ჩამდგარი
 გატეხილ თოვლში მკვირცხლად მიკუ-
 ნტრუშობდა, მამა რომ დაინახა —
 გათამამდა, ნახტომს უმატა, მივარდა,
 გვერდში დაუდგა და გაფაცინებული
 დააცხრა მაცვლის ფოთლებს. ვაცს
 ეამა, კმაყოფილმა ქეშად გადახედა,
 მხარი ქედს მიაყუდა და ისევ განაგრძო
 ჭამა. „კარგი ვქენი, წამოვიყვანე, —
 გაიფიქრა გუნებაში, — გადიამწირა ეს
 საცოდავი“.

ნეზევა ნუკრს მარჯვნივ აუარა და
 ვაცს კდენით გაჰხედა. ვაცმა თავი ას-
 წია, თვალბში თამამად, გულმოჭე-
 რებულმა ჩახედა. შიშატანილი მაშინვე
 ისევ გაირინდა, გარემოს ყური დაუგ-
 დო, მერე ფრთხილად შემოუარა ბარდს
 და ჯალაბის საპირისპიროდ დადგა. ახ-
 ლა ვაცს ხეობის დაღმა ეჭირა თვალ-
 ყური, ნეზევა და ნუკრს ზემოთ — ცი-
 ცაბობებისკენ.

რაც თენება დაეტყო — ნიავი გაფა-
 6. „მნათობი“, № 8.

ციცდა. წამოიღებდა ნისლის კოტორს,
 ჩაბინდავდა იქაურობაში და ნელა
 მოჩანდნენ შველები. როდის-როდის გა-
 დაჰყრიდა, გადასწმენდავდა, მაშინ კი
 გაიშუქებდა და თვალ-გული გაიხსნებო-
 და. ჩუმად ისმუსნებოდნენ, ფრთხი-
 ლად, შიშნულად წააკნეტდნენ ფო-
 თოლს, სმენადაძაბულნი. ქვედა ყბის
 ოდნავი ცამცამით გაცოხნიდნენ, გა-
 ცოხნიდნენ და ნამაღევად გადაყლა-
 პავდნენ.

„კიდევ კარგი წამოვიყვანე, — გულ-
 სავსედ იყო ვაცი, — თვალბში შუქი
 ჩაუდგათ, რა ხანია წვნიანი პირის გე-
 მოდ არ უნახავთ. მეტისმეტი სიფრთ-
 ხილუც არ ვარგა. თუ შიმშილით დაე-
 წყდით — რაღა ცხოვრებაა. ვერ გი-
 გებ, სადაც არ ელოდები იქ უფრო გა-
 მოგიხტება საფრთხე. ზოგჯერ უნდა გა-
 რისკო, თორემ რა ბედენაა მტერს გა-
 დაეყრები თუ შიმშილი მოგიღებს ბო-
 ლოს“.

ამხნისა იყო ვაცი და ასეთი დიდ-
 თოვლობა, ზამთრის ამდენხანს გაგრძე-
 ლება არ ენახა. ეს ხეობა იმიტომ შეი-
 რჩია სადგომად — დიდი თოვლი არ
 იცოდა. სხვა დროს მშვარეებში შაინც
 აიღებდა ხოლმე. ზოგჯერ შუა ზამთარ-
 ში ბალახი ამობიბინებულა. როცა თო-
 ვლი მუხლის ქვემოთ იყო — არაფრი-
 სა ენალვებოდა. ამ ზამთარს საფლო-
 ბი აავო. თოვდა და თოვდა. ხანდახან
 გაიდარებდა, ჩათბებოდა, თოვლი დნო-
 ბას დაიწყებდა და როგორც იტყოდნენ
 ახლა კი გვეშველაო — მოიწმინდებო-
 და ცა, მოუჭერდა ყინვა, შეზზარავდა,
 იმ მოყინულზე ახლა-ახალს დაათოვდა
 და აბა იმას რაღა გაადნობდა, აგროვ-
 და და აგროვდა. იანერის მთვარის არე-
 ულობისას იმდენი დადო, ნუკრი შიგ
 იმალებოდა. მესამე თვე დაიწყო, რაც
 ხევაღამა ფერდაზე, ხეჭყეულთან ჩაი-
 კეტნენ. ველარსად გადიოდნენ. ფრთხი-
 ლობდნენ. ასეთ თოვლში სახიფათოა
 სიარული. კვალი რჩება, თეთრ მიღა-
 მოზე მათი რუხი ქარცი ფერის ქათიბი
 შორიდანვე ჩანს, ფეხის ხმაც შორს გა-
 დის... ქვეყანაზე რამდენი სისხლის

მწყურვალეა. ვინ იცის ვინ აედევებებათ, ვინ ჩაუსაფრდებათ...

ბექცეული ზამთარ-ზაფხულისათვის მშვენიერი თავშესაფარი იყო. ფერდა ზომიერად დაქანებული, ტყე მეჩხერი, თვალსაწიერი დიდი ჰქონდათ, ადვილად ვერარა მიეპარებოდათ. ქარისაგან წაქცეული ვეება წიფელი და გვიმრიან-გვირილიანი ველობი მტრის თვალისაგან იფარავდათ. როცა საშიშროება ქვევიდან, ხევის მხრიდან შეიქნებოდა — გადაიპარებოდნენ ტაფობში და იქიდან თუნდა სერზე ავიდოდნენ, თუნდა ნაღვარევი, დიყიანში მიიმალებოდნენ. ხოლო თუ ცუდი ზევიდან უქადდათ — ჩაპყვებოდნენ ხეის და ლელისპირა ბილით ველტყიან ზეგანზე ავიდოდნენ. იქ მუდმივ ხვასტაგი დაიარებოდა და იმით ნაფეხურებში ეშმაკიც კი ვერ გაიტანდა მათ კვალს. მიივლ-მოივლიდნენ ბუჩქნარს, ჩაპყვებოდნენ ხევის პირს, მერე რომელიმე ჩასასვლელით ისევ ხეში ჩავიდოდნენ და საფთხე რომ გაივლიდა — სამკვიდრებელს დაუბრუნდებოდნენ.

ხეობა სავსე იყო ნაირ-ნაირი საქმელით. წყაროც იქვე, ასიოდენ ნაბიჯის ზემოთ, მურყნარში გამოჩნხუნებდა. უჭირველად ცხოვრობდნენ, წელს კი დიდთოვლობამ ფეხი შეუტრიათ. ბექცეულის ახლო-მახლო ბალახი და ხავსი ჩქარა გამოვლიათ, იქაურობა პირაღებით გადაქექეს, აღარაფერი დარჩა, შემოსახრავი კი არა, ნაყარი ქერქეველაც ვეღარსად მოიძიეს. თოვლის გაქექვაც გაძნელდა — გაიყინა, გამაგრდა, თანაც ხმა შორს გადიოდა. წყავიანის მისასვლელი თოვლმა ამოქოლა. გული ერთთავად ამ მაველიანისკენ მოუწყევდათ, ზედვე იყო შორს სიარული არ სჭირდებოდათ, მაგრამ ხევზე ამომავალი ბილიკი უნდა გადაეკვეთნათ და ეს აფიქრებდათ. რაც თოვლი დადო ამ ბილიკზე სულერი არ გამოჩენილა, ოღონდ თუ მტერი აივლიდა ან ჩაივლიდა მათ ნავალს აუცილებლად შეამჩნევდა და დაილუპებოდნენ. დიდხანს იმინეს, იშმიშლიეს, დიდები კიდევაც გაუძლებდნენ — ნუკრს გაუჭირდა. გა-

ხდა, სიცივემ აიტანა, სუქტყეველად, აებურბლებოდა ბალახი და ცრუხვად დაგდაგებდა. გუშინ სალამოს მიწვა ვარჯის ძირას, თავი გვერდზე გადაავლო, ქუთუთოებზე ცრემლები ჩამოეკონა და მალულად ილვლეფებოდა. მივიდა დედა, მიეფერა, ყვრიმალეები აულოკა და ცოტაც მოითმინე, ცაზე მარაგი გაჩნდა, მგონი დნობას იწყებსო — შეენუკვა. ნუკრს ლაპარაკის თავიც აღარა ჰქონდა, ხომ არ გაწუხებთო — ამოისლუქუნა და თავი ვარჯს მიავსდა.

ვაცს გული დაეკოდა. ამაზე შეტადრა შეაწუხებდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუტია: გარემოს ათვალეირებდა, ყოველ გაფაჩუნებას უსმენდა, აკვირდებოდა, ჰაერს ხშირ-ხშირად ყნოსავდა. აწონ-დაწონა რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ მტერი გადაეყრებოდათ როგორ შეიძლებოდა თავის გადაჩენა... რაც მოხდება მოხდებაო — გადაწყვიტა ბოლოს. შუა ღამე რომ გადავიდა წინ თვითონ წამოვიდა, მისადევარი დაზვერა, თოვლი გატეხა და აი, ცოლ-შვილიც მოუხუნხუნდა.

ნუკრი გაფაციცებული იქუსნებოდა. წინა შედარებით მოკლე ფეხების გამო, ისე იდგა ზურგ ჩაწეული და წელში მოშვილდული — თითქოს ჰა და ჰა, კამარა უნდა შეკრასო. მოკორტნიდა ფოთოლს, გაბრწყინებული თვალეებით ხან დედას შეხედავდა, ხან მამას, აცმაცუნებდა მოხდენილ ტუჩებს და სიამოვნებისაგან მოკლე, ხშირბალნიანი პოჩი უთრთოდა.

თენდებოდა. დრო და დრო, ნისლი რომ გადაიწმინდებოდა ცაზე აქა-იქ გაფერმკრთალეული ვარსკვლავები დაჩნდებოდა. შინ წასვლის დრო იყო. ვაცმა ტყე მოათვალეირა, მერე ნუკრს დააკებრდა, ნუკრი ისე გემრიელად შეექცეოდა, „ჭერ ქამოს, გული იჭეროს“. — გაიფიქრა და ის იყო მადამშლილი თვითონაც მიეძალა ყინვისგან შემზრალ, პირში საამოდ მდნობარე ფოთლებს — ხევის საქცევ მუხლთან ყინულის ლაწანი გაისმა. ნუკრი შეკრთა, დაფეთებულმა მიიხედ-მოიხედა. ნეზემა ვაცს შეხედა. ვაცს ყურები წინ წაეშვირნა

და სმენად ქცეული იჭვრიტებოდა შეჩხერში. რა იყო? კარგა ხანს იდგნენ გახევებულნი, მაგრამ საეჭვო ხმა აღარ ისმოდა. ჭამეთ, არაფერია — ანიშნით ბოლოს ვაცმა. დედა-შვილმა ჭამა განაგრძო. თვითონ ისევ მზერად იყო. გაუნძრევლად იდგა გახმაურების მოლოდინში და საზრავდა რას შეიძლებოდა ყინული ჩაემტვრივნა. «გაუფრთხილებელი სიარული ძალღმა და ადამიანმა იციან, მაგრამ ისინი დაუდევრადვე განაგრძობდნენ გზას. ტყეური ასე არ ჩაღწევდა, და არც ისე ციოდა, ყინული გამტყვრალიყო. თუ ფრიალოზე ქვა მოსწყდა — მაშინ ნაშალიც უნდა მოჰყოლოდა». ტყე დუმდა. სმენა რომ დაძაბა წყაროს ლუკლუკი უფრო ხშიერი გახდა. სამასიოდ ნაბიჯის ქვემოთ ჩქერალზე გადაშვიოდა, მერე ცოტა მდოვრდებოდა და საქცევ მუხლთან ერთბაშად ჩუმდებოდა.

საეჭვო ხმა აღარ მეორდებოდა. ვაცი აფორიაქდა. ნადირულმა ალღომ ცუდად ინიშნა და აღელდა. გაურკვეველად ყოფნას ვერ იტანდა. მიმალულიყვნენ — ვაი თუ თავი გაეცათ, არა და ვინ იცის რა ეპარებოდათ. ეს ამოდონა თოვლი რომ არა, ამდენს ვერ მოითმენდა. სასიგნალო კენტრუშს დაიწყებდა; მოკლე, მაღალ-მაღალი ნახტომებით, ბრავა-ბრუგით, ნაყარის ლაწალუწითა და ძალღური ბოხი ღვეღავით ორმოციოდ ნაბიჯზე გაუეარდებოდა, მერე ჩუმად უკან მოჰკურცხლავდა და შორიახლოდან მიყურადებდა. ამ ბასტიბუბუს რამდენჯერმე გაიმეორებდა. წვრილფეხა ნადირი დაფრთხებოდა, თუ საეჭვო ხმა გამეორდებოდა, მაშინ ერთ ნახტომს გამორჩევით მაღალს იმ მზარეს გაიკუნტრუშებდა, საითაც თავისიანები უნდა გაქცეულიყვნენ. ხოლო თუ მტაცებელი იქნებოდა და გამოეკიდებოდა — შეჰკრავდა კამარას, შინაობას მზარს აუქცევდა, გადაეგლებოდა ბუჩქებს, ლელეებს, გადაიჭროლებდა სერებს და მღვეარს ან დასაეარგავში ჩამოიტოვებდა, ან თავისი ამოუხსნელი ფანდებით გზა-კვალს დაუბნევდა და დაეშალებოდა. ახლა ამ თოვლში, ამა-

ზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. დესანნი იყო, თავიანთი მოდგმიდნენ. მინიშნულად არჩნენ, თორემ ვერდში თავისსავით მუხლმაგრები რომ ჰყოლოდა — ერთიმეორეს კვალში ჩაუდგებოდნენ და ჭერ-ჭერით გატეხდნენ სავალს. ამჯერად უნდა მოეთმინა, განაბევას არაფერი სჯობდა.

ნუკრს აღარაფერი ესმოდა, ცქაფად მოკვენეტავდა ყუნწში ფოთოლს, გამალებული აცმაცუნებდა პირს და სანახევროდ დაღეჭილს ყლაპავდა. ნეზვი ჩქარ-ჩქარა გაირინდებოდა, თვალყურს ჭერ ზემოთ, ციკაბო ფერდობებს მოავლებდა, მერე ყურებს უკან შეიბრუნებდა და ხევის მუხლისკენ დაძაბავდა სმენას. საფრთხილო არაფერი შეიმჩნეოდა. მოგვიანებით, როცა უკვე გული დაიარხებინეს და ვაცმაც კორტნა დაიწყო საქცევის მხრიდან ახლა თოვლის ყრუ ჰყრიალი მოისმა. ახლა კი აქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ხეჭყეულთან უნდა გადასულიყვნენ. ვაცმა ნეზვს ანიშნა მომეყევითო და ფრთხილად გაუყვა თავიანთ ნაფეხურებს. ნეზვი ფეხდაფეხ მიჰყვა, ნუკრი მავცლის ბარდს ველარ სცილდებოდა, გაფოთებული ბლვლერძავდა, ოღნავ მოლოდნილ ფოთლებს, ჰაიპარად იტენიდა პირში და თან მშობლებისკენ იყურებოდა. დედამ მოიხედა და ეხლავე კვალში ჩაგვიდექო — თვალთ ანიშნა. ნუკრი ახლა კი შეტრიალდა და სეუპ-სეუპით დაედევნათ. ფრთხილად, მთები ნუ მისძარ-მოსძარო — ახლა ამაზე გაუწყრა დედა. ვაცი გადამტვრეულ მურყანთან გაჩერდა. სიარული აღარ შეიძლებოდა, თავს გასცემდნენ. მათი წვრილი, ერთიმეორეზე მჭიდროდ მიჯრილი, წამახული ჩლიქები თითქმის მიწამდე ესობოდა და თოვლს ტრკიალი გაუდიოდა.

ხმა აქ უფრო გარკვევით გაისმა; ხეხეხე, ბილიკს რალაცა ამოსდევდა. მტაცებელი იყო — რბილად აბიჯებდა. თოვლზე მოდიოდა, დრო და დრო ჩაუტყდებოდა, შეჩერდებოდა, იდგა, იდგა და როდის-როდის წამოვიდოდა. ვაცი განცვიფრდა, ვერაფერი გაეგო. მგე-

ლი და ფიცხვერი ყინულს ასე ლაწუ-
ნით არ ჩაამტვრევდნენ, არც ასე პირ-
წყაინული თოვლი ჩამტვრეოდათ. ამ-
დაგვარი ზოზინით სიარული დათვაბ-
ივის, მაგრამ არც დათვი იყო — რაც
არ უნდა იფრთხილოს ადამიანით
უჭყრიალებს ფეხქვეშ თოვლი, თანაც
ყინულზე იმის ბრტყალების წკაპუნს
სერს გადაღმა გაიგებ. თოვლის შეყი-
ნული პირი ძალს ჩამტვრევა ხოლმე
წარამარა. თუმცა ძალი აქ ასე დრო-
გამოშვებით არ ივლის. ის ერთთავად
ქაჭანებს, მალ-მალე ენას აწკლავუნებს,
ცუნცულებს, ცუნცულებს, გაჩრდება,
ჩალაცას უსუნსულებს, ან ფეხს აიშ-
ვერს და მაშინვე ისევ ცუნცულს მო-
ჰყვება. თუ სუნი აიღო, მაშინ ფრთხი-
ლდაც ივის მიპარვა, მაგრამ ქვენა ნი-
ავი იყო და მათი სუნი იქით არ გავი-
დოდა.

ვაცმა უკან, ხევის ზემოთ სერის ყე-
ლები მოათვალიერა. გულდასმით უს-
მინა. მან გამოცდილებით იცოდა: რო-
ცა ხევს ძალი ამოსდევს სერის გადა-
სასვლელებში მონადირეები ჩასაფრ-
დებიან ხოლმე. ხოლო თუ ხვალი მგე-
ლი პირქარიდან თავალებით წამოვიდა
— მაშინ გასასვლელებს მისი ხროვა
შეჰკრავს.

ზევიდან არაფერი ისმოდა. ვერც სა-
ფრთხილო რამ შეამჩნია. ისევ ფეხის
ხმას ჩაუყვირდა. უსმინა, უსმინა და
ელდა ეცა — მგელი იყო. ფეხში მო-
დიოდა — წინა ფეხებს ჰვარდინად მი-
აყოლებდა უკანებს. კოჭლობდა. ცალ
ფეხს ძალუმად აბიჯებდა და თოვლი
იმიტომ ემტვრეოდა.

ვაცმა დაფეთებულმა მიიხედ-მოიხე-
და და სასოწარკვეთილმა ნეზუს გაუშ-
ტერა თვალები. ნეზვი თავზარდაცემუ-
ლი იყო, შიშს გაეთანგა. ნუკრმა ჯერ
არ იცოდა ასეთ თოვლში მგლის გადა-
ყრა რას ნიშნავდა. თუმცა ჩამომავლო-
ბით ხედებოდა შავი დღე უთენდებო-
დათ და შეძრწუნებული ხან დედას შე-
ხედავდა, ხან მამას.

ხეკცეულთან გადასვლა აღარ შეიძ-
ლებოდა ჯერ ერთი მგლის მახვილ სმე-
ნას წკირის გადაბრუნებაც არ გამოე-

პარებოდა, მეორეც, თუ ვერ ჩაუტყუ-
ყვებოდა ნახავდა, რომ იმსხვერპლ-
იყო და მანამდე სდევდათ, სანამ სამი-
ვეს იმსხვერპლებდა. არა და ამ ვიწ-
რო, ციციბოებს შუა მოქცეულ ვაკობ-
ზე როგორც ხაფანგში ისე მოემწყე-
დნენ.

„ეს როგორ მომივიდა“, — სინანუ-
ლისაგან თავბრუმ დაუარა ვაცს.

მგლის გამოჩენა ყოველთვის ზარავ-
და, მაგრამ ამსიმაღლე თოვლი რომ არა
ისე არ დაფეთდებოდა. თვითონ მგე-
ლიც არ გაედევნებოდა. რუხმა ავაზა-
კებმა იციან გამოკიდებით ვერაფერს
გახდებიან და არ გაედევნებიან. მას
იხინი ბევრჯერ დაუტოვებია ხახამშრა-
ლი. თითო კი არა, ხროვას რომ მოუმ-
წყვდევია — მაშინაც. ვაცს ქალაბი უყ-
ვარდა და მტლად ედებოდა, მამრის
ღანაკისრს მუდამ ეკეკაცურად ასრუ-
ლებდა. ვინ ივის რამდენჯერ საფრთ-
ხეში ჩაუგდია თავი, რამდენჯერ უხს-
ნია ისინი უთუო დაღუპვისაგან. ახლო-
მახლო მთებისა და ხეობების ყოველი
კუთხე-კუნჭული ძირის-ძირამდე იცო-
და. რომელი მტერი საიდან მოვიდო-
და, ვინ რომელი ფანდით მოეცილები-
ნა, როდის საით გაეხიზნა ცოლშვილი,
არ შეეშლებოდა, მაგრამ თუ მტერი
მაცნე მიიგნებდა — ქალაბს ანიშნებდა
მიმალულობენ, თვითონ ბრავარუგი-
თა და შლიგინით გავარდებოდა და მო-
მხდურს თან გაიყრილებდა...

„ვაი შენ ჩემო თავო, რა დროს მიყე-
ლთა — სინანულით გაიფიქრა ვაცმა,
— ამდენი მერყეობა აღარ იყო საჭი-
რო. დროზე უნდა წამომეყვანა და სა-
ნამ გათენდებოდა დავბრუნებულყა-
ვით. თუმცა, თუ კვალს წააწყდებოდა
შეიძლება უარესი მომხდარიყო, კვალ-
ში ჩაგვიდგებოდა, პირველ რიგში
ნუკრს გაედევნებოდა“... ვაცმა წარმო-
იდგინა დაფეთებული შვილი. როგორ
გაიქცეოდა, როგორ ჩაეფლებოდა თო-
ვლში, როგორ დაეტაკებოდა მგელი და
თითქოს წვილის ხმა შემოესმა. ტანში
კრუნჩხვამ დაუარა და გააცახცახა.

ამ თოვლსა და ყიამათში აქ რა უნ-
და; რისთვის მოწანწალებსო — გაყ-

ვირვებული იყო ვაცი. დღისით, ყინვა რომ მოტყუებოდა თოვლი მისაც ჩაემტვრეთდა და სიარული გაუჭირდებოდა. მაშ რა სჯიდა?

ვაცმა ისევ განაბვა არჩია. მან იცოდა, როცა მგელი ზურგპარით მოდის, თუ გაუნძრევლად იდგებოდნენ, შეიძლება გვერდზე ისე ჩაველო ვერ დაეხახა. მეტი გზა არ იყო, როგორმე ბუჩქებამდე უნდა მივლწიათ, მიმაღულიყუნენ, მოთმინება მოეკრიბათ და ხვედრს დალოდებოდნენ. თუ მგელი ველტყიან ზეგანისაკენ წაეიდოდა, — გადარჩებოდნენ, ხოლო თუ სერისაკენ გადაუხვევდა — მაშინ მათ ნაკვალევს ნახავდა და დაილუპებოდნენ.

მგელი ხამუშ-ხამუშ მოდიოდა. ცოტას გამოივილიდა — გაჩერდებოდა. იდგა, იდგა მერე ისევ წამოვიდოდა. მალე მისმა ზინზლის სუნმაც მოაღწია. შვლებს შეაერუოლა. რამდენიც ახლოვდებოდა, თითქოს უფრო ფეხს ითრევდა. ხანდახან წაიფორხილებდა, ხან დაწვებოდა. ერთხელ გადაკოტრიალდა კიდევ. შვლებს ვერ გაეგოთ ისვენებდა თუ ეს მისი ვერაგული ფანდი იყო.

ვაცმა ნეზეს ანეშნა მომყევითო და როცა მგელი დაძვრებოდა თვითონაც ფეხაკრფით რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა. ჯალბიცი მიჰყვა, როგორც იქნა ბუჩქებამდე მიალწიეს და გაისუსნენ.

ინათლა. ნისლი აიკრიფა, ქედის თავზე ქულებად აგროვდნენ და გაირინდნენ. წვეთები იშვიათად წკაპუნებდნენ, აღმოსავლეთით ღრუბლებს თანდათან ვარდის ფერი დაედო დაბრწყინდა და აციმციმდა.

შვლებს ლოდინით ქანცი გაუწყდათ. ერთი სული ჰქონდათ მგელი დაეხახათ და აი, ისიც დაჩნდა: წვრილიანში მისი წაწვეტებული ყურები გამოიღანდა. ვაცს თვალში ეცა: ყურები ისე არ ჰქონდა აცქვეტილი, სნეულივით ჩამოჰყროდა, ხოლო როცა მან ხრამი ამოათავა და ღიაზე გამოვიდა — შეაშფოთა — ტუჩმურას ჰგავდა. მარცხენა ყბაზე დააცქერდა. თუ ჭრილობა ჰქონდა — ტუჩმურა იქნებოდა, მაგრამ მგე-

ლი პირდაპირ მოდიოდა მას წინა, ჭრილობიანი მხარე არ ჰქონდა.

ამ ბოლო დროს მგლებიც შეთხელდნენ. გაზაფხულსა და შემოდგომაზე თუ გამოჩნდებოდნენ, როცა ცხვარი დაიძვრებოდა.

„ამის საქმე მთლად რიგზე ვერ უნდა იყოს. — გაიფიქრა ვაცმა. — უჭირს, თორემ მარტომმარტო არ იფრატუნებდა“.

მგელს ტუჩმურასავით მოშაო ფერი ელო. მეტადრე ზურგი ჰქონდა ჩაბინდული. გამხდარი, გაძვალტყავებული იყო. სიარული უჭირდა. რალაც დაძვბულად, გაუბედავად ადგამდა ფეხს, ტუჩმურასავით ლალად ვერ მოარხვედა მხრებს. მუცელი აეწურნა, წელში ოდნავ აკუზულიყო. ეს ალბათ წინა, ცალ ფეხზე წონასწორობა რომ დაეცვა — იმიტომ. არც თავი ჰქონდა ტუჩმურასავით ბომბორა. კისერიც გაწვრილებული მოუჩანდა. წინა მარჯვენა ფეხით კოჭლობდა დრო და დრო, რომ დაადგამდა, თითქოს ორმო დაუხვედო, ჩაუვარდებოდა — მუხლი ჩაეკეცებოდა, წაიფორხილებდა, მარცხენას ძალუმად დაადგამდა და აი, მაშინ ჩაემტვრეოდა ხოლმე თოვლი. წაეარდებოდა, თოვლს მკერდით დაეყრდნობოდა, უცბად ამოიღებდა მარცხენას და ვითომც არაფერი, გასწორდებოდა, მაგრამ ეტყობოდა იტანჯებოდა. მარჯვენა ბეჭის თავი ნალოკი ჰქონდა — ბალანი ფეხზე ედგა. რომ მოახლოვდა ფერი თანდათან შეეცვალა, რუხი-მოყვითალო გახდა. არც თვალები უბრალოვდა მგლურად, ჩამცხხალი, მიბნედილი გამოიყურებოდა, ხოლო ქუთუთოებზე, თითქოს ცრემლი სდენიათ — შავი ზოლები ჩამოსდიოდა.

ბილიკების გასაყართან, შვლების ნავალიდან ოცდაათიოდე ნაბიჯის ქვემოთ გაჩერდა. მიიხედ-მოიხედა. მერე ზემოთ, წყავიანებს მიაჩერდა. ყურები წინ წაიშვირა და კარგახანს იდგა სმენადქვეული.

აჰა, ახლა კი მიუხედა ვაცი განზრახვას: მგელმა იცოდა შვლები სადაც

დადიოდნენ საქმელად და იმ ადგილებს დასაზვერად დაძრწოდა. შესაძლებელი იყო ამ ვაკობისკენ შემოველო მაყვლიანის მოსასინჯად, თუმცა მაგის განზრახვა არ ემჩნეოდა, ჯერ ისევ წყავიანს უთვალთვალებდა. თავი ასწია, ჰაერი დაუნოა. შველებს ეგ არ ენალელებოდათ, ნიავი ისევ ქვევიდან უბერავდა და თუ ბუჩქნარს არ გასცდებოდა — მათ სუნს ვერ დაიყრიდა, მაგრამ შიშისაგან მიინც გაკანკულები იყვნენ. ნუკრს მიინც ელეთ-მელეთი ემართებოდა. მონუსხული მისჩერებოდა მგელს. იმის სიახლოვე სულს უღევდა. დედა თვალებით ამხნეებდა, გამაგრდი, ნუ გეშინია, არ გაინძრეო, ის კი შიშატანილი მგლის მეტს ველარაფერს ხედავდა. ილაჯი უწყდებოდა, ჩქარა ალბათ ველარ გაუძლებდა, ადგილიდან მოსწყდებოდა, გაიქცეოდა და მგლის ანაწერა გახდებოდა. დედამ ახლა ვაცს მიაპყრო მავედრებელი თვალები — გვიხსენიო, მაგრამ ვაცი გაცქნავებული იდგა, განძრევას არ აპირებდა.

მგელი აღარ მიდიოდა. თითქოს თავისი სარწმუნო ალღოთი იგრანო საკბილოს სიახლოვე და ფეხი შეიკრა. როდის-როდის წადგა ნაბიჯი და სერისკენ წაფორბილდა. ვაცს თავზარი დაეცა, ცოტაც და, გზაც რომ არ გაეგრძელებინა, ნაკვალევს შეამჩნევდა. არა, არ შეიძლებოდა მას სამივეს ნაკვალევი ენახა, გული აუჩქროლდა, გაქცევა დააპირა, კუნთები უკვე აუთოლოდა, მაგრამ ვერ გაიბედნა, ბედად მგელი ისევ გაჩერდა, სერზე ამავალ აღმართს მიაჩერდა, უყურა, უყურა და ზეგანისკენ შეტრიალდა. შეტრიალდა და ვაცს გული გადაუქანდა — ტუჩმურა იყო.

ტუჩმურამ თავი ასწია, თვალები დახუჭა და ისე გაირინდა, თითქოს გონების თვალთ რაღაცის დანახვა უნდოდა, რაღაცის გახსენებას აპირებდა. კარგახანს იდგა ასე, მერე შავი ლაშები ოდნავ გაალო და დუნედ, გოდებასავით მწუხარედ დაიყმუვლა. შემზარავმა

ხმამ ერთოლვასავით გაფრთხილდა, ხეებიც კი შეაყინა და მგელიც წიფელს ხმელი შტო მოტყდა, ჩამოვარდა, ყინულზე დაენარცხა და ჩაილეწა.

ნუკრს ახლა კი თავისი დემართა: ელდამ გონება აურია. აიბნა, დაიბნა, საით გაქცეულიყო აღარ იცოდა, დედამ ველარ გაუძლო შვილის წამებას, წელში მოირკალა და ის იყო ადგილიდან უნდა მოსხლეტილიყო — ვაცმა კამარა შეჰკრა, ბუჩქს ირიბად გადაეწყო და ვაკობის გასასვლელისკენ გაქანდა. მგელი შეცბა, შემოტრიალდა. თავისკენ გამოქანებული შველი რომ დანახა ყურები ცქვიტა, თოვლზე დაწვა და გაიყანკა, დააცადა უფრო ახლოს მისულიყო, მაგრამ ვაცი როგორც კი გაშლილზე გავარდა მარცხნივ შეუხვია და ზეგანისკენ გაენთო.

ვაცმა იცოდა ნაღობ-ნაყინი თოვლის ტეხვა რაც იყო. მას ახლა სასწაული თუ გადაარჩენდა, მაგრამ სხვა რა შეეძლო, ნუკრი უნდა ეხსნა, დედა წულის გადარჩენისა თუ თავის დაცვისათვის ერთადერთი საშუალება გაქცევა ჰქონდა და ისიც გარბოდა. ბედის სასწორი მგლის მხარეს იხრებოდა; მას იშვიათად ჩამეტერეოდა თოვლი. ვაც კი მკერდამდე იფლობოდა. მას ახლა სჭირდებოდა მთელი თავისი უნარი, ძალ-ღონე, ჰკუა და მოხერხებულობა მტერი ჯერ იქაურობისთვის მოეშორებინა, მერე თვითონ დასხლტომოდა, შებმის საწყისი რომ მოიგო — გაბაღისდა. მისი უცაბედი გამოვარდნით მგელი დაიბნა, სწრაფად ვერ მოეგო გონს და ორიოდ წამით გაინახა, თორემ თუ ის ვაკობიდან გასვლამდე წინ გადაეღობებოდა — მოიმწყვდევდა. ახლა კიდევ რაღაცის იმედი იყო. ნუკრი კი უდაოდ განწირული იყო, მას გასაქცევად არც სიქა ეყოფოდა და არც გამოცდილება, ტუჩმურა ერთი სერის გადასვლასაც არ დააცდიდა, წამოეწეოდა, გვერდიდან მოექცეოდა, დაჰკრავდა მხარს, გადააკოტრიალებდა, ზურგიდან წამოუჭროლებდა — ბასრი ჩლი-

ქით არ ვენო, ეცემოდა ყელში და უძწეო წივილი მთებს შესძრავდა...

ვაკს გამოცდილი ჰქონდა: რამდენიც დაბალსა და გრძელ ნახტომს გააყეთებდა — იმდენად მეტი თოვლის ტეხა მოუწევდა. ამიტომ მოკლე, მაღალი ნახტომებით აათავა მეჩხერი, გაუყვა ფერდას, გადაევილო ღელეს და ქაშაზზე — გაკვირილ ბილიკზე გავიარდა. აქ თოვლი აღარ უშლიდა, თანაც გაივაცა და შეება იგრძნო. რაკი ამ მიზანსაც მიიღწია — ეს შეღავათი უნდა გამოეყენებინა; რაც შეიძლება შორს ჩამოეტოვებინა მდევარი, სანამ ის ზეგანზე ამოვიდოდა — პანტიანამდე ჩასვლა უნდა მოესწრო, თორემ მის ყურს რა გამოეპარებოდა... მწვევარივით გაეკრა გატყვნილ თოვლს. დრო და დრო, გეგონება ფრთები გამოეხსაო, გადააფრინდებოდა ჩირკვებს, ბურცობებს და ისევ გაეკვრებოდა. წინა, წვრილ ფეხებს, თითქოს მიწას არც კი აკარებდნო, ტყუბად მიაქანებდა, უკანებს ოდნავ გაბოტილს მათი ნაჩლიქარების წინ ჩასცემდა და მოისხლიტებოდა, თვალს ვერ შეასწრებდით, დაჰკრავდა ტყუბად და მოისხლიტებოდა, ჩაუქროლა თავნაკაფ რცხილას, ტბორს, გზის გასაყარს, „ნამზღვლევებთან ფრთხილად უნდა გავიარო, — უთხრა თავის თავს. — მოსახვევს რომ გავცდები ისევ გავქანდები. „ისევ უნდა გადავევილო ძეძვიანს — სამხილის ნატამალი არ დარჩეს“.

პანტიანში მართლაც ელვასავით გაკრთა, ცერად გადააფრინდა ძეძვნარს და ქარაფზე, თავისი ჩასასვლელით ხეობაში ჩაეშვა. თოვლი აქაც გაუტეხელი იყო, ჩაიკეცა, ოთხივე ფეხი წინ წაიშვირა და ქარაფზე დაეკურდა. თოვლი მკერდით გააპო, ჩაქელა, ჩახვეტა, ფლატემდე ხრშიაილით ჩაქანდა. იქ, ქუჩიანში ფეხი მოჰკიდა, დამრეცი რამდენიმე ნახტომით ჩაირბინა და მგლის ამოვილო ბილიკზე გავიდა. ახლა კი სიღინჯე და სიფრთხილე სჭირდებოდა. მგელი კვალს რომ დაკარგავდა — ყოველ მხარეს დააყურადებდა. გული ამო-

ვარდნაზე ჰქონდა, ფეხები უკანკალეზდა, მალულად, უხმაურად მიიქცა ბილიკს და საქცევ მუხლთან, მგლისგან ჩამტვრეული ყინულის ქვემოთ, ხეში გადაწოლილ იფანს ამოეფარა.

ჩამო-ჩუმი არსაიდან ისმოდა. აქედან ხეობის ზედა მხარეც კარგად მოჩანდა, ქვედაც. ქვევით, ოდნავ მუცელზეწეული, ხშირპანტიანით თავდაბურული ქარაფი, თავის ჩამოკვალული ბილიკით, თუ მგელი კვალს გაიტანდა — ამ ჩამოსასვლელზე დაჩნდებოდა. ზევით და ზევით ქარაფი უფრო ფრიალო იყო, ვერ ჩამოვიდოდა მის წინ, ზედ სახრელთან, ტინიანი წარაფი ეშვებოდა. წარაფის მარცხნივ, ჩქერალის ბოლომდე ნაშალი ჰყო იყო დაუხლებული, მერე კი მეჩხერტყიანი, ოდნავ დაქანებული ფერდა იშლებოდა. ტყე-მეჩხერის თავში, მაცვლონი, სადაც ცოლ-შვილი დატოვა.

„ნეტავ იქვე არიან გაცქნაფული, თუ ხეკეუულთან გადავიდნენ? — ფიქრობდა ვაკი. — დროზე მოვკურცხლე, თორემ ერთ-ერთი დაიღუპებოდა. შვეც გამიმართლა. გასასვლელი რომ მოეჭრა — მომწყვედუელი ვიყავი. რაკი თავიდანვე გამიმართლა და ბედი მეწია — აღბათ გადავრჩები. ლაზათიანად გამოვიტყუე, თუ ყოველ შემთხვევაში კვალში ჩამიდგა ქარაფზე გამოჩნდება და სანამ ის აქამდე მოვა — მე ისევ ველ-ტყიანში გავჩნდები. ავინწყულ ქაშაზს მივივლ-მოვივლი და ახლა თავნაკაფ რცხილასთან ჩამოვალ. სულაც ქვევით, მზვარესთან გადავუხვევ. ორსამჯერ რომ შემოვუვლი წრეს მერე მარცხნივ, ღორების ნაჩიქნ მუხრანში გადავალ და სადმე მივიმალები“.

ვაკი ხან მარჯვნივ, ქარაფს გახედავდა, ხან მარცხნივ, მეჩხერტყიანს. მგელი თუ უკან, დედა-შვილისკენ გაბრუნდებოდა — გადაწყვეტილი ჰქონდა შინც ველტყიანისკენ გაქცეულიყო და თან გაეყოლებინა. კარგა ხანს მყუდროებას არაფერი სარღვევდა. შველი სმენადქცეული იღგა. ტუჩმურას მზაყ-

ვრობა იცოდა და გულს ვერ დაიარბენებდა.

ცა მოიწმინდა, გათენდა და თანდათან სუსხმა უმატა ხეობის ძირიდან მზე ამოიძვინდა. ვაცს თავისი პაპისგან ჰქონდა ვაგონილი: მგელი მზესა და მთვარეს ნთქავს, რის გამოც ქვეყნად ბნელდება და ბოროტება ისადგურებსო.

„ქარგია, მზეს ხევში ვერ ჩამოუსწრო“, — ფიქრობდა გუნებაში. მნათობი ზოზონ-ზოზონით აუყვია მარჯვნივ, გორის ფხას. ვაცს სული ესწრაფვოდა იმ „ლეთის რისხვამ“ არ ჩამოუსწროსო, ის კი არ ჩქარობდა, როდის-როდის აცურდა ღრუბლის სარტყელში და როგორც იქნა სამშვიდობოს გავიდა.

„გადარჩა, — შვებით ამოისუნთქა შველმა, — მზეც გადარჩა, დედა-შვილიც გადარჩა და როგორც ჩანს მეც მეშველა“. — გახევებული იდგა. მისი რუბ-ქარტისფერი ქათამი იფნის ზროსგან არ გამოირჩეოდა. მშვენიერ, დიდრონ შავ თვალეებში წყალი დაესართა, ფაცაბი აებურძგლა, გაქმენდილი სუნთქავდა — ორთქლი არ დაჩენილიყო. მზერა ისევ და ისევ ხან ქარაფისკენ გაქმცეოდა, ხან მეჩხერტყიანისკენ.

მგელი არ ჩანდა. უცბად ტინიანი წარაფის მარცხნივ ბასტანი გაისმა. ზედვე თოვლის ფხვიერი ჩამოიშალა და ჰეოს კიდესთან მგელი გადმოდგა.

ვაცი დაფეთდა, თავგზა აებნა. ამას ვერ მოიფიქრებდა, რომ ჩქერალის ხმაურში ამ ავაზაკის ფეხის ხმას ვერ გამოარჩევდა და თავზე დაადგებოდა. ზეგანისკენ გზა მოჭრილი ჰქონდა, ერთი დარჩენოდა, ხევზე დაშვებულიყო. გადარეული ჭერ თავის ნაკვალევზე გაქანდა, დაჰყვა ჭალას, სადამდისაც შესძლო ოთხით იქროლა, მერე ნაბუქებში შეერია და მკერდით ამტერია. სავალი თანდათან გაცუდდა. ხევს კი ახლო-მახლო გასავლელი არსით ჰქონდა.

მგელი იფანთან მივარდა, ისუნსულა, მისადევარი მოათვალეირა, ნაჩლიქარში ცხვირი წაყო, რამდენიჯერმე ხარბად ჩასუნა და შველს დაედევნა. ვაცი მა-

ლე დაიღალა. თოვლის გაკვალვამ ქანცი გააცალა, ჰაერი აღარ მყოფნოდა, პირით სუნთქავდა. თოვლის გასრულაგებულ ბილიკს მგლის სუნი უდიოდა. ვაცმა იცოდა ეს ტუჩმურას ამოვლის დროინდელი სუნი იყო, მაგრამ შიში მაინც ზაფრავდა — ხროვა არსად იყოს ჩასაფრებულო. ჩქარ-ჩქარა გაჩერდებოდა, მიაბრუნებდა თავს და ყურს მიუჯდებდა, მღევარი თანდათან უახლოვდებოდა. ეწეოდა, თუმცა ეტყობოდა იმასაც უჭირდა, თორემ ძველ კილოზე რომ ყოფილიყო აქამდე დაიჭერდა. ეს რომ შეატყო — შველს მხნეობა შეემატა. ძალა მოიკრიფა, ხტუნვა-ხტუნვით გავიდა ღელემდე, მერე წყალგალმა იელიანში გადაუხვია და გზას მიაღწია. ცოტა სული მოითქვა. გზა კარგად იყო გაკვერილი, კამეჩების სუნი იდგა. ვაცმა თვალეები ჰყიტა, სასოებით მიიხედ-მოიხედა, კამეჩებში თუ შეერეოდა, გადარჩენილი იყო — ისინი მგელს ახლოს არ მიუშვებდნენ. ნავალი მოათვალეირა და იმედი გაუტრუდა: კამეჩებს მორი სოფლისკენ გაეთრინაჲ. გულმა მაინც მათკენ გაუწია, ერთხანს ნათრევს გაჰყვა. ფეხებიდან თითქოს წისქვილის დოლაბები მოხსნესო — მსუბუქად მიხტოდა. ქვევით და ქვევით თოვლი იმდენი აღარ იყო, პირიმზეზე ზოგან მუხლამდე არ მოსწვდებოდა. გზა-გზა სიარული არ შეიძლებოდა, ვაი თუ ახლა სხვა ხიფათს გადაჰყროდა თუმცა სოფელთან მიახლოება მგელს უფრო შეაშინებდა და ეგებ ჩამოსცილებოდა კიდევ. მოსახვევში მოფარებით გაჩერდებოდა, უკან გაიხედავდა, ტუჩმურას ფეხის ხმას მოისმენდა, მერე წინ, მიდამოს მოათვალეირებდა და შემდეგ მოსახვევამდე სკუპ-სკუპით მიიბრუნდა. სოფელთან ახლოს მისვლა ვერ ითამამა, ტყის ბოლოში მარჯვნივ გადაუხვია. ტყეში ნაღალი თოვლი იდო, ვერ შეებდა, ველზე გავიდა, გული საგულეს აღარა ჰქონდა, რამეს არ დაენახე, არაფერი დადევნებოდა. მაგრამ ღრმა თოვლიან ტყისპირა ჩრდილებს მაინც აერიდა და ათი-



ოდე ნაბიჯის მოშორებით ნაღობს გაუყვია. ჯერ სოფლის გასწვრივ იარა, მერე ტყის მეორე გზას შეუღდა. გზა ხევის გვერდ-გვერდ მიჰყვებოდა, ხევის კუდთან მარცხნივ უხვევდა და მორკალული გრძელი აღმართი შიშველ გორაზე აღიოდა. ვაცმა აღმართი აათავა და გორის თავზე ბეჭობის ვადაღმა ლოდინთან ისე გაჩერდა უკან, ტყის პირი და გამოვლილი გზა თვალქვეშ ჰქონოდა. რაკი შეატყო მგელი სწრაფად ვერ მოსდევდა — აღარც თვითონ ჩქარობდა. აღარც თოვლი უშლიდა, მიუხედავად ამისა მუხლები დააწყდა. რახან ერთხელ დაიღალა — ძალა ველარ აღიდგინა. ნელი სირბილი უფრო ჰქანცავდა. გული ყელში მოებჯინა, სული ეხუთებოდა, თოვლის ტეხვისას ფეხები და მკერდი გადაყვლეფოდა. თითქოს ხანძარში მოჰყვაო — ისე უხურდა და ეწვოდა.

მგელი არ ჩანდა, იგვიანებდა, შველს იმედი მიეცა, შეიძლება სოფლის ახლო გამოვლა ვერ გაბედა და ჩამოშორდესო, მაგრამ ამაოდ, ტუმურა ტყის ბოლოში გამოჩინდა, ეტყობოდა, ველზე ვადმოვლა მართლაც, ვერ გაბედა, ტყე-ტყე იარა და იქიდან ათვლიერებდა კვალს, რადგან გამოვიდა თუ არა ტყიდან, გვიდა გზაზე, კვალი სახელდახელოდ გაიხალა და გამოუყვია.

ვაცმა ერთი თალია დააპირა გორისთვის შემოეცლო და მგელი რომ ამოვიდოდა — თვითონ უკან ვაპაროდა, მაგრამ სოფლიდან ძაღლების ყეფა ისმოდა და ახალ ჰირს არ გადაეყაროო — ისევე ტყისკენ განაგრძო გზა. შეისვენა, მუხლებიდან ქარი ამოიღო, ხახტომი მაინც შეუშოკლდა. უკანა ფეხები წინების ნადგომთან ძლივს მიჰქონდა. ხტუნვა რომ გაუტყირდა — ნაბიჯზე გადავიდა. მღვეარი მაინც შორს ჩამოიტოვა.

გზა ქვევით განივრად იყო გაკვერილი. ზევით და ზევით შევიწროვდა, შევიწროვდა, და ხშირტყიანთან ნავალი მთლად შეწყდა. უკან ველარ დაბრუნდებოდა. არადა ირგვლივ ყველგან

ღრმა თოვლი იდო, ზედაპირს სკვლად ჰქონდა შეყინული და მუხლები და მკერდი უფრო აეწვა, სისხლმა დაუწყო ეონვა. დადგა, მიიხედ-მოიხედა, სადმე ჩრდილო ფერდობზე უნდა გადასულიყო, მზეუხვედრი თოვლი ფხვიერი, უფრო მჩატე იყო.

ტყიანში უკვე მგელმა გაიხალავათა. ქანცი მასაც გამოეცალა, მაგრამ შველს ნაკვალევში სისხლი რომ დაიჩნდა — მოცოცხლდა. მივარდა ჭგაწითლებულ თოვლს და პირი დაქიმიტებით ჩასცა. სისხლის სუნმა თანდათან იმატა. ამან სულ გადარია. წაფორჩხილდებოდა, დასცემდა პირს ნაფეხურში ჩარჩენილ ბალანს და თოვლიანად ყლაპავდა.

ვაცე მალ-მალე ჩერდებოდა. შობა-რუნებდა თავს და მგელს გამოხედავდა. მათ შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა, გაქცევის თავი კი აღარა ჰქონდა.

ძალი რეგენია, პირდაპირ ნავალს დაადგება. ნაფეხურებს ხედავს, ცხვირს მაინც ვერ აშორებს. თვალს ისე არ ენდობა — როგორც ყნოსვას. გატეხილ თოვლში თვითონაც იფლობა, ნამსხვრევები ფეხებში ებლანდება და ჩქარა იღლება ხოლმე. ტუმურა უფრო გონიერი იყო. კვალს ორიოდ ნაბიჯით გვერდზე მოსდევდა. თოვლი აქა-იქ თუ ჩამეტყრეოდა. უმეტესად ზედ ლაღად მიდიოდა, ძალდაუტანებლად და ენერჯის ზოგავდა. მაინც უტყირდა, ენა გადმოუვარდა, მუხლი აღარ მოსდევდა. მტკივანი ფეხი დროდადრო ეთიშებოდა. ზოგჯერ ველარ ეყრდნობოდა და სამზე მოკინკილებდა. აი, მაშინ ჩამეტყრეოდა ხოლმე თოვლი და ცხვირ-პირს შეყინულ ხორგებს დაჰკრავდა, ჩაიფეხვებოდა, მაგრამ მაშინვე შარჯვედ წამოხტებოდა: აიპრეხავდა კუდს, თოვლს ყბებით დაეყრდნობოდა, მტკივან ფეხსაც მოიშველიებდა და საღ მარცხენას ცქაფად ამოაძრობდა. მერე და მერე ესეც გაუტყირდა. თოვლის ყოველი ჩამეტყრევა ტანჯავდა. სისუსტისაგან თვალეები უბნელდებოდა და კუნთები მტკივნეულად ეკრუნჩხებოდა.

უფრო მეტად მუცლის გვრემამ და კუჭის წყამ გააწამა. გრძობდა ბევრს ველარ შესძლებდა, მაინც ვერ ეშვებოდა. მან იცოდა, რომ ეს სიკვდილ-სიცოცხლის დევნა იყო, მოვიდა მისი აღსასრული, სიკვდილის ლანდი ავებდითაღ დაჰფარფატებდა. თუ ამდენი ხნის მშვიერი და ნაავადარი ამოდენა ენერჯის უქმად დახარჯავდა — უეჭველად ტყავს გაკიმავდა. მოუძღურებულისთვის ასეთი საკბილოს გამოტყერომა ნამდვილი ღვთის მოწყალება იყო, გადაარჩენის ნიშანი იყო და ამის ხელიდან გაშვება სწორედ სიკვდილს უდრიდა.

ცული დღე ედგა ტუჩმურას, სამი თვე გავიდა რაც უთვისტომოდ დარჩა. საკუთარმა ხროვამ გაწირა. თვითონ ცხერის ფარას აედევნენ, საზამთრო საძოვრებზე გაჰყენენ, ეს კი, გვარის თავი და წინამძღოლი, მხარხალეწილი უმომხედველად დატოვეს. პაი გიდი, რამდენი სიკეთე გაუკეთებია მათთვის, რამდენჯერ დადო თავი, იმათ კი შიატოვეს. დასანანია, თუმცა რას იზამ, ასე ყოფილა, ყველა თავის ტყავს უფრთხილდება.

ტუჩმურა და ვაცი ერთი მთის ბინადარნი იყვნენ, ერთ ტყეში გაიზარდნენ და ბუნებრივია, ხშირად გადაჰყრიან ერთიმეორეს. ასე, რომ ძველი ნაცნობობა ჰქონდათ, ახალგაზრდობაში, როცა ისინი ცალ-ცალკე, თავისიანებისგან განმარტობით დალაღობდნენ, ტუჩმურამ ვაცის დაჭერა სცადა, მაგრამ მაშინ მშრალობა იყო და ის ისე მოსწყდა ადგილიდან, ისე გადაიქროლა სერი — ტუჩმურა პირდაღებული დარჩა, მიხვდა გაყიდება ამათ იყო, ვერ დაეწეოდა, მის შეპყრობას რამე ჰქვიანური ფანდი სჭირდებოდა. ამიტომ როცა მოულოდნელად შემოეყრებოდა და შეატყობდა ძველებურ ჯანზე იყო, მაშინვე შეეშვებოდა. მუღმივად უღარიღებდა, საოცნებოდ ჰქონდა სადმე მარჯვე ადგილას მოხებულთებინა და აი, ხროვის თავი რომ გაზდა, ზაფხულის მიწურულს, სანადიროდ გამოსულმა სერიდან ხეობას მიაყურადა და დაბ-

ლა, ჰალაში, შვლების ფეხმსხმს-მოპკრა ყური. გულდასმობს — ჩაუყვარდა, მოგვიანებით ვაცის მოკლე, მაგრამ საკმაოდ მკაფიო ხავილი გაისმა და შეატყო: ნეზვი და ვაცი საკერშილო რიტუალს უვლიდნენ. საწადელი აუსრულდა: ამ დროს ვაცები გაბრიყვებულები არიან. სიფრთხილეს კარგავენ, ერთიმეორეს ებრძვიან, ნეზვს ელაციციებიან და მდედრის დაუფლების სურვილით ისე არიან თვალუბაბულნი სანამ ზედ არ წაადგება, მტერს ვერ ხედავენ.

ტუჩმურამ სახელდახელოდ ხროვა შეყარა, ძუ და ახალბედები თხემის ყელში ჩასაფრდნენ, თვითონ და ერთი ფეხმარდი ხვადი მოსარეკში წავიდნენ. ვაცს მეტოქეები გაეფანტა და ნეზვი დაემარტოხლებინა. მდედრი კეკლუცობდა, გაურბოდა, ხეს უვლიდა გარშემო. ვაცი უკან დასდევდა, ხან რქენდა, უტუქმუნებდა, ხან ეფოფინებოდა. მგლებმა ზურგიდან წამოუარეს, თხემის ყელისკენ დააფრთხეს და თვითონაც უკან მიჰყენენ. ნეზვი ხროვამ დაიჭირა. ეცმა იმარჯვა, უკან დაიტომა, მაგრამ ახლა მარეკებს შეეჩხება: ტუჩმურამ წამოუქროლა, დამუხვლა ვერ მოასწრო და ის იყო ბარძაყში უნდა ჩაფრენოდა — მარცხენა ყბაში წიხლი მოხვდა და დარეტიანებული მიწაზე დაენარცხა. ყბა გაუსკდა, სისხლი შადრევანივით ასხამდა. მთელი კვირა ბუნაგში ევლო, დაკოდილობა შეუხორცდა, თუმცა ნასკდომზე ბალანი აღარ მოუვიდა და ნაჭრილობევი სამუდამოდ დააჩნდა. ტუჩმურა დაიბოლმა, იმის შემდეგ რა ხრიკს არ მიმართა, რას არ ეცადა — ყველა ცდა წყალში ჩაეყარა.

დრო გადიოდა, ტუჩმურა მორკმული ბელადი გაზდა. გამოცდილი ხროველებიც კი მასთან მოდიოდნენ რჩევისათვის, სათათბიროდ სანადიროდ წასვლის წინ, ან რამე მნიშვნელოვანს რომ შენიშნავდნენ. ცხვირს ცხვირთან მიუტანდნენ, საიდუმლოს მოახსენებდნენ და დავალების მიღების მოლოდინში გაინაბებოდნენ. ტუჩმურა სახის მიმიკით,

ჩურჩურით თუ კუდის ქნევით საჭირო მითითებებს მისცემდათ, რომელიც ამავე დროს საიდუმლო ბრძანებაც იყო. მერე ისე დაიშლებოდნენ, ვითომ არაფერი, სასხვათაშორისოდ ყმუილსაც კი წამოიწყებდნენ და თან აქეთ-იქით გაიპარ-გამოიპარებოდნენ ბრძანების შესასრულებლად.

ამ ზამთრის დამდეგს, ჭირხვლა რომ დაიწყო, მზვერავებმა ამბავი მოიტანეს: წყავიანში შვლის კომლობა გადმოსულიო, ტუჩმურამ დიდ-პატარა შეყარა. მარეკები გაგზავნა, თვითონ ხროვით ხევეების შესაყართან ჩასაფრდა. მარეკები უხმოდ შემოადგნენ წყავიანს, ახლად ჩამოკვივნილი ფოთალი ჭირხლს დაელტო და ხმა შორს არ გადიოდა. ახლა კი თვითონვე ააყუხეს შერბენ-გარბენა, ფოთლების შარიშური და წკიშლების ლაქა-ლუწი. დედა-შვილი სად ჩაიყლაბა ვერაზინ გაიგო. ვაცი კი, მართლაც, ხევეების შესაყარისკენ გაეარდა. ბუჩქნარი ჩაათავა და ის იყო კბოდეების შესაყართან ჩასასვლელისკენ უნდა დაშვებულიყო — საფრთხე იგრძნო, ნამეწყრალ დაბლობში ჩასაფრებულებს მხარი უქცია და თავგზა აბნეული ღრმა ხრამისკენ დაეშვა. ტუჩმურასაც ეს უნდოდა; ვაცს გზა ყოველი მხრიდან მოჭრილი ჰქონდა. უკან ელვასავით გამოენთო, ხრამში ჩაეჩენა. მიავლო კიდევ, მაგრამ სიხარული ბედისწერად ექცა: ვაცი ხრამს გადაევლო, თვითონ კი გაღმა ნაპირს ვერ უწია, კლდის ქიმს დაენარცხა და მხარჩალეწილი ფლატეზე დაგორდა. გონს რომ მოვიდა ხრამიდან ამოფოფხდა, მისი მოდგმისა იმ არე-მარეში აღარავინ იყო. რის ვაი-ვაგლაბით მიადწია წყლისპირა სიმაგრეებამდე, ბურღში შეძვრა და მოკეთებას დაელოდა. მხარი თანდათან ურჩებოდა, ტივილებიც ნელ-ნელა მიუყუჩდა, ეგ იყო შიმშილი აწუხებდა, კუჭის წვა ვერაფრით გაინელა. ხან ფუტუროს ღრღნიდა, ხან მიწით იყორავდა — ვერ იშვლავათა. დაძაბუნდა, დაილია. დამ-დამობით ახლო-მახლო დახინხილებდა.

თუ შემთხვევით თავგეს, ხოჭოს, ჭიადუას იგემებდა, თორემ საპროსმანსა-მაფერი ჭაჭანებდა. ნამეტანი უწყუ-ხდა, ამ ბოლო დროს, სოფელშიაც სცადა ჩასვლა, ეგებ რამეს გაეკრა კბილიო, იქაც ხელი მოეცარა; მიუახლოვდა თუ არა ძაღლები შეთქმულებივით აღავლავდნენ, ბოსლებსა და საღორეებს ახლოს არ გააკარეს. ის კი არა, სასწრაფოდ გამოერია — არ მოეხრჩოთ.

შველს ფეხებზე ცეცხლი ეკიდებოდა. ყინულის ხორკლები კანს უსერავდა, შუშხავდა, მყესები გაუხეშეშდა სახსრები აღარ ემორჩილებოდა. შველი უახლოვდებოდა და უახლოვდებოდა. „ღმერთო, რა დავაშავე ისეთი, სატანჯველად ამ წამახული ჩლიჭებით რომ დამბადე. ფეხი ვერ გადამიდგამს მიწამდე არ ჩამეფლოს, შენც ამ სისხლის მსმელს ემხრობი, რა სამართალია. ერთი შეხედვე ზედაპირზე როგორ შოირეწევა“. — ვაცს გული აუჩუყდა, შაგრამ არც არავისთან მდურვა და საყვედური უშველიდა, არც არავინ მეოხე გამოუჩნდებოდა. თვითონ უნდა ემარჯვნა, ეწვალნა, ეტანჯნა, ჭირის ოფლი ედინა, რომ ებოგინა. იგრძნო, ფერლო-ზე პირდაპირ აყოლა აღარ შეიძლებოდა, სცადა წამოეწყოდა. სადმე უნდა გასხლტომოდა, კვალი აერივნა, მიფარებოდა, რომ წუთით მაინც შეესვენა. ტევრისკენ გადაუხვია. ოციოდე ხაბიჭზე დამრეცი ჩაირბინა და ცოტა გულზე მოეშვა, თოვლი აქ უფრო დიდი ილო, მაგრამ დამშხალული იყო, შშრალი, ფხვიერი და შიგ სიარული ისე არ ჭირდა. ღრმად და ღრმად შეერია ხშირიანში.

შველი შეფიქრიანდა. საკბილო თვალიდან დაკარგა მხოლოდ თოვლის შურშური და წოწკების ლაწუნი ესმოდა. რაც შეეძლო ფეხს მოუჩქარა, ოღონდ ერთიმეორეში რტოებმახლართულ წვრილიანში ვერა ხტოდა, არა და თავამდე ჩაფლულს რღვევის სიქა აღარ ჰქონდა. გაფოთებული მიცოცავდა შველის ნაკვალევში, მაინც თანდათან ჩამორჩა. ხმაც უკვე არიარად ესმო-

და. ახლა ვაცს კჳონდა უპირატესობა: მყარად იდგა მაღალ ფეხებზე, მარჯვენდ მიძერებოდა ტყეწვრილში და ცუფქარა თოვლში ყელამდე შერეული იკლიბაკლო მიჰკვალავდა, ახლა ცოტა დასვენებაც შეეძლო. ხშირ-ხშირად შეჩერდებოდა, მგლის ბორგვასა და ქასქასს მოუსმენდა, გაივარაუდებდა რა მანძილზე იყო, მუხლებიდან ცოტა ქარს ამოიღებდა და ისევ გაუტევდა. რაკი დარწმუნდა ღვთის ცეცხლს უჭირდა — აღმართს შეუყვია — სავალი უფრო დაემძიმებინა. ზევით და ზევით თოვლს პირი შეეკრა, თანდათან მასაც გაუჭირდა და ველზე გავიდა. პირიმზეზე თოვლს აქაც დაეწივნა. გორს შემოუარა და ისევ ტვერისკენ გადმოუხვია. ტყის პირს მოსდევდა. ველობის გადაღმა გაუვალი ბარდნარი ეგულებოდა. მიმალვა დააპირა, მაგრამ რაკი მუხლში ძალა მოიდგა — გზა განაგრძო.

ირგვლივ მდუმარება სუფევდა. ეტყობოდა მაღლა ქარი ქროდა — ფთილაფთილა ღრუბლებს გაჩქარებით მიერეკებოდა. დრო და დრო გამოაჰიატებდა მზე და შველს ტანში საამოდ დაუვლიდა სითბო. ამდენი მანძილი გამოიარა და თოვლი ყველგან ისე იყო გადასილავებული, არსად არაფრის ნავალი არ ემჩნეოდა — გაჰყოლოდა. თავდაღმართზე დაეშვა. თოვლი აქაც პირწყაყინული იყო, თუმცა ტეხვას იმდენი ღონე აღარ სჭირდებოდა. ჩქარა თავიანთ ნაკვალევზე გავიდა დაშინებულმა შეათვალერა, დასუნა, მგლის კვალი გაცივებულიყო — მაინც შეზარა. ჯერ ქვევით წამოსვლა დააპირა, მერე მაინც ტვერისკენ გაუხვია. რაკი აქ გაასწრო — გულმა ისევ იქით გაუწია. ნელ-ნელა, მიყურადებით მიდიოდა. მეტრ-მეტრ დაძაბვისაგან ყურებს შუილი გაუდიოდა. ხან წინ იყურებოდა — ხან უკან. შიშისაგან დაჰიმულ თავყბის კუნთებს ზოგიერთხელ რამენიარად მოაღუნებდა, მაშინ ერთბაშად სმენა დაეწმინდებოდა, გაუმახვილდებოდა და როგორც კი ყურებს ირგვლივ მოატ-

არებდა — ისევ დაეხშობოდა. ჩამიხუმი მაინც არ გამოქეპარებოდა. ტვერსაც ცუდის მომასწავებულნი იდუმლებმა, მდუმარება დაუფლებოდა. ვაცი გაორტოფდა. ისევ იმ მტანჯველ გაურკვეველობაში ჩავარდა. აღარ იცოდა მდევრისათვის მოეცაღნა, თუ თვითონ დაღვენებოდა. მგელი თუ მის ფეხის ხმას ყურს მოჰკრავდა — ჩაუსაფრდებოდა. არა და უკან, ზეჰცეულისკენ რომ წასულიყო ასეთი მოხერხებული ადგილი სხვაგან არსად ეგულებოდა. შეშფოთდა. დასუნავდა კვალს, „ზვთის ცეცხლის“ უამური სუნი შეაყრყოლებდა, გაიქნევედა თავს და დიდრონ თვლებს დაფეთებული აქეთ-იქით მოაკეცებდა. არა, ასე ყოფნა აღარ შეეძლო. ან უნდა მიმალულიყო, ან ტუჩმურას ასავალ-დასავალი გაეგო. ფეხაჩქარებით გაუყვია კვალს. თუ ნაკვალევს რამდენჯერმე შემოუვლიდნენ — თავგზას აუბნევედა, ძველსა და ახალ ნაფხუტრებს ველარ გაარჩევედა და მაშინ უფრო იოლად მიემალებოდა. ფრთხილად, რაც შეეძლო უხმაუროდ მიდიოდა, თუმცა ჩლიქბქვეშ თოვლს მაინც ჰყრიალი გაუდიოდა და თავზარს სცემდა. ერთ ადგილზე დგომა მაინც არ შეეძლო. სულ-გაცქვრენილი ნელ-ნელა მიიპარებოდა. ტყე წვრილში იძვრინა, უსმინა, უთვალთვალა და როგორც იქნა ველობის გასასვლელთან მისი ქასქასი გაიგონა. მოჰკრა ყური და შიშის თუ სიხარულისაგან ისე შეაშფოთა — ღამის თავი გასცა: უკან გამოქცევა დააპირა. ძლივს შეიკავა თავი, გაინაბა და გულდასმით მიყურადა. ტუჩმურა არ იძვროდა, ადგილზე ჰოშინებდა. გაუგებარი იყო დაიღალა და ისვენებდა თუ ღიაზე გასვლას ერიდებოდა. როგორც ეტყობოდა იწვა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და ღონღილით დაადგა კვალს. ვაცმა ცოტა აცალა, მერე წვრილიანის კიდემდე მიიპარა და მაღულად დაუწყყო თვალთვალი. ის წყეული ისე მიითრევედა კუდს — ჩანდა, არც იმას ედგა კარგი ღლე, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა. შეიცადა სანამ გორს მიეფარებოდა



და უკან დაედევნა. ველზე გასვლა არც თვითონ ეხატა გულზე, ღია ადგილზე ბევრია თვალის მკყელტელი, შეიძლება იმ ვერაგსაც მოეხედა უკან, ამიტომ ერთხანს კიდევ აცალა და რომ ივარაუდა შორს გავიდოდა — წავიდა. თავის ნავალს მისდევდა. თითოეულ ფეხს ძველ ნადგომში დგამდა. ყოველ აცდენილ ნაბიჯზე მგელს შეეძლო კვალი გაეახლებინა. გორს შემოუარა, ისევ ტყის კიდეს ჩამოჰყვა და მეჩხერში ტუჩმურას რუნი ზურგი დალანდა — ლასლასით გადადიოდა ტევრისკენ. ეამა. ახლა მდევარს თვითონ მისდევდა, თვალქვეშ ჰყავდა. ერთი წრე კიდევ შემოუარეს, მეტი აღარ შეიძლებოდა. ის მტარვალი უკვე მიხვდებოდა წრეს უვლიდნენ და სადმე ჩასაფრდებოდა, თანაც თვითონ უკვე მუხლიც მოიღვა და შეეძლო მიმავალზე ეფიქრა. ველობის გადაღმა ბარდნარი მოათვლიერა. ტყუპ მუხასთან გვერდზე ისეუბა, ბუჩქნარს გადაეველო, რამდენიმე გრძელი ნახტომით ბარდნარში შეერია და მიიძალა.

გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ცალკე დადლილობა უჩქროლებდა, ცალკე იმაზე ფიქრი ჩამოიშორებდა თუ არა. გარინდებული იღვა. სადღაც, გულის კუნძულში იმედი უღვიოდა: ან გორის შემოვლას ველარ შესძლებდა, ან კვალს ვერ გამოიტანს და მოვიშორებო.

„ღმერთო, ოღონდაც ახლა მიხსენი და ასეთ რამეს აღარ ჩავიდნენ“, — გაიფიქრა გუნებაში — მაგრამ მაშინვე ინანა. ნუკრისა და ნეზვის დაფეთებული თვალები გაიხსენა და ეს რა წამომცდომ — უქმყოფლოდ გაიქნია თავი.

მგელი არ ჩანდა. შველი გაცქნაფული იღვა. შიმშილისაგან სული ელეოდა, ცხვირწინ გადმოზურმუხტებული მავკლის ფოთოლიც კი არ გაუჟკნებია — ჩქამი არ გასულიყო.

კარგა დრო გავიდა. გორის თავზე, მუხრანში ფრთების ფრაშფრაში გაისმა. ვაცი შეკრთა, მაგრამ მაშინვე მიხვდა — ჩხიკვები იყვნენ. ეს ფრთაჟრეული ვერაგები არ უყვარდა. ზაფხულო-

ბით სულ იმას შიშშია ხოლმე — ბეჩინას თვალები არ აძრმობს. ჩხიკვები კრუხუნითა და ნამუშ-ნამუშით ფარფატით დაბლა ეშვებოდნენ. მისახვევთან მეწინავემ ერთბაშად ჭყვივლი ატეხა. ფრთხილად იყავით, ფრთხილად — უხმობდა თავისიანებს. ქვედა ტოტზე დაეშვა, წაქანდებოდა წინ, აიბურძღლიდა ქოჩორს და ჰაიტი, შესავერანეც, სად მოეთრევი! — დაიჩხავლებდა. ვაცი მიხვდა — მგელს დაჰკიოდა, ეტყობოდა, ისევ გორის ირგვლივ დაჩმბუნობდა და ჩხიკვის მადლიერი ღარჩა — მეოხე გამოძინდაო.

— ვინ ოხერი ხარ მანდა, აბა დამიდექი! — ზევიდან გაცეცხლებული ჩხიკვთა გუნდისთავი დაეშვა და მგელს დააცხრა: ქანგები დაკლანჭა, თვალებს აბრიალებდა, დაუქროლებდა, დასჩხავლებდა და უკან მოიქცეოდა, აიქორებოდა, აიფხორებოდა, გაშმაგებული დააფრინდებოდა, ჯიქურ მიეჭრებოდა და მოიქცეოდა. მოცვიდნენ სხვებიც და ატეხეს ერთი ვაი-უშველებელი.

„ემაგრე, ემაგრე უყავით, მაგ სატილოს!“ — გუნებაში უხაროდა შველს. მგელი კი ყურსაც არ იბერტყავდა. ის გულდასმით ათვლიერებდა კვალს და დინჯად მოჰყვებოდა. ტყუპ მუხას რომ მოუახლოვდა ყურები ცქიტიტა. კარგად ჩააკვირდა ბოლო, ჩაღრმავებულ ნაჩლიქარებს, დასუნა, თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა, მერე ბუჩქს შემოუარა და ნახტომი რომ ნახა — ერთბაშად გამოცოცხლდა, კუდი გაფშია, თვალები გაუბრწყინდა, ბარდნარი ყურადღებით შეათვლიერა და კვალს კი აღარ გაჰყვა, ბარდნარს დაუწყო შემოვლა. მსხვერპლის ხელში ჩაგდების იმედმა ძალა შემატა, ბალანი აუშვა, თვალეზდაცეცხლებლმა მოათვლიერა ყოველი მხარე. გასული არ იყო, რა თქმა უნდა, შველი ბარდნარში იმალებოდა. ჩაფიქრდა, ახლა უნდა მოესაზრა საიდან დაეფრთხო, რომ ბარდებში გაეხლართა. ეტყობოდა, იმედოვნებდა დადლილ ვაცს ბარდებზე ხტომის თავი აღარ ექნება, თუ გასასვლელებს ჩაუჟკნებდა და

დავაფეთიანებ — აუცილებლად გაეზიდავო. გასასვლელები მოათვლიერა და ცდილობდა ამოეცნო სად იყო მიმალული, საიდან წამოველო. ოღონდ ამისათვის უეცარი თავდასხმა იყო საჭირო, საამისოდ კი თვითონაც სიქა აღარ მოსდევდა. მუცელი ულაწლანებდა, შიმშილისგან კუჭი ეწვოდა. სწრაფად უნდა ემოქმედა, თორემ შველი დაისვენებდა. რამენაირად კუჭი უნდა მოემარებინა, რომ ძალა მოეკრიბინა. სხვა სახსარი არ იყო, კოლბოზთან თოვლი გადაქექა, მიწა ამოთხარა და ღმურძვლა დაუწყო. თან ცალი თვალი ბარდებისკენ ჰქონდა და გულში უხაროდა: რაკი ვაცი ინაბებოდა — კარგად არ უნდა ჰქონოდა საქმე. მუცელი მოიძლო, მურა ტუჩები მოილოკა და ზედახლა შემოუარა ბარდნარს. გასასვლელები საითაოდ ისევ მოიკვლია, პირქარიდან წამოუარა და შველის სამალავის დადგენას შეუდგა. ცხვირწამვერილი ყნოსავდა ჰაერს, სადაც კი შუქი გადიოდა — ყველგან იჭვრიტებოდა, უსმენდა, უტრიალა, უტრიალა, მაგრამ შველის აღვილ-სამყოფელს ვერ მიაკვლია. ჩქარობდა. უნდა მოესწრო სანამ შველს ჯანი მიეცემოდა, სანამ საკუთარი კუჭი ყალთაბანდობას შეუტყობდა. უნდა დაეფეთებინა, შიმის ზარი დაეცა, თავგზა აებნინა და გაუვალ ბარდნარში შეეგდო. მხარის ტკივილი დაეიწყდა. ერთბაშად ხტუნვა დაიწყო. შეხტებოდა, გადაახტებოდა ბუჩქებს, ვადმოახტებოდა. გაყურდებოდა, ყურს მიუგდებდა და ისევ კუნტრუმს დაიწყებდა. შევიდა, შევიდა ბარდნარში და აი, საწაფი ხმა გაიგონა: ჯერ ბარდის გლაჯანი გაისმა, მერე თოვლის ხრამუნის და ჩლიქების ბრაგა-ბრუფი.

ვაცი აღვილიდან მოსწყდა, კამართი გადაეელო ბარდებს და ველზე გაეზარდა. მგელის თვალთვალში გართულს წინასწარ არ გადაუწყვეტია რა გზას დასდგომოდა, ამიტომ გაკვერილს რომ მიუახლოვდა ერთ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა: წალმა შემოეელო გორისთვის თუ უკუღმა. ხან აქეთ ეცა, ხან

იქით. ბოლოს უკუღმა გაუყვი. იმ წამს ტერისკენ წასვლა გადაიტოვდა, აქ, გორის გარშემო ბოღიალით თავს ვერ გადაიჩინდა, კვალს ვერ აურევდა, ეს ენერგიის ამო ხარჯვა იქნებოდა, ის წყეული დღე და ღამე არ მოასვენებდა, ერთთავად უკან გაკიდებული როცა იქნებოდა უბედურებას გადაჰყრიდა. ან როდემდე შესძლებდა ასე სიბრბილს, რაკი კვალში ჩაუდგა აღარ მოეშვებოდა, მისი დაღლის იმედი ტყუილად ჰქონდა, თუ დაიღლებოდა — დაისვენებდა და ისევ გაჰყვებოდა ნავალს. ღამე თუ ვერ გაიკვლევდა — თენებისას მაინც გაიახლებდა, რაკი დაისვენა და ძალა მოიკრიფა სწრაფი, აღმართის ერთბაშად გადაქროლვით უნდა ჩამოეტოვებინა. შემდეგ კი...

ვაცს ერთი ნაცადი ფანდი ყოველთვის ჰქონდა თადარიგში. იმ ხერხით ბევრჯერ დასხლტომია მგლებსაც და ძაღლებსაც, ახლა, ამ თოვლში, იქამდე მიღწევა უჭირდა, თორემ... ყოყმანის დრო აღარ იყო, მუხლში რომ ძალა იგრძნო — გაბედა. ცოტაზე კიდევ გაჰყვა ნაკვალევს, მერე მარცხნივ გადაუხვია და „უხვიროს ცერისკენ“, გაუტია. ჩქარობდა, თოვლი აქეთაც დაზეპილი იყო. ისევ აეწევა ბარდაყები და სისხლი დაედძრა, თუმცა ყოფნა არყოფნის საკითხი წყდებოდა და ტკივილებისთვის აღარ სცხელოდა. სანამ შეეძლო პირდაპირ აუყვა აღმართს, მერე თანდათან დაუცერა. წყალგამყოფამდე მიაღწია, ხეს მოეფარა, შესასვენებლად გაჩერდა და თავი მოაბრუნა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ძლივს სუნთქავდა. მდევარი შორს მოიტოვა, საეჭვო კი იყო მის მოსვლამდე რიგიანი დასვენება მოესწრო, თხემზე ასვლას მაინც იმედოვნებდა.

„ღმერთო, მიმალწევინე მჯავე წყლის ბილიკებამდე“ — კენესა ამოხდა და წინ, მაღალ ფერდას შეხედა. უხვიროს ცერისკენ წასვლაზე თავიდან არც უფიქრია, ოღონდ, ეტყობა, იღუმალი ლტოლვა მაინც ჰქონდა აქეთ. აქაქანებული შეხედავდა ფერდას და მისი სი-

მალე ზარავდა. ახლა უკან მიიხედავდა, იქით ტუჩმურას მოლოდინი უბნე-ვდა გონებას. აი, ისიც დაჩნდა. დღე გადმოეჭრა და აღმართს შემოუდგა. «დღე-ღამე, შენც წირვა გაქვს გამოსული», — გაიფიქრა ვაცმა. ენა გადმოეგდო, მტკივან ფეხს თითქმის ვეღარ ანდობდა, ვაცი წუთიწუთ ელოდა მის გამოჩენას, მიუხედავად ამისა, რომ დალანდა ელეთ-მელეთი ეცა. ანგარიშმიუცემლად ათიოდეკერ ისკუბა, გორის ზურგს გადაეფარა. გაჩერდა, ცოტაც შეისვენა. იცოდა საშველი არსაით იყო — მაინც მიიხედ-მოიხედა. ისევ წინ აყუდებულ ფერდას უნდა შებმოდა. თუ როგორმე ამ ციკაბოს დაძლევა დადაივიდა უღელტეხილს, უხეირო ცერის მომზღველებს თავს დაუვლიდა, დაეშვებოდა მკავე წყაროსკენ, ჩავარდებოდა მდინარეთში, წყალს გაჰყვებოდა, მერე კუდმოდრეცილ გორის ბოლოში მარცხენა შენაკადს აუყვებოდა, ავიდოდა ზეგანზე და ტყეში შეეფარებოდა. მდინარეში მგელი კი არა ეშმაკი ვერ გაიტანდა კვალს.

ნელ-ნელა, მოკლე-მოკლე ნახტომებით ირიბად შეუყვა ფერდას. ხშირ-ხშირად ისვენებდა. დადგებოდა, მოაბრუნებდა თავს და ტუჩმურას გამოჩენას დაელოდებოდა. მუხლები აღარ მისდევდა, თუმცა აი, გაკრთებოდა თუ არა სითეთრეში იმ ტილის მოშაო ზურგი, ან მის ქაქანს გაიგონებდა, ელდანაცემი ჯერ რამდენიმეჯერ დაოთხილი გადახტებოდა, მერე მოუნელებდა, მოუნელებდა და გაჩერდებოდა.

გაქირვებამ შეუძლებელი შეაძლებინა: ტეხა თოვლი, გადალახა ქარაფები, გაიკვლია ხრამების შემოსასვლელები, გვერდი აუარა ხეჭკეულებს, ნაშქრებს და მზე საშუადღეოდან გადადიოდა, უხეირო ცერის მომზღვეულ ფერდას რომ მიიტანა. მკავე წყაროსკენ დასაშვებ საოცნებო ბილიკს მიიღწია და ის იყო სამოთხის კარი გავლო — ახალმა უბედურებამ დასცა თავზარი: ფერდაზე ზვავი ცურდებოდა. ნაშალებთან თოვლს უკვე პირი

გახსნოდა, ბილიკის თავზე, წიწვულ-აგს-ხა. წამი-წამზე დაქანდებულ-ქანდა-ლოდნელი.

ვაცი გაოგნდა, საგონებელში ჩავარდა, რალამგელი დარალა ზვავი. მომზღველებზე გადავლა სიკვდილის ფარდი იყო. მტრისას, თუ ზვავი ჩაითრე-ვდა წამებით უნდა ამოხდენოდა სული. ნაშაღის ფრიალო თავზე ასვლა აღარ შეეძლო — ქანცი გაწყვეტილი ჰქონდა. ფერდაზე დაშვებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ნახტქში ჩაიფლობოდა და მგელსაც ეს უნდოდა. გაწბილებული იდგა და როგორღაც უბედურებას შეგუებული მოსახდენს ელოდა. ტუჩმურას ფეხის ხმამ გამოარკვია. ნაშა-ლები შეათვალეირა. არა, იქ ასვლა ნამდვილად აღარ შეეძლო. თითქმის ორმოცი ნახტის სიმაღლეზე შევეულად ეშვებოდა ქარაფი. ზედ წყალი მოეჩონავედა. აქა-იქ აჩნდა თავზე თოვლ-მოდებული შვერილი, სველ კედელზე ფეხს ვერ მოჰკიდებდა. კედლის ძირიდან ნაშღვევეი იწყებოდა. ორმოცდაათიოდე ნახტომის სიგანის დანაოქებუ-ლი ფერდა ნახტქით იყო თავმოდგმული. ჩრდილის მხარე იყო. საძოვრად ისე რიგად არაფერი ეტანებოდა, ზამთარ-ზაფხულ წყალი არ აკლდა და მაღალი ბალახი იზრდებოდა. თოვლქვეშ ბალახი წვებოდა და ზვავს მოსასხლე-ტად მეტი რალა უნდოდა. ფერდას შუაზე კაი სიღრმის ლარივით სწორი ხრამი ჩაუდევდა. ზვავი რომ არ მოცურებულყო იმ ხრამს მაინც ვერ წაუვიდოდა.

ხეობიდან მდინარის ჩაგუდული შხული ისმოდა. ნიავს აყოლილი ხმა ხან მთლად მიჭრებოდა, ხან აზვითდებოდა, რიყე და შენაკადი ხეები თოვლით ცამცამებდა. ალაგ-ალაგ ნაშქერის ზოლები ჩაგრძელებულიყო. ყინულს წყლისთვის ზოგან მთლად გადაეცლო. მისი მქისე ზედაპირი ნაირფრად ლაპ-ლაპებდა. მდინარე ზაფხულობით ვერცხლად მოკამკამებს ხოლმე. ეხლა თოვლ-ყინულში ჩაბუბნილი ცისფრად ჩამტუქებულიყო. მის წინ შეთოშილ ტა-

ვარში შერევა სხვა შემთხვევაში მეტად უამური იქნებოდა, ამ გაპირებაში კი შეველს სანუგეარო ოცნებად ექცა.

— ეკ, რა მაღლი იქნებოდა... — ისე ამოიფშვინა, გული თან ამოაყოლა. — შე დალოცვილო ან სულ ნუ დაიძვრებოდი, ან ჩემ მოსვლამდე დატურდებოდი. — უსაყვედურა ზეავს და უკან შეტრიალდა. ტუჩმურა უღელტეხილზე ამოვიდა. ალბათ რაღაც იტუმანა: თოვლში ჩაწვა და ყურებდაცქვეტილი იმზირებოდა. მერე უფრო გაეკრა დეცოცივით წამოვიდა. ვაცმა თვალი თვალში გაუყარა. ფეხი რომ არ გადადგა — მგელი დაეჭვდა, ცხვირი გვერდზე წაიღო, ვითომ ვერც ხედავდა, წამოდგა, რაღაცას დაუწყო სუნსული, გადოგამოდიოდა, იქაურობას ქვეშ-ქვეშად ათვალეირებდა და თანდათან წინ მოიწვედა. ორმოკიოდე ნაბიჯზე რომ მოახლოვდა ნელ-ნელა შემალღებაზე ავიდა და მომზღვლეულ ფერდას გადახედა. გადამსკდარი თოვლი რომ დაინახა — წამით გაირინდა, შეეტყო, ზეავისა იმასაც ცეცხლივით ეშინოდა.

„არ მომვარდება, — გაიფიქრა შევლმა — ეშმაკია, თუ მე ზეავში გადავეშვები ეგ იქ შემოსვლას ვერ გაბედავს და ხანამშრალი დარჩება. ეცდება რაღაც მიხიშანოს და ზევში ჩამჩხოს“.

მგელი დაწვა. შეტევას მართლაც არ აპირებდა.

„ფეხი რომ არ სტკიოდეს ზემოთ, ფუტურო წიფლის მხრიდან წამომივლიდა და უცბათ დამეტყვრებოდა, რომ ზევში ჩავეგდე. — ფიქრობდა ვაცი — თუ წამომიარა უკან გაქცევას მოვასწრებ, ჩემ ნავალზე ისე აღარ გაძიკირდება თანაც სულ თავქვე უნდა ვიარო. არ წამომივლის რაკი მომიმწყვდია ფეხსაც არ გადადგამს“.

ტუჩმურამ სული რომ მოითქვა — თავი მოიკატუნა. გაიღრიჭა, გვერდზე გადაგორდა, სალი, წინა მარცხენა ფეხი პაერში ასავსავე, მერე თვალეზზე დიფარა, გადაკოტრიალდა, გადმოკოტრიალდა, უშნოდ ღრეცავდა ტუჩებს. ღრჯოლებს აკრეპავდა. ვაპკრავდა

თათს, თოვლს თავ-პირზე გადაიყრიდა, ეთამაშებოდა, ეფოლოცებოდა, ემწეოდ წამეტუნებდა, თავს აბრალებდა. ამასობაში თან ახლო-ახლო მოიწვედა.

— ოხ შე ვერაგო! — თავის ქნევით ამოიქშინა ვაცმა. უკან-უკან დაიწია, ნაპრალს მიადგა.

მგელმა იგრძნო უკიდურესობამდე მივიდაო, წინ აღარ წამოსულა. მაინც უგერგილოდ იღმანჭებოდა და ლაზღანდარობდა.

მზე საშუაღლეოდან გადავიდა და ღრუბლების გროვის უკან ცახცახით შეტვრა. მთის თავზე ჩრდილი ჩაიბინდა, რკალად გადმოჰყვა ალპურ მღელღებს, ჩქარა ტყეც დაიტანა და არწივის ლანდივით ახლა მათ გადაუჭროლა თავზე. ვაცს შეამცივნა, ურჯოლამ დაუარა. გული დასწყდა. სანამ მზე უღიმოდა თითქოს კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა. კარგა ხანს იდგა გარინდებულნი. ნაოფლარზე სიცივე თანდათან ძვალსა და რბილში გაუჭდა, სახსრები შეეხუთა, ძილი მოერია და გონება მიეზინდა. უცბათ შეშინებულმა დააპყიტა თვალები. შეშფოთებულმა მიიხედ-მოიხედა. იღუპებოდა, რაღაც უნდა ელონა. საეკაოდ შეისვენა, მაგრამ რა ექნა, რა ქვისთვის ეხალნა თავი? ცუდად მოემწყვდა, ოთხივ კუთხივ გზა მოჭრილი ჰქონდა. ესე დგომა მაინც მიუტევებელი იყო: რომ მოსალამოვდებოდა უფრო აცივდებოდა, სახსრები უაღრესად შეეხუთებოდა, გაქცევა კი არა, ალბათ გავლაც გაუპირდებოდა. დაწოლა არ შეიძლებოდა, ვერც რამეს მოეფარებოდა. ღამე ამ სანიაოზე დგომა გაუსაძლისი გახდებოდა. ამ „მხეცი ბოროტისთვის“ სწორედ მარჯვე დრო დგებოდა. თოვლში ჩაიმალა, სიცივე არ აწუხებდა. ისვენებდა. თუ შემოალამდებოდათ — მაშინ ხომ სიზარტულით ცას ეწეოდა. მისი კბილებიდან აღარაფერი დაიხსნიდა. შიშმა შეაერთო და ფეთიანივით აფორიაქდა. ყველა მეოხება ხელახლა აწონ-დაწონა და დარწმუნდა სხვა სახსარი არ იყო, თავი უნდა გადაედო, ზეავზე გადაერ-

ბინა და თუ ცოცხალი გააღწევდა — მერე მდინარე იხსნიდა.

ვაცს რალაც თბილმა დაუარა ტანში, გული აუჩქაროდა. ჩანაფიქრი არ გამოგოსო — ტუჩმურას ისე ქვეშ-ქვეშად გახედა, თითქოს გაქცეულს ვერ დაინახავდა. მერე ერთბაშად მოწყდა ადგილიდან და მომზღველებში გადაეშვა. თოვლი არც ისეთი ღრმა იყო. როგორც ეჩვენებოდა, ბილიკის მიმართულებით გაქანდა. ათიოდე ნახტომის შემდეგ თოვლი დაიძრა. ჭერ ნელა, მერე ფეხები გამოუტრიადა და ანაოჭებულ გროვავში დაენარცხა. სწრაფადვე წამოხტა. აღმა შებრუნდა და დაცურებით გაიქცა. ის იყო ღარს მიაღწია — ხელამდე ჩაიფლო, ფეხები მიწამდე ვერ უწია, მკერდ-მუცლით დაეკიდა. უკან გაიხედა, მგელი ნაპრალს მოსდგომოდა. თვალბანთებული მისჩერებოდა, ცშუაკვდა, დრო და დრო თითქოს გამოდევნებას დააპირებდა, მაგრამ ზეავში შესვლას ვერ ბედავდა. ზეავი მდორედ, ოღონდ ძალუმად ბოქავდა შველს და თან მიითრევდა. ტყეწვრილი ნელ-ნელა მიწაზე წვებოდა, აქა-იქ ფესვების წყვეტის გლახა-გლუჯიც გაიხმა. ვაცმა მტანჯველი აღსასრულის მოახლოება იგრძნო, ძალა მოიკრიბა, ასხმარტალდა, გამალებით იქნედა ფეხებს. გაიბრძოლებდა, გაიბრძოლებდა, ააყენებდა ბუქს, მოჰკიდებდა მიწას ჩლიქებს, ზემოთ შეხტებოდა, დაეკიდებოდა მკერდ-მუცლით და ზეავი ისევ ქვევით-ქვევით ჩაიტანდა. ღრმად და ღრმად ჩაფლობდა თავზარს სცემდა. სიქის გაცლამდე იბრძოდა, ხან ისე ჩაიკარგებოდა — სუნთქვა უჭირდა. მაინც არ დანებდა. გოჯი-გოჯ იწევდა წინ. არ ეწადა სიკვდილთან დაძმობილება, რამდენჯერმე ისე დაიქანცა ფეხის გატოკების თავიც აღარ ჰქონდა, გონება დაბინდული თითქოს ბედსაც ურიგდებოდა, მაგრამ შეხედავდა თუ არა სიკვდილს თვალბანთში, თვითონაც არ იცოდა საიდან ეძლეოდა ღონე, უცბათ მოუზეავდებოდა ძალა, შეებმეოდა, იფხლაკუნებდა, იფხლაკუ-

ნებდა და რამდენიმე გოჯით წიწიწედა. ერთი გაბრძოლებისას წველად წინა ჩლიქები რალაც მყარს შეანო. უშალ უკანა ფეხებიც იქ გაჩნდა, ღონივრად ისკუბა და ღარს დაეღწია. ახლა უკვე სიმაღლეზე ეკიდა. ირიბად აპყვა ნაშალს, ბილიკს მიაღწია, გავიდა მომზღველებიდან და თავქვე დაეშვა. ხეობაში როგორ ჩავიდა არ გაუვია. რიყე პირდაპირ გადაჭრა და მდინარეში ჩავარდა. წყალმა გაიტაცა ასეთი შვება არასოდეს უგრძენია. ტანიდან სიმძიმე მოეხსნა, გახვითქულს სივრილე ეამა. ფეხის გატოკება აღარ სჭირდებოდა, დინება თვითონ მიაქანებდა სამშვიდობოსკენ.

მგელი არ ჩანდა, მაგრამ ვაცმა იცოდა ის კვალს არ დაკარგავდა. „ან ზეავის დაქანებას დაელოდება, — ფიქრობდა და ჩქარ-ჩქარა ფერდს ახედავდა. — ან საიდანმე გადმოივლის, იპოვის ნაფეხურებს და მდინარემდე მოჰყვება. ჭერ, ყოველ შემთხვევისთვის ზემოთ, გაღმა-გამოღმა მოათვალიერებს — ამოსული რომ არსად არისო, მდინარის ფსკერსაც დააკვირდება, — ნავალის ნიშანს რომ ვერ ნახავს, მაშინვე დინებას დაჰყვება და ორივე ნაპირს ძირის-ძირობამდე გადასინჯავს“. ამიტომ ისე უნდა ეცურნა და გამოსულიყო მდინარიდან — ნასახი არსად დაეტოვებინა. განსაკუთრებით ყინული იყო მოსარდი. ერთგანაც რომ ჩამტვრეოდა ან გაქეჭებოდა და მის ხოკბოებზე ბალანი დარჩენილიყო — იმ ავაზაკის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. სიცივემ თანდათან გულ-მუცელში დაუარა. ტყავი დაეჭიმა, გაუქვავდა. ყინულისაგან გადაყვლეფილ მკერდსა და ფეხებზე ცეცხლი ეკიდებოდა, ყინულწყალი ფარავდა, ფეხები გაუშეშდა, გაუბუყდა, მაგრამ ოღონდ მგლის კბილებს გადარჩენოდა და აღარაფერს დაგიდევდათ. თავთხელშიაც არ დააკარა ფეხი — ტუჩმურას არ შეემჩნევინა. შუა დინებას მიჰყვებოდა, წყალს ზემოთ მხოლოდ თავს მოაყელყელავებდა. სადაც წყალზე ყინული იყო გადავილი-

ლი შორიახლოდანვე ჩაყვინთავდა და ქვეშ ძვრებოდა... როგორც იქნა მობრეცილი ტორის კუდიც დაჩნდა. ტყვილებმა დაკრუნჩხა, სახსრები გაუქვავა, მაგრამ გაუძლო. ჩასცდა გორის კუდს, ნელ-ნელა მარცხენა ნაპირისკენ მოუტურდა, მოუსვა, მოუსვა და შენაკადში გავიდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა, ლიბ ქვებზე უსხლტებოდა, ფორხილებდა, თავს ძლივს იმაგრებდა. თავთხელს მაინც აერიდა — წყალი აიმღვრეოდა, ნაწლიქარები დაეტყუბოდა. აპყვა, აპყვა წყალ-წყალ ღორღიანს, სადამდეც შესალო შევიდა ვიწროებში, ჩქერალებთან ფლატეს შეეკიდა, ზეგანზე გაივავა და აპა, როგორც იქნა სამშვიდობოზე გამოვიდა. გულიდან ლოდი მოეხსნა, თუმცა ფეხზე დგომის თავი აღარა ჰქონდა. თავბრუ ეხვეოდა, ფაცახზე წყალი შეეყინა, სიცვივისაგან ძაგძაგებდა. ნესტოები შეუვიწროვდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა და პირით სუნთქავდა. გული ისე უცემდა, ლამის მკერდი გამოეწვრივდა, დაღლილობამ ხომ თავისი დაშართა, მაგრამ გადარჩენის სიხარულმა, იმის აღქმამ, რომ ამდენმა შიშმა და უბედურებამ გადაიარა და კეთილად დამთავრდა — მთლად მოაჩოღფოთა. ადგილიდან ველარ იძვროდა. ყელში რაღაც მოეჩარა, თითქოს ამოტირება მოუნდა. უნდოდა ჩაეჩოქნა და ვილაცისთვის მადლობა ეთქვა. ამ დროს ღრუბლის ჩრდილმა გადაუარა თავზე და უცბათ მოეგო გონს. ღიაზე დგომა არ შეიძლებოდა, მოსალოდნელი იყო ახლა სხვა უბედურების გადაპყროდა. ნაბიჯ-ნაბიჯ გალასლასდა, ძლივს შეღონდილდა ჯაგნარში, ზნე-ჩვეულების მიხედვით თავი ნაკვალევისაკენ მოაბრუნა და რცხილის ძირას მიწვა.

გადარჩა, რაკი ამ ყაჩაღის მსხვერპლი არ გახდა განვილილ ტანჯვა-წამების აღარაფრად აგდებდა. ახლა ცოტა დასვენება სჭირდებოდა, ძალას მოიკრებდა, გონება დაეწმინდებოდა და ის ლალი, შინაობის ერთგული ოჯახის თავი იქნებოდა.

მზე დაეწვერა. ზეგანს ჩრდილი გადმოადგა გაღმა მთის კარდღვანს — მტრდობები და ალპური მღვლელები უკვე ისევ ლამაზად, მანუგეშებლად იყო გაჩახჩახებული. საამო სიჩუმე იდგა. ზოგჯერ მაღლა, რცხილის ტოტებში თუ გაისმოდა მცირე, ნაცარა ჩიტების წივიწივი, ისინიც შეციებული ჩანდნენ, ბუმბული აებუებინათ, დუნედ დასკუმსკუმბდნენ ტოტებზე, ხან ქვევიდან მოექცეოდნენ, ხან გვერდიდან და რაღაცას კენკავდნენ.

ვაცს ძილი მოერიო, დაუვლიდა ბურანი, ჩათვლემდა და დაფეთებული მაშინვე დააქუცავდა თვალებს. მთელი ჰაერისი ცხოვრება უბედურების მოლოდინი იყო. ახლა, გადარჩა, მაგრამ გული მაინც ეთანაღრებოდა, თვალი ერთთავად ხევიდან ამოსასვლელისკენ ეჭირა.

სიცოცემ უფრო და უფრო აიტანა, მთელი ტანით ცახცახებდა. გაზაფხული კარზე იყო მომდგარი. თოვლი ბუჩქის იქით, ყუდროს მხრიდან, ჩამდნარ-ჩახვირიშებულყო. მის კიდესთან ენძელას ამოეყო ყური. თოვლი რომ ვერ გადაქემა — იმიტომაც ვერ მოიკარა სითბო. ადგომა და გავლა არც შეეძლო, არც შეიძლებოდა, რამე შეამჩნევდა. როგორც კი შებინდებდა გადაივლის სერს, ჩრდილოეთის ფერდაზე დასაწოლს შეირჩევს, გადაქეპავს თოვლს, ფოთოლს. ცოტა მიწასაც მოთხრის, ჩაწვება და ჩაითბუნებს. საჭმელად ფეხს არ გაადგამს. ვიდრე საბოლოოდ არ დაწმუნდება ტუჩმურა ჩამოვიშორეო — პირს არაფერს დააკარებს. სანამ თოვლს არ აიღებს არც ზექცეულთან გადავა, კვალი არ მიიტანოს.

ვაცმა წარმოიდგინა ამდენი ხნის უნახავს როგორ შეხვდება ქალაბი. ნეზვი არაფერს შეიმჩნევს. რა თქმა უნდა სიხარულით ცას ეწვევა; ფერი გადაკრავს, მაგრამ დაიმორცხვებს და ნეტარება რომ დამალოს მხოლოდ კუდს ააქიციუნებს. ბიენია კი შეხტება, შეკუნტრუშდება, გამოიქცევა, რბილად წაურქენს. მერე დედასთან მივარდება, ახლა იმას გაექეპება... ოცნებაში წა-



სული ვაცი ის იყო ლულმა წაიღო — რაღაცის ჭეჭამ დააფეთა. თვალები და-აჭყობდა და გაიკანკა. ხმა სერის გვე-რდით, ვაკობიდან განმეორდა. ეტყო-ბოდა ადამიანი ხესა სჭრიდა. დროგა-მოშვებით ჭერ ცულის ზაპანი გაისმო-და, მერე გალმა ქარაფზე ექო გატყუ-რებოდა. საშიში არაფერი იყო. პირი-ქით, აქაურობას მგელი აერიდებოდა. ვაცს ისევ მიეზინდა გონება, თვალები დაეხუტა, ძილს მისცა თავი და ღმერთო ჩემო, ცხადად დაინახა ფლატეს თავში მგელი ამოჩნდა.

— აუუჰ! — ძილშივე აღმოხდა, თვა-ლები დააჭყობდა და ზეზე წამოვარდა. ხომ არ მეზმანებაო, თავი გაიქნია. არ უნდოდა დაეჭვებინა, მაგრამ ტუჩმუ-რა აშკარად ამოჩნდა ხევიდან, მისი კვალის გასწვრივ მოლაწლაწებდა, შველს სისხლი გაეყინა ძარღვებში. აი-ბნა, დაიბნა საით წასულიყო, რა ექნა — აღარ იცოდა. გაქცევისა კი არა, სიარულის თავიც აღარა ჰქონდა. თუშ-ცა ბუნებისთვის ვალი ვის მიუცია წი-ნალმდეგობის გარეშე, რომ გასაძლი-ანებლად სწორედ ბუნებისგანვე მის არსებაში იღუმალად გადანახული ენე-რგია დაეზოგოს. დიდი იყო სიცოცხ-ლის სიყვარული და ვაცსაც ის ფარუ-ლი გვადრუცი გაეხსნა. ტანში რაღაცამ ერთანტელივით დაუარა, ფეხები გაეხ-სნა, სერისკენ შებრუნდა და ტყეს ში-სცა თავი. ჭერ დაოთხება სცადა, ვერ გადახტა და ნაბიჯ-ნაბიჯ აუყვა.

მგელიც წაქცევაზე იყო. თვალები აჭრელებოდა, არიარად არჩევდა კვალს. თბილ ნაწოლს რომ მიადგა — გამო-ცოცხლდა. თვალსინათლე მოუვიდა, გაისუსა, მიაყურადა და ფეხის ხმას მიჰყვა.

ვაცმა აღმა სიარული ვედარ შესძლო და ფერდას განივად გაჰყვა. ასეც გა-უძნელდა. წარამარა ფეხი უსხლტე-ბოდა. ქვევით-ქვევით ცურდებოდა. მას კი მზროლდ ზევით, აღმა უნდა ევლო, თორემ „მხეცი ბორბტი“ უმაღ დაე-წეთოდა. შუა ფერდობზე ხრამს მიადგა, თოვლით გადალიცილიცებულ ხრამს ვერ გადაივლიდა. აღმა, ხრამის პირ-

პირ სცადა თავზე მოეღა, ჩამონდა და ფეხი ვერ მოჰკიდა, ავედრდა და ვეღარ და ცოტაზე და ისევ უკან ჩაცურდებოდა. გაჩერდა, უკან მოიხედა. მგელი ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

ვაცს თავისი პაპის პაპის ნათქვამი გაახსენდა: როცა წმინდა გიორგის ვი-სიმე სიკვდილი მოესურვება — მგელს მიუგზავნის და დაავლავინებსო. „ღმე-რთო რა დავაშავე ასეთი“, — ამოიკვ-ნესა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მღუღარემ ჭერ თვალები ამოუქსო, მე-რე შავ ქუთუთოებზე გადმოვიდინა და მუქ ზოლებად ჩამოუსველა, ის, ვისაც დაუკანონებია შველი მგელის ლუქმა იყოსო — ეტყობოდა გაწირა ვაცი, ში-სკენ აღარ გამოუხედავს, თორემ მის ბრიალა, დიდრონ შავ თვალებში რომ ჩაეხედნა ისეთი სასოწარკვეთილება, ისეთი ზარი იდგა — ქვის გული რომ ჰქონოდა მოუღებოდა.

„ღმერთო, ოღონდაც ახლა გადაძა-რჩინე!“ — იმეორებდა უაზროდ, გა-თოშილ, დაუძღურებულ მუხლებზე დაიხედავდა და ცრემლი ღვარ-ღვარად წამოუვიდოდა. ყველაფერი იღონა, ყო-ველივე გააკეთა რაც მისმა ჭილაგმა იცოდა, რაც მემკვიდრეობით გადმოე-ცა და რასაც თვითონ ჩასწვდა. არაფე-რმა უშველა, გაქცევა იყო მისი საშვე-ლი, გაქცევა დაეხედებინა გამჩენს თა-ვის გადასარჩენად და გაქცევა აღარ შეეძლო. ახლა სასწაული თუ გადაარ-ჩენდა.

„ღმერთო, მგელი ყოველთვის მოტ-ყუებული რჩება კრავისგან, მეც ხომ უცოდველი ვარ, შემეწყე...“ დაიჩოქა და ცოცვით აებლოტა ნაშალს. ხრამის თავს მიადწია, წამოდგა და გაჩერდა. მგელი ოციოდე ნაბიჯზე მოსულიყო. გაქცვრენილი იმზირებოდა. ქასქასის შეკავებას ცდილობდა, მოკუშავდა პირს, ხმას გაიკმენდავდა, რომ არ და-ეფრთხო, იკავებდა, იკავებდა, თვალე-ბიდან წინწყლები წამოსცივოდა, უც-ბათ ისევ დაიღებდა ხახას, ენა გადმო-უვარდებოდა და აქაქანდებოდა. ეტყო-ბოდა პირი უშრებოდა: დადგებოდა გა-ჰკრავდა პირს თოვლს, გააწლაუხენდა

ენას, მოითქვამდა სულს და წამოჩორ-ბრიალდებოდა.

ვაცმა უმწეოდ მიიხედ-მოიხედა: ვაკობს გადახედა აქ უფრო ხშიერად ისმრდა ცულის ხმა. ხის მჭრელიც დაჩნდა. ვარჯი ქვევიდან მიპტრა, ახლა ზევიდან მიადგა. დინჯად იქნედა ცულს. თანაბრად სცემდა. წვრილ წვრილ ნაფოტებს აყრევიანებდა. მიპტრიდა, მიპტრიდა, დრო და დრო ძალუმად დაუნი-აეებდა და ვეება ჩოლფოტს აახეთქავდა.

შველს სასო წარეკეთა, დარწმუნდა, თავის დაღწევა აღარ შეეძლო. ერთი-ლა დარჩენოდა — ადამიანს შეხიზნებოდა, ისიც საფრთხილო იყო, მაგრამ ამქამად მხოლოდ მას შეეძლო ხსნა. ხან მგელს გახედავდა, ხან კაცს, მგელიც წელში იყო გაწყვეტილი, მაინც მოლანღალებდა. ვაცმა სული მოიბრუნა, ხრამის თავზე გადაილაზხა და ვაკობისკენ დაეშვა. მგელი მიუხედა განზრახვას, ხრამის თავს რომ მიადწია — დაწვა, იქასქასა, იქასქასა — როდის-როდის წამოიზლახა და ზევიდან მოვლა დააპირა. ვაცი ადამიანისაკენ წავიდა. ტუჩმურამ ნახა ფანდი არ გამოუვიდა, ქვევით-ქვევით დაიწია და ისევ მის ნაფხურებს მიპყვა. ჩაწვა თოვლში, მოათვალიერებდა იქაურობას, გაღმა-გამოღმა ტყეებს, ხეგებს, ხის კენწეროებსაც კი მოავლებდა თვალს, ცოტაზე წამოვიდოდა, ისევ ჩაწვებოდა და ყველაფერს თავიდან შეათვალიერებდა. ვერ გაიგებდით ისვენებდა და იმიტომ, თუ რალაც გეგმებს აწყობდა.

ადამიანს ხუთმეტოოდ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა — შველი შემობრუნდა. მგელი რამდენსაც წაიწევა — ის უკან უკან იმდენს გადაინაცლებდა.

ადამიანმა უცებ თვალი მოპტრა ვაცს და ცული ხელში გაუცივდა. როგორც მოიქნია — ესევე გახედა და აქ რამ მოიყვანაო — თვალბდაიქმებული მიამტერდა. ხის მარჯვენა მხრიდან უყურა, უყურა, მერე რალაც იაზრა და ახლა ხის მარცხენა მხრიდან გამოაპირა თვალი. გამოიჭვრიტა, გამოიჭვრიტა და

მგელი რომ დაინახა — ყველაფერს მიხედა. თვალები რომ ეფიქრებოდა ქვე-ეფეთენ — ტუჩმურამ ამოიგმინა და მიწას გაეკრა. კაცი ისევ ხეს მიეფარა. მგელს ეს ცუდად ენიშნა, თავი უფრო დალუნა და გაიკანკა. გაფაციცებით აღევნებდა თვალ-ყურს, უნდოდა მისი განზრახვა ამოეცნო. თანდათან აიბურძღლა, ფერი ეცვალა, ფაცხი რომ აეშალა და ქათიბი დაჩნდა — მოყვითალო იერი დაედო. ადამიანსაც თმა ფეხზე დაუდგა, ქუდი ისე მოსძვრა, ვერ გაიგო. ცული ქამარში ფრთხილად გაიყარა და ნელ-ნელა ხეზე აცოცდა. ავიდა გრჯალზე, თავი წამოაყელყელავა და გადმოხედა. მგელმა ყურები ცქციტა, იმედი მიეცა, დაილურსა, ირიბ თვალეში თეთრი ბურჯალაი გაუქრთა, კისერი წამოიგრძელა, თვალი თვალში გაუყარა, წამოიწია, წამოიწია, სამი ნაბიჯი გადმოდგა და მზერა არ მოუცილებია, ადგილზე გახედა. შველმაც ამდენითვე უკან დაიწია. ადამიანი სახტად დარჩა. წედან მგელი სულ სხვანაირი იყო. ახლა ეს გაძვალტყავებული, ჩმეხი, გაუბედურებული რომ დაინახა — ჩამოსვლა დაიწყო. მგელი დაიზნიქა, გალასტულ მუცელს ხან ცახცახით აიწურავდა, ხან თოვლზე დაუშვებდა, ადამიანი ხიდან ჩამოვიდა, ცული ფრთხილად ამოიძრო ქამრიდან და მალულად გამოხედა. ტუჩმურა ისევ ჩაინავლა. თავი თათებზე დადო. ხან კაცს მიაცქერდებოდა, ხან შველს. ადამიანი ახანებდა. მგელმა, ბოლოს და ბოლოს ვერ გაიგო რა ედო გუნებაში, ყრუდ ამოიკრუსუნა, ყურები უკან გადაიწვიკა და გლინვით წამოკურდა.

შველმა ორი ნაბიჯით კიდევ დაიწია. უეცრად უკან რალაცამ გაიშველა, მიხედვაც ვერ მოასწრო, ზურგში ცული ექვტრა და ნეკნები ჩაულეწა, სიმწრისგან შვეულად შეფრინდა, მერე უკან გადაქანდა და მოსხლტვით დაენარცხა. ცული აბზრიალდა, ხუთიოდ ნაბიჯის იქით ყუით ჩაეფლო თოვლში. მგელმა და ვაცმა ერთდროულად ისეუბეს. ერთიმეორის პირისპირ აიძარბენენ, თვალები უელავდათ, აიჯაგრენენ. მგელმა



ლაშების ცახცახით კბილები დააქრიჭა და ამოიღრინა. ადამიანმაც გააკრაჭუნა კბილები, ჰჰმ! — ამოიღმუვლა, უნდოდა დაეჭექნა, მაგრამ კრიჭა შეეკრა.

შველი ფართხალებდა, გამალებით იქნევედა ფეხებს, თავი გვერდზე მოეღრინა, თოვლს ჩახვერავდა, ჭრილობიდან აქაფებული სისხლი ჩქეფდა, ერთ ადგილიდან წერილად, შორს ასხამდა, თოვლი გადააწითლა, მეორე ნაკადი ბაღანზე გადმოჩქერდა.

კაცი მიდგა-მოდგა, თითქოს რაღაცისთვის ხელი უნდა წამოეწყო ცული მოათვალიერა, მოშორებით მოუჩანდა ტარი, ვერც სხვა რამ მოიხელთა, თოვლი ჩაბლუჯა, ჰჰმ! — ამოიზმუვლა ისევ და ფეხები დაუბრაცუნა, მაგრამ მგელი არ შეეპუა, ზედა, დიდრონი, ზორცის მოსაგლეჯად მოღუნული ლოჯები უფრო გამოიჩინა, ყვრიძალის რკალები დაებერა, უფრო გაუგანივრდა. პაერში სისხლის მოტყობო სუნნი დატრიალდა. მგელი გაცოფდა. განიერი მკერდი აუთრთოლდა და ჭიჭურ წამოვიდა. ადამიანი წახდა, ხეს ეცა, დაფეთებული შეხტა, მერე მკლავებზე აიწია და აბობღდა. მგელი შეუხტა, კბილი გაჰკრა და შარვალი ჩამოაბღღვნა. მაშინვე ელდასავით მოტრიალდა, შველს ზურგიდან მხარზე დაახტა და ყელში ჩააფრინდა. ეაცმა შეიწივლა, ფეხები უფრო ააფართხალა, ხმა უცბათვე მიეგუდა, გაიჭიმა, გაიძაგრა და ერთბაშად მოეშვა. ნაღირმა წაშში გამოლადრა ყელი და სისხლს დაუწყო თქველფე. მერე ჭრილობას დააცხრა. დასცემდა პირს, დააჭერდა მარცხენა საღ ფეხს, ამოსწევდა, ამოლენწევდა ნეკნებს და ტყავებორციანად ამოფლეთავდა. გაუფატრა გვერდი, ჩაყო პირი და გულღვიძლს მიაძღა. შიმშილი ოდნავ რომ დიოკა — თანდათან დაცხრა და ადამიანს ახედა, კაცს ნეშო ჩამოეზლინა და ოთხივე კიდურით რტოს ჩახვეოდა. მისთვის ყურადღება აღარ მიუტყვევია, შიგნეულობა რომ ამოჭამა ახლა თავი იგემა. მერე კისრიდან მიჰყვა, საოცარი იყო ასე უცბად რამ ააზავთა, რამ გამოაკეთა, ამ ღონეზე რამ მოიყვანა.

ააგლეჯავდა დიდ-დიდ ნაფლეთებს, ძვლებს უბრალოდ ჩატყავდა და ტყავებზეწვიანად ყლაპავდა. მსხვილ-მსხვილ ძვლებს მოუჭერდა კბილებს, დაებურცებოდა ყბები და ლაწა-ლუწით გადაამსხვერევდაბოლოს, ერთი ბარკალი რომ დარჩა, დაფეთებულმა ასწია თავი, დააყურადა. კარგა ხანს იდგა სმენადტყეული, ხუსტურმა ერთბაშად გადაუარა, შეტრიალდა და კაცს დააცქერდა. მას ნეშო ისევ ჩაბლუჯული ეჭირა. ხელები ისე შემოეჭლო რტოსთვის, ლამის მყესები დასწყვეტოდა.

გაფლამული შარვლიდან ქვეყნის სიცივე უჭროდა. ფერი ეცვალა, თმა ისევ ყალუზე დაუდგა. დაფეთებული მგელს მიაშტერდა და ღმერთმანი „მხეცმა ბოროტმა“ თვალი ჩაუკრა. კაცს თავგზა აებნა, ვერ გაეგო რა ხდებოდა თვალი ნამდვილად ჩამიყრა, მაგრამ რა მანიშნაო? — ეკითხებოდა თავის თავს. მერე იფიქრა ალბათ იმ ბარკალს მიტოვებსო, „მაგის ნაპირალი რის მაქნისი იქნება,— გუნებას ერჩეოდა. — თუმცა პირი არ დაუკარებია, სახსარში როგორც გადახსნა — პირი აღარ დაუდვიდა“. — თავს ირწმუნებდა.

მგელმა მიიხედ-მოიხედა და ისევ ნამუსრევს მიუბრუნდა. ბარკალს რბილი ააფლითა, გადაძვანარა, ძვლიანი ჩახრა, ჩაკვნიტა, წამოკრიფა თუ სადმე ჩიჩქი დეავარდნოდა, რქისა და ჩლიქის ძირები ხელახლა მოღრღნა, ბოლოს სისხლნაყური თოვლიც ამოქანქლა და წავიდა. ხეს ათიოდე ნაბიჯზე რომ გასცდა, გაჩერდა, სანახევროდ შემობრუნდა და კაცს ირიბად ახედა.

კაცს შეაერჯოლა. არ დამიღარაჯდესო — ჯერ გააცია, მერე დასცხა, „თუ დამიღარაჯდა ქვევიდან ამიყროლებს და ჩამაგდებს“. — შიშისგან გული გაეყინა, თავბრუ დაეხვა.

მგელმა ტუჩები გაილოკა, ამოაბოყინა და ძუნძულით გაუყვა თავის ნაკვალევს. გადაიარა ხრამის თავზე და ის იყო სერს უნდა გადაფარებოდა — კაცს გული მიეცა, გაიშალა, თვალები დააბლიტა და დაუტატანა:

— ჰჰმ, შე მგელო, შენა!

ტომას სტარნს ელიოტი

ისტ კოუკერი!

(პოეზიდან „ოთხი კვარტეტი“)

I

ჩემს დასაწყისშია ჩემი დასასრული. ერთიმეორის მიყოლებით
სახლები შენდებიან და ინგრევიან, დაიქცევიან, გაიზრდებიან,
ადგილს შეიცვლიან, აღდგინდებიან, მერე ისევ ინგრევიან და შენდებიან.
ხან ისეც ხდება, რომ ნასახლარზე
მხოლოდ ტრიალი მინდორი რჩება, ან ქარხანაა, ანდა შარავზა.
ძველი ქვა ახალ შენობას აგებს, ძველი ღირეთი დაინთება ახალი ცეცხლი,
ძველი ცეცხლი მერე ისევ ნაცრად იქცევა, ნაცარი — მიწად,
მიწად, რომელიც კვლავ ხორცია, ნაკელია და საფარველი,
კაცისა და საქონლის ძვლები, სიმინდის ნეშო ანდა ფოთლები.
სახლები ცოცხლობენ, სახლები კვდებიან: ეამი შენებისა,
ეამი სიცოცხლისა და ეამი შექმნის.
ეამი ქარსა, მორყეული სარკმელები რომ ჩამოლენოს,
შეაზანზ. როს კარგა ხნის წინ აცვენილი ფიცრის პანელი,
რომლის მიღმაც თარეშობენ მინდვრის თაგვები,
ჩამოიჭროლოს და ჩამოგლიჯოს ჩამოძონძილი შპალერები
უხზო ღვევიზით.²

ჩემს დასაწყისშია ჩემი დასასრული. სინათლის შუქი
მინდორს ახლა ცერად ეცემა და ჩრდილში რჩება ხეივანი,
გადახლართული ტოტებისგან ჩამობურული
და ისე ბნელი ამ შუადღისას,
რომ თუ იქა ხარ და ამ დროს კი ეტლი ჩაივლის,
უმალ უნდა ნაპირს მიაწყდე, კედელს აეკრა.
ეს დაბურული ხეივანი ერთი სოფლის გზაზე გაგიყვანს,
რომელიც თითქოს ელექტრონის ცხელ პიპნოზში გარინდებულა.
და ამ ბურანში მცხუნვარე სხივებს
კი არ ირეკლავენ — ისრუტავენ უფერო ქვები.
ღრმა ძილით სძინავთ გეორგინებს ყრუ სინუშეში.
დაელოდე პირველი ჭოტის ხმას
და ტრიალ მინდორში,

1. ელიოტების საგვარეულო მამული ინგლისის საგრაფო სომერსეტში, საიდანაც XVII სუეტუნში ელიოტები გადასახლდნენ ამერიკაში.

2. ელიოტების საგვარეულოს ღვევიზი — „ჩუშად იუკ და აკეთე“.

თუ ძალიან ახლოს არ მიხვალ, თუ ძალიან ახლოს არ მიხვალ, ეროვნული
ბიბლიოთეკა
 ამ ზაფხულის შუალამეში
 ნაზად მკენესარე სტვირის ხმა და დაფდაფები შემოგესმება,
 ხოლო კოცონთან დაინახავ მოცეკვავეებს —
 ქალებს და კაცებს, შეერთებულებს ცეკვაში,
 ქორწილს რომ განაცხადებს — ღირსეულ და ტკბილ საიდუმლოს.
 ორ-ორად, როგორც წყვილებს შეჰფერით,
 ხელი ხელსა აქვთ ჩავლებული, თანხმობის ნიშნად
 და გარს უვლიან დანთებულ კოცონს,
 გახლებულნი ცეცხლის ენებს ზედ ველებიან, ფერხულს აბამენ,
 წრეში ცეკვავენ, ტრიალებენ ცეცხლის გარშემო
 გლახურად დინჯად და მოცინარად...
 მძიმე წალიან ფეხებს იქნევენ —
 მიწიან ფეხებს, მტერიან ფეხებს, სოფლისა ლხინით ატაცებულნი
 იმათი ლხინით ალივებიან, ვინც რახანია მიწად მიიქცა
 და კვებავს ფეხებს.
 როგორც დროთა ცვლას შეწყობილი ცხოვრების წესი,
 ცეკვის რიტმებში შემონახულა მარადიული
 ეამი როკვისა, ეამი სიცოცხლის,
 ეამი წლისა და ვარსკვლავთა ზეცის,
 ეამი მკისა და ეამი წველისა,
 ეამი ცოლ-ქმართა შეწყვილების,
 ცხოველთა შერთვის. ფეხები მწყობრად მოძრაობენ
 ძველთაძველ რიტმში —
 სმისა და ჭამის. ხრწნის და სიკვდილის.

მალე ანათებს. კიდევ ერთი ახალი დღე ეგებება დუმილს და სიციხეს.
 ზღვაზე სრიალებს დილის ნიავი და ნაოჭებად ასახავს ზვირთებს,
 მე კი აქა ვარ, ანდა იქ ვარ,
 ან კიდევ სადღაც, ჩემს დასაწყისში.

II

გვიან ნოემბერს რად უნდა ნეტა
 ამ გაზაფხულის თრთოლვა და ბნედა,
 ილთა კიდება ზაფხულის...
 ან ენბელების ფეხებქვეშ თელვა,
 ან ნაცრისფერში წითელი ელვა —
 ვარდი, ტყიური, ცამდის ასული,
 ნისლიან სივრცეს შეკიდებული,
 უღონოდ მკვნიარი, ფერგადასული,
 გვიანი ვარდი — ნაადრევ თოვლში?
 ჭექა-ქუხილმა გრგვინვა-ზრიალით,
 მთიებ-ვარსკვლავთა ბრუნვა-ტრიალით,
 ტრიუმფალური ეტლის გრიალით
 ბრძოლის სისხლიან წარღვნად იელვა.
 ცაზე შეება მზეს ღრიანკალი,
 მნათობთა მოთქმა და ღრიანკელი...

ეროვნული
გენერალიზაცია

დაბნელდა ერთად მზეცა და მთვარეც,
ლეონიდების დაწყველილ თარეშს,
როგორ გაუძლებს ცთომილთა მზარე?
ცა და ქვეყანა ცეცხლში ბრიალებს,
გაუნელებელ ალთა რიალი —
და განწირული მოლოდინი გამყინვარების!

ადრე უთუოდ ასე იტყოდნენ — მაგრამ განა ეს საკმარისია?
განა ეს არის სრულყოფილად ნათქვამი აზრი?
იგავებით მეტყველებთა, ნართაულია, სიტყვაკაზმული მწერლობის დარად
გაცვეთილი და დროგადასული,
ვერაფრით რომ ვერ შეგვეწევა და ვერც გაგარკვევს,
როდესაც კაცი სიტყვებსა და აზრებსა ხარ შევიღებული და გატანჭული.
პოეზიასაც რაღა აზრი აქვს, როდესაც (ისევ ვიმეორებთ),
ის არ აღმოჩნდა, რასაც ველოდით.
და თუ ასეა, მაშინ იმას რაღა ფასი აქვს,
რასაც ასეთი გამეტებით შიველტვოდით ამდენი ხანი,
ანდა ეს მრავალწელგამოვლილი სანუკვარი სიმშვიდე კი ნეტავ რაღად ღირს,
ან შემოდგომის შარავანდედი, ნათელმოსილი სიბრძნე ასაკის?
და, მაინც, ვაითუ მოგვატყუებს, ანდა ვაითუ, თავად მოტყუვდნენ
წყნარად მოუბარი დღეგრძელი მამანი,
მზამზარეული ცრუ ანდერძებით რომ შეგვიყოლიეს
და საბოლოოდ აგვირიეს გზაც და სავალიც.
სიმშვიდე მხოლოდ შენიღბული სიჩლუნგე არის,
ხოლო სიბრძნე კი იმ დამარხულ საიდუმლოთა ამოც ცოდნა,
რომელიც მათაც ვერაფერში ვერ გამოადგა,
ვინც მარად სიბნელეს მიშტერებოდა, ან სიბნელესვე აქცია ზურგი.
ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიბრძნე არის ცნება ფრიალ შემოფარგლული
დიდი-დიდი იყოს ცოდნა — ცდით განსაზღვრული,
ხოლო ცოდნა კი რომელიღაც ერთ შემთხვევას ესადაგება —
სწორედ ამით არის მაცდური,
რადგან შემთხვევა მრავალია და ყველა წამში სხვადასხვაგვარი,
თავის მხრივ კი ყველა წამი წინას არა ჰგავს, ახალია, უკვე სხვა არის
და იმისი ძალაც მოსდევს, შესწევს უნარი,
ააყირავოს, თავს დაგვაშხოს აელადიდება —
მთელი ჩვენი ფასი და ყადრი, და მთელი ის ღირებულებაც,
რომელიც თან მოგვიტანია
და ყველაფერი — რაც ვიყავით გარდასულ წამში.
ჩვენ მხოლოდღა ის ტყუილი ვერ მოგვატყუებს,
დიდი დღე რომ არ უწერია და უკნებელიც ამით რომ არის.
შუაგზა, თუმცა რაღა მარტო შუაგზა,
განა მთელი ცხოვრების გზა იქ არ გაივლის —
უდაბურ ტყეში, მაცვლიანში, ხევის კიდეში,
სადაც ვერაფერს მოეჭიდები, ვერც დაეყრდნობი
და ისიც კი არ იქი კარგად, როგორ უნდა გადადგა ფეხი.
ყოველი მხრიდან ურჩხულები გემუქრებიან, შორს გიტყუებენ ცრუ ჩირადნებში,
ხოლო გზის ყველა მოსახვევში კი ჩასაფრებული არის ხიფათი.



ჰოლა, არასდროს გამაგონოთ იმ თქვენი ნაქები მოზუცების
 ისა სჯობია, მათი სიბრიყვე რომ ვალიაოთ;
 ან შიშის როგორ ეშინოდათ, ან გაშმაგების,
 იმისიც როგორ ეშინოდათ, რომ დაუფლებოდნენ ანდა
 დაეპყროთ,
 ანდა თავისი თავი მიეძღვნათ ერთმანეთისთვის, სხვებისათვის
 ან ღმერთისათვის.

ჩვენ შეგვიძლია მივალწოთ ერთადერთ სიბრძნეს —
 სიბრძნეს დათმენის: მოთმინება უსაზღვრო არის,

ყველა ის სახლი ზღვაში ჩაინთქა.

მოცეკვავენი მიწისქვეშეთში.

III

სიბნელე, სიბნელე, სიბნელე. ბნელში ინთქმება ყოველი,
 სიცარიელეში ვარსკვლავთა შორის. ცარიელს ერწყმის ცარიელი,
 მხედართმთავრები, ბანკირები, სახელგანთქმული მეკალმეები,
 ხელოვნებათა მფარველები, კანონების აღმსრულებლები და ხუცეები,
 ერის ბურჯები, თავმჯდომარენი კომიტეტების,
 იჯრის მუშეზი, მეუფენი წარმოებების,
 ბნელში ინთქმება შვეცა და შვეარცე, Almanach de Gotha¹
 ბირჟის გაზეთიც, ცნობარებიც დირექტორთათა — სიბნელეს ერწყმის.
 ცივია გრძნობა. მოქმედების გაქრა მიზეზი.
 ყველასთან ერთად ჩვენც მდუმარე დაკრძალვას ვესწრებით,
 არავის დაკრძალვას, რადგან დასამარხი არ არის არავინ.
 — ჩუმად იყავი, — ვუთხარი ჩემს სულს —
 დაე, ბნელი გარდმოხდეს შენზე. სიბნელე, რომელიც იქნება ღმერთის.
 როგორც თეატრში: ყოველი სცენის წინ რომ ქრება სინათლე
 და ფარდის მიღმა ყრუ გუგუზნია,
 და სიბნელესაც რომ მხოლოდლა სიბნელე არხევს,
 შენ კი იცი რომ სცენის უკან აღმართული მთა და ხეები,
 ერთი წუთის წინ შორიდან რომ გეჩვენებოდა,
 ამ სიბნელეში ნელა მიბრუნდა. დეკორაციის წინა ხედსაც პირი უცვლია.
 ანდა, მეტროში, გაიხსენე, მატარებელი გვირაბში რომ გაიჩხირება
 და ცოტა მეტ ხანს დაყოვნდება სადგურებს შორის,
 საუბარი უცებ როგორ გამოცოცხლდება,
 ახმაურდება, აზვირთდება, აიქოჩრება
 და შერე ისევ ნელა-ნელა როგორ ჩაკედება
 და იმავე სიჩუმეში ჩაიკარგება,
 მაშინ ხომ ამჩნევ, ყოველი სახე აზრისაგან როგორ იცლებს
 და თავის ადგილს მოზღვავებულ შიშს როგორ უთმობს, —
 შიშს, რომ უკვე ველარაფერს ველარ იფიქრებ.
 ანდა ნარკოზით გაბრუებულს

1. „გოთური ალმანახი“.

ეროვნული
2025 წლისთვის

განა არასდროს არ მოგსვლია იმისი ცნობა
რომ ცნობა უკვე მიხდელი გაქვს

ჰოდა, გაჩუმდი, — ვუთხარი ჩემს სულს, —
ელოდე ჩუმიად და უიმედოდ,
რადგან იმედი მუდამ იმის გვაქვს, რაც არ უნდა გვაიმედებდეს...
გაჩუმდი-მეთქი, დაელოდე უსიყვარულოდ,
სიყვარულითაც მუდამ ის გვიყვარს, რაც არ უნდა გვიყვარდეს წესით.
მაგრამ რწმენა? ხომ დარჩა რწმენა?
დაიმახსოვრე, რომ სამივე, სიყვარულიც, რწმენაც, იმედიც
მუდამ რაღაცის მოლოდინშია.

ჩუმიად ელოდე. ნურაფერს ფიქრობ. შენ ჯერ ფიქრისთვის არ მოწიფულხარ,
აი, მაშინ კი ცხადად იგრძნობ, როგორ იქცევა ბნელი — სინათლედ,
ცეკვად — სიწყნარე.

ნაკადულებზე იჩურჩილე, ზამთრის ელვაზე.
ტყის ქონდარიც და უჩინარი ველური მარწყვიც, ბაღში სიცილიც,
იმ სიხარულის ეჭოა მხოლოდ, იმ ალტკინების გამოძახილი —
რაც არ მომკვდარა, რაც კიდევ ცოცხლობს
და რაც ყოველთვის სიკვდილის და დაბადების ტანჯვას გვაუწყებს.
თქვენ მეუბნებით, რომ ვმეორდები.
იმასვე ვამბობ, რაც უკვე მითქვამს. კიდევაც ვიტყვი.
ერთხელაც ვთქვა? გავიმეორო? იმისათვის, რომ იქიდან გამოაღწიო,
სადაც არა ხარ,
და იქ მიხვიდე, სადაც შენა ხარ,
უნდა დაადგე გზას, რომელზეც ალტკინებას ვერ დაიმგზავრებ.
იმისათვის, რომ შეიშინო, რაც ჯერ არ იცი,
უმეცრების გზას შეუდექი.
იმისათვის, რომ დაეუფლო, რასაც ვერ მისწვდი,
უნდა დაადგე განდგილის გზას,
და იმისათვის, რომ მიადწიო და იმად იქცე, რაც დღეს არა ხარ,
იმ გზით იარე, არასოდეს რომ არ გივლია
რადგან გახსოვდეს, რაც არ იცი — ერთადერთი შენი ცოდნაც სწორედ ის არის,
რაც შენ გეკუთვნის, იცოდე, რომ შენი არ არის
და სადაცა ხარ, იცოდე რომ შენ იქ არა ხარ.

IV

დაჭრილ დასტაქრის პირბასრი დანა
ლობაშეპარულ ასო-ნაწილებს
იმდენ ხანს იკვლევს და სერავს, სანამ
სხეულს ზრწნილებას არ მოაცილებს.
თუმცა კი ხელებს სისხლი სდის ღვარად,
წმინდა წესია — ძმათ თანაღმობა:
გაიხსნა სნების ჯადო-შარადა,
საღმობის მხსნელმა სძლია საღმობას.

სნეულებათა სულის სიმრთელე.
ძლივს დალასლასებს მომვლელი ქალი,
მაგრამ ჯიუტად სწამს, რომ გვიშველის

როცა არ ელი და არც გვირდება.
 და ამატომაც, ყველა შეტევა ხელახალი არის დასაწყისი. ეროვნული
კინემატოგრაფი
 გამოუთქმელში ფუჭი ნაეარდი — უღონო ხერხებით, უწყვეტ ფანდებით,
 რომლებიც ერთ წამში გაიფანტებიან, უთავბოლო შეგრძნებებში

აირვეიან
 და ჩაქრებიან უწყვეტნელ ფიქრთა კორიანტელში.
 ამ დროს კი ის, რაც უნდა დაიპყრო,
 რაც უნდა დასძლიო და დაიმორჩილო, მრავალგზის არის აღმოჩენილი.
 და განა მხოლოდ ერთხელ და ორჯერ, — ასჯერ, ათასჯერ
 მოუხრია იმათ წინ ქელი,
 რომელთაც, ტყუილად არ გაეციბრო — ვერც მოსწევდები, ვერც გაუტოლდები,
 ვერც აღემატები.

მაგრამ რაღა დროს შეჯიბრია, როცა მთავარი მხოლოდ ის არის,
 რომ დავიბრუნოთ, რაც დავეკარგეთ და მოვიპოვეთ,
 და მერე ისევ რომ დავეკარგეთ და ხელახლა რომ მოვიპოვეთ
 ისევ თავიდან: თანაც ჩვენს დროში, როცა ასე გართულდა ყველაფერი.
 თუმცა კი ალბათ არც მოგებაა და არც წაგება,
 ჩვენ ისღა დაგვრჩა, რომ შევეცადოთ,
 დანარჩენი უკვე ჩვენი საქმე არ არის.
 სახლი ის არის, საიდანაც გზაზე გადიან. და რაც ებერდებით,
 ეს ქვეყანაც უფრო მეტად გვიუცხოვდება: სულ უფრო მეტად იხლართება
 გზები სიკვდილის და დაბადების. და განა მხოლოდ
 ერთი, რომელიღაც მძაფრი წამია, უწარსულო და უმომავლო —
 თავის ანაბრად მიტოვებული?

მთელი ცხოვრება — ყველა წამში ანთებული და დაფერფლილი,
 და განა მხოლოდ ვიღაც ერთი კაცის ცხოვრება?
 იმ უძველეს ქვეთა ცხოვრებაც,
 რომლებზედაც ამოუხსნელი ქარაგმა ამოკვეთილი.
 ეამი ღამისა ვარსკვლავების ქვეშ,
 ეამი ღამისა ქალების შექში
 (სურათების ძველი ალბომით).

სიყვარულიც თითქმის თავის თავს მოიპოვებს,
 როცა კარგავენ მნიშვნელობას „ახლაც“ და „აქაც“.
 სიბერეშიაც უნდა ვიყოთ მაძიებელნი,
 ეს სულ ერთია სად იქნება, — იქაც და აქაც.
 ჩუმად, მდუმარედ, გულუძრავად იმ გზას მივდივით,
 რომელიც მშვიდად შეგვიძღვება სხვა სიღრმეებში —
 სხვა შეერთების, სხვა თანაგრძობის, სხვა ზიარების უცხო მხარეში.
 ბნელ უკუნეთის სიცივეში და უდაბნო სიმარტოვეში
 ქვითინებს ქარი, ტირის ტალღა, ზღვებიც ტირიან,
 ზღვები დელფინის და ალბატროსის. ჩემს დასასრულშია
 ჩემი დასაწყისი.

ინგლისურიდან თარგმნა ანანათ ზაშვიძე

ალექსანდრე რუდენკო-დენენიანი

საკუთარი „მ“-ს ძიებაში

70-იან წლებში დაბეჭდილმა ნოდარ დუმბაძის მოთხრობებმა სწორედ რომ დაგვაბრუნეს მისი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ოქროს ხანაში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით კრიტიკოსები, როგორც თბილისში, ისე უკრაინაში, მოსკოვსა თუ ლენინგრადში ერთმანეთს ექიბებოდნენ უველაზე უფრო მოხდენილი ეპითეტების გამოთქმაში. კრიტიკული აზრი, დაწყებული ლ. ანანსკიდან, პ. ულაშოვით დამთავრებული, შივიდა ასეთ დასკვნამდე: ჩვენს წინაშე წარმოჩინდა აქამდე სრულიად უცნობი, სულ სხვა ნოდარ დუმბაძე.

ერთხელ, თბილისში ბატონ ნოდარს სახლში ვეწვიე. სწორედ მაშინ მარტუა პატარა წიგნი „ათი მოთხრობა“, რომელიც ის-ის იყო გამოცემაში იყო, „პერანს“. უკანა გზობას, თვითმფრინავში გადავფურცლეთ ეს წიგნი და ბოლომდე სულმოუთქმელად ჩავკითხე. ან კრა ძნელი უნდა ყოფილიყო პატარა ფორმატის წიგნის ასიოდ გვერდის წაკითხვა? წავიკითხე და იმავე წუთას სავსებით ნათლად ვიგრძენი, რომ ამ მწერალს, სამწუხაროდ, ცუდად ვიცნობდი.

იყო დრო, როცა არაფრით არ უნდოდით მისი უფრო დიდფორმატიანი ნაწარმოებებისათვის რომინები ეწოდებინათ. მაგრამ როდესაც ეს მოთხრობები საქართველოს მწერალთა კავშირში განიხილეს, ერთ-ერთმა გამოშვებულმა საკმაოდ დამაჭერებლად განაცხადა, რომ მოთხრობა „ნუ გააღვიძებ“ რომინია მინიატურაში და ამ გამოწვევას, მაინცდამაინც დიდი გაკვირვება არ გამოუწვევია იქ მყოფთა შორის... რა — რის მერტე?

მოთხრობები რომინების შემდეგ? რის დროს მთიან სოფელში გატარებული ბავშვობის წლებს მწერალმა ორჯერ მიმართა თავის ორ პირველ რომინში. მოთხრობა „ძაღლი“-ც იმავე წლებს ემთხვევა, იგივეა გმი-

რიც — უმაწილი, რომელიც თავის თავზე გვიყვება.

უველაფერი ძალზე ნაცნობია და, ამავე დროს, ძნელად ხაცნობიც.

რომინში „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონა“ ძაღლის თავგადასავალი, მურადა რომ ჰქვია სახელად, ერთერთია იმ უამრავ ამბავთაგან, რომელშიც ნიადაგივით ჩქვეს უბოროტო იუმორი და თვით მურადას სიყვდილიც კი ცოტა რაშენ თუ ცვლის მზიარული, მოწვივებ ცხოვრების საერთო სურათში.

ძაღლი, რომელიც ბიჭმა ქუჩაში იპოვნა და სახლში წაიყვანა, უფრო არ იპარტყუნებს არც ერთ გავრცელებულ ძაღლის სახელზე. ამიტომაც მას „ძაღლს“ ეძახიან.

ერთი შეხედვით უმნიშვნელო ყოფილი ეპიზოდის მიღმა ჩანს ცხოვრება მთელი თავისი ეპიკური ძაღლისივით.

ჩვეულებრივი სურვილი მოზარდისა, თავისი გაიტანოს, დაიცვას საკუთარი თავი, ადამიანისა და გატყუარების შორის საკმაოდ უხეშ წინააღმდეგობაში გადაიზრდება.

ეს უკვე ხასიათია, პირდაპირ გაცხადებული ხასიათი.

„დადუღრე? — ვკითხე.
— არა, ფეხები დავუთხილე! — გაიკრიჭა მებუფებე.

— ვიარაველი ხარ შენ! — ეუთხარა მე.
მებუფებე გაშტერდა, მერე ქვაბი დადგა, მარჯვენა მკლავი დაიკაშიწა და გაღურებულ სახით წაშოვიდა ჩემსკენ.

— დამიცადე მანდ!
გაღორი ჩამოვდგა, დავიხარე და გზის პირას დაგორებული დიდი ქვა ავიღე. მებუფებე მონუსხულივით შედგა“.

რაიონში ჩამოსულ ბიჭს, რომელსაც სურს ბაბუას თუთის არაუი პურზე გადაცვალოს, თავი ოჯახის მარჩინლად წარმოუდგენია, კა-

ცობს უკვე. იმმა ხომ ასე უდროოდ აქცია მისი თანატოლები კაცებად. ის ამბავი, რომ მას არ ეშინია გაქსუბებული და გამძვარი დახლიდარისა, უღვთოდ რომ გადასხა მდუღარე ძაღლს, საკმაოდ დამაჭერებლად გვეჩვენება თავისი ამჟღავნებით მოთხრობის გმირი გვაგონებს სოსოა მამალაძეს რომანიდან „შე ვხედავ მშენს“. გვიხსენით, როგორ არ ეტუება უშიშრად ეკამათება ის მთი სხელში მოსულ შეიარაღებულ დევნებში დათიკოს.

ერთი არსებითი გარემოება: სოსოიამ, როგორც აუშხედრდა დათიკოს, იცის, რომ მართალია, და გრძნობს თანასოფელითა მხარდაჭერას. იგი დამარტყობს და მის ბავთვანად დაადებს დიდი სიმატოდ, რომლის წინაშე შეიძლება იარაღიც კი უჭაღურა აღმოჩნდეს. მოთხრობაში — „ძაღლი“ — თვისობრივად სხვა სიტუაციაა.

„ასე მიხედვდნენ დღეები დღეებს. ვცხოვრობდით მე და ბაბუა ისე, როგორც ადამიანებს შეეფერებოთ ომის დროს, ძაღლი კი ისე, როგორც ძაღლს შეეფერება“.

ელვარე იფორი იფეოქებს ხოლმე სიტყვიერ ქსოვალში, მაგრამ იგი ხანდახან ფერმკრთალებდა და მომწარო გემო დაქრავს.

„დაიწყო ბართლომეს ღამე!“ — კომენტარს უყვართ ბაბუა მოვლენების დახაწვის, მოვლენებისას, საბოლოოდ მოთხრობის სიუჟეტს რომ განსაზღვრავს: თანასოფელიებმა ყველა ძაღლი ერთიანად ამოფლიტეს სოფელში ომის შიშით, რომ შევობელი სოფლიდან გადმოსულ ძაღლს შეიძლებოდა დაეცოდა ისინი. ამ ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა მხოლოდ ძაღლი, ვისი გადარჩენისთვისაც ყოველ ღონეს ხმარობს ომისდროინდელი მოწარმი.

ერთი ყველაზე წინააღმდეგ — ასეთია ძაღლი განლაგება ამ სიტუაციაში. ბაბუაც კი თვლის, რომ ძაღლის გულისთვის არ ღირს სოფლის გადაშტერება. მოხუცი ძაღლია ძლიერი და კოლექტივისადმი, ხართო სიმატობისადმი პატივისცემის გრძნობა. იგი ბრძენი კაცია და ბევრად მეტა იცის ცხოვრებისეულ ურთიერთობებზე, ვიდრე მისმა შეილიშვილმა.

მაგრამ სად არის ზღვარი სიბრძნეს, სხვათა აზრისა და გამოცდილებისადმი პატივისცემისა და ადამიანის ქვეყნობებერ სურვილს შორის, საზოგადოების უმრავლეს ნაწილში გაბატონებულ თვალსაზრისს ამოცნარის?

ბაბუა გახედავს თოფის ღულას და მიხედვება, რომ შეილიშვილმა არ დაუტერა, ძაღლი ცოცხალი გაუშვა და საუფედურობს. იგი დამარტყობს ძუნწად და მკაფიოდ: „თუ ასე ქენი, ბაბუა, შენ გავიპირებდა ცხოვრება, — მთხრობა და თოფი უკან დამიბრუნა“...

მოწარმი ცდილობს, ჩვეულებრივი ნაგავი გადაარჩინოს, მაგრამ სინამდვილეში ან რაღაც უფრო დიდისთვის იბრძვის. სადღაც

შორს, მისი სოფლიდან მრავალი კლამიტრის მოშორებით მოშორების იმერქვენიშვილები ამხედვებს ხალხს თავს სიკვდილმდებელი სამკუთხა მართებით. უხედურება ტრიანებს ზურგშიც და ამიტომ ასე მნიშვნელოვანია, გადარჩეს ყოველდღე სულიერი. ბიჭის ბრძოლა ძაღლის გადახარჩენად — ეს მის მიერ ბუნდოვნად გააჩრებული ბრძოლაა სიცოცხლისათვის.

„კაცობულზე მზე შემოდგარიყო... უცებ სხეული სასიამოვნო სიბოთი ამევსო და უტარებში სასიამოვნო წარმა დარტყა.

ჩემს ეწოთი ძაღლი ყველა“... იმ მოთხრობის ბოლო ფრაგმენტია. მისი გმირი უხედა დაიწყოფდა სიმტკიცისთვის, შეუპოვრობისათვის. ძაღლი შინ დაბრუნდა, როგორც კი ბაბუა გარდაიცვალა. მისმა დაბრუნებამ არამარტო შეუმსუბუქა ბიჭს ახლობელი ადამიანის დაჯარვით გამოწვეული მწუხარება, არამედ შეაუწერა, რომ ის მარტო აღარ არის, ახალი სიცოცხლე შეთავრებას, შიველ სოფელს, რომლის უტრსაც ასე აკლდა ნაგავის ხმა.

სოფლის მკვიდრნი ყველა თავ-თავისთვის მართალია. ბიჭის გრძნობებს მართებს უმადლესი სიმატოდ. ეს სიმატოდ გახდება საერთო მინაშვარი, საჭიროა მხოლოდ, რომ ვიღაცამ შეჭლოს როგორც მოვლენათა განვითარების ლოგოკაზე, ისე საკუთარ თავზე ამადლებს.

სიცოცხლე უწყვეტ ჭაჭადა ერთიანდება. „თუ არაფერში მივდივარ, საიში არაფერია“. — ეუბნება მოხუცი ბიჭი სიკვდილის წინ. „თუ მართლა უნდა გარდაიცვალა და მეტი არაფერია, მაშინ მით უმეტეს არ უნდა შეგეშინდეს, ისევე ამქვეყნად დატრეხა და სხვა სახით მოვალ, ან ხედ, ან ხალხად, ან ჩიტად, ან ძაღლად. ...იცოდა, თუ მოვალ, ისევე შენითა მოვალ, მარტო არ დაგტოვებ. და თუ რამეში სიბოთ, სმართული და სიყვარული იგრძენი, ქვეც რომ იყოს, იცოდა, ის ქვე ბაბუაშენია... ამიტომ მარტობის არ შეგეშინდეს, არ იფიქრო მარტო ვარო“. ადამიანი ცოცხლობს მანამ, სანამ არ გამქრალა მისი ხსოვნა, ვიდრე არ ჩაქრება ცოცხლი მის სულში და სხვათა სულში. მოხუცი, რომელმაც შეიძლო წოგად სიბრძნეზე ამაღლებულიყო და მოწარმის საქციელში უმაღლესი სიბრძნე განეჭვრიტა, მხარში ამოუდგება მას ყველაზე მძიმე წუთებში. მას ენახა, რომ უფროსის უმცროსთან დამოკიდებულებაში ისეთი რამ არსებობს, რაც ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე რომელიმე აქსიომური შეგონება.

„ნუ გეშინია“, — ეუბნება მოთხრობის გმირი მეწიბელ ქალს, რომელსაც სიბოცს, მიცვალებული შეიცხადოს და რომელიც წამით შეყოვნდება დაობლებული ხალხის წღურბლ-



ზე, ადამიანის დედამიწაზე მოვლინებისა და მისი მიტოვების მარადილად წვდობლზე. ამას ამბობს ადამიანი, რომელიც მოწვე შეიქნა სხვა ადამიანის გარდაცვალებისა და ხედვას, რომ ამ ადამიანს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუარაგავს სიამაყე და სულის სამხრევე. ეს შეზარტბა იღვრება მათთან, ვაცნობიერებ-ბა იმისა, თუ როგორ უნდა იტყვოს.

ნოღარ დუშხაძის ხუთივე რომანში შეიძლე-ბა მოძიებლის ფესვები, რომელთაგანაც ალი-ზარდა მოთხრობა „ძალი“. მაგრამ ვაცილებით ადვილია, გაიდოს ხადი მისგან რომანზე „მა-რადისობის კანონი“. უმწველავც ბაჩანაში, რომელიც თავის გარემომცველ საზოგადოებას აუშხილდებდა, რათა ოფიციალტი ქალის, თამა-რის, ღარსება, მისი ბედი, მისი მომავალი და-აცვას, ადვილად ამოვიცნობთ იმ ბიჭუნას შტარბებს, რომელიც მთელ სოფელს ებრძვის, რათა როგორმე სიკვდილს გადაარჩინოს ჩვე-ულდებრივი ცოცხალი არსება. მოთხრობის გმი-რის საქციელი გვიამბობს, დავფიქრდეთ ადამი-ანთან რწმენის ღირებულებაზე. სწორედ ამ-გვარი პასაჟები ქმნის რომანის უველაზე მოა-ვარ შინაარსობრივ კლასტებს. მოთხრობა ვაც-ვრით შეებო მრავალმნიშვნელოვან პრობლე-მებს — როგორ მოვიქცეთ, რომ ადამიანმა მარტოსულად არ იგძნოს თავი დედამიწაზე? რომანი საფუძვლიან პასუხს იძლევა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ მარტულ კითხვაზე.

წ. დუშხაძის მოთხრობებზე ერთი თვალის გადავლებითაც ადვილად შევამჩნევთ, რომ მა-თში, ინარტუნებენ რა ისინი თვითღირებულე-ბას, შეფარულია ის შინაგანი თემება და მო-ტივები, რომელთა რეალიზებაც ხდება რომან-ში „მარადისობის კანონი“.

ამ დროისათვის, როდესაც გამოვიდა კრე-ბული „ათი მოთხრობა“, რომელმაც საკუთო-რო კრტიკაში ასეთი რეზონანსი გამოიწვია, მწერალს საშოკდათაა წელი უსრულდებოდა. ნახევარი სასუფნი, თითქმის ოცი წელი ლი-ტერატურული მოღვაწეობისა. ობლობა, ახა-ლგაზრდა მწერლისა და მისი ოჯახის უდიდლა-მო ცხოვრება ნახევრად სარდაფიან ბინაში (ესეც ხომ იყო). ზურაყელას უნდა იცანა იმტომაც, რომ სალიერი ბიხრევე არ დაე-კარგა.

სიმათიური ყალთახანდი ზურაყელა ცხოვ-რობდა ბანაჰდელით, ნეტარებდა სიცოცხ-ლით, ბანაობდა მასში, როგორც საშობის ჩა-ტი გაუფხულის მზის სხივთა ათინათში. იგი მხოლოდ და მხოლოდ აწყოთი ცხოვრობდა. მას არ ჰქონდა წარსული. არ ჰქონდა წარსუ-ლი არც სოსოიას, არც თეიმურაზ ბარამიძის, არც ზაზას. მათი მთელი უწრადლება ვაჰბვი-ლებული იყო ამ დღის განცდებზე, რითაც ისინი ცხოვრობდნენ. მაგრამ მოთხრობებში

აშკარად შეიცვალა ავტორისეული. განცდა დროისა, სხვაგვარი ვახდა ცნებები, ადამი-ანის მომავალმა ბელშეუფებებს უკანასკნელმა შეიძინა. სამაგიეროდ წარმოჩინდა და განაც-ხადი გააკეთა თავის უფლებებზე წარსულმა — დიდმა, მრავალწახანგოვანმა, აწყოზე არანაყ-ლებ ახლობლმა და რეალურმა...

„დროს მე კი არა, ამა უფელი ხარ-კამეი ვერ გააჩერებს, უჩა ბაზუა!“ — წამოიძიებნს მეზობლის ბიჭ უჩასთან ჩაუბრისას ასი წლის გუფული ბერეთიანი.

„დღეს, უჩა რომ გულში მუყავა ჩაქრული, ასეერ მაინც ინატრა უწყოშრად:

„ღმერთო, ოღონდ ახლა ამის ხინსა მქენ და წაიდ, რაც გინდა იმ დღეების საფსურ-რად. — ახლა ჭიჭირისკენ მიმავალ მქენიას რომ უცქეროდა, იგივე გაიფიქრა, — ღმერთო, ახლა ამ ქალის ხანი მომეცა და რაც გინდა მთხოვე ამის საფსურად. გუფულიმ იგძნო, როგორ აენთო სიტყველითაგან ღოყები. შე-რცხვა გუფული ბერეთიანს, არაფრად რომ არ ჩაუთავადა ღმერთს ის ასი წელი, შერცხვა და მანც ინატრა“.

ბებრული უძღურება გუფულისათვის სიკვ-დილის გარდღევალობის შეხხენებდა. იგი ემო-რილიება ამ გარდღევალობას და ამასთანვე წინ აღუდგება მას, როცა ჩახმახს ფეხზე შეაყუ-ნებს. ტრაგეულად უცნაურია ეს ვასროლა მოთხრობაში, სადაც ასე ბოტბაშესხულია ურველივე ცოცხალი, ხადაც სიცოცხლე წარ-მოგვადგება, როგორც სამუაროს ფასდაუდე-ბელი ნიჭი. და მანც პარადოქსულია „უში-დურისა“ მოჩვენებითია.

ასი წლის გუფულის ეს საქციელი ტრაგი-კულია, მაგრამ მასში ღრმა შინაგანი აშრია ჩამარხულია.

ამ მოხუცმა განჭვრიტა არსი საყუთარი, ერ-თადერთი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განუშეორებელი ცხოვრებისა. იგი ცხოვრობს და არავითარ პირობითობას არ ეშორჩილება. ის ნამდვილი და ერთადერთი განმგებელია თა-ვისი ბედისა სიცოცხლემოც და სიკვდილემოც. მან მოაღწია მთლიან შინაგან თავისუფლებას, ასეთი თავისუფლების გარეშე კი ხომ წარმო-უდგენელია იყო მთლიანი პიროვნება!

ერთი შეხედვით, გუფული სრულიადც არ წწუხს იმაზე, რას იტყვას ხალხი, როგორ ახ-სინაა სიკვდილის შემდეგ მის საქციელს. მაგ-რამ ბიჭვილიად ხომ არ ქვითინებს მეზობლის ბიჭი უჩა, მაშინ, როცა ქელებში მაქროფონის გამაურებელი ხმა გაისმის. ბავშვები ურველ-თვის უტყუტრად გრძნობენ, რა არის ცული და რა — კარგი. ეტყობა მოხუცმა გუფულიმ სო-ბოლოო ვასროლის უფლება თავისი უზრადო პატიოსანი, შრომაში გატარებული უჩარმაზარი სიცოცხლით მოიპოვა.

მოჩვენებითობა და სინამდვილე, ფორმა და

არსი — ეს ცნებები ერთმანეთს ეკახება მოთხრობაში, ნაერწყლებს ურის და ირგვლივ მოხბარა მოვლენებს სარკასტულ ნათელს ჰფენს. დამატრი, რომელიც დასაფლავების დღეს გულზე შეიღეს იცემს და ბოხოქრობს, რომ მამამისი არად დაგადევდათ ქცივის მიღებულ წესებს, ის ფიგურა გაზღავთ, რომლის გამოირყავს „რუმადურში“ კიდევ ერთხელ გვახსენებს მახვილი და ემოციური სიტყვის ძალმოსილებას.

ავტორისეული დიმილი, რომელიც ჭერ უწყინარია, მაგრამ თანდათანობით ელფერს იცვლის და ბოლოს დაიხვად იქცევა, უადგილოდ არსად არ გვეჩვენება, უფრო მეტიც, სწორედ ეს მხიარული ნოტები წაგვაფიქრებს, რაოდენ დიდი ხედნიერებია და ხიხარულის მომგვრელი აყო ამ ქვეყნად მოხუცი გუდულის მოვლენა... ამასთან ავტორი ოდნავადაც არ უფრთხის არც პათოსს და არც გრძნობათა აშკარად ჩვენებს („უკლები მოხიერილი ცრემლები“), იგი ხამართლიანად თვლის რომ ირონიაში, ან ირონიული ფორმის პათეტიკაში, სტილისტურია აღმოჩენის სინედლე უკვე დიდი ხანია დაკარგა.

შერკალი (ეს საერთოდ მის ყველა მოთხრობას ედება), წამდვილად არ ცვლის პათეტიკას იუმორით, იგი იცინის დროულად, სადაც ეს შესაძლებელია, შერე კი დიმილი უცებ ქრება, რითაც ავტორი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ცხოვრებაშიც ასეა, — სადაც სიცილია, იქ სევდაც არის.

ავტორისეული აზრის სიმწიფე და მშვიდი მდინარება საბოლოოდ ჩამოყალიბდება როგორც ერთი მთლიანი, ლაკონური, თითქმისდა „ფორმულიზებული“ ტექსტა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ „რუმადურის“ პირველი სტრიქონები: „გუდულის ასი წელი არავის გახსენებია. სხვას კი არა, თვითონ გუდულისაც არ გახსენებია თავისი დაბადების დღე“.

შეუფარავი და თვალმანიოა მოთხრობის „მორალი“ — აშკარა დაპირისპირებულობა, ერთის მხრივ, კეთილი და გაბრჭყ. მოხუცის სულიერა მშვიდობისა — უჩასი და, მეორეს მხრივ, მძღარა, თვითშეაყოფილი და წინგობა, იგი ურთიერთობებისადმი ახლოსტურად ურთ, ასი წლის გუდულა ბერეფიანის დივილი შეილის — დამიტრისა. ოღონდ „რუმადურის“ შინაარსი, ძალზე მშვიდად და ჰკუისდამირიგებულურად ვითარდება ეპიზოდთან ეპიზოდამდე.

...იგი ამ დილით ღონგინოზა მამალიან ერთად ადგა. ჭერ ფეხებში გაბლანდულ მეზობლის ძაღლს გაებაასა:

„ბა, შენ იცი, წუწქულია, რამდენ კვერცხს ამატლი დღეს ზუდიდან. შერე ქანდარიდან გადმოფერენელი მამალი აავსო სავყვედურებოთ: „იღეს რომ არ მადლი და შეგაფხურები უკ-

ველ დილით, ამ დედლებს მიხედო. გირჩენია, არადლიონა პარკიშვილის მჭაქრა ქრქო მჭაქრავანს თვალბს“. არც ძროხის სიტყვებში, რომელიც ხელ უფრო და უფრო ცობრძეს იწველებს: „ხელ წახვედი ზელიდან, შე უბედურო! — უსაყვედურა ძროხას გუდულამ და რქაზე ბაწარი შეხსნა“.

ეს ყოფა, ცხოვრებაა მრავალპირგადამილი სოფლის ძარბველი მოხუცი კაცისა, რომელიც ეულად ცხოვრობს ორიოდ წათვის და რის ვაი-ვაგლახით შემორჩენილი პარუტყვის გარემოცვაში. ასეთი არსებობა ერთფეროვან გარემოში, ის, თუ როდის უნდა დაანთო ცეცხლი ღუმელში, გაათხო წყალი, მოწველო ძროხა, დააღვეინო რძე პატარა უჩასი და თან როგორმე დაიჭრინო თავი მასი გულუბრყვილო და ამავე დროს საკმაოდ ეშვაკური კითხვებიდან, — უკველივე ეს ერთნაირად საპირიოცა და ერთფეროვანიც, ცაზე მაგორავს მზე, როგორც უკველითვის, ზუსტად კაღენდრის შესახებმისად, მოხუცში ეს ყველაფერი არავითარ განსაკუთრებულ გრძნობებს და აზრებს არ აღძრავს. მაგრამ უცებ გამოუსწორებელი რამ მოხდება. გუდული მიიღებს თავის საბოლოო გადაწყვეტილებას და მოთხრობის კილოც იცვლება:

„მამინ ადგა გუდული ბერეფიანი, პარა ჩამავალი მზისკენ ქქონდა: როდესაც მზე მოჩრიწონტზე დაქდა და პირჩაღმა ჩამოხილ ახლ გამომცხვარ დერგს დაეშგავას, მდაბლად დასუკრა თავი და მუხლი მოიყარა მის წინაშე.

— მშვიდობით, მზეო ბატონო, დიდი უწენესი და უმაღლესი მადლობა შენი.

— რისთვის? — გასუკირდა მზენი.

— ყველაფრისათვის, მზეო ბატონო, თუნდაც ამისათვის, ასი წლის ყველა ღამე რომ გამოითენე!“

ასევე საზეიმოდ ემშვიდობება მოხუცი ძროხას, ღონგინოზა მამალს და ვას. მადლობას უბნის ყველას, პასუხად კი ებნის „რისთვის?“ და მოხუცი მამინე იძლევა საუკირო, რიტუალამდე აყვანილ ახსნას. ცასა და მიწას, საზღსა და კარს, ფერსა და სხივს, ზესა და ბაღაბს, ძაღლსა და ღორს, — ყველაფერს დამეშვიდობა დღეს, გუდულამ. საბოლოოდ ხეს არ უკითხავს, რისთვის უბნის მას მდლობას გუდულა ბერეფიანი. ალღი იყოს შენგუო, მიუგო ზემ. იმატომ, რომ „ზემ იცოდა თავისი ფასი“.

ეს უკვე ყოფიერებაა. მისი ნიშნები თავს იჩენს მოთხრობის ქსოვილში, თხრობის წუნარი მდინარების მიღმა, მოხუცის უკველდლიური ცხოვრების, უოფის უკველ წვრთლმანში, მის გულისგულში. ეს არ არის პოეტოზირებული ყოფა, უკველდლიური ცხოვრებისეული რაკუნით დანახული, არა, ეს ერთმანეთში ჩახვეული-ჩახლართული ამაღლებულობა და უკველ-



დღორობა, უკვდავება და წამის წარმავლობა, დამოკიდებულება ბუნებისთან, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსთან, ცოდნა იმისა, თუ როგორ ემსახურე მათ, როგორც, ახე ვთქვათ, „შემფასებელმა სულიერ ფასეულობათა შეაღება“ — შენიშნავს მოთხრობა „უმაღლრის“ გამო უკრაინელი კრიტიკოსი ილიციკი. იგი ამ მოთხრობას 70-იანი წლების ლიტერატურის იმ მოთხრობებთან ერთად განიხილავს, რომლებშიც „მცირე სამშობლოს“, გარეშე სამყაროსთან აღმზიანის მარშინული დამოკიდებულების პრობლემებია გაშუქებული...

* * *

სიყვარული კაცობრიობისაღმე და სიყვარული კონკრეტული ადამიანებისაღმე დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიყვარულის ამდაგვარი გაგება თანდათანობით შეშროდოდა. დუმბაძის პროზაში. ის, რაც გუშინ აჯარა და განსაზღვრული გვეგონა, სიცხადება და განსაზღვრულობის მაშინვე ჰკარგავდა, როგორც კი გმირი მის გვერდით მყოფი ადამიანების სულის, ბედის, ქვეყნების აჯარგინობისათვის მძიმე ბრძოლაში ჩაებმებოდა.

სტუდენტი მოთხრობიდან „დიდრო“, რომელიც სოფელში ჩამოვიდა ცოტა ბნით, ჩვენთვის ძნელი ხაცნობი არ არის. უხვი და ელვარე იუმორი, მოსხლეტული სიტყვა, ცოცხალი გონება — ეს საზე უკვე ნაცნობია ჩვენთვის.

გმირ-მოთხრობელს საქმოდ დავიარებული თვლი აქვს. იგი ზედავს, რომ ჩაის ძირითადად ქალში კრუნენ, კაცები კი დინჯად აბოლებენ თუთუნს და მსოფლიოს პოლიტიკურ სიახლებზე მსხელობენ. იმასაც ზედავს, რომ იქაური პარტიკებრი ექვთიმე, ფაშვი რომ გადმოუგვია და დოუსრულებლად ენაქვევრობს, ნამდვილი სულიდა. სტუდენტი აქალიებს გურულებს იმის გამო, რომ ისინი შეკლებს მაინც და მაინც ოფელიას, ჰამლეტს და დეზდემონას ეძახიან. შავრამ მთავარი იუმორისტული მუხტი გადატანლია სოფლის ვიუზე, რომელსაც მისმა კემატმა მამამ, რომელმაც რუსეთ-ია-პონიის ომიდან ჩინ-მედლების ნაცვლად ერთიმ უსამოქონ ავადმყოფობა ჩამოტანა, დიდი ფრანგი განმანათლებლის საპატრიცელოდ მისი სახელი დაარქვა.

— ეუ, დიდრო, პორტ-არტურის შვიონი!
— ეუ, დიდრო, თამას ნაბიკარო! — გაბკიანი სუფის ჰლაში გუთურელი ბიჭები და ხიცლიო ასკდებიან ერთმანეთს“.

ანგლოზენ სოფელში ბიჭები და არც სტუდენტია წინააღმდეგი, გაერიოს მათ მარაქაში. იგი სხამახსუთი ჩამოთვლის დიდროს მეტსახელებს: ბურძგლა, ხაბაჯა, კიფურა. აქვე მოინდომებით გვიხსნის, რატომ ჰქვია დიდროს ეს მეტსახელები: ბურძგლა იმითამ ეძახიან, რომ დიდროს თმებზე ზღარბავით აქვს, კიდევ იმი-

ტომ, რომ შიშველი ფეხის გულით შეუძლია წაბლის ჩენროდან ნაუფი გამოტანა. ხაბაჯა იმითამ ჰქვია, რომ უსაშველოდ მძახე ტირობის წამოკიდება შეუძლია. დიდროს ის უხედურებაც სჭირდა, რომ ამხელა ტვირთწამოკიდებულს გაუთავებლად შეეძლო ესაუბრა ყოველ შემხვედრთან, კიდრე ლოდინით გაბეზრებული დამქარავებელი სიბრაზისაგან მთლად არ გამწვანდებოდა.

რაც შეებება იმს, თუ რატომ დარქვა დიდროს ქაფურა, წვროლად და ცხოველმყოფელად არის გადმოცემული ნაწარმოებში. ეს ყველაფერი სოფელ გუთურის საპარტიკებროში ზდება, სადაც ამ სოფლის უსაქურებს შეუყურით თავი და დიდი გულისურობით უსმენენ ექვთიმე ყვაპურასა და დიდროს შორის განართული დისპუტს გეოგრაფიულ და სხვა პრობლემებზე:

...როდის მოასწარი, დიდრო ბატონო, პორტ-არტურში ყოფნა?

— მე და მამარემი სად ვიყავით აბა, ცხრაას ოთხში? — ჰკითხა თავის მზრივ დიდრომ.

— დედაშენი სად იყო მაშინ?

— რა უნდა ვეღაპარაკო ამ აბდალას, — მოგვიბრუნდა ჩვენ დიდრო.

— მამარემმა მერე არ შეირთო დედაჩემი, პორტ-არტურიდან რომ დაბრუნდა? ყველამ თანხმობის წინადა თავი დაუქნია.

— შენ სად იყავი მაშინ, დიდრო ბატონო?

— ჩახლია ქვეტკენელში ყვაპურამ.

— სად ვიყავი და მამარემში?!”


და სწორედ მაშინ სიბოკა დალაქვა დიდროს ენა გამოუვიო, ვითომდა სურდა გაეგო, მისი კლინტი ავად ზომ არ იყო და უცე. ზღარბათვის მოულოდნელად, უჩარხარხ ენაზე ხანაინი ფუნჯი მოსუცა. ეს დღე იყო და დიდროს „ბურძგლასა“ და „ხაბაჯასთან“ ერთად ახალი მეტსახელი „კაფურა“ შეეჩქვა.

რა არის ეს? სასტიკი თამაშები? ძნელია თავი დააღწიო შობებუდილებს, რომ ამ, ერთი შეხედვით, თავსესაქვევი მოთხრობის მიღმარაღც უფრო მწარე და მტიყენელი იფარება.

დიდროს ჰყავს თავისი წინამორბედი, ბეფანა, რომანიდან „მე ვხედავ მზეს“.

სოფლის გიფი, ღვთის ვლახა, საქმოდ გავრცელებული ფიგურა ლიტერატურაში. ბეფანა გარემოყულია თანამოფლებლის ყურადღებით. მართალია, მას ხანდახან ანასტრებენ კიდევ, მაგრამ ეს ძალზე უბოროტოდ კეთდება. მის სიკვიდის საშინლად განიცდის სოსოია და გულწრფელად, დიდი გულისტყვილით დასტირის კიდევ ყველაფერი გამოხატულია გლეხური, ხალხური ეთიკის მეშვეობით.

აქ კი სად გაქრა ეს მკაცრი მოთხოვნილება? რატომ არავინ ცდილობს, ხელი შეუშალოს საცოდავ სულელს და ძალით არ გამოგლეწს



ამ ანორმოკლიოან ჩაის კალითას, რომელსაც დიდრო რაღაც სულელური ნიძლავის გამო წამოიკიდებს?

ახეთი კიბოვების დასმა უფრო ადვილია, ვიდრე შაიზე პასუხის გაცემა.

„გამზადი, დიდროია ხაბაკა — შეეშველა ვიღაცა.“

— არ წახდეს ბურძღლა!

— მიდი, ქაფურა, შინაწეკი“

ერთობა სოფელა. მხოლოდ სტუდენტ ცდილობს როგორმე შეაჩეროს დიდრო, მაგრამ მას უნაც აღაპაფერი შეშლია და აი, სწორედ ამის შეგრძნება, რომ იგი უძღურაა აშუაგა, ოღონდ გულუეთილობას ამოფარებულე ადამიანურა სისასტიკის, გულგრილობის წინაშე, ის დრამატული ტონია, რომელიც მოულოდნელად იჭრება მოთხრობაში და მძეტლი სისასტიკით მის ფინალი ვლინდება.

სტუდენტი, რომელიც დიდროს სახლში მიადის, რათა მას სახალღოში წავებული ტუხასური ჭინება მისცეს, ნახავს მარტოსულ კაცს, რომელიც მზადაა წუთისოფელს გამოესალმოს. ამოკმედდება უმაღლესი საპარტლიანობის კანონი, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც სივდლილის ტაში დაკრავს, დიდროს გონება გაუღლიდება და იგი მხურვალე და გულუბრტული ლოკეთი შეზღადადებს დებროს, რომ კიდევ ერთი დღის სიცოცხლე არუქოს „ახლა მკლავს, ქაფურა რომ აღარა ვარ, ბურძღლა რომ აღარა ვარ... რას შევბი დებროთ, არ მოქელა“

გონიაში მუოფ დიდროს უკველ სიტყვაში ჩაის სულის სინათლე, ის სულიერი სიმღიერე, რამაც გვირბი-მთხრობელი გააოგნა.

„წამოხტომა და გაქცევა დეპაირე, მაგრამ დიდროს ისე მაგრად ვეპირე, ხელს თუ ვინეე მომჭრიდა, თორემ ისე ჩემი გამშვები არ იყო და მაშინ ვეკივლე შეც.“

— მიშველეთ, ხალხო, დიდრო კვდება, ეი ხალხო! ექიმს დაუძახეთ, დიდრო კვდება, დიდრო! ემე-ეემე! გამოითი გარეთ, უშველით დიდროიას, კვდება დიდრო!!! გარეთ კი გადარეული სურხა ბღაოდა, მოინგრევედა ხეს და მიწას და ჩემი კივილი არავის ესმოდა. მაშინ მუბლებზე დავეცე და ოთახში მარჭყენა კუთხეში დასვენებულ დღისმშობელს მივაპყარ მურა.

— ნუ მოკლავ, დებროთ დიდროიას, ახლა მაგის სიკვდილი გავგონილა“

შოელი ბუნება დამნაშავედ თვლის თავს სულამომავალი კაცის წინაშე. დიდროს სივდლიის შემდეგ ეზოში გამოსულ სტუდენტს ეჩვენება, რომ შოვარციე კი დამნაშავესეთი მიაჩნება ცარგვალზე.

არა მარტო თავიხი ახალგაზრდული ექსპანსიურობის გამო განცდიის სტუდენტი დიდროს სიკვდილს. როგორც მხოფლოო კატახტროფას. სიკვდილი უყვლას ათანასწორებს — აი,

რამი არწუნდება იგი. ის ამბავი, რომ უღრტინელ დიდროს გონება ქმყოფუფუტუტუფის არსებობის ბოლო წუთებზე უღრტინე უჭარად უსვაპს ხაზს გვირბის თვალში ადამიანური ყოფის სიმწარესა და მწწარულწარმავლობას.

მოთხრობებში ნ. დუმბაძე ბევრ ისეთ რამებს ებება, რაც, ერთი შეხედვით, არც კი შეიძლება დასწქელობის საგანი გამზდარიყო. ბიჭი, გვირბი მოთხრობისა „სისხლი“, თულია ბებიათან ცხოვრობდა, მაგრამ ისე მოახერხა მოხუცს თავი ცელქობით, რომ საწყალი ქალი იძულებული გახდა ბაბუა ქიშვარდთან წაეყვანა ბიჭი, მისთვის აენაბრებინა. ახლა კი ბიჭი იძულებულია კვლმი მისდღის ბაბუას, რადგან იგი სისხლის დღემალ და მზრძანებლურ მამას, ნათესაობრივი ურთიერთობების დეიტატს დაუშორჩილა...

ერთი შეხედვით უკეთესს ვერც ისურვებ, ოხოლ ბიჭს კიდევ ერთი ახლობელი ადამიანი დამოუჩნდა, კიდევ ერთი ბურჭი ცხოვრებისა. მაგრამ ნავარსადღევი სიბარული ნადრტოვი გაშლოდა. მოთხრობას გვირბი ნელ-ნელა ხედება მისთვის მანამდე უჩვეულო გარემოში, სადაც უფროსებსაც კი უჭირთ შათ წინაშე წამოჭრალი წნეობრივი პრობლემების გადაწყვეტა.

ერთი წლის შემდეგ ანერგული ბებია გურბიაში მცხოვრებ ბაბუასთან მიიღის და სობოვს, უყან დაუბრუნოს შევილიშვილი, „მაგრამ ეს აღარ იყო მადება-ჩაბარების აქტი, ეს იყო ბიჭის გამო აღუღებული ორი სისხლის ჭიდილი და ორი გულის ქვითინი“.

ხუმრობა აქით იყოს და ბიჭს ნამდვილი ძმწრობა აიტანს. მას პირველად უბდება ცხოვრებაში არჩევანის გაცეობა, საკუთარ სულში ღრმად ჩახედვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. როგორ აწყენინოს, როგორ მოუშვლას გული მოხუც ბებიას, რომელიც ასე მკავს მის გარდაცულილ დედას? არა და. ბაბუაც ხომ ცოდაც, ბაბუა, რომელიც მამას აგონებს, რომელმაც უკვლავტერი მისცა მას, რაც კი გააჩნდა? მაგრამ ეს მონც არ არის შთავარი, და როცა ის წარმოთქვამს: „ჩემი უანა მაგია, ჩემი დოღაბი და წისქვილი, ჩემი ვენახი, ჩემი უეაჩქენა, საფლავი და ხაფლავის ქვეცა ვერ გაგატაში ქალბატოტროს იღული და მოქალითი“. — ამ შემთხვევაში იგი ცამდე მართალია. მთელი მოთხრობა სხვადასხვა ტონალობით დაწერაღ ორ მოხუცს შორის გამართულ დიალოგშია აგებული. ბებია დიდი მონდომებით ჩამოთვლის ბიჭის უკველ უკეთურ ქვეცას და ბაბუა სრულ ანტორმაციას იღებს ბიჭის შესახება. „ქლიკოო ჩამოვიღებ შე მაგას ქადარზე“, — ჩაურთივს შეგადამიე მუქარით. შემდეგ დილოგში გაბუე ცდილობს, რაღაც უნდა დაუჭდეს, ბიჭი თარსოვს დატროვოს და ახეთივე დიდი მონდომებით ჩამოთვლის თ-

ლია ბებია, თუ რა ქვისნატები და ეშვების
კერძი უნის სახლი.

ბაბუა ქიშვილი ერთ-ერთი მათგანია ნ. დუ-
შაძის გმირი მოხუცებულად, რომელიც პატი-
ონსებაზე თავიანთი წარმოდგენების მიხედვით
მოქმედებენ და ამავე დროს, თვითონ სულაც
არ ფიქრობენ თავიანთი ქცევების აღწერა-
დებით ელექტიანობაზე. ბაბუას ესმის ბავის ყო-
ყმანის მიზეზი. «იცი, რომ ერთ-ერთმა მათგან-
მა, ბოლოსდაბოლოს, უნდა დაუღოს წვედარი
ბავშვის სულიერ გამოცდას. როცა შეილიშვილს
უყარ, იმერეთში აჯანჯის, ის უკიდურეს თავ-
განწირულობას აჩენს, მაგრამ ბიჭიც ზომ უყარ
მოკვავს თანაგრძობას!»

— იცი, რამ მოგიყვანა ბაბუა?

— არა, — უპასუხა შეილიშვილმა.

— შე ვატყვი ამა სისხლმა მოგიყვანა, ბა-
ბუა, სასწაულია სისხლი, — ზეიმობს მოხუ-
ცი და მოთხრობა მოთარღება რუმბაკით, რომ
მხოლოდ დროშია უწყობს, რას დუღუნებდა
სისხლი მოხუცისა და სისხლი ბავშვისა. წერ-
ტილი კი არ ამაჯვარებს მოთხრობას, არამედ
მრავალწერტილი.

სისხლის ხმა სტიქია, ინსტიქტია, მაგრამ იმ
რეალურ გარემოში, სადაც ნ. დუშაძის გმი-
რები მოქმედებენ, არაფერი ხდება თავისთა-
ვად, ისიც კი, რაც საუფუნების განმავლობაში
ქალზე ზუნებრივად ხდებოდა.

ერთ სერიოზულ სტატიაში ამოკეთებენ, რომ
მოთხრობა „სისხლი“ ოქაბურ-წინებრივ აღ-
რდას ეხება და რომ მასში ბევრი რამ არის
ნახსენები ტროცკული, ზალბურის ეთიკის ტრა-
დიციებიდან. რაც შეეხება ოქაბურ-წინებრივ
აღრდას, ის შეიძლება მართლაც ასე იყოს,
მაგრამ ეს პატარა მოთხრობა, კიდევ ერთი უბ-
რადი ცხოვრებისეული სიუჟეტით, ნათელი და-
დასტურებაა იმისა, რომ ადამიანისადმი სიყ-
ვარული, როცა ის კონკრეტული არსებობდა, დიდ
სულიერ დამახულობასა და მსხვერპლსაც კი
მოითხოვს.

ძალდატანებლად და ლაღადა დაწერილი
ნოღარ დუშაძის მოთხრობები, აქ თითქმის
არავის უნარუნია უზარმაზარი რომანული სი-
ყვარის შევებაზე, სიუჟეტის აგებაზე, ნაწი-
ლებს პარამონიულ შეტყუებაზე, დახსიათებთა
დამაქრებლობასა და სისრულეზე და არც იმ
დასკვნათა მნიშვნელობაზე, რომლებიც შეიძ-
ლება ავტორის აზრის ხანგრძლივ და მრავალ-
საუფურობან მსვლელობას მოკვებს.

თავიდან ცოტადღეი გეოგრაფიით დავიწყ-
ყოს: „მე, ბებია, ილიკო და ილიაონი“ და
„მე ვხედავ შუეს“. მოქმედების ადგილი სო-
ფელი. შემდეგ „მეინი ლაში“, „ნუ გეშინია,
დედა“, „თერთა ბაიარღები“. თანამედროვე
ქალაქი, უფროს უნტაღ, თბილისი, თავისი
განუხიარებელი კოლორითა და უცხო
თვლისათვის ფარული პარონდემითა და

დრამებით აღსავსე „თერთა ბაიარღები“
შემდეგ დაწერილი მოთხრობებდან „შეიძლება
გამოირჩევა ის მოთხრობები, სადაც ნ. დუშაძის
აზრი ძირითადად მათი „სოფელი“ წარმონა-
ვლობით განისაზღვრება.

ამ მხრივ „კორია“ ნამდვილად მრავლის-
მეტყველი მავალია. თავად განმარტო. თავ-
მომწონე უმაწილა დათო ელვანტური მეგო-
ბრების წრეში მუცება, როგორ გაიყოს „ცო-
ცხალი მადონა“ ესპანეთში ტურისტული მო-
გზაურობის დროს. „მადონა“, ზუნებრივად,
ყვარული — „ვივა ზეობენია“ — კისრზე
ეკიდება მშვენიერი საქართველოს წარმომად-
გენელი. „ვივა, ესპანია“, — კოკიდრ და ახლა
მე ჩამოვიდე ყელზე ცრემლებსომედაკ
ღვთისმშობელს, თქვა დათომ და თვლები და-
ხუტა. «ГОЛЫМ» — თქვა ლამ და სამა-
რეულშია გავიდა. უწყინარი, ნახევრად ინტე-
ლიგენტური ლაუბობა მწერლის მერ „ლაუ-
ბობის“ ფორმიოვება გადმოცემული. შემდეგ
დათო მუცება, როგორ ესწრებოდა მშვენიერი
ქალის თანხლებით კორიდას და როგორ მო-
ხილთა ცნობილი მატადორის, დომინგოს ბე-
ლოცენმა, მაგრამ მერე უცებ ადგა და წამო-
ვიდა მხოლოდ ამიტომ, რომ არინავე გამოსო-
ლობა ხაზმა ის უდრტირეული პარსუტყვი გახ-
სენა, რომელთან ერთად მამისის აღაწის
ველზე ხნული გამოყავდა.

ეს გარდატეხის მომენტია უმაწილისათვის,
რომლის პირითაც ავტორი მოვითხრობს, და-
თოს ნათქვამის შემდეგ გამოუმისწილებს მომე-
ნტი დეგრა. იგი „ბავშვობის ტუბელ მოგონე-
ბებს“ ემშვიდობება. მოთხრობის გმირი ახალ-
გაზრდა ქალიშვილი, რომელსაც დათოს განწ-
ყობილება გადაედო, საოცარ ლექსს კითხუ-
ლობს ხარზე. მეგობრულ შეხვედრაზე კი უცებ
გაუტყობის ზნაირ ჩნდება და ჩვენი გმირი
ახლა არის აქტიონდეს მალაზონა დახვებულ-
და საქონლის მორცის დანახვზე და ამის მე-
რე სიზმარში თუდა ესაღბუნება მის გულს
სახიამოვნო ზაღებში: „ესპანეთი, ბასკები, მ-
დალუზიური ღამეები და კარმენსიტები“.

მსუბუქი ირონია ქრება და მოთხრობაში
ამრიგად, ჰყენ ვფიქრობთ, რომ ქუანშირისეული „ველი კალასის“ მდებარეობდა დასახლებული პუნქტის, თბილისის მეორე უბნის, კალას, ჩრდილო-დასავლეთით, სოლოლაკის წილის ხევის გადაღმა, მარცხენა მხარეს, ამ ნაწილში, რომელსაც გვიანფეოდალურ ხანაში „გარეთუბანა“ ეწოდებოდა.

ერეკლე მეორის სახ. მოედანზე 1956-1957 წწ. აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით აშკარაა, რომ კალას ანუ შემდეგდროინდელი „ტფილისის“ ეს უბანი XI-XV სს. ისევე როგორც ადრეფეოდალურ ხანაში, ზელოსანთა საცხოვრებელ უბნს წარმოადგენდა, სადაც ძირითადად თიხის ჭურჭლის დამზადება ხდებოდა. ქურა-სახელოსნოებისა და საცხოვრებელი ბინების ნაშთების, აგრეთვე, მოკიჟული და მოკიჟიანი თიხის ჭურჭლეულის მრავალრიცხოვანი და ნაირფეროვანი ნიმუშების აღმოჩენის ფაქტიც სწორედ ამის დაბტურაა (ი. ვაქლიაშვილი, ო. ტყეშელაშვილი), საფიქრებელია, რომ XVII ს. 40-იან წლებამდე აღნიშნულ უბანში ისევე თიხის ჭურჭლეულის დამზადება ხდებოდა. XVII ს. 40-იანი წლების შემდეგ კი, კალას ეს ნაწილი როსტომ მეფის მიერ აგებულ სამეფო სასახლის ანსამბლში შედიოდა და, ცხადია, თიხის ჭურჭლეულის დამზადება აქ აღარ ხდებოდა. ის ადგილი, სადაც წინათ ზელოსანთა საცხოვრებელი ბინები და ჭურჭლის გამოხაწვათა ქურა-სახელოსნოები იდგა, დღეისათვის საკმაოდ სქელი ფენით დაფარავეთ და სამეფო წყალხაღვნი გაუმართავთ. აქვე აუჯივთ სასახლის ანსამბლში შემავალი სხვადასხვა ხანისათვის დამზადებული ნაშთების და მოუწყვათ სამეფო მოედანი, რომელსაც „სადაუბო“, „ხატონის“ (მეფის), შემდეგ „გეგარაზისის“, „ბებეღისა“ და ზოდოს ერე-

კლეს მოედანი ეწოდებოდა (ი. ვაქლიაშვილი, ო. ტყეშელაშვილი).

სამეფო სასახლის აგების შემდეგ ფეოდალებმაც გაიჩინეს ამ მიდამოებში საცხოვრებელი ბინები და ამ უბანში დამკვიდრდნენ. ამრგად, XVII ს. 40-იანი წლებიდან თბილისის პოლიტიკურმა ცენტრმა დედაციხიდან კალაში გადმოინაცვლა.

მაგრამ, ვარდა პოლიტიკური ცენტრისა, „კალა“-ტფილისის“ არა მარტო გვიანფეოდალურ ხანაში, აგრეთვე, უფრო ადრე (და შემდეგშიც) თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრისაც წარმოადგენდა. ძირითადად აქ იყო თავმოყრილი ბაზრები, ქარავანები, სხვადასხვა სახის დუქან-სახელოსნოები და სხვ. (შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1956 წ., მ. ბერძენიშვილი, თბილისის გარეგანა სახე XVIII ს., თბ., 1966 წ., ო. ტყეშელაშვილი, თბილისი, მეგურთი, 1966 წ. და სხვ.).

IX-X სს. მიჯნაზე იწყება ახალი ეტაპი თბილისის ზრდა-განვითარების ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს დამთავრდა თბილისის, როგორც ფეოდალური ქალაქის, ჩამოყალიბების პროცესი. ქალაქს ახალი, შესაბამისი უბანი (ვახუშტ ბაგრატიონისთვის „ქალაქი“) შეემატა ისან-ავლაბარის სახით. ეს უბანი მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარეობდა. ისანი („მიხარ“) არაბული სიტყვაა და ციხეს ნიშნავს. ასევე არაბული სიტყვაა ავლაბარი, რაც სასახლის მიდამოს ნიშნავს (ს. ჭანაშია, შ. მესხია, ლ. ტყეშელაშვილი, მ. ლორთქიფანიძე ოთ. ცქობაშვილი და სხვ.). ნ. ბაღრიაშვილს ავლაბარი ახსნილი აქვს, როგორც აღმართის აულის შემდეგ „ბარი“, რაც, ცხადია, სრულიად მიუღებელია.

...ადრეფეოდალური ხანის უკანასკნელი მესამე პერიოდი ზელოსნობის ცალკეული დარგებისა და აგრეთვე ვაჭრობის განვითარებისთან ერთად, საქართველოში აღნიშნა, როგორც „ახალქალაქების ხანა“, ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოშობისა და ჩამოყალიბების ხანა. ამ დროს წარმოიქმნენ და როგორც ფეოდალური ქალაქები ჩამოყალიბდნენ დამინისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, თელავი და სხვ. განსაკუთრებით გაზარდა და გაძლიერდა თბილისი, ქუთაისი, არსთავი, სამშვილდე და ზოგადად სხვა ძველი ქალაქი“ (შ. მესხია, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, შეხავალი, გვ. 23).

აკად. ს. ჭანაშიას აზრით, თბილისის, როგორც ფეოდალური ქალაქის, საბოლოოდ ჩამოყალიბების, ტერიტორიული ზრდისა და ეკონომიკური ძლიერების საქმეს განსაკუთრებით უწყობდა ხელს ის ფაქტორი, რომ არაბების დაცლილებით ძლიერმა და ორგანიზებულმა სავაჭრო კაპიტალმა, იჯდო რა ზეღში თი-

თქმის შთელი მსოფლიოს სავაჭრო გზები, თბილისი ჩაბა გავლილით უფრო ფართო სერტაშორისა სავაჭრო ქსელში, სადაც თბილისს განსაზღვრული არა მერტებარისხოვანი ადგილი ექვია.

აკად. ვ. ბარტოლდი ბაზგასიით აღნიშნავდა ისლამის პირველ საუწყუნებში საქალაქო ცხოვრების დაწინაურება-აღმავლობის ფაქტს. რომის იმპერიაში გერმანული დაპყრობისა-გან განსხვავებით, არაბთა დაპყრობის შვირე აზიაში მომავლ არამეთუ ძველი ქალაქების ნგრევა-განადგურება, არამედ, ახალი ქალაქების წარმოქმნა. მისი აზრით, არაბთა სამხედრო ბანაკებიდან წარმოიქმნენ ახალი ქალაქები, რომლებიც დიდად აღმეტბოდნენ სასანიდური ხანის პროვინციათა ცენტრებს: ძველ ქალაქებში, თითქმის ყველგან, გარეუბნები (რაბადაი), სადაც ბაზრები იყო მოთავსებული, განვითარდა სასანიდური ხანის ქალაქის (შედიწა, შაბრისტანი) ბარჯე (ოზ. ტ. VII).

ეს აზრი დღეისათვის საყოველთაოდ არის გაზიარებული.

ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების ანალიზის შედეგად, თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ისან-ავღაბარის „გაქალაქება“, თბილისის ერთიან საქალაქო ცხოვრებაში ამ უზნის ჩაბმა, არაბთა ბატონობის შედეგს წარმოადგენს: ისან-ავღაბარი, როგორც გარეუბანი („предместье — Рабад“), მხოლოდ IX საუკუნეიდან იქცა თბილისის ერთ-ერთ „ქალაქად“, მის განუყოფელ ნაწილად.

სხვათა შორის, ამას დამადასტურებლად გამოდგება არა მარტო ამ უზნის სახელწოდება („ისან-ავღაბარი“), არამედ ის ფაქტიც, რომ არაბთა ბატონობის პირველ პერიოდში იგი რაბადს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ 858 წ. ბუღა-თურქის სარდალი აბულ-ყაბასი, ავღაბარში, „რაბადის კართან“ იყო დაბანაკებული. აქვე არსებობდა რაბადის ქუჩა (რომელსაც ამჟამად ი. ფაბრიციუსის სახელი ჰქვია).

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ არაბებამდე ეს ადგილი დაუსახლებელი იყო. შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით (სტაციონარული გათხრები ავღაბარის ტერიტორიაზე, ჭერ-ჭერობით არ ჩატარებულა), ნეტელედ-ისან-ავღაბარის ტერიტორია გიანბარჩენაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს დასახლებული (ო. ტყეშელაშვილი, არქეოლოგიური დაწვრცევა...), არაბთა ბატონობამდე, ჩანს, ამ უზნის ნაწილს „საგოდებელ-საგდებელი“ ეწოდებოდა, „...რამეთუ შენ არს საუღავეები კაცთა მის ქალაქისათა“. აღნიშნავს ეოანე სახანისძე. IX ს. არაბი ისტორიკოსი ტაბარი საგოდებელ-სუღღაბილში ქალაქის აშენებას ანუშირვანს (სპარსეთის მეფე ხოსრო I ანუ-შირვანი — 581-579 წწ.) მიაწერს (გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1948).

რაც სათანადო წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად, დღეისათვის უარყოფილია (მ. ლორთქიფანიძე, თბილისი, სასანიდური-ისტორიდან, „მომომხილელი“, შიხვე, ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან, ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან—ის. ნის საკითხისათვის, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, XI ს, თბ., 1968 და სხვ.).

ვახუშტი მაგრატიონი მეტეტთან (ანუ საგოდებელ-ისან-ავღაბართან) დაკავშირებით თბილისის დროს საქალაქოში შეინაშნავს: „...ტყვიან ამის აღშენებას გორგასალისასა“-ო. („აღწერა...“, გვ. 58).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ამ შემთხვევაში, სრულიად სამართლიანად, იჩენს დიდ ხიფათხილეს. ჩანს, მას არ ჰქონდა სათანადო საგოდო წყარო ვახტანგ გორგასლის შვირ განადგობელ-ისან-ავღაბარში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ. ამიტომაც სქოლიოში შეინაშნა „იტყვიანო“. ამ „იტყვიანში“ შეიძლება იგი გულისხმობდა იმ ღრეგნდას, რომლის მიხედვითაც ოს ბუათართან შერკინებას დროს ვახტანგმა თითქმის ფიცის გატეხის შედეგად მოიპოვა ვაზარტეხა და ცოდვის მოსანაწინააღმდეგე მტების სახელობის სამი ეკლესია ააკო საქართველოში, მათ შორის ერთი თბილისში. პლ. იოსელიანიც ვახტანგ გორგასალს მიაწერს მეტეტში მშენებლობის დაწებას, მაგრამ წყაროს არ მიუთითებს (მისი „Описание“).

უფრო მეტიც, მისი აზრით, თბილისი ვახტანგ გორგასალმა დაშრო სამ ნაწილად (კაბლისი, ტფილისი და სისანი ანუ ისანი“), რომელთაგან ეს უკანასკნელი ქალაქის გარეუბანი იყო.

ცხადია, ამ ცნობების მიხედვით შეუძლებელია დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასლის დროს საგოდებელ-მეტეტ-ისან-ავღაბარი ქალაქის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. როგორც უკვე იყო აღნიშნული, იოანე სახანისძე VIII ს. 86-იანი წლებისათვის ამ ადგილას ქალაქის, ე. ი. თბილისის მცხოვრებთა სასაფლაოს და სადილეგო-საპყრობილის არსებობას მიუთითებს და არა ქალაქური ტიპის დასახლებას. მართალია, ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამის შესაძლებლობას, რომ ეს სადილეგო-საპყრობილე (სადაც ახლ თბილელი ჰუცაფათი და-პატიმრებული), აშვე დროს, თავდაცვითი ნაგებობაც იყო (თუნდაც კახეთში მიმავალი გზისა და ხიდის დამცველი და, შესაძლოა, თვით ვახტანგ გორგასლის შვირ აგებული), მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ამ მიდამოებში ქალაქური ტიპის მოსახლეობის არსებობას.

საგოდებელ-მეტეტ-ისან-ავღაბარი, ჩანს, მხოლოდ IX-X სს. მიწანზე იქცა „ქალაქად“, თბილისის განუყოფელ ნაწილად.

IX ს. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით: „...მდინარე მტყვარი... დიდია და ქალა-

ქის შუაგულზე გადის ისე, რომ თბილისი მის დასავლეთ, ზოლო სულდაბლი აღმოსავლეთ მხარეზე არჩეიან" (ვ. ნაღბაძე).

ტაბარის ამ ცნობის მიხედვით სულდაბლი (საგოდებელ-სან — აღაბარ) ისეთივე ქალაქის, როგორც თბილისი. უფრო მეტიც ტაბარის ცნობით ისე გამოდის, რომ სულდაბლში თბილისის (ქართლის) ამირას სასახლეც დგახ. სხვაგვარად ვერ გავიგებთ მის ცნობას: „...ისან. მაისი ცოლი... სულდაბლში დარჩენილიყო ტფილისის აღმოსავლეთ მხარეს რომ არისო“ (იქვე, გვ. 82).

ამ მხრივ საუბრადღებოა, რომ იოანე საბანისის მიხედვით თბილისის ამირას სასახლე VIII ს. 80-იან წლებში მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, თბილისის დედაციხის (კლა-შურის ციხე) ტერიტორიაზეა. მისი ცნობით, ხელ-ფეხ შეხორკილი ახო თბილელი თბილისის საყურო. ბილეთია დაწვევდელი. შეათე დღეს თბილისის ამირას ბრძანებით იგი „გაშოყვანეს ეჭრეთვე ზორკლითა ფერხთა და ხელთათთა; და მიხყანდა იგი შორის ქალაქსა... და ესრეთ მოიწია იგი კარსა მას მსაჭულისა მის ამირასასა“.

მოტიანილი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ახოს საყურობილე საქმიოდ დაშორებულია ამირას კარისაგან, ე. ი. სასახლისაგან. საქართველიდან სასახლემდე, ქალაქის შუა დიდი ნაწილია გასავლელი („მიხყანდა იგი შორის ქალაქსა“).

ქრისტეანულ ხარწმუნოებაზე მტკიცედ მდგომ ახო თბილელს ამირას ბრძანებით თავი მოკვეთეს სასახლის ეზოს გარეთ — „გარეთე კართა, ეზოსა მას ტაძრისასა“, რომელიც „კართა ზედა იყო წმინდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმინდათა ორმოცთა დაფუძნებული იყო“ (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 82-83).

869 წ. წამებულ 40 სებასტიელ მოწამეთა ეკლესია, ანუ „ორმოცთა ეკლესია“ იდგა დღევანდელი სამღებრო ქუჩის დასაწყისში. ეს ეკლესია XIX ს. მეორე ნახევარში ვლად თბილისელმა მოქალაქემ მითთვისა და საცხოვრებელ ბინად გადააკეთა. ამ ეკლესიის ნაშთები 1979 წელს გამოვლინდა სადაზვერვო გახსნების დროს. აქვე აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის კერამიკა და არაბულწარწერიანი ქვა. ასე რომ აბქერლოგოვრადედ დადასტურდა ადრეფეოდალურ ხანაში ამ ადგილას ორმოცთა ეკლესიის არსებობის ფაქტი (ო. ტყეშელაშვილი).

ამრიგად, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ახოს თავი მოკვეთეს ამირას სასახლის კარს გარეთ, რომელიც ორმოცთა ეკლესიის კარს ზემოთ იყო. მაშასადამე, ამირას სასახლე VIII ს. 80-იან წლებში (და ალბათ, უფრო ადრეც) დღევანდელი სამღებროს ქუჩის ზემოთ მდგარა, დედაციხის ტერიტორიაზე.

აკად. კ. კეკელიძე და პროფ. ლ. მელიქიძე. ბეგი, დედაციხის ტერიტორიაზე, სულდაბლში მდებარე თბილისის ამირას სასახლის არსებობაზე.

ტაბარის ცნობით, ისე გამოდის, რომ 858 წლისათვის, ე. ი. ბუღა თურქის შენასტევის დროს, თბილისის ამირას ისან-ავლაბარშიც მქონდა სასახლე. სხვაგვარად გაუგებარი რჩება მისი ცნობა დატყვევებული ამირას მიუყვანის შესახებ „ქალაქის პირდაპირ, სულდაბლის მახლობლად“, ერთ გორაკზე მდგომ ბუღა თურქთან, ამირასათვის თავის მოკვლა მისთვის კარის წინ და სხუთლის მტკვარში გადაგდება, აგრეთვე ამირას ცოლის დარჩენა სულდაბლში.

ჩვენი აზრით, ისან-ავლაბარში ამირას სასახლის არსებობა უკვე იმის გაუგებრებელია, რომ აქ ქალაქური მოსახლეობაა. ამასვე მოწმობს სახელწოდება „ისანი“, „ავლაბარი“, „რაბადი“ და სხვ.

რამ გამოიწვია დედაციხე კალაღან ამირას გადასვლა ისან-ავლაბარში, ანდა ავლაბარში ახალი სასახლის აგება, ძნელი დასადგენია. იოანე საბანისის მიხედვით ტფილისი-კალას ტერიტორიაზე უამრავი ეკლესია დგახ, ზოლო მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანთა (ქართული. ჩვენი საუნჯე, I, გვ. 81-83). შესაძლოა, ამ ფაქტს რაიმე კავშირი მქონდეს X ს. არაბი გეოგრაფის ალი აღ მასუდის ცნობას: „...დღევანდელად თბილისის მუსლიმანებმა უოვილგვარი პატივისცემა დაქარაგნეს ქრისტიანებს შორისო“.

მართალია, ეს ცნობა ბუღა თურქის მიერ 858 წ. თბილისის გადაწვა-აოსრების შედეგად გამოწვეულ ფაქტს აღნიშნავს, მაგრამ თბილისის მოსახლეობას არც მანამდე ანებოებებდნენ არაბი დამპყრობლები; მაშინდის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ქრისტეან-ქართველებს არსდროს შეუწყვეტილი (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები).

შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ააგო ახალი სასახლე არაბმა ამირამ ისან-ავლაბარში, გარეთუბანში ანუ რაბადში, სადაც არაბთა სამხედრო ბანაკები იყო (შდრ. ვ. ზარტოლდი, ა. აკუბოვიცი და სხვ.).

ვ. ცინცაძის აზრითაც თბილისის გადღება-ქალაქების პირველი დღიდანვე მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი დასახლებული იყო, მაგრამ იგი გარეთუბანს წარმოადგენდა და არა ქალაქის განუყოფელ ნაწილს. ქალაქის განუყოფელ ნაწილად ეს უბანი IX ს. პირველი ნახევრიდან იქცა.

ვ. ბერიძის აზრით, ეს უბანი VIII ს. „საგოდებელს“ წარმოადგენდა. აქვე იყო ისან-ტფილისის შემოერთებული ზიდი, სადაც ქვარი იყო აღმართული და „სადიდეგო“ („მეტეხი“, გვ. 10). „ისანი, როგორც თბილისის ნაწილი, თუ გარეთუბანი და, ალბათ, როგორც ციხე ჩანს „მატიანე ქართლისაში“, როცა 1045 წ. ბა.

გრატი IV აიღო თბილისი „ისწილთა ჩაგდეს ზიდი და არა მოსცეს ისანი ზეფეს“.

თ. ბერძინის აზრით, ქალაქური დასახლება, თუ ქალაქის გარეუბანი შეტეხილან-აქლამარში, მხოლოდ XI ს. შუა წლებიდან იჯარაუდებია.

ზემოთ მოტანილი წყაროების მიხედვით კი ჩანს, რომ ეს უბანი IX-X სს. მიწნაზე თბილისის განუყოფელ ნაწილს ანუ ვახუშტისერულ „ქალაქს“ წარმოადგენს. გარკვევით ჩანს, რომ ამ დროისათვის თბილისი უკვე ჩამოყალიბდა, როგორც აღმოსავლური ტიპის ფეოდალური ქალაქი.

აქედ. ნ. ბერძინიშვილის აზრით, „ფეოდალური ურთიერთობის ხანაში საერთოდ ქალაქი, როგორც მურხრანისა და მოსახლეობის ტიპი, მთავარ ზაღებში ერთნაირი იყო. ეს იყო ქალაქი ნატურალური მურხრანის ზატონობის პირობებში; მთავრად ისე, როგორც ფეოდალურ ურთიერთობას, განვითარების რამდენიმე სტადია ჰქონდა აგრეთვე ამ ეპოქის ქალაქებსაც“.

როგორც ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან ჩანს, თბილისშიც განვითარების რამდენიმე უფრო სწორად, სამი სტადია განვლო და, ვახუშტი ზეპირადად მურხრანის გამოთქმა რომ ვიხ. მართოდ, საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც სამი „ქალაქი“ („სტფილისი, კალა, ისან-აქლამარ“) ადრეფეოდალურ ხანაში.

აღნიშნული პროცესი საერთო მოვლენას წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში (ვ. ვ. ბარტოლოდი, ა. ა. იაკუბოვიჩი, ე. ვ. ბელიაევი, ნ. ბერძინი-შვილი, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, ლ. ჭილაშვილი, ოთ. ცუტიშვილი და სხვა ავტორები, რომელთა შრომები უკვე გვეჩვენა დასახელებული).

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეოდალური ეპოქის შთელ მანძილზე ქალაქი, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად თბილისი, ერთ ადგილას იყო გაყინული და ცვლილებას არ განიცდიდა. ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შენაშინად-ცვლა ქალაქი, მათ შორის თბილისიც, განიცდიდა აღმავლობა-ძლიერების ან დაკნინება-დაუქრობის პროცესს. მაგ., განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქაში, კერძოდ, 1122-1228 წწ. შორის, ე. ა. ფეოდალური საქართველოს ძლიერების ზენიტში, თბილისის აღმავლობა და ზრდა-განვითარება სრულიად ბუნებრივი ჩანს.

როგორც ცნობილია, 1122 წ. მიფე დავით აღმაშენებელმა ზრდადობით აიღო თბილისი.

მრავალი წლის მანძილზე უცხო დაშტერობა ხელში მყოფი ქალაქი ისევე იდებოდა, როგორც დაუბრუნდა. თბილისი გაზღეს წინა-ქრონოლოგური უმლაიერების სახელმწიფოს დედაქალაქი. იწყება ფეოდალური თბილისის აყვავების ხანა.

აქედ. ს. ჭანაშვიას აზრით, ამ პერიოდში „თბილისი წარმოვიდგება ქალაქად, რომელიც გადაქმნილია დიდ სიერცეზე. აქვს მრავალი მოედანი, გამაგრებული კედლები და ციხე-კოშტები, ისწიება ქალაქის ციხეები დარჩეული და ისანი, წყალკანისა და თაბორის ზას. ტიონები, ზიდი შტკვარზე, ისანთან. მთავარი სამეფო სისახლე ისანში იყო... შეფის სასახლე იყო დიდუბეშიც, რომელიც მაშინ ქალაქის ზღუდეთა გარეთ მდებარეობდა“.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ 1045 წ., ხაგრატ მეოთხის მიერ თბილისის აღების დროს, „სამიარაო დარბაზი“ ანუ სასახლე კალას ტერიტორიაზე, დედაციხეში იგულისხმება (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298). აქვე უნდა ვივარაუდოთ სამეფო სასახლე 1886 წელსაც. თემურ-ლენგმა თბილისის ციხეში იგდო ტყვედ ზაგრატი V, დედოფალი ანა და უფლისწული დავითი (ქართლის ცხოვრება, II, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 678 და სხვ.). ქართლის მთავრის სტეფანოზ I რეზიდენცია (VII ს. 20-იანი წლები), აგრეთვე, თბილისში, კერძოდ, დედაციხეშია. მის დროს „განძლიერდა თბილისი“ (ქართლის ცხოვრება, I, ჭუნაშვირი, გვ. 228-224).

ისან-აქლამარის ტერიტორია მოქცეული იყო, ძირითადად, დღევანდელი შეტების ქუჩის, ღვინის აღმართის, შუაშიანის მოედნისა და ჩეხოვის ქუჩის შორის. ქალაქის ამ ნაწილს, ისევე როგორც „საყუთრის ტფილისს“ და კალას, შემოვლებული ჰქონდა თავისი ზღუდე-გალავანი (შ. მესხიას, მ. ლორთქიფანიძის, ვ. ცინცაძის, მ. ბერძინიშვილის, ოთ. ცუტიშვილის დასახ. შრომები). საყუთარი გალავანი ჰქონდა, აგრეთვე შეტების პლატოზე მდგარ ისნის ციხესაც. ჩანს, ეს გალავანი კალა-თბილისის ზღუდე-გალავნის უშუალო გაგრძელებასა და ნაწილს წარმოადგენდა (ვ. ცინცაძე, მ. ბერძინი-შვილი).

ამრიგად, ირკვევა, რომ ფეოდალური ხანის თბილისის გარეგანი საზისა და ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად IX-X სს. მიწნაზე დამთავრდა და აღმინარებული ადგილი აქ იმთავითვე მთავარმა ციხემ — კალა-შურისციხემ დაიკავა.

გლოვის მგოსანთა პოეზია და სალექსო ფყობა

„ახლა მათ საფლავებს, ვისი წასვლის ტკივილმაც „ამათქმეინა“ თუშ ქალებს მწუხარე სულის ეს სიმღერები, საუკუნო დუშილი და სევდა მპატრონობს. უღრტვანელოად განისვენებენ ხელმწიდანები, ხელშორახიანები, მხედარნი, დამხვდურნი, მდედარნი, საველედ შოარუ-ღნი, დაუღლენი, დაუდგარნი, ლაშაიანნი, პიროფლიანნი, შინა და გარეშპრის „ღუგა ვა-ნები“; ქალნი — მოგოგმანენი, ზელწინდიანები, ზელეცილიანები, ზურგს აკენიანები, შექხელ-შეჭარენი, შინა და გარეთ დამაშვრალნი. თუშების ორგან ცხოვრების გამო ერთნი თუშეთის „სამაროვანზე“ განისვენებენ, სხვანი — ალვანის სასაფლაოზე. ზოგის სამარეს უწარწერო „ქალღიმა“ ამწვენებს, ზოგისას — ქვაში ნაკვეთი ჩამუხლული ცხვარი ან ფამთამდინარები. ხაგან ჩამდნარი სათავსოთო ზე. ზოგან კი მისანიშნებლად მიწა სიდრმისკენ დაწველა“.

1. ტირიან თუშის ქალებში...

ჩემ ზელო მცირე მოცულობის კრებულია — „მგოსანნი გლოვისანი“, თბილისი, „მეტ-ნიერება“, 1986. ტექსტები შეკრება, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნანუღი აზიკურმა.

ციტატა, რითაც წინამდებარე წერილის წერა დაიწყო, სწორედ ამ კრებულისაგან არის მოტანილი, დიდი რუდუნებით, სიყვარულითა და გულმსუფრთხი შედგენილი კრებულიდან.

შეითხველის ფვალწინ ქართული შეპირსიტყვიერების ახალი ფურცლები იშლება.

ტირიან თუშის ქალებში...

ტირიან შენაქოსა თუ ომალღში, დანოსა თუ ჩიღოში, დართლესა თუ ხისოში, დიკლოსა თუ ვაკისძირში, გირცესა თუ ქვარბოსელში, ალვანსა თუ გომეწარში. ტირიან: ქედანო სოფო და ჭერატონთ მარიაში, უხუბავის ცოლი და ჭაბუკაიძე სიღო, ზელაანთ მარტო და მწაქვეანთ ბერდუდა, სახა ზენურნაიძე და ვარდიზიანთ დიაცო, ქუმელაურელი ქრისტინე და შუბლანთ ქალი. ტირიან: აშაკოს და, მოურავიძე თადოს და, გულუბაიძე შეთეს და, დედებ-ბი — ასათიასა, აღათოსი, ადამიანი, შიოსი, ზურაბოსი, ჩაკაანთ ბახილოსი. ტირიან: ხისო-ელი დიაცო, შათიანთ დიაცო, გოგარული დიაცო.

ტირიან თუშის ქალებში... და თუმცა „ოღუშეთში ნატირაღის საქაროდ განმეორება არ შეიძლება“, მათი ნაგლოვი შინაც შემოჩრა ზაღბის ხსოვნას. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ „ზიით ტირილში“ საჩინოდ ირცლება სრულიად საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმამაკე-ნი ტომის დიდბულოვნება და ზნეობრივი სისპეტაკე, ამადლებული ადით-ჩვეულებანი და ძველისძველი რწმენანი, ღრმა ადამიანური კედენი და ფილოსოფიური შრებები. რაც მთავა-რია, ეს ყოველივე პოეზიად არის გარდაქმნილი, ნატიფ, ზიბლიან, ქადოსნურ პოეზიად.

ტირ.ან თუშის ქალებში...

სიკვდილიც არის და სიკვდილიცა. შემზარავია „დაღვია“ — უშეიღძიროდ გაღაგება. „კაცი დაღვია“ ითვლებოდა ამ შემთხვევაშიც, რაცა მხოლოდ ქალაშვილების შამა იყო. ურო დაუგდეთ სევდამწარბულ დედას, ვისაც თოვზე მოკვდომია ოღლად გაზრდილი შვი-ლი — „ცხვათ მწვემსად ნაქვგო“, „ღუგამას თვალნადევნი“, ღია ცის ქვეშ „დაღე-ღამე ნა-ტები“, „ბუდა-ნაბღის გამწირველი“, „დაღეული“:

ან ცხვირ ვის ჩაბარე, ან ცხენ ვის ჩაბარე,
 ხო არსო კიბეინებს ეგ მბედარმომეცდარი,
 ხო არ დახეშიან ძალლებ შენ თვისა,
 ჯობს ჩახეშიანა შენ ხელში ნაკერსა.

დააკვირდით ულამაზეს პოეტურ ხატს: ძაღლები ჩახეშიანო (ანდა: ხომ არ ჩახეშიანო) თავიანთი პატრონის, ან ჯარდაცვლილი მეცხვარის ხელში ნაპერ კომბალს!

ხომ შემაძრწუნებელა ეს ხატოვანი წარმოსახვა, „ოკტორებს დედის ტირილის“ ერთგვარი ექსპოზიცია, არანაყვებს წარდამცემა მომდევნო სურათი. საქმე ის არის, „ძველად თუშეთში ახეთი წესი უოფილა: პატრონივედარ ცხენს, რომლის პატრონიც „დაიღვოდა“... მწყემსი ამხანაგები, ვაზაფხულზე, როცა ცხვარ-ბინათ ბარბან მთაში ავიდოდნენ, შავით შემოსილს, პატრონის ეზოში შეაგდებდნენ და თავს მიინებებდნენ“. ამ ელღიანი მოლოდინს გამოც ძრწის და იმდღერბა დედის გული და გონების თვალა:

ვახაუხულ მოდისა, მემცხვარეთ აყრის დრო,
 ცხენს მომიყვანენა, ბიჭო, ხეილითა,
 ვადმოძიერიანა შენ გუდანაბაღსა,
 დედა მოგოცდესა, დედა მოგოცდესა,
 წყალსამც გამოყოლა, წყალს ადიდებულსა,
 გულამც გამხეთქისა, გულიწ არ მისქლებდა...
 ცხენს მომიყვანენა სუდარმოვლებულსა,
 უხანაგადებულს, ქვეენებჩამოყრილსა.
 მოგოცდეს დედა, ჩემ თბოლ ბიჭო.

და ეს მოშამული წარმოდგენა ისევე ძაღლების ავბედიით გოდებით თავდება:

ბინას ვაგოწირვენ ბაჭემოვლებულსა,
 ძაღლებს ვაგოწირვენ თოს უშეილითა.

ამნარი, მართლაც, შთამბეჭდავი პეკარები ხანთლით საძებარი როდია თუშურ ნატირ-ლებში.

უუბაგას ცოლი ცრემლად იღვრება — ქალიშვილი დაედუბა:

ალარ შემალბებე ასმითი კარებსავ,
 აღარ შემომაყრავ დიიდა თვალებსავ.

დოჭუელი ლეგუშაძე როსტომის ცოლი მოთქმა-ჩივილით ეთხოვება თავის დედისეკ-თა ვაჟს — „დაღუღლსა“ და „მიწის კედელზე ჯვარდაწერილს“:

პატარლად დუსვიე შევ ნიწის კედელით,
 სახნად გადავბურეე ქვაი და ქვიშით.

უვავილის ეპიდემიას დართლოელი ქალის ორი შვილი უმსხვერპლია — ლორსამი და დანოელი:

ქვალი ლორლად ხყრიავ, ულვამ — მუწანილადაც,
 დედა მოგოცდესთავ, ულლად დაწყობილსოც.

ხელანთ მარტო დამხუის ძმას — „ქარის სამკურს“, ლაშქრისა თუ საღბინოდ შეუ-როლი ხალხის დამამშვენებელს. და უფერად ელვასავით შემოგანათებს თამაში, მოულოდნე-ლი, სოცარი ხალვა:

უანწო-დ ხელდაო, სტუმართ-წინ სადგმელოც.

რა შედამტაცი სახეა: კრთანვასა და პურდამვირის, მკვებერეკიის და წუწურაქის, ქვა-ხარშისა და ქვაწეას ანტიპოდი — პურშარლიანი, ხელგაშლილი, გულუხვი, უშურკელი, კარდია კავა — სტუმრების წინ დასადგმელი უანწი და ხელდა!

ნუ დაგვაიწუდება: ეს ტაებები (და მისთანანი) „პოეტურ სიწყურაროვში“, „პოეტურ განშარტოებისას“, „შემოქმედებითი მოცადეობის“ დროს როდ იწერება, არამედ სახელ-დახელოდ, მოუშადებლად, ტირილის ვაშს იხადება, ნათესავების, მეზობლების, მთელი სო-ფლის თანდასწრებით ჩნდება უბედურებისა და მოთქმის წუთებში, როცა —

გლოვის მგონათა წინ ვაგვაი ასენია — ოდესმე „სრიალ-ტრიალა“, „თოფისა კონ-დაში“, „მედროშ-შეაღმე“, ან „ბუღემოშლილი არწივი“, „ქანდარიდან — ჰერბოში მამაყა.

ცას საძინებელი ადგილიდან — ჩამომხდარი ქორი“, „სოფლის გაღავანი კლიტრადებულო“; გლოვის მგოსანთა წინ ქალი ასენია — „ნამი დიღისა“, „მედურად გამყარარს გუბის წყალი“, „ჩემ წალღ, ვახდებოდავ გავლა-გამოვლაი, ხელში — ჭრელ წინდაი; ცულ — აღლი აშოავ“, „არ მოგატყუნა მინდვრის ქეილებთავ (დამარბულმა ქაბუკეშაო!), არ წაგეყვანონა ტუუბ-ტუუბითა“;

გლოვის მგოსანთა წინ ბავშვი ასენია:

იარ, შეილე, იარე, თვარ დავიღამდებავ,
ვბა შორს ოტყვიანე იმ სულეთისასავ,
ხარცე ცუტუნაიე, დავეშინებისავ,
სახლსაც გოგებენა უკარ-უსარკმლოსავ,
დაგაშინებენე მინისფერდებულნიე,
დედოე — იძახებად ვეღარ გავონებავ.

ან:

ერთიმე მახედიაე შენი მგებრებისდაე,
ცხენი ვისა ჯობდაე, ან მთრახ — ვისოე.

მგებრნი? დედისძმანი ყოფილან. „ხალხური რწმენით, ახალგარდაცვლილს საიქიოში პირველად შეეგებებთან მგებრნი — მისი დედისძმები. იგა მათ მიხუაეთ საიქიოს. მგებრნი ცხენზე ამხედრებულნი ზვდებთან მას“.

ტირიან თუშის ქალები... დაძაბული დუმილითა და უურადღებო უსმენს ყველა: ქალი და კაცი, ხალხი და მოხუცი, ძალგულოვანი და სუსტი. ტკივილიან მელოდიაში გრძნობიერ აზრად (თუ: აზრიან გრძნობად) ანთია საუკუნეთა გრძელ გზაზე მამა-პაპათა ნაანდერძე-დანატოვარი, სულიერ საგზლად გამიწნული საშვილიშვილო წუნე და თემის პირი.

თავშეკავება, თუნდაც უადრესი შეპირებებისას, ვაყვაცის ერთ-ერთი ძვირფასი ღირსება. ამიტომ: „კაც არა ყოფილა ჩვენი მარკოზაიე, ქალვით ვცოტირის, ვერას შავრდებისავ“.

„კაცი არ ყველა ზწორია, დიდი ძებს კაცთ კაცამდის“, — ვვასწავლის ქართული ლექსის ოქროპაპა და თუში დიდოს ამ აზრის ერთგულია ოლითანვე: „ზოგ კაცს ზოგ ნახად ჯობ, ზოგ-ზოგის ნახურიე, ზოგ ქალსაც მანდალ ჯობავ, ზოგ-ზოგის ნახურიე, ზოგ ცხენსაც მთრახ ფქობავ, ზოგ-ზოგის ნაჭერიე, კაც ვან ყველა კაციავ, ვისაც ჯულ ზურავავ“.

პატვი მიივე კაცურად, კაიკაცურად, ვაყვაცურად გარჯილ ადამიანს, ვისაც ჯერ სიზერემ უწია და შერმე საწუთრომ დაამხო: „ქვევა (ხალიჩა) არ გადიგდებ, ქვევა სიძველითავ, კაც არ გადიგდებავ, კაცი სიზერითავ“.

დედობრივი გრძნობა შურისძიებაზე ძლიერია და მაღალი, ვინაიდან ძველსა და რბილში აქვს გამჭდარი ქალს მარადქალურობის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ამაღლები, მათ შორის — შემდეგ: სხვაე დედა, თუნდაც მტრისა, მით უფრო — შვილმოკლული. „თუში მოწყლავს დიდოს. თუშებს სისხლი აულიათ და მტრის მარჯენა დედისთვის მიუტანიათ. დედან მარჯენა დიდოელი დედისათვის გაუგზავნია, თან ეს დაუტარია“:

მეგრე რო დიდოაე, ისეცაქ დედაიე,
იმასცაქ, აქაე გული საგულესავ.

უნებლიედ გავონდება ამ დედური სამართლის მტანჯველი სიბრძნე „ვეფხვიცა და მოყ-მის ლექსით“ დაწესებული: „ქენბა ვეფხვის დედა ჩემზე მწარედა სტირისა“.

ტირიან თუშის ქალები...

თანაგანცდით ითვიებ „სმით მოტირალთა“ მწუხარე პქარებს და ერთხელ კიდევ უფიქრებო წუთისოფლის მარადიულ ყველაზე ძველად გამოსაცნობ ორ გამოცანას, რომელთაგან ერთისათვის სი ცოცხლე დურქმევია ადამის შთამომავალს, ზოლო მეორისათვის — სი ცკედი.

2. „სმით ტირილის“ პროსოდირული მოდელი

ნაწული აშკურთ: „თუშური „ტირილი“... მოიცავს თორმეტმარცვლიან ტაქსს. გამოთავ-ლისს წარმოადგენს ცალკეული მოტირლების შიერ მელოდია მისადაგებული განსხვავებული საღეჭსო ზომა თორმეტი და ექვსი მარცვლის მონაცვლობის, ზოგჯერ ცამეტი და თოხს. მეტი მარცვლითაც კი. ოღონდ ამ შემთხვევაში მოტირალი ტექსტს ისე წარმოთქვამს, რომ თორმეტ მარცვალზე გაანგარიშებულ მელოდიაში ეტევა. ვახდებდა ათმარცვლიანი სტირიკონი, ამ დროს მოტირალი მელოდიას დაქვითინებით ან ამოოტვრით ავსებს. ძირითადად კი თუშური ნატირალის გავრცელებული ზომა თორმეტი მარცვლი“.

- „—“ — იქტუსი, ანუ შეტრული ნორმით ნავარაუდები ქლიერა მარცხენა
 - „⊥“ — მახვილიანი აქტუსი;
 - „∪“ — ხაზომის ხუსტი მარცხენა.
- არაბული რიცხვებით მიითითებულია აქტუსების ჭარბობა.


1. ქორეულ-კინოური წარმართვა

„ხშირ ტარილის“ პირველ ხაზომს პაროსოდიულ ფუძედ ედება ოთხტერფიანი ქორეულ-მესამეპეონური ლოგადი, ანუ ნორტერფი (2+4+2+4) და მისი რიტმული ვარიაციები. თვალსაჩინოებისათვის (ნამუშებო დამოწმებულია სხვადასხვა ტექსტით: „მეცხანი დედის ტარილი“, „გრიგოლაძე სონას ტარილი“, „დედო ქალის ტარილი“ და ასე შემდეგ):


ა) შენაწ ვერა იცო — ზალო აღარა გყავია...	1 3 5 7 9 11
ბ) ჭირი, დასა ჭირი, ჩემ და-მინო, ჭირი...	1 3 5 7 9 11
გ) მეწ ფოთოლ ვარც ქარის მოღებულევ...	1 3 5 7 9 11
დ) ქალო, ქალო ხარივ, დავგშინებისავ...	1 3 5 7 9 11
ე) თავად გინახავის, ბიჭო, თავის შტერავ...	1 3 5 7 9 11
ვ) იქნებ უღობავდა უჩინოში გზასა...	1 3 5 7 9 11
ზ) აღარ მომიხეავ, დედა მოგვიკედესავ...	1 3 5 7 9 11
თ) სახლებ გამწირე გულსაბეთქელი...	1 3 5 7 9 11
ი)	1 3 5 7 9 11
კ) რა ცოდვილა ხარივ, რა არავინ გყავია...	1 3 5 7 9 11
ლ) აღარავინ გყავე თავის ქმარელთავ...	1 3 5 7 9 11
მ) შენ მარჯვენა ზელო პირიქითისავ...	1 3 5 7 9 11
ნ)	1 3 5 7 9 11
ო) არ გამორეცხა ჩემ ფილონის სისხლივ...	1 3 5 7 9 11
პ) სიქიოსავა არვის ძახებო...	1 3 5 7 9 11
ჟ) დაგღამდებისავ, დაგეშინებისავ...	1 3 5 7 9 11

როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივ, შეტრული ნორმით ნავარაუდები ქლიერა ადგილი მახვილიანდება, ხოლო მახვილის გამოტრევა შეიძლება შეეხოს პირველ, მეორე, მესამე ან მეხუთე იქტუსებს.

მარცხ აქვე აღვნიშნავ: „ტარილის“ ტექსტებში ჭარბობით არ იქნებება მეცხრე რიტმული ვარიაცია, რომელიც სინამდვილეში უნდა არსებობდეს, ვინაიდან მისი გამოყენება, ვფიქრობ, არ დაარღვევდა ხაზომის მელოდიურ სტრუქტურას. შევამოწმოთ ტაბი: „დადად (ზელისმოქედელ) გაგაუღებ, ზელო, შიოს ცოლსავ“ („ღებუშთ დიაცის ტარილი“) საქმარისია პირობათად. გადაავადგალოთ მარცხენა ნახვარტაქის შემადგენელი სიტყვები, რომ უკრთახმენაში უმაღლე გახმანდეს მახვილთა საძებელი რიცხვ: გაგაუღებ დადად, შვილო, შიოს ცოლსავ.



რაც ამ რიტმული ვარიაციის გამო ითქვა, იგივე უნდა გამოვრდეს მეცამეტე რიტმულ ვარიაციაზე. ამჟამად არც ის შეიძინევა განახილველ ტექსტებში, მაგრამ „ტარილის“ მახვილთა მომავალმა ძიებამ, ვგონებ, იცავ გამოავლინოს, ვინაიდან ზუნებრავად „ქდება“ ნტიარლის მელოდიურ სტრუქტურაში. გავსინჯოთ სტრუქტურა: „გამაწვანებულავ შტროლთას წყაროსკარივ“ („ქანთ მაროს ტარილი“). ერთდენიანი კომპოზიტი „წყაროსკარივ“ შემადგენელ ფუძებად რომ დავგეშალო, სენა მაშინვე დაიჭრდა საძებელ პაროსოდიულ მწკრივს:



II. სიმბრკაქული წარმართვა

„ხშირ ტარილის“ მეორე ხაზომს პაროსოდიულ ფუძედ ედება ოთხტერფიანი ამფობრაქი (2+2+2+2). სივხვისითვის (ნატყვევებ დიაცის „ზუზუნო“):

არწიეო, მოგშლია, ვიბე ბუღევ.	2 5 8 11
	1 3 5 7 9 11 1 3 5 7 9 11

ამვე ხაზომს ეფუძნება შემდეგი ტაბები: მიწასწ არხესავ შენ დების ტარილი („გრიგოლაძე სონას ტარილი“), შენაწ ცრემლ გინდა ციხა ცვრის ოდენივ („დელოელი დიაცის ტარილი“), მოგვიკედეს დედაი, ჩემ ობოლ ბიჭო („ვიქტორის დედის ტარილი“) და სხვანი.

III. ქორეულ-კომუნდი ლოგაიდისა და ორტარფიანი ამფიბრაქსის ნაბრთი

„ხმით ტარლის“ შესაშვ საზომს პარსოდიულ ფუძედ ედება ექვსმარცვლიანი ქორეულ-მესამეკონური ლოგაიდისა (შ+4) და მისი რიტმული ვარაიციების შეერთება ორტარფიან ამფიბრაქსთან (შ+3). სანიშნოდ („საქოს ტარლი“, „მავლის დატარება“, „დაშოს დედის დატარება“, „ქაანთ მაროს ტარლი“):

- ა) ობრად, ბენაე, ობრად, მამული ობრისიე...

$$\begin{array}{cccccccc} 1 & 3 & 5 & & 8 & & 11 & \\ \cup & \cup \end{array}$$
- ბ) სულწუხაიწ ხარიე, რაითამ გაზღუბაე...

$$\begin{array}{cccccccc} - & \cup \end{array}$$
- გ) ზეჟეე მობრუნდესეე ჩეენ ცოდვით ქალაქეე...

$$\begin{array}{cccccccc} \cup & - & \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{array}$$
- დ) არ ეტუობოდაეე ჩემ ფილოს ნაფრენიე...

$$\begin{array}{cccccccc} - & \cup & - & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{array}$$

IV. ორტარფიანი ამფიბრაქსისა და ქორეულ-კომუნდი ლოგაიდის ნაბრთი

„ხმით ტარლის“ მეოთხე საზომს პარსოდიულ ფუძედ ედება ორტარფიანი ამფიბრაქსის (შ+3) შეერთება ქორეულ-მესამეკონური ლოგაიდთან (შ+4) და მის რიტმულ ვარაიციებთან. მაგალითად („გრიგოლაიძე ზონას ტარლი“, „ქედანთ სოფოს ტარლი“, „ხელაანთ მატროს ტარლი“, „ჭაბუკაიძე სიღოს ტარლი“):

- ა) დაწყეულ გვარიაე — შაპის ნათქეამ ვიციე...

$$\begin{array}{cccccccc} 2 & 5 & 7 & 9 & 11 & & & \\ \cup & \cup \end{array}$$
- ბ) წელ ედელს შიადგლიე, გამაგრება გინდაე...

$$\begin{array}{cccccccc} \cup & \cup \end{array}$$
- გ) ნიაღურად გემცესა ცრემლი ქალ-ზღისაი...

$$\begin{array}{cccccccc} \cup & \cup \end{array}$$
- დ) ციხეო შიღალო, თეწარადსიანი...

$$\begin{array}{cccccccc} \cup & \cup \end{array}$$

ახე და ამრიადა, როგორც ირკვევა, საანალიზო მეტრული კომპოზიციის ბალავარია ოთხნაირი საზომის ორგანული ერთობლიობა — „ხმით ტარლის“ რიტმულ-ინტონაციურ ფერადსახეობათა ერთ-ერთი უპირატესი წყარო.

ამ თვალსაზრისით, თუშური თორმეტმარცვლიდი თავისებურად ენათესავება სილაბურ-ტონური ლექსის ერთ ტიპოლოგიურ მოვლენას, როცა ტაქტის გასწვრივ ზუნებრივად იცვლება მეტრულ მახვილთა რაჟი. ეს წესი, მაგალითად, რუსული პოეზიის სილაბურ-ტონურ ნაქალსი ზოგჯერ ახე შედავანდება: ქორეული საზომის ნიშანდობლივ თვისებას (მახვილები კენტ მარცვლებზე) ენაცვლება იამბური საზომის ნიშანდობლივი თვისება (მახვილები ლუნ მარცვლებზე). ამ ზერხით არის დაწერილი, თუ გნებავთ, კონსტანტინე ბალმონტის ტაქტები, რომელთაც სკანდირების ფონზე ვკითხულობ:

Не кляните мудрые! Что вам до меня?
 Я ведь только облако, полное огня.

$$\begin{array}{cccccccc} \cup & \cup \\ 1 & 3 & 5 & & 8 & 10 & 12 & \end{array}$$

მართალია, ვიორჯი შენგელი მოცემულ ვერსიფიკაციულ ფაქტს იმით განმარტავს, რომ აქ მარცხენა ნახევარტაქტი „წარტმლებულია“ („ნარაშენო“), „რაც აუცილებელი არ არისო“, მაგრამ სინამდვილე სინამდვილედ არჩება: მეტრული მახვილება კენტი მარცვლებიდან (ქორეული კანონი), რეალურად ლუნ მარცვლებზე გადადის (იამბური კანონი).

ანალოგიურ და სპირისპირს პარსოდიულ მოვლენებზე ამჟამად აღარ შევჩერდები და სხვა დროს ვავაგრძელოთ შესაფერი სჯამაასი.

დავუბრუნდეთ „ხმით ტარლის“ მეტრულ კომპოზიციას: აქ ცეზურა შეეჭვებ-შეშვიდებ მარცვლებზეა გადის და ტაქტს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს: მწმ. უველა შემოხვევაში ხავაღლებულია ორი მეტრული მახვილი: ცეზურის წინ (შეხუთე მარცვლი) და ტაქტის ბოლოს (შეთერთმეტე მარცვლი). როგორც წესი, ქორეულია ცეზურაცა და კლაუზულაც, ანუ ტაქტის მეტრული დაბოლოება.

„ხმით ტარლის“ მეტრულ კომპოზიციას ოთხი ძირითადი მახვილი ამოძრავებს: ქორეული, ამფიბრაქტული, მესამეკონური და დქორეული.

ახე რომ, შევამჯღია ევარაუდოთ: თუშური თორმეტმარცვლიდი, პარსოდიული თვალსაზრისით, ნაირტარფიანი, ანუ ლოგაიდური, წყობაა და სილაბურ-ტონურობის ფარგლებში მოქმედებს, ვინაიდან ტარფთა ნაორბის მიხედვად, ეთანადება მახვილიან და უმახვილო მარცვლითა კანონოშიერი (ანდა: პოტენციურად კანონოშიერი) ჩერეულობას კანონს.

4 გ. შენგელი, ლექსის ტექნიკა, მოსკოვი, 1960, გვ. 97 (რუსულად).



ძვირფასი უნაძენი

წიგნის გარეკანზე გამზარი სისხლის შავი ლაქა და კიდევზე მიმოხეული წვეთების წრეებია გამოსახული. ზედ ვერტიკალურად სამი სიტყვაა ამოტვიფრული: „მტრის ღრუბლიან ცაში“.

გარეკანის მეორე გვერდიდან ძველი ფოტოსურათის რეპროდუქციული ანაბეჭდი შემოგვტყვრით. ახალგაზრდა კაცის უცნობი სურათიდან სიწმინდე და სიფაქიზე გამოკრთის მხოლოდ მკვირცხლი, მაძიებელი თვალუბნის შორეული მზერა გარწმუნებს მასში ჩაყირული სულის სიმტკიცესა და სიმამაცეში.

ასე შემოდის ჩვენს ცნობიერებაში ომამდელი ჩვენი საბჭოთა სტუდენტი ახალგაზრდობის ზოგადპორტრეტული იერსახე. მათ შორის იყო დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი, რომელიც 1939 წელს მოსკოვის უშაღლესი სასწავლებლიდან მოხალისედ წავიდა სამხედრო სკოლაში. სწორედ იგი — მფრინავის ფორმაცხი ახალგაზრდა, ზემოთ ნახსენებ ფოტოსურათთან რომ შემოგვტყვრის.

დავით ჩხიკვიშვილის საბრძოლო ბიოგრაფიის ეპიზოდები დაფარული არასოდეს ყოფილა. მაგრამ ვერაფერ წარმოიდგენდა, თუ ბატონი დავითი, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი მემკვიდრე და საზოგადო მოღვაწე, შემოქმედებითი შაღლითაც თუ იყო მირანცხებულს.

გასულ, 1985 წელს გამოსული მისი მოგონებებითა კრებულის ყოველ ფურცელში, აღამაწურ გრძნობათა ისეთი გულმხერვალე, წრფელი და უშეაღბობი გამსჭვალული ძლიერი ფეფვა გამოსკვივის, რომელმაც არ შეიძლება არ ვაგიტაცოს და თავის ტყვეობაში არ მოგაქცეოს, რათა კიდევ ერთხელ, გულისტკივილით წარმოიდგინო ომის საშინელებანი, თბილად და სათუთად გაიხსენო მძიმე განსაცდელის ქაშს შექანილი განუყრელი მეგობრები, ახლობლებისა და ნათესავების ჭირ-ვაჩამი, ბრძოლაში დაღუპული თანამდგომნი და თანამოღობნი.

საიდან მომდინარეობს გრძნობათა და განცდათა ასეთი მრავალფეროვნება?

სად იღებს სათავეს მისი აწყარა წყარო? — უნებურად გვბადებთ კითხვა და უნებურადვე ჩნდება შესატყვისი პასუხი: საკუთრივ ნანახიდან, საკუთრივ განცდილიდან, საკუთარი გულის ხმიდან, ღედისა და მამის შთავგონებიდან,

დავით ჩხიკვიშვილი. მტრის ღრუბლიან ცაში, 1985.

სწავლისა და აღზრდის სისტემიდან, რწმუნისა და მიზნის ურღვევი ერთიანობიდან.

კვლავ დიდხანს ვაგვახსენებს თავს ენათხიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის, იდეურ-პოლიტიკური მონოლითობის ომის წინა და ომისდროინდელი ხანი.

მეხსიერების ორმოცი წლის „გვიარბში“ ოქროს ზოგად შემინახული ეს ძვირფასი რელიკვია იქცა დავით ჩხიკვიშვილის მოგონებათა წარმატების საფუძვლად. აქ გადამწყვეტი როლი ავტორის პოზიციამ შეასრულა. მას აურჩევია ამბის თხრობის მარტივი, მაგრამ ყველაზე სწორი და გონივრული ფორმა. მოგონებების არა განსჯა და შეფასება თანამედროვეობის ინტელექტუალური სიმაღლეებიდან, არა მოწყვეტა და „ამოგლეჯა“ წარსული ქარიზმულიანი დროის რეალური სინამდვილიდან, არამედ ისე ჩვენება და გადმოცემა, როგორცაღ ალბეგება და შემოჩა შთაბეჭდილებათა ფარულ „ეკრანზე“, ხანგრძლივად რომ ელოდა გამზინებამ და გაშლავებამს. შემოქმედებითი პროცესი ეს ხანგრძლივი დრო დავით ჩხიკვიშვილს გამოუყენებია ფაქტების აღწესებისა და დაზუსტებისათვის და არა მისი შეღამაზებით.

ასე მივიღეთ ერთ წიგნად შეკრული დოკუმენტური პროზის ცხრა საუცხოო ნიმუში, ცხრა მოთხრობა („თილისმა“, „დედის ხელით შეკერილი პერანგე“, „ახლოდან ნანახი გერმანელები“, „მარინა მასწავლებელი“, „ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი“, „ელადიერი კანდელაკი“, „ირა“, „მკედარი არე“, „ამინდი“, რომელთაც ჩვენი მეოთხეული საზოგადოება გამოქვეყნებისთანავე დიდი ინტერესით შეხვდა.

ამ ნაწარმოებების ყველა მოქმედი პირი რეალურად არსებული ადამიანებია, მაგრამ ისინი აღიქმებიან ლიტერატურულ პერსონაჟებად, გრძნობად-მოკიერი სულებად, გარკვეული იდეურ-მხატვრული ფუნქციის მატარებელ გმირებად. ამიტომ მათი სახება უშეაღბოდ იჭრება მკითხველის სულსა და გულში. ისინი წიგნის დაბურვის შემდეგაც რჩებიან მის თანამგზავრებად, მის მშვენიერ ნაცნობებად, მეგობრებად თუ სევდიან ამრდილებად.

ასეთია, მაგალითად, ძველი ფრესკებიდან მიწაზე ჩამოსული და ცაში აფრინული ვაქავიკი“ გრაზია ჩიტიშვილი, ლეგენდარული მფრინავი, რომლის შესახებ ქარი კიდევ ომის წინ სასწაულებრივ ამბებს ყვებოდნენ ავიაციის მე-

თართა და რიგოსანთა შორის, ერთ-ერთი საწეროთელი ფრენის დროს დივიზიის მთავარმა შტურმანმა გრიშა ჩიტაიშვილმა ათასი მეტრის სიმაღლიდან ათი საავიაციო ყუმბარა ესროლა მიზანს და პირველი ყუმბარა პოლიტონის ცენტრში ორიენტირისათვის გამოსახულ ჭვარზე მოახვედრა. ეს სენსაციური ფაქტი, როგორც საბრძოლო წვრთნის საუკეთესო გამოცდილება, განზოგადდა და გრიშა ჩიტაიშვილის ჯვარი ჭერ კიდევ ომამდე მთელს ავიაციაში ცნობილი იყო. ლეგენდარული იყო მისი საბრძოლო გაფრენები ომის წლებშიც. საბჭოთა კავშირის გამორის წოდებზეც წარადგინეს.

და საწორედ მაშინ, 1945 წლის აპრილში, როცა ფრონტის ხაზი ბერლინთან ახლოს, ოდერსა და ნაისზე გადადიოდა, შორსმფრენი ავიაციის ერთ-ერთი კორპუსის რამდენიმე თვითმფრინავმა, რომელსაც სათავეში ედგა პოლკოვნიკი ჩიტაიშვილი, ნაცელად კენისბერგის ცენტრისა, დამით ქალაქის გარეუბანი დაბომბა. ეს საბედისწერო შეცდომა იმდამევე ცნობილი იყო მთავარსარდლობისათვის. გრიშა გადაურჩა შეაკრ დასჯას, მაგრამ საბჭოთა კავშირის გამორის წოდების მინიჭებაზე უარი ეთქვა. მრავალი ორდენის კავალერი ომის შემდეგ საშობლოს წინაშე მაინც ვალმოხდელი დაბრუნდა მშობლიურ ქუთხეში. უბედობის მწარე განაცდებმა კი დაატყარეს მისი სიკვდილი. ასეთია მისი რეალური ბიოგრაფიის შტრახები.

დავით ჩხიკვიშვილი ამ შტრახებიდან ვეიხატავს ლიტერატურულ გმირად ქვეული გრიშა ჩიტაიშვილის ჭეშმარიტად ჩაინდულ სულს, მისი ვაჟკაცური ხასიათის შთამბეჭდავ თვისებებს, მის მომხიბლავ ქცევებს და მოქმედებას, რომლებშიც თანხარად იყო შერწყმული მეთაურის ჩინისათვის რამდენიმე უჩვეულო იუმორი, სიხალისე და სილაღე. ასევე ოჯახის ნოიკოვზე, ვაგაპოვზე, ავიაციის მარშალ გოლოვანოვზე, მარინა მასწავლებელზე და სხვებზე.

ან ავილით მეორე მაგალითი. შეუძლებელია აუღელვებლად, ტრუნტელის მომგვრელი განცდის გარეშე წაიკითხოთ ნოველა — შოთბრომა „მკედლადი არე“ (გვ. 82-93), რომელშიც, საავიაციო ბრძოლის პირველი დღეების სიმწვლეებისა და რაციონალიზატორული გამოგონების აღწერასთან ერთად, კალმის ერთი მოსმით დახატულია სათადარიგო აეროდრომის სიბელოსნოს ოსტატი ქალის, მალაღო, ჯანაიას, ცისფრათვალმა ოცი წლის ვალიას ძლიერი, კეთილშობილური, დავუწყყარი სახე. დავით ჩხიკვიშვილი ადვილად ახერხებს ცხოვრებისეულ დეტალს ყოველთვის მინიჭებს მხატვრულობის სინტერესო იერა.

ვალიმ გამოსკედა ფოლადის ფერცლისაგან მფრინავთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად თეთრსავეთი ჯავშნის ფარი, მან დადგა თვითმფრინავის კუდში საავიაციო ტყვიამფრევერი,

იგი ხელდახელ, სასწრაფოდ „აეროდრომ“ საპაერო ბრძოლებიდან დაბრუნებული მკვლევარ თვითმფრინავებს. და სწორედ ამ დროს, როცა აეროდრომს „ოუნკეტსებმა“ ყუმბარები დაუშინეს, შტრის ტყვეებმა განგებრა უბრალო რუსის გოგონა ვალია. „სამარადისოდ ჩარჩა მუხსიერებაშია მისი სახე, — გვიამბობს წიგნის ავტორი, — ამისდოლივით დამეყვება იგი ყველგან. ეჭვი არ შეგარება, რომ მასვეით უბრალო უშიშარი, სუფთა და ნამუსიანი ქალების მადლით ჭერ კიდევ ცოცხლობს ზნეობა ამ ცოდვით საესე მიწაზე“ (გვ. 93). — გულისდაამეყვლი, სვედიანი, მართალი და აღმზუნველი სიტყვებით!

არ შეიძლება გულგრილად გვერდი აუარო წიგნის იმ ადგილებს, სადაც აღწერილია ჭერ კიდევ სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა ბათუმშიდან შორეული რუსეთის ქალაქებში სანახავად არაერთხელ ჩასულ მაასთან შეხვედრის სცენები და ეპიზოდები (გვ. 100-104). მაშინ სულ რაღაც 19-20 წლის ყმაწვილი დავით ჩხიკვიშვილი ზომორთევისა და მშობლენისის სამხედრო-სავიაციო ნაწილებში მსროლელო-რადისტის „პროფესისას“ ეუფლებოდა. იმდენად დაძაბულ ვითარებებში ტარდებოდა საწეროთელი მეცადინეობები, კურსანტი ოთხი ჭარბუქიანი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეხვდა და ისიც მხოლოდ ორი საათით საქართველოდან ჩასულ მოხუც მამის, რომელიც იღუმალად გრძნობდა მოახლოებული ომის საშიშროებას. „მამა ძლიერი კაცი იყო, — წერს ავტორი, — სულგამელი, დინჯი, მამიმ და რთული ცხოვრებით ნაწრთობი. მაგრამ მამსოვე მისი ცრემლებით, რომლებიც ზელის გულზე დამეკა, ისინი მოურჩენელი ჭრილობებით შემომჩრჩია“ („შტრის ღრებლიან ცაში“, 1985, გვ. 101).

დაიბ, შვილის მეხსიერებას შემორჩა მამის ცრემლიანი სახე. ამ წიგნით კი ქართულ შემართულ ლიტერატურას შერჩა ერთი საუკეთესო საგალობელი დედასთან ერთად მამის რაობასა და ხედვრზე, მის როლზე, როგორც შვილების ბრძენ მეგზურსა და ფხიზელ მკვლევრზე, ოჯახისა და საშობლოს საყრდენ კედელზე, წარსულსა და მომავალს შორის უწყვიტი კავშირის განსახიერებაზე, ისეთ კომპასზე რომელიც „გზას უკვლევს შვილებს სინათლისავე ბურუსით მოცულ სამყაროში“. შერჩა ზემოთ მოტანილი ციტატადან ჩვენ მიერ ოდნავი პერფორირებით წამოღებული ორიგინალური გამოთქმა: ზელის გულზე დაცემული მამის ცრემლები!

გ. კ. ქუკოვს თავის ცნობილ სკელტანიან წიგნში არსად არა აქვს აღწერილი საპაერო ბრძოლის ეპიზოდი. თვითონ არ იყო მისი მოწმე და მონაწილე. მე ასეთი ბრძოლა არც მინახავს — მიუთითებდა კიდევ ერთ-ერთი ან-

ტერვიში. საერთო გამოცდებიდან ვიცი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე 1942 წელს მტრის თვითმფრინავების არაერთი თავდასხმა გადაუტანია ჩვენს ქართულ 392-ე მსროლელ დივიზიას, მაგრამ ჩვენს სამოქმედო რაიონში ჩვენი და მტრის თვითმფრინავების შემზის სურათს არასოდეს შევსწრებოვარ.

— ჩაოდენ საყურადღებო, საინტერესო და მნიშვნელოვანია სამხედრო მფრინავის მიერ ასეთი შემზარავი ბრძოლების ნიშანდობლივად, სიკვდილთ და სიზუსტით აღწერა სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ისტორიასათვის. მერედა, როგორც დამაბულობა, ნებისყოფა, მისაზრებლობა და გამპრობობა სჭირდება ასეთ დროს განსაუფრთრებით მსროლელ-რადისტს, რომლის ვაბედულ, ზუსტ მოქმედებაზეა დამოკიდებული წარმატების ბედი. საიყრო ბრძოლაში ზომ წამები წყვეტენ ყველაფერს! არ შეიძლება ამ საშინელი წამების მახლობლობითა კი წარმოადგენა, თუ თვით არა გაქვს ვადაბანილო.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საკითხის მეორე ასპექტია უფრო ყურადსაღები. ვანა შესაძლოა, თუნდაც ვარაუდად იმის დაშვება რომ ვანუწყებულ სიამერო ბრძოლების ისეთ აქტიურ მონაწილეს, როგორც დავით ჩხაკი-შვილი იყო, რომლის მეგრად ლენინის, სამამულ-ოის ომის პირველი და მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენები ამწვენებენ, დრო და „მოცალეობა“ რჩებოდა პოეტური „მოთხველობისათვის?“ სამხედრო მფრინავ დავით ჩხაკიშვილის მოგონებათა წიგნის უპირველესა ღირსება სწორედ მის რომანტიკულ ფერებსა და სილამაშეშია. აღამიანი არ არსებობს ამ ფერებისა და სილამაშის გარეშე. იგი უნძიშეს ტრაგიკულ წუთებში მსუბუქ ნივად ეკლინება აღამიანს. მის სულსა და გულს, რათა ვაიწმინდოს დარდებისა და ნალევისაგან.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ვადმოგვეცემს რა ვალია მოულოდნელი დაღუპვით გამოწვეულ შიშიე სულერ განცდებს, 92-ე გვერდზე საესებით ლოგიკურად, დამაყრებლად და ხატონად სწორედ ასეთ წუთიერ, პოეტურ, რომანტიკულ ფერებზე მოვეუბრობს. „შიშიე ნაბიეებით, ღონეშიბილი და გამოფიტული წამოველი სახლისავენ. იქვე კარვის წინ თვის

ზენთან ჩამოგვეკი, ფეხები გავშალე და ზურგიით მას მივეუბრდენ... ავხვედრე ცუტ-ცუტ-მღერ-თების საბუდარს, ესა — ზეგანე ქიშხიშხიშხის სალოცესა და სანუგეშო სავენეს. მას კი შავი ფარდა გადაყროდა, ზნელეთს მოეცეა. მხოლოდ აქა-იქ ციმციმებდნენ ვარსკვლავები... ეპ, ეპო, დიღო და უსაზღვრო ცაო... არაფერი მკამს შენი მძელხარ, მძელხარ. შენ ჩემი მეგობრების სასაფლაოდ ვადამცველხარ. თუ ღმერთი მართლაც ცაში ბუდობს, რატომ არ ვვირის, რატომ არ ბღავის, რომ მის საბუდარში, უყვადების ამ სივანეში — ცაში აღამი-ანებს კლავენ“.

ეს აალი მწერლერი ნიჭის, წმინდა პოეტური სულის ნავიანევი, მაგრამ ძალოში ვამონათება. უნდა მივესალმოთ, მხურვალედ უნდა ვაუვლოთ გულის კარი სიხარულის მომნიჭებელ ასეთ მოვლენას. და ჩვენ მთელი არსებით ვუფრთღებით პოეტ-ავადემიკოს ირავლი აბაშიძის ათასყერ მართალ სიტყვებს, რომლით-თაც იგი თვის წინასიტყვაობის ბოლოს მკითხველებს მიმართავს:

„თითქმის მთელი ოთხი ათეული წელიწადი ეძინათ ამ მოგონებებს ავტორის სულსა და მეხსიერებაში. ისინი თითქოს გაბმურების არ ჩქარობდნენ და ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე კანტი-კუნტად გამოჩენის შემდეგ აგერ, ახლა ამ პატარა წიგნში ამეტველდნენ. როგორც ჩანს, მათ ავტორის ბევრი უფიქრია, რა საბით, რა ფორმით მოეწოდებინა ისინი ჩვენთვის, ქართველი მკითხველისათვის და ამ ფიქრის შემდეგ ახლა ომის მონაწილეთა ჩვეულებრივს, ზოგჯერ ზოგადსა და მშრალ მოგონებებს კი არა ვგანან, არამედ უფრო მეტად მზატრულ ნაწარმოებებს, ნოველებს, მოთხრობებს და ამიტომაც უფრო მეტად იზიადვენ მკითხველის ცხოველ ინტერესს“.

ჩვენ მხოლოდ ერთს დავსძენდით: ვანუზომელია დავით ჩხაკიშვილის წიგნის „მტრის ღრუბლიან ცაში“ მნიშვნელობა ახალგაზრდობის იღუერ-მსოფლმხედველობობობის, პატრიოტული და ზნეობრივი აღზრდის დიდი სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის. იგი ძვირფასი შენაძენია ქართული სამხედრო-მემუარული ლიტერატურის საგანძურში.

აკაკი თოფურია

- რედუქციის მხსმართი: თბლისი, რუსთაველის პარსუქტი, № 12.
- ბოლშევიზობი: რედუქტობის — 93-55-11, პ/შგ. მდივნის — 93-55-13, ვანყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

ვადეცა ასწფობად 11.06. 86 წ. ზელმოწერილი დასაბუქდად 28. 07. 86 წ. ანაწობის ზობი 71/4 X 12, ქვალდის ფორმატი 70X108, ფო-ზიურის ნაბუქლი ფურცელი 11, პირობითი ნაბუქლი ფურცელი 15,5. საადრ.-სავამოცემლო თაბახი 16,58.

უე 10282. ტირავი 32.000, შუკ. 1453. საქართვლოს კ ც-ის გამოცემლობის სტამბა,

№ 80 333.

62/132

0603660

70128

საქართველოს
ბიბლიოთეკების
სისტემა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ